



# არჩევნები და დემოკრატია

დამხმარე სახელმძღვანელო  
პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთათვის



დამხმარე სახელმძღვანელო მომზადდა საგრანტო კონკურსის ფარგლებში, ააიპ „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის“ (CDD) მიერ, სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ ფინანსური მხარდაჭერით.

სახელმძღვანელოში თავმოყრილი ინფორმაციის შინაარსზე პასუხისმგებელია განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი. მასში გამოთქმული ნებისმიერი, მოსაზრება, მიგნება, დასკვნა ან რეკომენდაცია ეკუთვნით მის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის შეხედულებებს

© განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD), 2017



ა. შანიძის ქ. N 8, 0179, თბილისი  
[www.CDD.ge](http://www.CDD.ge) | [info@CDD.ge](mailto:info@CDD.ge)  
ტელ: +995 790 333 111

წინასწარმოცვაობა

არჩევნების ისტორია  
და სამართლებრივი  
საფუძვლები

საარჩევნო  
სისტემები

საარჩევნო პროცესი,  
მისი ადმინისტრირება  
და სახელმძღვანელო  
პრინციპები

4

5 არჩევნების ცნება, სახეები და პერიოდულობა

7 საქართველოს საარჩევნო ისტორია

8 საარჩევნო სამართლის კონსტიტუციური პრინციპები (საარჩევნო სამართალი; სახელმძღვანელო მითითებები არჩევნებთან დაკავშირებით; საარჩევნო სამართლის წყაროები საქართველოში)

18 არჩევნებთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების სტანდარტი

21 საარჩევნო სისტემა და მისი განმასხვავებელი ელემენტები (ბიულეტენის სტრუქტურა; ოლქის სიდიდე; საარჩევნო ფორმულა და ვარიაციის სხვა ელემენტები)

24 ძირითადი საარჩევნო სისტემები (საარჩევნო სისტემების ოთხი ოჯახი)

24 პლურალურ-მაჟორიტარული საარჩევნო სისტემები (უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემა; ბლოკური კენჭისყრა; პარტიულ ბლოკური კენჭისყრა; ალტერნატიული კენჭისყრა; ორტურიანი სისტემა - უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები)

32 პროპორციული წარმომადგენლობის საარჩევნო სისტემები (პროპორც. წარმომადგენლობის განმარტება; სიითი პროპორციული წარმომადგენლობა; მანდატების განაწილების ფორმულები; პროპორციული წარმომადგენლობის ელემენტები; ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემა - უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები)

44 შერეული საარჩევნო სისტემები (შერეული წევრობის პროპორციული სისტემა; პარალელური კენჭისყრა - უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები)

47 სხვა სისტემები (ერთადერთი არაგადაცემადი ხმის სისტემა; შებლუდული კენჭისყრა; ბორდას დათვლა - უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები)

49 საარჩევნო სისტემის დონეები და ჰიბრიდული სისტემები

50 საარჩევნო სისტემის თვისებები

54 საარჩევნო სისტემის დიზაინი და პრინციპები

56 ინტენეტ რესურსები

57 სტატისტიკური ინფორმაცია

60 საარჩევნო პროცესი და მისი ადმინისტრირება

63 საარჩევნო პროცესის ფინანსური უზრუნველყოფა

64 საარჩევნო პროცესის სახელმძღვანელო პრინციპები

**სადამკვირვებლო სპექტრი 74**

(ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციები; არჩევნების მონიტორინგის მეთოდები და მნიშვნელობა, საერთაშორისო ორგანიზაციები და სტანდარტები)

**საარჩევნო სუბიექტი 79**

(საარჩევნო რეგისტრაცია და დაფინანსების წყაროები)

**მედია 83**

**საარჩევნო ადმინისტრაციის ქცევის კოდექსი 84**

(ეთიკური პრინციპები; საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ქცევის კოდექსი)

**მედიის ქცევის კოდექსი 88**

(ეთიკური პრინციპები და ქცევის კოდექსის პრაქტიკული მაგალითები)

**დამკვირვებლების ქცევის წესები 92**

(სახელმძღვანელო პრინციპები და ქცევის კოდექსის პრაქტიკული მაგალითები)

**პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი 102**

(ნებაყოფლობითი ქცევის კოდექსი, ქცევის კოდექსის შეთანხმება; ქცევის კოდექსის პრაქტიკული მაგალითები)

**წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება 119**

**ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება 121**

**უწყებათაშორისი კომისია 125**

**წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების 126**

**საინფორმაციო უზრუნველყოფა**

(სამაუწყებლო და ბეჭდური მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების ზოგადი რეგულაციები)

**საარჩევნო დავები და მისი გადაჭრის მექანიზმები 132**

**კონფლიქტები საარჩევნო პროცესში და მისი მართვა 134**

(კონფლიქტური სიტუაციების მართვა, კონფლიქტების მოგვარების რვა ნაბიჯი; კონფლიქტების გადანაცვების ერთობლივი მოდელი; გამოუვალი სიტუაციების მოგვარება)

**საარჩევნო დავების საერთაშორისო სტანდარტები 138**

**ზოგადი ინფორმაცია 139**

**ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს არჩევნები 139**

(არჩევნების საკანონმდებლო რეგულირება; საარჩევნო სისტემა და შედეგების შეჯამება)

**თვითმმართველი ქალაქის მერის (თემის გამგებლის) არჩევნები 147**

(არჩევნების საკანონმდებლო რეგულირება; საარჩევნო სისტემა და შედეგების შეჯამება)

**არჩევნებში ჩართული მხარეები**

**არჩევნებში ჩართულ მხარეთა ქცევის კოდექსი**

**წინასაარჩევნო კამპანიის/აგიტაციის წარმოება და შეზღუდვები**

**საარჩევნო დავები, სტანდარტები და კონფლიქტების მართვა**

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები**



# ინკლუზიური არჩევნები და მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობა

## ბიბლიოგრაფია

### 150 საარჩევნო პროცესის ხელმისაწვდომობა

### 150 განსაკუთრებული საჭიროების მქონე ამომრჩეველთა ჯგუფები

(მონაცვლადი და მარგინალური ჯგუფები)

### 157 არჩევნებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობა

(შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია; როგორ ვუზრუნველყოთ შშმ პირების მონაწილეობა საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესებში; ბარიერები და მათი გადაჭრის სტრატეგიები; სიტყვები გამოსახულებები და კომუნიკაცია)

### 163 არჩევნების ინკლუზიურობის უზრუნველყოფის მექანიზმები

(საკანონმდებლო საფუძვლები; არჩევნებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მექანიზმები და საშუალებები; ცესკოსთან არსებული შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფი)



განვითარებისა და  
დემოკრატიის ცენტრი  
CENTER FOR DEVELOPMENT  
AND DEMOCRACY



ცესკო  
საპარლამენტო საარჩევნო  
აღმწიხრება



საარჩევნო სისტემების  
მანვითარების, რეფორმებისა და  
სწავლების ცენტრი

## წინასიტყვაობა

საქართველო დემოკრატიული რეფორმებისა და გარდაქმნების პროცესშია. ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის და დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი საფუძველი, საზომი და მნიშვნელოვანი საწყისი კი დემოკრატიული, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებია.

მსოფლიო საარჩევნო პრაქტიკამ აჩვენა, რომ დემოკრატიული არჩევნები არ მოიცავს მხოლოდ საარჩევნო ნორმების დაცვას, გამჭვირვალე საარჩევნო პროცესსა და სამართლიან ქცევას. დემოკრატიული არჩევნები ამავდროულად ნიშნავს მაღალ საარჩევნო კულტურასა და ჯანსაღ პოლიტიკურ გარემოს. სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პროცესის უზრუნველსაყოფად კი აუცილებელია ძლიერი, განვითარებული პოლიტიკური პარტიების არსებობა ქვეყანაში.

პოლიტიკური პარტიები თანამედროვე დემოკრატიის ფუნქციონირების ქვაკუთხედს წარმოადგენს, რამეთუ სწორედ ისინი: ასრულებენ საკვანძო როლს კარგად განვითარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებში, ერთგვარად ახდენენ ქვეყნის მოქალაქეების ინტერესების კონცენტრირებას და წარმოდგენენ მათ ინტერესებს და პოზიციას, ასევე ქმნიან პოლიტიკურ პროგრამებს, რომლებიც საზოგადოების წინაშე მდგომი პრობლემების მოგვარებისკენაა მიმართული. პარტიული სისტემის ეფექტიანი ინსტიტუციონალური ფუნქციონირების დონე ხშირად ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის საზომადაც გამოიყენება.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა კვალიფიკაციების ამაღლება, შიდა პარტიული დემოკრატიის ნახალისება, პოლიტიკური პარტიების ეფექტური და გამართული მუშაობა, როგორც ქვეყნის დედაქალაქში, ასევე რეგიონებში ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების, პოლიტიკური კულტურის დახვეწისა და კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს შექმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. სათანადო ცოდნისა და უნარების არარსებობა დიდი ალბათობით საარჩევნო პროცესების ეფექტურ განხორციელებას უქმნის საფრთხეს საქართველოში.

სწორედ ამ მიზნებს ემსახურება განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD) პროექტი „პოლიტიკური პარტიების რესურსების გაძლიერება დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობისათვის“ რომელიც ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობას 2017 წელს გასამართი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებისთვის.

სწორედ აღნიშნული პროექტის ფარგლებში მომზადდა დამხმარე სახელმძღვანელო, რომლის მიზანია, ჩვენი ქვეყნის განვითარებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესში მონაწილე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, მიანოდოს ის თეორიული ცოდნა და კონკრეტული მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც ისინი შეძლებენ თავიანთ ორგანიზაციების შიგნით დემოკრატიული მართვის პრინციპებისა და გამჭვირვალობის კომპონენტის რეალიზაციას. ამ ცოდნის გამოყენებით, ისინი კიდევ უფრო უკეთესად შეძლებენ პარტიის პრიორიტეტების პრაქტიკაში ხორცშესხმას და საკუთარი რეგიონში საარჩევნო და პოლიტიკური კულტურის დონის გაუმჯობესებას.

დამხმარე სახელმძღვანელო, პარტიების წარმომადგენელთა გარდა, ასევე განკუთვნილია ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველისათვის, ასევე ყველა იმ ორგანიზაციისათვის, რომელიც ამა თუ იმ ხარისხით, მონაწილეობას იღებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ თუ საარჩევნო პროცესებში და აქვს მზადყოფნა, თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენს საზოგადოებაში მმართველობის დემოკრატიული გარემოს ფორმირებაში.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) მადლობას უხდის პოლიტიკური პარტიებს მჭიდრო თანამშრომლობისა და პროექტში აქტიური ჩართულობისთვის.

გვსურს განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს“ ფინანსური მხარდაჭერისთვის და პროექტში მონაწილე ყველა თანამშრომელსა და ექსპერტებს შეტანილი წვლილისთვის.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD)

# არჩევნების ისტორია და სამართლებრივი საფუძვლები

## არჩევნების ცნება, სახეები და პერიოდულობა

არჩევნებსა და საარჩევნო პროცედურებს კაცობრიობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების ინსტიტუტი ანტიკური ეპოქიდან არსებობს, მეცნიერება არჩევნების შესახებ—**პსეფოლოგია** (ბერძნ. «psephos» – ნიშნავს კენჭს, რომელსაც დემოკრატიულ ათენში არჩევნების დროს აგდებდნენ საარჩევნო ურნაში) – XX საუკუნის 50-იანი წლებიდან იმკვიდრებს თავს (1952 წლიდან). პსეფოლოგიის კვლევის საგანს წარმოადგენს არჩევნები, მისი როლი და ადგილი საზოგადოების განვითარების პროცესში.

**არჩევნების ცნება.** არჩევნები არის პროცესი, რომლის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების ორგანოების ფორმირება. არჩევნების მეშვეობით ხალხი ირჩევს თავის წარმომადგენლებს და ანიჭებს მათ თავის სუვერენულ უფლებათა განხორციელების მანდატს.

არჩევნები, პოლიტიკური უფლებები და ქვეყნის მართვაში მოსახლეობის მონაწილეობა დემოკრატიის უმთავრესი კომპონენტებია. მოქალაქის უფლება აირჩიოს ხელისუფლება ანუ თავისი წარმომადგენლების მეშვეობით განახორციელოს ძალაუფლება, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს მიეკუთვნება. **გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად**, “ხელისუფლების საფუძველი ხალხის ნება უნდა იყოს; ეს ნება უნდა გამოვლინდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომელიც უნდა გაიმართოს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით ან ხმის მიცემის თავისუფლების უზრუნველყოფი სხვა წესით”.

**არჩევნების სოციალური ფუნქცია.** აღსანიშნავია არჩევნების სოციალური ფუნქციაც. არჩევნები, განსაკუთრებით კი წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდი, ამომრჩეველს საშუალებას აძლევს გააანალიზოს არჩევნებში ჩართულ პარტიათა და პოლიტიკოსთა საქმიანობა, შეაფასოს მათი სამომავლო პროგრამები, გააკეთოს გააზრებული არჩევანი და სახელმწიფოს მართვის უფლება გადასცეს მათ, ვისაც უფრო ენდობა და ვისი სამომავლო ხედვებიც შეესაბამება ამომრჩეველთა ინტერესებს. მეორე მხრივ, არჩევნების სოციალური ფუნქცია გულისხმობს, არჩევნების შედეგების საფუძველზე შევაფასოთ ქვეყანაში სხვადასხვა პარტიის გავლენის დონე, ამომრჩეველთა განწყობა და პოლიტიკური ტენდენციები. საარჩევნო კანონმდებლობა და საარჩევნო პერიოდში მისი მოთხოვნების დაცვის ხარისხი საშუალებას იძლევა შევაფასოთ ქვეყანაში დემოკრატიის დონე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არჩევნები მხოლოდ იმ შემთხვევაში ასრულებს თავის სოციალურ ფუნქციას, თუ დაცულია საარჩევნო სამართლის ძირითადი პრინციპები. ამ პრინციპებიდან პირობითად ორი ჭკუფი შეიძლება გამოიყოს: ამომრჩევლის სტატუსის განმსაზღვრელი პრინციპები და არჩევნების ორგანიზაციის ზოგადი პრინციპები (იხ. ქვემოთ, მე-2 თავი).

**არჩევნების სახეები.** თავისი სახის მიხედვით, არჩევნები იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ, საყოველთაო და შუალედურ (ნაწილობრივ), მორიგ, რიგგარეშე და ხელახალ, ერთტურიან და ორტურიან არჩევნებად, აგრეთვე ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ არჩევნებად.

**პირდაპირი და არაპირდაპირი არჩევნები.** პირდაპირი არჩევნების დროს ამომრჩევლები უშუალოდ ირჩევენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წევრებსა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირებს. არაპირდაპირი არჩევნების დროს კი ამომრჩეველთა ნების პირდაპირი რეალიზება არ ხდება. არჩევის საკითხს წყვეტენ არა უშუალოდ მოქალაქეები, არამედ მათ მიერ არჩეული პირები დეპუტატები, ამრჩევები და ა.შ.

**საყოველთაო (საერთო) არჩევნები.** საყოველთაო არჩევნები, რომელში მონაწილეობის უფლებაც აქვს ქვეყნის ყველა ამომრჩეველს. საყოველთაო არჩევნებს მიეკუთვნება რეგიონის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებიც, რომლებში მონაწილეობის უფლებაც, შესაბამისად, რეგიონისა და ადმინისტრაციული ერთეულის ყველა ამომრჩეველს აქვს.

**შუალედური (ნაწილობრივი) არჩევნები.** შუალედურია (ნაწილობრივია) არჩევნები, რომელიც იმართება წარმომადგენლობითი ორგანოს ნაწილობრივი განახლებისათვის (როტაციისათვის) ან მისი შემადგენლობის შესავსებად (როდესაც ამ ორგანოს ვადამდე გამოაკლდება ერთი ან რამდენიმე წევრი).

**მორიგი, რიგგარეშე და ხელახალი არჩევნები.** მორიგია არჩევნები, რომელიც ტარდება კონსტიტუციით ან კანონით დადგენილ ვადაში, შესაბამისი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო. რიგგარეშე არჩევნები, რომელიც ტარდება წარმომადგენლობითი ორგანოსა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში. თუ არჩევნები არ შედგა ან მისი შედეგი ბათილად იქნა ცნობილი, ამ შემთხვევაში იმართება ხელახალი არჩევნები ანუ საარჩევნო პროცესი თითქმის თავიდან იწყება.

**ერთტურიანი და ორტურიანი არჩევნები.** არჩევნები ერთ ტურად იმართება, თუ არჩევნების საბოლოო შედეგი დგინდება ამომრჩეველთა ერთჯერადი ხმის მიცემის გზით, ხოლო თუ საბოლოო შედეგის დასადგენად ერთზე მეტი ტურია საჭირო, არჩევნები ორ ან მეტ ტურად იმართება.

**ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი არჩევნები.** არჩევნებს განასხვავებენ აგრეთვე იმ ტერიტორიის მიხედვით, რომლებზეც იგი იმართება. ამ თვალსაზრისით, არჩევნები:

- ↳ **ეროვნულია**, როდესაც იგი მთელ ქვეყანაში იმართება ქვეყნის ხელისუფლების ასარჩევად,
- ↳ რეგიონულია, როდესაც იგი მხოლოდ ქვეყნის ცალკეულ რეგიონში იმართება რეგიონის ხელისუფლების ასარჩევად,
- ↳ ადგილობრივია, როდესაც იგი ქვეყნის ადმინისტრაციულ ერთეულებში იმართება ადგილობრივი თვითმმართველობის ასარჩევად.

**არჩევნების პერიოდულობა.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, ხელისუფლების საფუძველია ხალხის ნება, რომელიც უნდა გამოვლინდეს პერიოდულ არჩევნებში. ე.ი სახალხო სუვერენიტეტის განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა არის არჩევნების პერიოდულობა. იგი განისაზღვრება წარმომადგენლობითი ორგანოსა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადით, რომელიც კონსტიტუციით ან კანონით არის დადგენილი. არჩევნების პერიოდულობა ამომრჩეველს არჩეულ პირებზე ზემოქმედების საშუალებას აძლევს: მას საშუალება ეძლევა ზუსტად დადგინდეს პერიოდულობით განაახლოს წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობა, ხელახლა აირჩიოს ადრე არჩეული პირი, თუ კმაყოფილია მისი საქმიანობით, ან აირჩიოს სხვა, თუ მან მისი ნდობა დაკარგა. იგივე უნდა ითქვას, როდესაც საქმე ეხება საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის არჩევნებს. ასეთი წესი აიძულებს პოლიტიკურ პარტიებსა და არჩეულ პირებს, მუდმივი კავშირი ჰქონდეთ ამომრჩევლებთან, გაითვალისწინონ მათი მოთხოვნები, დაარწმუნონ ისინი თავისი პოლიტიკის სისწორეში და ა.შ.

წარმომადგენლობითი ორგანოსა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. პარლამენტის უფლებამოსილების ვადა, ჩვეულებრივ, 4-5 წელია, პრეზიდენტის 4-7 წელი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა 2-6 წელი. უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვეულებრივ, არ იკრძალება ერთი და იმავე პირის მრავალჯერ არჩევა პარლამენტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში. პრეზიდენტად არჩევის შესაძლებლობა კი, როგორც წესი, ორი ვადით იზღუდება. ამის უმთავრესი მიზეზი ერთი პირის, პრეზიდენტის, ხელში თავმოყრილი დიდი ძალაუფლება (საპრეზიდენტო და შერეული მართვა-გამგეობის ფორმის მქონე რესპუბლიკებში) და, მაშასადამე, მისი არამართლზომიერად გამოყენების საშიშროებაა.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, პარლამენტს უფლება არ ეძლევა გაიგრძელოს თავისი უფლებამოსილების ვადა, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გაგრძელებას კი არც ერთი დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კონსტიტუცია შესაძლებლად მიიჩნევს პარლამენტისა და პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გაგრძელებას ან პირდაპირ კრძალავს არჩევნების გამართვას ომიანობისა და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის დროს. მთელი რიგი დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობა ასევე იცნობს პარლამენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, ხოლო პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, როგორც წესი, ყველა კონსტიტუცია ითვალისწინებს.



## საქართველოს საარჩევნო ისტორია

საქართველოში არჩევნების ისტორია სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული ფორმის დამკვიდრებასთან ერთად იწყება. საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ (გარდამავალ პერიოდში, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, პრაქტიკულად საქართველოს მთავრობის ფუნქციას ასრულებდა) 1918 წლის 26 მაისს მიიღო დამოუკიდებლობის აქტი, რომლის საფუძველზეც საქართველოს მთავრობას და



ხალხს საშუალება მიეცა საკუთარი ძალისხმევა დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ახალი სახელმწიფოს მშენებლობისკენ მიემართა. ამ ღირებულებებიდან ერთ-ერთი უმთავრესი იყო სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირება პერიოდული არჩევნების გზით.

პირველი მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები 1919 წლის 14-16 თებერვალს ჩატარდა. ამდენად, საქართველოში არჩევნების ისტორია 1919 წლიდან იწყება.

პირველ არჩევნებს საფუძვლად დაედო საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ 1918 წლის 22 ნოემბერს მიღებული „დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება“, რომელიც საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე 130 წევრის არჩევას (პარტიული სიებით) ითვალისწინებდა.



მნიშვნელოვანია, რომ იმ დროს, როდესაც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ქალებს ხმის უფლებაც კი არ ჰქონდათ, დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის სხვადასხვა პარტიის საარჩევნო სიებში კანდიდატებად ოცამდე ქალი დარეგისტრირდა.

საქართველოს დამფუძნებელ კრებაში კი ხუთმა ქალმა დაიკავა ადგილი. პირველი ქართველი ქალი პარლამენტარები იყვნენ ელისაბედ ბოლქვაძე, ელენორა ტერპარსეგოვა-მახვილაძისა, მინადორა ტოროშელიძე, ქრისტინე შარაშიძე, ანა (ოლღა) სოლოღაშვილი.

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ თითქმის 70 წლის განმავლობაში საქართველოში თავისუფალი არჩევნები არ გამართულა. არჩევნები წინასწარ, კომუნისტური პარტიის უმაღლეს ორგანოებში იგეგმებოდა და პრაქტიკულად უალტერნატივო იყო.

XX საუკუნის 70-იან წლების დასასრულისა და 80-იანი დამდეგისათვის საბჭოთა სისტემის კრიზისმა ყოვლისმომცველი ხასიათი მიიღო. 1985 წელს საბჭოთა ხელისუფლებაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. ახალმა ხელისუფლებამ აღიარა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი. აღიარებული იქნა ქვეყნის არადემოკრატიულობა და ქვეყანაში დამყარებული დიქტატურა.

1988 წლიდან საქართველოში ანტისაბჭოთა მიტინგები და დემონსტრაციები ძლიერდება. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილი დღითიდღე იზრდება, ეს იდეა სულ უფრო პოპულარული ხდება საქართველოს მოსახლეობაში, ძლიერდება ეროვნული მოძრაობა. ამ პროცესების პარალელურად, 1990 წლის 20 ივნისს საქართველოს უზენაესმა საბჭომ გაუქმებულად გამოაცხადა საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად შექმნილი ხელისუფლების ორგანოები, რადგან ისინი არ გამოხატავდნენ ქართველი ხალხის ჭეშმარიტ, თავისუფალ ნებასურვილს. უკანონოდ და ბათილად გამოცხადდა ყველა აქტი, რომელიც აუქმებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ინსტიტუტებს.

1990 წლის 18 აგვისტოს, ეროვნული მოძრაობის ზეწოლით, საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი საარჩევნო კანონი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, რომელიც არასაბჭოური და მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებას ითვალისწინებდა. არჩევნები 1990 წლის 28 ოქტომბერს დაინიშნა და მას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს“ არჩევნები, ნაცვლად „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა“.

არჩევნები შერეული საარჩევნო სისტემით ჩატარდა. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით, ასევე 125 დეპუტატი. ყოველ ამომრჩეველს ჰქონდა 2 ხმა, რომელთაგან ერთს პარტიულ სიას აძლევდა, მეორეს – ერთმანდატიან ოლქში წარდგენილ კანდიდატს.

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში 14 პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა. არჩევნებში გაიმარჯვა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ „მრგვალი მაგიდა–თავისუფალი საქართველო“ (54%), რომელსაც ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობდა. უზენაესი საბჭოს წევრები გახდნენ ასევე კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები (30%), განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინების წევრები (3,4%), დამოუკიდებელი კანდიდატები (12,6%).

დამოუკიდებელი ფორმით არჩეული ხელისუფლების პირობებში, **1991 წლის 31 მარტს** საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის დროსაც მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, სურდა თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა **1918 წლის 26 მაისის** დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მოსახლეობის (მათ შორის, სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის) საერთო რაოდენობის 90,3%-მა, რომელთაგან 98,9 %-მა კითხვას დადებითად უპასუხა. რეფერენდუმის საფუძველზე, **1991 წლის 9 აპრილს** მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. **1991 წლის 31 მარტს** საქართველოში გაიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა პირველი არჩევნები.

**1991 წლის 14 აპრილს** შემოღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტი და იმავე წლის 26 მაისს საქართველოში ჩატარდა საქართველოს პრეზიდენტის პირველი არჩევნები. პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა ზვიად გამსახურდია.

ამ დროიდან მოყოლებული საქართველოში პერიოდულად ტარდება პრეზიდენტის, პარლამენტის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები.

1990 წლიდან დღემდე 28 არჩევნები ჩატარდა, მათ შორის: **8** – საპარლამენტო; **6** – საპრეზიდენტო; **6** – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები; **7** – აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები; **1** – აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

ასევე 1990 წლიდან დღემდე საქართველოში ჩატარდა **2** – რეფერენდუმი და **1** – პლებისციტი.

## **საარჩევნო სამართლის კონსტიტუციური პრინციპები**

**საარჩევნო სამართალი** კონსტიტუციური სამართლის შემადგენელი ნაწილია, იგი სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს საჯარო ხელისუფლების ორგანოთა და თანამდებობის პირთა არჩევნებთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, უზრუნველყოფს პირის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს საჯარო ხელისუფლების ორგანოთა და თანამდებობის პირთა არჩევნებში და ადგენს ამ ორგანოთა და თანამდებობის პირთა არჩევის წესს, აგრეთვე რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვის წესს.

ევროპის კონსტიტუციური მემკვიდრეობის, აგრეთვე ევროპის საბჭოს სამი უმთავრესი საყრდენიდან ერთ-ერთს, ადამიანის უფლებების დაცვასა და კანონის უზენაესობასთან ერთად, დემოკრატია წარმოადგენს. დემოკრატია ვერ იარსებებს იმ ძირითადი პრინციპების შესაბამისად ჩატარებული არჩევნების გარეშე, რომლებიც არჩევნების დემოკრატიულობას განაპირობებს.

აქედან გამომდინარე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას მიერ, არჩევნებთან დაკავშირებით, მიღებულ იქნა საარჩევნო ნორმათა კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს საარჩევნო სამართლის კონსტიტუციური პრინციპებს. ეს პრინციპები ევროპის კონსტიტუციური მემკვიდრეობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და ევროპის საარჩევნო მემკვიდრეობას წარმოადგენს. ეს მემკვიდრეობა ორ ასპექტს მოიცავს: პირველი და უმთავრესი გახლავთ საარჩევნო სამართლის კონსტიტუციური პრინციპები, როგორცაა საყოველთაო, თანასწორი, თავისუფალი, ფარული და პირდაპირი კენჭისყრის უფლება; მეორე კი ის, რომ ჭეშმარიტად დემოკრატიული არჩევნები შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, თუ დაცულია კანონის უზენაესობაზე დამყარებული დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელი ისეთი მოთხოვნები, როგორცაა ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემა, სტაბილური საარჩევნო კანონმდებლობისა და ეფექტური პროცედურული გარანტიების არსებობა.

# სახელმძღვანელო მითითებები არჩევნებთან დაკავშირებით

მიღებულ იქნა ვენეციის კომისიის 51-ე სხდომაზე (ვენეცია, 5-6 ივლისი, 2002)

## I. ევროპის საარჩევნო მემკვიდრეობის ძირითადი პრინციპები

ევროპის საარჩევნო მემკვიდრეობის ხუთი ფუძემდებლური პრინციპია: საყოველთაო, თანასწორი, თავისუფალი, ფარული და პირდაპირი კენჭისყრა. ამასთან, არჩევნები უნდა ტარდებოდეს პერიოდულად.

### 1. საყოველთაო საარჩევნო უფლება

#### 1.1. წესი და გამონაკლისები

საყოველთაო არჩევნების პრინციპი გულისხმობს, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება ხმა მისცეს და კენჭი იყაროს არჩევნებში. თუმცა ეს უფლება შეიძლება, და მართებულიც არის, ექვემდებარებოდეს გარკვეულ პირობებს.

#### ა. ასაკი:

- I. საარჩევნო უფლების მინიჭებისათვის უნდა არსებობდეს მინიმალური ასაკობრივი ცენზი;
- II. ხმის მიცემის უფლების შეძენა უნდა მოხდეს არაუგვიანეს სრულწლოვანების ასაკის მიღწევისა;
- III. სასურველია, რომ პასიური საარჩევნო უფლების შემთხვევაში მოქმედებდეს იგივე ასაკობრივი ცენზი, რაც აქტიური საარჩევნო უფლების შესაძენადაა განსაზღვრული. ნებისმიერ შემთხვევაში იგი არ უნდა აღემატებოდეს 25 წელს, გარდა იმ კერძო გამონაკლისებისა, როდესაც განსაზღვრული თანამდებობებისათვის დადგენილია კონკრეტული საკვალიფიკაციო ასაკი (მაგალითად, პარლამენტის ზედა პალატის წევრი, სახელმწიფოს მეთაური).

#### ბ. მოქალაქეობრივი ცენზი:

- I. საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს მოქალაქეობრივი ცენზი;
- II. თუმცა, ქვეყანაში გარკვეული ხნით ცხოვრების შემდეგ მიზანშეწონილია უცხოელებს ეძლეოდეთ უფლება მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ არჩევნებში.

#### გ. საცხოვრებელი ადგილი:

- I. შეიძლება დაწესდეს საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული რიგი პირობები;
- II. საცხოვრებელი ადგილი ამ შემთხვევაში გულისხმობს ადგილს, სადაც პიროვნება ცხოვრობს მოცემულ ეტაპზე;
- III. ერთ ადგილზე ცხოვრების გარკვეული ხანდაზმულობის მოთხოვნა ამომრჩევლების მიმართ შეიძლება დაწესდეს მხოლოდ ადგილობრივი ან რეგიონალური არჩევნების შემთხვევაში;
- IV. იგი არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს; უფრო ხანგრძლივი დროის მოთხოვნა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის მიზნით;
- V. საარჩევნო უფლება, როგორც პასიური, ისე აქტიური, შეიძლება მიეცეთ მოქალაქეებს, რომლებიც ქვეყნის საზღვრებს გარეთ ცხოვრობენ.

#### დ. საარჩევნო უფლების (როგორც პასიურის, ისე აქტიურის) ჩამორთმევა:

- I. ცალკეულ პირებს შეიძლება ჩამოერთვათ საარჩევნო უფლება, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ შემდეგი მოთხოვნების დაცვით:
- II. საარჩევნო უფლების ჩამორთმევის მიზეზები და წესი განსაზღვრული უნდა იყოს კანონით;
- III. დაცული უნდა იყოს პროპორციულობის პრინციპი, პასიური საარჩევნო უფლების ჩამორთმევის პირობები შეიძლება ნაკლებად მკაცრი იყოს, ვიდრე აქტიურის;
- IV. საარჩევნო უფლების ჩამორთმევა მოტივირებული უნდა იყოს პირის ფსიქიური ან სულიერი ავადმყოფობით ან სასამართლოს მიერ მსჯავრდებულად ცნობით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;
- V. ამასთან, პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევა ან პირის ქმედუნაროდ ცნობა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს სათანადო გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდეს.

#### 1.2. ამომრჩეველთა სიები

სარჩევნო სიების სანდოობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შემდეგი კრიტერიუმების დაცვა:

- I. საარჩევნო სიები არ უნდა იყოს ერთჯერადი;



- II. მათი განახლება უნდა ხდებოდეს რეგულარულად, არანაკლებ წელიწადში ერთხელ. იქ, სადაც არ ხდება ამომრჩეველთა ავტომატური რეგისტრაცია, საარჩევნო რეგისტრაციოდ უნდა განისაზღვროს შედარებით უფრო ხანგრძლივი დრო.
- III. ამომრჩეველთა სიები უნდა ქვეყნდებოდეს;
- IV. უნდა არსებობდეს სასამართლო კონტროლს დაქვემდებარებული ადმინისტრაციული პროცედურა, ან სასამართლო პროცედურა არარეგისტრირებული ამომრჩევლების სიაში შესაყვანად; არ უნდა ხდებოდეს არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე რეგისტრაცია;
- V. ასევე სასამართლო კონტროლს დაქვემდებარებული ადმინისტრაციული პროცედურით უნდა ხდებოდეს სიების შედგენისა დაშვებული უზუსტობების;
- VI. შეიძლება არსებობდეს ამომრჩეველთა დამატებითი სიები, რათა იმ პირებს, რომლებმაც შეიცვალეს საცხოვრებელი ადგილი ან მიაღწიეს სრულწლოვანების ასაკს საბოლოო სიების გამოქვეყნების შემდეგ, მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში.

### 1.3. საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია

- I. ცალკეული კანდიდატებისა თუ კანდიდატთა სიების რეგისტრაციაში გატარების მიზნით შეიძლება არსებობდეს განსაზღვრული მინიმალური რაოდენობის ხელმოწერათა შეგროვების მოთხოვნა;
- II. კანონი არ უნდა ითხოვდეს მოცემულ საარჩევნო ოლქში მცხოვრებ ამომრჩეველთა 1%-ზე მეტი ოდენობის ხელმოწერათა შეგროვებას;
- III. მხარდამჭერთა სიების შემოწმება უნდა ხდებოდეს მკაფიოდ განსაზღვრული წესით, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება ვადებს;
- IV. შემოწმება უნდა ვრცელდებოდეს ყველა ხელმოწერაზე; თუმცა, თუ ეჭვის გარეშე დადგინდა, რომ შეგროვებულია აუცილებელი რაოდენობის მხარდამჭერთა ხელმოწერები, დანარჩენი ხელმოწერების გადამოწმება საჭირო აღარ არის;
- V. მხარდამჭერთა სიების შემოწმება უნდა დასრულდეს საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე;
- VI. თუ საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაციაში გასატარებლად არსებობს წინასწარი ფულადი თანხის შეტანის მოთხოვნა, უნდა მოხდეს მისი ანაზღაურება თუ კანდიდატი ან პარტია მოიპოვებს ხმათა განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტს; საარჩევნო წინდის ოდენობა და მის ასანაზღაურებლად საჭირო ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს ძალიან მაღალი.

## 2. კენჭისყრის თანასწორობა

იგი გულისხმობს:

**2.1. თანასწორი ხმის უფლებას:** ყოველ ამომრჩეველს, როგორც წესი, უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი ხმა. იქ, სადაც საარჩევნო სისტემა უშვებს, რომ ამომრჩეველი შეიძლება სარგებლობდეს ერთზე მეტი ხმის უფლებით, ყველა ამომრჩეველს ხმათა ერთი და იგივე რაოდენობა უნდა ჰქონდეს.

### 2.2. საარჩევნო ოლქებს შორის ადგილებისა და ხმების თანაბრად გადანაწილების უფლება

- I. ეს მოთხოვნა უნდა ვრცელდებოდეს პარლამენტის ქვედა პალატის, ასევე რეგიონალური და ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით მაინც;
- II. იგი გულისხმობს საარჩევნო ოლქებს შორის ადგილების განაწილებას მკაფიო და დაბალანსებული წარმომადგენლობის პრინციპით, ერთ-ერთი ჩამოთვლილი კრიტერიუმის საფუძველზე: მოსახლეობა, მოქალაქეთა (მათ შორის არასრულწლოვანთა) რაოდენობა, რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა, ან, შესაძლოა, უშუალოდ კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩევლების რაოდენობა. შეიძლება გათვალისწინებული იყოს აგრეთვე ამ კრიტერიუმების გარკვეული კომბინაცია;
- III. შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ასევე გეოგრაფიული კრიტერიუმი და ადმინისტრაციული, ან შესაძლოა ისტორიული საზღვრებიც;
- IV. დადგენილი ნორმიდან დასაშვები გადახრა არ უნდა იყოს 10%-ზე მაღალი და, რა თქმა უნდა, არ უნდა სცილდებოდეს 15%-ს, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა (კომპაქტურად დასახლებული ეროვნული უმცირესობის დაცვა, არამჭიდროდ დასახლებული ადმინისტრაციული ერთეული);
- V. თანაბარი ხმის უფლების უზრუნველსაყოფად, ადგილების განაწილების გადახედვა უნდა ხდებოდეს ათ წელიწადში ერთხელ მაინც, სასურველია არასაარჩევნო პერიოდში;

VI. მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების შემთხვევაში ადგილების გადანაწილება სასურველია მოხდეს საარჩევნო ოლქის საზღვრების შეუცვლელად, რომლებიც, სადაც ეს შესაძლებელია, ადმინისტრაციულ საზღვრებს უნდა ემთხვეოდეს.

VII. საარჩევნო ოლქის საზღვრების შესაძლო შეცვლა (მხოლოდ ერთმანდატიან სისტემაში) უნდა განხორციელდეს:

- მიუკერძოებლად;
- ეროვნული უმცირესობების ინტერესების დაცვით;
- სპეციალურად შექმნილი კომიტეტის რეკომენდაციების საფუძველზე. ეს კომიტეტი უნდა დაკომპლექტდეს უმთავრესად დამოუკიდებელი წევრებისაგან და სასურველია, რომ მის შემადგენლობაში შედიოდნენ გეოგრაფი, სოციოლოგი და სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები, ხოლო იქ სადაც მიზანშეწონილი იქნებოდა, აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებიც.

### **2.3. შესაძლებლობათა თანასწორობა**

ა. როგორც პარტიების, ისე კანდიდატებისათვის გარანტირებული უნდა იყოს შესაძლებლობათა თანასწორობა, რაც გულისხმობს ხელისუფლების ნეიტრალურობას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა:

- I. წინანასაარჩევნო კამპანია;
- II. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, კერძოდ კი სახელმწიფო მასმედიის მიერ საარჩევნო პროცესის გაშუქება;
- III. პარტიებისა და კანდიდატების სახელმწიფო დაფინანსება.

ბ. კონკრეტული საკითხიდან გამომდინარე, თანასწორობა შეიძლება იყოს მკაცრად განსაზღვრული ან პროპორციული. პირველ შემთხვევაში პოლიტიკური პარტიები თანაბარ პირობებში არიან ჩაყენებული, მიუხედავად იმისა თუ როგორია მოცემულ მომენტში მათი მდგომარეობა პარლამენტსა თუ ამომრჩევლებში. პროპორციული თანასწორობა გულისხმობს, რომ პოლიტიკური პარტიების მიმართ პირობები განისაზღვრება წინა არჩევნებში მათ მიღებული ხმების შესაბამისად – პროპორციულად. შესაძლებლობათა თანასწორობა განსაკუთრებით აქტუალურია რადიოსა და ტელევიზიაში დათმობილი საეთერო დროის, სახელმწიფო დაფინანსებისა და მხარდაჭერის სხვა ფორმებთან დაკავშირებით.

გ. აზრის გამოხატვის თავისუფლების პრინციპის თანახმად, კანონი უნდა უზრუნველყოფდეს, რომ არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტს მინიმალურად მაინც მიუწვდებოდეს ხელი წინანასაარჩევნო აგიტაციისა და სარეკლამო კამპანიის წარმართვაზე კერძოდ აუდიოვიზუალურ საინფორმაციო საშუალებებზე.

დ. პოლიტიკური პარტიების, კანდიდატებისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსება უნდა იყოს გამჭვირვალე;

ე. შესაძლებლობათა თანასწორობის პრინციპი შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში განაპირობებდეს გარკვეული შეზღუდვების დანერგვას პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო, კერძოდ კი სარეკლამო მიზნით განეულ ხარჯებთან დაკავშირებით.

### **2.4. თანასწორობა და ეროვნული უმცირესობები**

ა. ეროვნულ უმცირესობებს უნდა ჰქონდეთ პარტიების შექმნის უფლება.

ბ. წარმომადგენლობით ორგანოებში ეროვნული უმცირესობებისათვის გარანტირებული ადგილების გამოყოფა ან მათთვის ადგილების განაწილების დადგენილი წესიდან გამონაკლისების დაშვება (მაგალითად ეროვნულ უმცირესობათა პარტიების განთავსულება კვორუმის მოთხოვნისაგან) არ წარმოადგენს თანასწორობის პრინციპის დარღვევას.

გ. კანდიდატებს და ამომრჩევლებს არ უნდა მოეთხოვებოდეთ მიუთითონ, რომ ისინი ამა თუ იმ ეროვნულ უმცირესობას მიეკუთვნებიან.

### **2.5. სქესობრივი თანასწორობა და პარტიები**

სათანადო კონსტიტუციური საფუძველის არსებობისას, კანონის მოთხოვნა, რომ კანდიდატებს შორის ორივე სქესის წარმომადგენელთა პროცენტული რაოდენობა არ უნდა იყოს განსაზღვრულ მინიმალურ რაოდენობაზე ნაკლები, წინააღმდეგობაში არ მოდის თანასწორი საარჩევნო უფლების პრინციპთან.

### 3. თავისუფალი კენჭისყრა

#### 3.1. ამომრჩევლების მიერ აზრის ფორმირების თავისუფლება

ა. ხელისუფლების მოვალეობა დაიცვას ნეიტრალურობა, კერძოდ კი ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა:

- I. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები;
- II. საარჩევნო პლაკატები;
- III. შეკრებებისა და მანიფესტაციების ჩატარების უფლება;
- IV. პარტიებისა და კანდიდატების დაფინანსება.

ბ. სახელმწიფოს აკისრია გარკვეული პოზიტიური ვალდებულებები, კერძოდ:

- I. საზოგადოებრივ კენჭისყრაზე დააყენოს დადგენილი წესით შემოსული კანდიდატურები;
- II. ამომრჩევლებს მიაწოდოს ინფორმაცია პარტიებისა და კანდიდატების შესახებ, მაგალითად თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას საარჩევნო სუბიექტების სიები, სარეკლამო პლაკატები და სხვა;
- III. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა ენებზეც.

გ. ნეიტრალურობის ვალდებულებისა და ამომრჩეველთა ნების გამოხატვის თავისუფლების რაიმე ფორმით შელახვა, შეზღუდვა ან მისთვის ხელის შეშლა უნდა წარემოშობდეს სამართლებრივ პასუხისმგებლობას და ამისათვის კანონი უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის სანქციებს.

#### 3.2. ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენა და არჩევნების გაყალბებასთან ბრძოლის ღონისძიებები

- I. კენჭისყრის პროცედურები უნდა იყოს მარტივი;
- II. ყველა ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ხმა მისცეს საარჩევნო უბანზე, კენჭისყრის შენობაში; ხმის მიცემის სხვა ფორმები დასაშვებია მხოლოდ შემდეგი პირობების დაცვით:
- III. ხმის მიცემა ფოსტით ნებადართული უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფოსტის მუშაობა არის უსაფრთხო და სანდო; ფოსტის საშუალებით ხმის მიცემა შეიძლება დაიშვებოდეს მხოლოდ მაშინ, თუ ამომრჩეველი იმყოფება საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში, საპატიმროში, ძნელად მისადგომ ადგილებში, უცხოეთში ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია კენჭისყრის შენობაში მისვლა; გამორიცხული უნდა იყოს გაყალბების საფრთხე და დაშინება;
- IV. ელექტრონული საშუალებებით ხმის მიცემა უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ მაშინ თუ იგი არის უსაფრთხო და სანდო; კერძოდ, ამომრჩეველს უნდა შეეძლოს გადაამოწმოს მის მიერ მიცემული ხმის სიზუსტე და, თუ აუცილებელია, შეასწოროს იგი, ფარული კენჭისყრის პრინციპის დაცვით; გარანტირებული უნდა იყოს სისტემის გამჭვირვალობა;
- V. ხმის მიცემა მინდობილობით უნდა რეგულირდებოდეს უმკაცრესი წესებით; თითო ამომრჩეველს არ შეიძლება ჰქონდეს დადგენილ რაოდენობაზე მეტი მინდობილობით ხმის მიცემის უფლება;
- VI. გადასატანი საარჩევნო ყუთების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მკაცრი მოთხოვნების პირობებში, რათა გამოირიცხოს გაყალბების ყოველგვარი მცდელობა;
- VII. კენჭისყრის შედეგების სისწორის შესაფასებლად უნდა გამოიყენებოდეს სულ ცოტა ორი კრიტერიუმი მაინც: კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა და საარჩევნო ყუთში ბიულეტენების რაოდენობა;
- VIII. დაუშვებელია საუბნო კომისიის წევრების მიერ ბიულეტენებზე რაიმენაირი ნიშნის დასმა;
- IX. გამოუყენებელი ბიულეტენები აუცილებლად საარჩევნო უბანზე უნდა დარჩეს;
- X. საუბნო კომისიების შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები. კანდიდატების მიერ დანიშნულ დამკვირვებლებს უფლება უნდა ჰქონდეთ დაესწონონ როგორც ხმის მიცემის, ისე ხმების დათვლისა და შედეგების შეჭამების პროცედურებს;
- XI. სამხედრო პერსონალი, როდესაც კი ეს შესაძლებელია, ხმას უნდა აძლევდეს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; სხვა შემთხვევაში, მიზანშეწონილია რომ მათ რეგისტრაცია გაიარონ თავიანთ სამხედრო ნაწილთან ყველაზე ახლოს მდებარე საარჩევნო უბანზე;
- XII. ამომრჩეველთა ხმების დათვლას ადგილი უნდა ჰქონდეს კენჭისყრის შენობაშივე;



XIII. ხმების დათვლა ღიად და გამჭვირვალედ უნდა ტარდებოდეს. ნებადართული უნდა იყოს დამკვირვებლების, კანდიდატების წარმომადგენლებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა დასწრება. მათთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ოქმი;

XIV. შედეგების გადაგზავნა ზემდგომი საარჩევნო კომისიებისათვის უნდა ხდებოდეს ღიად და პროცედურა უნდა იყოს გამჭვირვალე;

XV. არჩევნების გაყალბების ნებისმიერი მცდელობა მკაცრად უნდა ისჯებოდეს სახელმწიფოს მიერ.

#### **4. ფარული კენჭისყრა**

ა. ფარული კენჭისყრა ამომრჩევლის არა მხოლოდ უფლება, არამედ მისი მოვალეობაცაა და მისი დარღვევა უნდა ისჯებოდეს ყველა იმ ბიულეტენის ბათილად ცნობით, რომლის შინაარსიც გამჟღავნებულია.

ბ. ხმის მიცემა უნდა ხდებოდეს ინდივიდუალურად. ოჯახური კენჭისყრა ან ერთი ამომრჩევლის მიერ სხვა ამომრჩეველთა ნება-სურვილის გამოვლინებისადმი კონტროლის ნებისმიერი სხვა ფორმა უნდა იკრძალებოდეს.

გ. არჩევნებზე მოსულ ამომრჩეველთა სია არ უნდა ქვეყნდებოდეს.

დ. ფარული კენჭისყრის დარღვევა შესაბამისი სანქციებით უნდა ისჯებოდეს.

#### **5. პირდაპირი კენჭისყრა**

პირდაპირი კენჭისყრით უნდა ირჩეოდეს:

- I. ქვეყნის პალამენტის ერთ-ერთი პალატა მაინც;
- II. რეგიონალური წარმომადგენლობითი ორგანოები;
- III. ადგილობრივი საბჭოები.

#### **6. არჩევნების პერიოდულობა**

არჩევნები უნდა ტარდებოდეს რეგულარულად; საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წელიწადს.

### **II. ალენიშნული პრინციპების განხორციელებისათვის აუცილებელი პირობები**

#### **1. ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემა**

ა. დემოკრატიული არჩევნები შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის უფლებათა პატივისცემის, კერძოდ კი აზრის გამოხატვისა და პრესის თავისუფლების, ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების, პოლიტიკური მიზნებით შეკრებებისა და გაერთიანებების, მათ შორის პოლიტიკური პარტიების შექმნის უფლების დაცვის პირობებში.

ბ. ამ ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა მკაცრად რეგულირდებოდეს კანონით, უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივ ინტერესებს და ხორციელდებოდეს პროპორციულობის პრინციპის დაცვით.

#### **2. საკანონმდებლო ბაზა და მისი სტაბილურობა**

არჩევნებთან დაკავშირებული ტექნიკური ხასიათის საკითხებისა და დეტალების მარეგულირებელი წესების გარდა, რომლებიც შეიძლება შეტანილ იქნეს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში, საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული საკითხები სულ მცირე კანონით მაინც უნდა რეგულირდებოდეს.

საარჩევნო კანონის ძირითადი ნორმები, კერძოდ კი თავად საარჩევნო სისტემის, საარჩევნო კომისიების შემადგენლობის, საარჩევნო ოლქების ფორმირების წესის განმსაზღვრელი დებულებები შეიძლება შეიცვალოს არჩევნებამდე არაუგვიანეს 12 თვისა, ან უნდა განისაზღვროს კონსტიტუციით ან რიგით კანონზე უფრო მაღალი იურიდიული ძალის მქონე აქტით.

#### **3. პროცედურული გარანტიები**

3.1. არჩევნების ორგანიზაცია მიუკერძოებელი ორგანოს მიერ

- ა. საარჩევნო კანონის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო უნდა იყოს მიუკერძოებელი.
- ბ. იმ ქვეყნებში, სადაც არარსებობს ადმინისტრაციული აპარატის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მყარი ტრადიცია, ყველა დონეზე - ცენტრალურიდან საუბნოს ჩათვლით - უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი საარჩევნო კომისიები.

გ. ცენტრალური საარჩევნო კომისია უნდა იყოს მუდმივმოქმედი ორგანო.

დ. მის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ:

- I. ერთი მაგისტრი მაინც: მოსამართლე ან პროკურორი;
- II. პარლამენტში შესული პარტიების ან იმ პარტიების წარმომადგენლები, რომლებმაც ამომრჩეველთა ხმების განსაზღვრულ პროცენტულ რაოდენობაზე მეტი დააგროვეს ბოლო არჩევნებში. ეს პირები კომპეტენტური უნდა იყვნენ საარჩევნო საკითხებში.

გარდა ამისა, საარჩევნო კომისიაში შეიძლება შედიოდნენ:

- III. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი;
- IV. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები.

- ე. პოლიტიკური პარტიები საარჩევნო კომისიებში თანასწორ საფუძველზე უნდა იყვნენ წარმოდგენილი ან უნდა შეეძლოთ დაესწრონ და დააკვირდნენ მიუკერძოებელი ორგანოს მუშაობას. თანასწორობა შეიძლება იყოს მკაცრი ან პროპორციულობის პრინციპზე დამყარებული (2.3. ბ)
- ვ. იმ ორგანოებს, რომლებიც თავიანთ წევრებს ნიშნავენ საარჩევნო კომისიებში არ უნდა ჰქონდეთ მათი თვითნებურად გამონკვევის უფლება.
- ზ. საარჩევნო კომისიის წევრებს უნდა ჩაუტარდეთ სტანდარტული მომზადების კურსი.
- თ. სასურველია, რომ საარჩევნო კომისიები გადაწყვეტილებებს იღებდნენ კვალიფიციური უმრავლესობით ან კონსენსუსის საფუძველზე.

### 3.2. არჩევნებზე დაკვირვება

- ა. როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დამკვირვებლებს მაქსიმალურად უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ არჩევნებზე დაკვირვების პროცესში.
- ბ. არჩევნებზე დაკვირვება არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ კენჭისყრის დღით, არამედ უნდა მოიცავდეს ასევე საარჩევნო სუბიექტებისა და, თუ აუცილებელია, ამომრჩეველთა რეგისტრაციასა და წინასაარჩევნო კამპანიას. ეს შესაძლებელს გახდის დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი დარღვევებს არჩევნებამდე, კენჭისყრის განმავლობაში თუ მის შემდგომ.
- გ. კანონი მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს თუ რომელი ადგილების შემოწმების უფლება არა აქვთ დამკვირვებლებს.
- დ. დაკვირვების პროცესში უნდა შეფასდეს დაცულია თუ არა ხელისუფლების მხრიდან ნეიტრალურობა.

### 3.3. სამართლებრივი დაცვის ეფექტური სისტემის არსებობა

- ა. საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებულ საჩივრებს უნდა განიხილავდეს საარჩევნო კომისია ან სასამართლო. საპარლამენტო არჩევნების შემთხვევაში, პარლამენტი შეიძლება იყოს საჩივრების განხილვის პირველი ინსტანცია, მაგრამ უნდა არსებობდეს მისი გადანაცვების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა.
- ბ. პროცედურა უნდა იყოს მარტივი და ზედმეტი ფორმულობებისაგან თავისუფალი, განსაკუთრებით პირველ ეტაპზე, როცა საქმე ეხება სარჩელის განსახილველად მიღება-არმიღების გადანაცვლებას
- გ. გასაჩივრების პროცედურა და შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილება და მოვალეობები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული კანონმდებლობით. უნდა არსებობდეს კანონით მკარცრად განსაზღვრული, რეგულირებული პროცედურა, რათა თავიდან იქნას აცილებული პოზიტიურ თუ ნეგატიურ კომპეტენციების გადანაწილებასთან დაკავშირებული ყველანაირი კონფლიქტი.
- დ. სასამართლო ინსტანცია ალტერნატიული უნდა იყოს უფლებამოსილებით, რომელიც მას საშუალებას მისცემს „განიხილოს დავები ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორებიცაა ხმის მიცემის უფლება – იგი მოიცავსამომრჩეველთა სიებს, წარდგენილი კანდიდატურების კანონიერებას, წინასაარჩევნო კომპონანისა და კენჭისყრის შედეგების დადგენილი ზესების პატივისცემასა და უზრუნველყოფას
- ე. გასაჩივრების ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება გააუქმოს კენჭისყრის შედეგები, თუ დარღვევებს შეეძლო გავლენა მოეხდინა მის შედეგებზე. შესაძლებელი უნდა იყოს როგორც მთლიანად არჩევნების, ისე რომელიმე საარჩევნო ოლქის ან უბნის შედეგების ბათილად ცნობა. ასეთ შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს ხელახალი არჩევნები შესაბამის ტერიტორიაზე;

- ვ. ყველა კანდიდატს და ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს საჩივრის შეტანის უფლება. შეიძლება, რომ კანონი წინასწარ ადგენდეს ამომრჩეველთა მიერ არჩევნების შედეგების გასაჩივრებისათვის დადგენილ და გონივრულ კვორუმს;
- 8. საჩივრის შეტანისა და გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადები უნდა იყოს მოკლე (სამიდან ხუთ დღემდე პირველი ინსტანციის ორგანოში)
- თ. რათა ორივე მხარე თანაბრად იქნას მოსმენილი სასამართლოში დაცული უნდა იქნეს მომჩივანის უფლება გაიმართოს ორივე მხარის მოსმენა.
- ი. იქ, სადაც გასაჩივრების ორგანოს ფუნქციას ასრულებს ზემდგომი საარჩევნო კომისია, მას უნდა შეეძლოს ქვემდგომი საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ex officio (თანამდებობის მიხედვით, მოვალეობისამებრ) გამოსწორება ან გაუქმება.

#### 4. საარჩევნო სისტემა

დასაშვებია ნებისმიერი საარჩევნო სისტემის შერჩევა, თუ იგი წინააღმდეგობაში არ მოდის ზემოხსენებული პრინციპებისა და ნორმების განხორციელებასთან.

აღნიშნულ დოკუმენტს ახლავს **განმარტებითი მოხსენება**, რომელიც მოიცავს იმ პრინციპების ახსნა განმარტებასა და პრაქტიკულ ასპექტებს, რომელსაც ემყარება ევროპის საარჩევნო მექანიზმები, აგრეთვე ჩამოყალიბებულია მათი განხორციელებისათვის აუცილებელი პირობები.

როგორც ვნახეთ მოცემული კოდექსი აყალიბებს იმ მინიმალურ წესებსა და მოთხოვნებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია ამ პრინციპების ცხოვრებაში გასატარებლად. ამასთან, მხოლოდ ის, რომ საარჩევნო კანონმდებლობა შეიცავდეს ევროპის საარჩევნო პრინციპების შესაბამის დებულებებს, საკმარისი არ არის. ეს პრინციპები შესაბამის კონტექსტში უნდა მოიაზრობდეს და გარანტირებული უნდა იყოს საარჩევნო პროცესის სამართლიანობა და საიმედოობა. ამისათვის აუცილებელია: პირველი, დაცული იყოს ადამიანის ძირითადი უფლებები; მეორე, წესების სტაბილურობის ხარისხი იყოს იმდენად მაღალი, რომ გამოირიცხოს მათი მანიპულირების ყოველგვარი ეჭვი. და ბოლოს, კანონით განსაზღვრული პროცედურები უნდა უზრუნველყოფდეს ამ წესების ეფექტურ განხორციელებას პრაქტიკაში.

**საქართველოში საარჩევნო სამართლის წყაროებს** მიეკუთვნება შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი შესაბამისი ნორმები, რომელთა შორის უპირველესი ადგილი საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციას უჭირავს. საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია ფუნდამენტური სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, რაც დემოკრატიული არჩევნების ჩატარების აუცილებელი პირობაა. არჩევნების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების იერარქიაში მეორე ადგილი საერთაშორისო აქტებს უჭირავს (იხილეთ შემდეგი ქვეთავი), ხოლო მომდევნო ადგილი საქართველოს ორგანულ კანონს „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ უკავია.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობას განეკუთვნება საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“, სხვა საკანონმდებლო აქტები, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს საარჩევნო სამართალი ხუთ ძირითად პრინციპს ეყრდნობა (მსგავსად საარჩევნო ნორმათა კოდექსისა): საყოველთაო საარჩევნო უფლება; თანასწორი საარჩევნო უფლება; პირდაპირი საარჩევნო უფლება; კენჭისყრის ფარულობა და ნების თავისუფალი გამოვლენა.

#### საყოველთაო საარჩევნო უფლება

ამ პრინციპის თანახმად, არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლემბისციტში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა სრულწლოვან მოქალაქეს (ასეთია საარჩევნო უფლების საყოველთაოობის პრინციპის ზოგადი განმარტება), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყნის მთელი მოსახლეობა მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლემბისციტში, ვინაიდან საარჩევნო სამართალს შემოაქვს საარჩევნო პროცესის მარეგულირებელი **შემზღუდველი** ნორმების მთელი სისტემა ე. წ. ცენზების სახით. აქტიური საარჩევნო უფლება უმნიშვნელოდ, პასიური საარჩევნო უფლება კი არაერთი ცენზით არის შეზღუდული. ამრიგად, **საარჩევნო ცენზი** არის კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი შემზღუდველი პირობები, რომლებიც განსაზღვრავს საარჩევნო უფლების მქონე პირთა წრეს.



**მოქალაქეობის ცენზის** თანახმად, საქართველოში საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს

**ბინადრობის ცენზი** გულისხმობს სახელმწიფოში ან მის ადმინისტრაციულ ერთეულში ცხოვრების მინიმალურ დროს, რომლის შემდეგაც პირი იღებს საარჩევნო უფლებას. საქართველოს კანონმდებლობით ბინადრობის ცენზი აქტიური საარჩევნო უფლებისთვის პირდაპირ არ არის განსაზღვრული, თუმცა იგი რეალურად არსებობს. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩეველის მონაცემები შეიტანება მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეჰყავთ მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

აქტიური საარჩევნო უფლებისაგან განსხვავებით, პასიური საარჩევნო უფლებისთვის კანონმდებლობა პირდაპირ ადგენს ბინადრობის ვადებს. მაგალითად: საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში; საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს მოქალაქე, რომელსაც უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არცერთ ქვეყანაში არ დგას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე; ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად და აღმასრულებელი ორგანოს – თვითმმართველი ქალაქის მერად და თვითმმართველი თემის გამგებლად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია სულ ცოტა 5 წელი მაინც, მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში.

**ასაკობრივი ცენზი** გულისხმობს კონკრეტულ ასაკს, რომლის მიღწევის შემდეგაც მოქალაქე იძენს საარჩევნო უფლებას. საქართველოს მოქალაქე აქტიურ საარჩევნო უფლებას იძენს 18 წლის ასაკიდან. რაც შეეხება პასიურ საარჩევნო უფლებას, მას პირდაპირი კავშირი აქვს საჯარო ხელისუფლების ცალკეული ორგანოების არჩევნებთან. მაგალითად: საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან; საქართველოს პარლამენტის წევრად და თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან; თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს - თვითმმართველი ქალაქის მერად, თვითმმართველი თემის გამგებლად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან.

**განათლების ცენზი.** საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს განათლების ცენზს, გარდა სახელმწიფო ენის ცოდნის მოთხოვნისა. საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, რომელმაც იცის ქართული ენა.

**დისკრიმინაციული ცენზი.** დისკრიმინაციული ცენზი მოიცავს **ქმედუნარიანობისა და მორალურ ცენზებს**. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ თანახმად, აქტიური საარჩევნო უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული. აგრეთვე იმ პირს, რომელიც სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო და მოთავსებულია სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

**მორალური ცენზი** კი უზღუდავს პასიურ საარჩევნო უფლებას მოქალაქეს, რომელიც არის ნარკომანი ან ნარკოტიკების მომხმარებელი. მაგალითად: საქართველოს საარჩევნო კოდექსის 111-ე მუხლის თანახმად "საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს ნარკომანი ან ნარკოტიკების მომხმარებელი, ხოლო თუ ეს პირი შესაბამისმა საარჩევნო კომისიამ არჩეულად გამოაცხადა, საქართველოს პარლამენტს უფლება არა აქვს, ცნოს მისი უფლებამოსილება."



**დამცავი ცენზი.** დამცავი ცენზი მოიცავს **აურჩევლობისა და შეუთავსებლობის ცენზებს**. ამ ცენზების დაწესების აზრი ის არის, რომ არ მოხდეს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების აღრევა.

აურჩევლობის ცენზი განსაზღვრავს იმ თანამდებობის პირთა ჩამონათვალს, რომლებიც საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირებამდე უნდა გადადგნენ დაკავებული თანამდებობიდან.

შეუთავსებლობის ცენზი უზღუდავს არჩევითი თანამდებობის პირებს გარკვეულ საქმიანობას. მაგალითად, პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს, ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, ხოლო საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, მათ შორის, პარტიული, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის.

### **თანასწორი საარჩევნო უფლება**

თანასწორი საარჩევნო უფლება ნიშნავს ყველა ამომრჩევლისთვის კანონის ფარგლებში თანასწორ უფლებებს და საარჩევნო უფლების რეალიზაციისთვის თანასწორ პირობებს. ერთი და იმავე საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვს.

### **პირდაპირი საარჩევნო უფლება**

თუ ამომრჩეველი უშუალოდ იმ კანდიდატს აძლევს ხმას, რომელმაც კონკრეტული თანამდებობა უნდა დაიკავოს, მაშინ არჩევნები პირდაპირია, ხოლო თუ მოქალაქეები ირჩევენ ამომრჩევლებს ან სპეციალურ ორგანოს, რომელიც შემდგომ ირჩევს კანდიდატს, მაშინ საქმე არაპირდაპირ (ირიბ) არჩევნებთან გვაქვს.

საქართველოში არჩევნები პირდაპირია. ამომრჩევლები საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრსა და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს – თვითმმართველი ქალაქის მერს, თვითმმართველი თემის გამგებელს უშუალოდ ირჩევენ.

### **კენჭისყრის ფარულობა**

საქართველოში არჩევნები, რეფერენდუმი და პლემბისციტი ფარული კენჭისყრით ტარდება. არჩევნების ფარულობის პირობებში თითოეულ ამომრჩეველს გარანტირებული აქვს იმის შესაძლებლობა, რომ კენჭისყრის კაბინაში (ან სხვა ადეკვატურ პირობებში) თავისი ხელით შეავსოს ყველასთვის ერთნაირი საარჩევნო ბიულეტენი და პირადად ჩააგდოს ის საარჩევნო ყუთში.

### **ნების თავისუფალი გამოვლენა**

იგი ეხება მხოლოდ აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირებს. აღნიშნული უფლების საფუძველზე ამომრჩეველი თავად წყვეტს, მივიდეს თუ არა არჩევნებზე და დააფიქსიროს თუ არა საკუთარი პოზიცია. თანამედროვე სახელმწიფოთა უმრავლესობაში ხმის მიცემა არის უფლება და არა მოვალეობა. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას, და ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე კონტროლი. რაც, თავის მხრივ, პირის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაში ჩაურევლობას გულისხმობს.

### **არჩევნებთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების სტანდარტები**

მეორე მსოფლიო ომამდე არ არსებობდა ადამიანის უფლებების საერთაშორისო და ყოვლისმომცველი კრებული. მოქალაქეთა მონაწილეობა საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესებში რეგულირდებოდა მხოლოდ ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე მოქმედი წესებით, რომლებიც იმ დროისთვის არსებული სახელმწიფოების კონსტიტუციაში ზოგადი სახით იყო წარმოდგენილი. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში გაჩნდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ადამიანის უფლებებს სავალდებულო ძალა საერთაშორისო და არა ადგილობრივ საკანონმდებლო დონეზე უნდა მიენიჭოს.

აქედან გამომდინარე პირველი დოკუმენტი, რომელმაც ძირითადი საარჩევნო უფლებები საერთაშორისო დონეზე განსაზღვრა არის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც მიღებულ იქნა 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ. საქართველო ორგანიზაციის წევრია 1992 წლის 31 ივლისიდან. საქართველოს კონსტიტუცია მთლიანად აღიარებს დეკლარაციის და ადამიანის უფლებათა სხვა საყოველთაო და ზოგად პრინციპებს. საქართველოს პარლამენტმა დეკლარაციის რატიფიცირება მოახდინა 1991 წლის 15 სექტემბერს.

დეკლარაციაში გამოცხადებულია პიროვნების ძირითადი უფლებები - სიცოცხლის, თავისუფლების, პირადი ხელშეუხებლობის, მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და თავშესაფრის, დემოკრატიული არჩევნების მეშვეობით სახელმწიფოს მართვა გამგეობაში მონაწილეობის, შრომის, თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების მიღების, დასვენების, განათლების, კულტურული ცხოვრებისა თუ მეცნიერულ პროგრესში მონაწილეობის და ა. შ. უფლებები. დეკლარაციით გამოცხადებულია ასევე: რელიგიისა და მრწამსის, კრებებისა და ასოციაციების თავისუფლება; აკრძალულია: მონობა, მონებით ვაჭრობა; ჩამოყალიბებულია სისხლის სამართლის, სისხლის საპროცესო სამართლისა და საოჯახო სამართლის უმთავრესი ძირითადი დემოკრატიული პრინციპები.

დეკლარაციის მოთხოვნაა ეს უფლებები და თავისუფლებები ვრცელდებოდეს ყველა ადამიანზე განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსისა, ეროვნული და სოციალური წარმომავლობისა, წოდებრივი და ქონებრივი ცენზისა.

**ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია**


**მუხლი 21**

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში უშუალოდ, ან თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.
2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.
3. სახელმწიფო ხელისუფლების წყარო ხალხის ნებაა: ეს ნება უნდა გამოიხატოს პერიოდულ და სამართლიან არჩევნებში, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი თავისუფალი ხმის მიცემის პროცედურების გამოყენებით.

ეს საერთაშორისო დოკუმენტი საბაზისოა ადამიანის უფლებების დარგში, როგორც საერთაშორისო, ასევე, სახელმწიფოებრივ დონეებზე. იგი აყალიბებს არჩევნებთან დაკავშირებულ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, თუმცა მას სავალდებულო ძალა არ გააჩნია. სამაგიეროდ, დეკლარაციას ანგარიშგასაწევი მორალური და პოლიტიკური ძალა აქვს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მოგვიანებით კიდევ უფრო განამტკიცა "სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტმა". იგი შემუშავდა 1966 წელს, ხოლო, ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტიდან. საქართველოს პარლამენტმა საერთაშორისო პაქტის რატიფიცირება მოახდინა 1994 წლის 25 იანვარს.

საერთაშორისო პაქტი 169 მონაწილე სახელმწიფოს აერთიანებს, ხოლო ექვს სახელმწიფოს ხელშეკრულების რატიფიცირება არ მოუხდენია. ვინაიდან აღნიშნული ექვსი სახელმწიფო ვალდებულია, არ განახორციელოს პაქტის მიზნის საწინააღმდეგო რაიმე ქმედება, შეიძლება ითქვას, რომ "სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის" მოქმედება



ფაქტობრივად მსოფლიოს მასშტაბით ვრცელდება. პაქტი საერთაშორისო სამართლებრივ დონეზე აწესებს მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებას, პატივი სცენ “ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით” დადგენილ ადამიანის უფლებებს. ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების რატიფიცირებით სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, პატივი სცენ ადამიანის უფლებებს და უზრუნველყონ ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო კანონმდებლობასთან.

## **სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი**

### **მუხლი 25**

ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა, მე-2 მუხლში ნახსენები რაიმე დისკრიმინაციისა და დაუსაბუთებელი შეზღუდვების გარეშე:

- ა) მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო საქმეთა წარმოებაში როგორც უშუალოდ, ისე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლის საშუალებით;
- ბ) მისცეს ხმა ან არჩეული იქნეს თავისუფალ და პერიოდულ არჩევნებში, რომელიც ეწყობა საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით და უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოხატვას.
- გ) თავის ქვეყანაში თანასწორობის საერთო პირობებით შეეძლოს სახელმწიფო სამსახურში შესვლა.

ადამიანის უფლებათა სფეროში კიდევ ერთ-ერთ უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს დოკუმენტად მიიჩნევა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (“ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია”), რომელიც მიღებული იქნა ევროპის საბჭოს მიერ 1950 წელს და მიმართულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და გაძლიერებისაკენ. საქართველო ამ ორგანიზაციის წევრია 1999 წლის 27 აპრილიდან. საქართველოს პარლამენტმა კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 1999 წლის 12 მაისს, ხოლო დოკუმენტის პირველი, მე-4, მე-6, მე-7 და მე-12 ოქმებიც ასევე რატიფიცირებულია საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ, 2000-2001 წლებში.

## **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ოქმი N1 (პარიზი, 20 მარტი, 1952 წ.)**

### **მუხლი 3**

უზენაესი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები გონივრული ინტერვალებით, ფარული კენჭისყრით, ისეთ პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის ნების თავისუფალ გამოხატვას საკანონმდებლო ორგანოს არჩევისას.

## **სხვა საერთაშორისო დოკუმენტები**

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო)

### **პარიზის ქართია ახალი ევროპისათვის – ეუთო-ს სამიტი (21 ნოემბერი, 1990 წ.)**

#### **ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა**

დემოკრატიული მთავრობა ეფუძნება ხალხის ნებას, რომელიც გამოიხატება თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში.

ყველა ადამიანს ასევე აქვს უფლება (...) მონაწილეობა მიიღოს თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში.

### **ეუთო-ს ადამიანური განზომილების კონფერენციის კოპენჰაგენში გამართული შეხვედრის დოკუმენტი (29 ივნისი, 1990 წ.)**

(5) ისინი საზეიმოდ აცხადებენ, რომ სამართლიანობის იმ ელემენტთა რიცხვში, რომლებიც აუცილებელია ყველა ადამიანის თანდაყოლილი ღირსებისა და თანასწორი და ხელშეუვალი უფლებების სრულად გამოსახატავად, შედის შემდეგი:

- (5.1) – თავისუფალი არჩევნები, რომლებიც ჩატარდება დროის მისაღები შუალედებით, ფარული კენჭისყრით, ან ხმის მიცემის სხვა ეკვივალენტური თავისუფალი პროცედურის გამოყენებით, ისეთ პირობებში, რომლებიც პრაქტიკულად უზრუნველყოფს ამომრჩეველთა აზრის თავისუფალ გამოხატვას თავიანთი წარმომადგენლების არჩევისას;



(6) მონაწილე სახელმწიფოები აცხადებენ, რომ ხალხის ნება, თავისუფლად და სამართლიანად გამოხატული პერიოდული და ჭეშმარიტი არჩევნების მეშვეობით, სახელმწიფო ხელისუფლების და მისი ლეგიტიმურობის წყაროა. მონაწილე სახელმწიფოები, ამდენად, პატივს სცემენ თავიანთი მოქალაქეების უფლებას, მონაწილეობა მიიღონ საკუთარი ქვეყნის მართვაში, უშუალოდ, ან მათ მიერ სამართლიანი საარჩევნო პროცესების გზით თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით.

ისინი აღიარებენ თავიანთ მოვალეობას, დაიცვან და შეინარჩუნონ, თავიანთი კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა დარგში თავიანთი საერთაშორისო მოვალეობებისა და ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების თანახმად, დემოკრატიული წესწყობილება, თავისუფლად დამყარებული ხალხის ნებით, იმ პირობის, ჭკუფების ან ორგანიზაციების ქმედებათაგან, რომლებიც ეწევიან ან არ უარყოფენ ტერორისტულ საქმიანობას ან ძალადობას, ამ სახელმწიფოს ან სხვა მონაწილე სახელმწიფოს წესწყობილების დასამხობად.

(7) იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხალხის ნება ხელისუფლების წყარო იქნება, მონაწილე სახელმწიფოები:

(7.1) – ჩაატარებენ თავისუფალ არჩევნებს კანონით დადგინილი დროის მისაღები შუალედებით;

(7.2) – დაუშვებენ ეროვნული საკანონმდებლო ორგანოს მინიმუმ ერთი პალატის დაკომპლექტებას თავისუფალი კონკურენციის საფუძველზე პირდაპირი არჩევნების გზით;

(7.3) – მისცემენ სრულწლოვან მოქალაქეებს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების გარანტიას;

(7.4) – უზრუნველყოფენ, რომ ხმის მიცემა განხორციელდება ფარული კენჭისყრით, ან ხმის მიცემის სხვა ეკვივალენტური თავისუფალი პროცედურის გამოყენებით, და რომ მათ სამართლიანად დაითვლიან და შეატყობინებენ, ოფიციალური შედეგების საჯარო გამოქვეყნებით;

(7.5) – პატივს სცემენ მოქალაქეთა უფლებას, დაიკავონ პოლიტიკური თუ სახელმწიფო თანამდებობები, ინდივიდუალურად ან როგორც პოლიტიკური პარტიებისა თუ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე;

(7.6) – პატივს სცემენ ინდივიდუალური პირების და ჯგუფების უფლებას, სრული თავისუფლების პირობებში, დააარსონ თავიანთი საკუთარი პოლიტიკური პარტიები ან სხვა ორგანიზაციები და მისცემენ ამგვარ პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებს აუცილებელ სამართლებრივ გარანტიებს, თავისუფალი კონკურენციისათვის, კანონისა და სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან თანასწორი მოპყრობის პირობებში;

(7.7) – უზრუნველყოფენ, რომ კანონისა და სახელმწიფო პოლიტიკის მოქმედებამ შესაძლებელი გახადოს პოლიტიკური კამპანიის ჩატარება თავისუფალ და სამართლიან ატმოსფეროში, რომლის დროსაც არც ადმინისტრაციული ჩარევა და არც ძალადობა ან დაშინება ხელს არ უშლის პარტიებსა და კანდიდატებს თავიანთი შეხედულებებისა და შესაძლებლობების შეუზღუდავად წარმოდგენაში, და აგრეთვე ხელს არ უშლის ამომრჩევლებს მათ გაცნობასა და განხილვაში, ან ხმის მიცემაში მოსალოდნელი შურისგების შიშის გარეშე;

(7.8) – ზომებს მიიღებენ იმისათვის, რომ არანაირი ბარიერი არ ელობებოდეს წინ მედიის დაუბრკოლებელ ხელმისაწვდომობას, დისკრიმინაციის გარეშე, ყველა პოლიტიკური და ჯგუფებისა და ინდივიდუალური პირისთვის, რომელთაც საარჩევნო პროცესში მონაწილეობა სურთ;

(7.9) – უზრუნველყოფენ, რომ კანდიდატები, რომლებიც მოიპოვებენ ხმათა კანონით დადგენილ საჭირო რაოდენობას, სათანადო წესით ოფიციალურად იქნებიან თანამდებობაზე დანიშნულნი და უფლება მიეცემათ თანამდებობაზე დარჩენ მანამ, სანამ მათი ვადა არ ამოიწურება, ან სხვაგვარად არ დასრულდება ისე, როგორც ეს განსაზღვრულია კანონით, თანახმად დემოკრატიული საპარლამენტო და კონსტიტუციური პროცედურებისა.

აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტებია: საერთაშორისო კონვენცია „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ (1965 წ.), ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენცია (1979 წ.), ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ (1985 წ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

## საარჩევნო სისტემები

### საარჩევნო სისტემა და მისი განსხვავებული ელემენტები

ტერმინი “საარჩევნო სისტემა” მრავალი ექსპერტის მიერ გამოიყენება, მაგრამ სპექტრი იმისა, თუ რას გულისხმობენ ისინი ამ ტერმინის გამოყენებისას, ყოველთვის მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. ერთი მხრივ, ზოგიერთი მას ძალიან ვიწრო გაგებით იყენებს, ძირითადად იმის აღსაწერად, თუ როგორ ხდება ხმების მიცემა პოლიტიკური პარტიებისთვის და როგორ აისახება ეს შემდგომ პარლამენტში მოპოვებულ მანდატებზე, ანუ ეგრეთ წოდებული “მანდატებისა და ხმების კავშირი”. მეორე მხრივ, ეს ტერმინი შეიძლება მოიცავდეს საარჩევნო მოწყობის მთელს სისტემას ქვეყანაში, ანუ ყველაფერს, რაც განსაზღვრულია კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონ(ებ)ის მიერ, სრულიად დეტალურად.

პოლიტიკის საკითხების განხილვისას, მრავალი რამ უნდა ითქვას უფრო ფართო პერსპექტივის შესახებ, ვინაიდან ქვეყნის საარჩევნო მოწყობის არა მხოლოდ ერთი ასპექტი, არამედ მთელი მათი სპექტრი უნდა მუშაობდეს ეფექტურად. ამის მიზანია ის, რომ არჩევნები წარმატებული იყოს საზოგადოების მიერ სოციალური არჩევანის იმგვარად გაკეთების თვალსაზრისით, რათა კონფლიქტი თავიდან ავიცილოთ. დღევანდელი განხილვის მიზნებისთვის, მე ამ უფრო ფართო მიდგომას გამოვიყენებ და საარჩევნო სისტემას განვსაზღვრავ როგორც წინასწარ განვირეგ პროცესს, როდესაც ერთი წარმომადგენლობით ორგანოს ირჩევს, რომელიც მისი სამთავრობო სტრუქტურის ნაწილია.

იმისთვის, რომ საარჩევნო სისტემებს შორის სხვაობა გავიაზროთ, რომელიც რეალურ სამყაროში არსებობს, ექსპერტები შეეცადნენ, რომ სხვადასხვა ქვეყნების საარჩევნო სისტემებში სხვაობის კრიტიკული განზომილებების იდენტიფიცირება მოეხდინათ. ასეთი ანალიზის ისეთ კლასიკურ მაგალითში, როგორცაა დაგლას რეის “საარჩევნო კანონმდებლობის პოლიტიკური შედეგები”, საარჩევნო სისტემებზე შიდაპარტიული პოლიტიკური გავლენის ვარიაციის სამი ძირითადი წყაროა იდენტიფიცირებული: **“ბიულეტენის სტრუქტურა”, “ოქტის სიდიდე” და “საარჩევნო ფორმულა”**. პოლიტიკის მეცნიერების (ტააგეპერას და შუგარტის) მიერ უფრო ცოტა ხნის წინ განხორციელებული კვლევა კიდევ უფრო მეტ აქცენტს აკეთებს აღნიშნულ სამ წყაროზე, ვიდრე რეის ანალიზი და მათ სამ უმთავრეს განმასხვავებელ ნიშანს უწოდებს, რომლებითაც საარჩევნო სისტემათა შემქმნელებს შეუძლიათ მანიპულირება საკუთარი ძალისხმევის განხორციელებისას, რაც სასურველი ეფექტის მიღწევაზეა მიმართული.

### ბიულეტენის სტრუქტურა

ბიულეტენის სტრუქტურა ის არჩევანია, რომელიც ამომრჩევლებს ეძლევათ მათ საარჩევნო ბიულეტენებში და ეს ასევე ის მექანიზმია, რომლის მეშვეობითაც არჩევანის აღრიცხვა ხდება. რეის მიერ ბიულეტენის სტრუქტურის ორი მთავარი კატეგორია არის გამოვლენილი: “კატეგორიული” ბიულეტენები, სადაც ამომრჩეველმა ერთი პარტია უნდა განსაზღვროს, როგორც საკუთარი არჩევანი და “რიგობითი” ბიულეტენები, სადაც ამომრჩეველს შეუძლია “გამოხატოს უფრო რთული, არაერთმნიშვნელოვანი პრეფერენცია, პარტიების რანგის მიხედვით თანმიმდევრობით დალაგების გზით”. თუმცა, როგორც ტააგეპერა და შუგარტი აღნიშნავენ, ამ ორ ტიპს შორის სხვაობა მკაფიოდ გამიჯნული არ არის: კატეგორიული ბიულეტენი, რომლის მაგალითიცაა კლასიკური, ხმების უბრალო უმრავლესობის (FPTP) საარჩევნო სისტემა, ამომრჩევლისაგან მოითხოვს, რომ მან ისე მაინც დააღაგოს კანდიდატები თანმიმდევრობით, რომ იმ ერთი კანდიდატის იდენტიფიცირება მოახდინოს, რომელიც ყველა დანარჩენ კანდიდატს ურჩევნია. რიგობითი ბიულეტენების ვარიანტებია:

- ⇒ არჩევითი პრეფერენციული კენჭისყრა, როდესაც ამომრჩეველმა ყველა კანდიდატი თანმიმდევრობის მიხედვით არ უნდა დააღაგოს და მართლაც შესაძლოა გააჩნდეს არჩევანი, რომ ხმა მხოლოდ ერთ კანდიდატს მისცეს;
- ⇒ კენჭისყრა მონონების საფუძველზე, როდესაც ამომრჩეველმა უნდა დაყოს კანდიდატები ორ ჯგუფად, სადაც ერთი იმ კანდიდატებისაგან შედგება, რომლებიც მას “მოსწონს”, ხოლო მეორე - იმ კანდიდატებისაგან, რომლებიც არც თუ ისე მოსწონს; და
- ⇒ კენჭისყრა “საარჩევნო ბარათის” საფუძველზე, როდესაც ამომრჩევლებს შეუძლიათ ერთი “ბარათის” მონიშვნით მიიღონ კონკრეტული სრული პრეფერენციული რიგობითობა.

მცირე მათემატიკური ფანტაზიის არსებობის პირობებში ისიც კი შესაძლებელია, რომ ისეთი საარჩევნო სისტემები შეიქმნას, რომლებიც საშუალებას შეუქმნის ამომრჩეველს, რომ საკუთარი ყველაზე ნაკლებად სასურველი კანდიდატი მიუთითოს, საკუთარი ყველაზე მეტად სასურველი კანდიდატის მითითების გარეშე. ბიულეტენის სხვა სტრუქტურები, რომლებიც კატეგორიულ/რიგობით სქემაში ზუსტად არ ჯდება, მოიცავს “ჯამურ ხმას”, როდესაც ამომრჩეველს ხმების ფიქსირებული რაოდენობა ეძლევა, მაგრამ შეუძლია კონკრეტულ კანდიდატს ერთზე მეტი ხმა მისცეს; და “შეზღუდულ” კენჭისყრას, როდესაც, მრავალი ვაკანსიის სისტემის პირობებში, ამომრჩეველს ხმების ფიქსირებული რაოდენობა ეძლევა, რომელიც ნაკლებია შესავსები ვაკანსიების რაოდენობაზე და მას არ შეუძლია რომელიმე ერთი კანდიდატისთვის ერთზე მეტი ხმის მიცემა.

## ოლქის სიდიდე

ოლქის სიდიდე თითოეული ოლქიდან არჩეულ კანდიდატთა რაოდენობას გულისხმობს. ის შეიძლება მერყეობდეს 1-დან (ამომრჩევლის მიერ ერთი წარმომადგენლის არჩევის სისტემის პირობებში) პარლამენტის მთლიან შემადგემლობამდე (როდესაც არჩევნები ეროვნული მასშტაბით იმართება). არ არის აუცილებელი, რომ ოლქის სიდიდე ერთი და იგივე იყოს ყველა ოლქისთვის: ავსტრალიის სენატში, მაგალითად, თანამეგობრობის შტატების მიმართ კონსტიტუციური გარანტია არსებობს და სრული სენატის არჩევნებზე 12 სენატორს ირჩევენ, ხოლო სენატში წარმოდგენილ ტერიტორიებს მხოლოდ ორი სენატორი ჰყავთ.

## საარჩევნო ფორმულა

საარჩევნო ფორმულა არის ის წესი, რომელიც აღრიცხული ხმების კონკრეტული ერთობლიობის პირობებში გამარჯვებულის ან გამარჯვებულების დასადგენად გამოიყენება. ასეთ წესებს შორის ვარიაციის უზარმაზარი სპექტრი არსებობს და უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ბიულეტენის კონკრეტულ სტრუქტურებს ერთი-ერთზე არ შეესაბამება. მაგალითად, თუ ბიულეტენის სტრუქტურა სრულ პრეფერენციულ კენჭისყრას ითვალისწინებს (ნამდვილია ბიულეტენი, თუ ყველა კანდიდატი სრულად არის რიგობითობით დაალაგებული), გამარჯვებულის დასადგენად შესაძლოა რამდენიმე საკმაოდ განსხვავებული მეთოდი იქნას გამოყენებული, რაშიც შედის:

- ⇒ სტანდარტული ალტერნატიული კენჭისყრის პროცესი, როდესაც კანდიდატები სათითაოდ გამოირიცხებიან და ხდება ხმების გადანაწილება მანამ, სანამ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა ერთ კანდიდატს არ ექნება;
- ⇒ “ბორდას” მეთოდი, ანუ სისტემა, რომელიც ქულების რაოდენობას ემყარება, რომლის შესაბამისადაც, როდესაც, მაგალითად, ოთხი კანდიდატი არსებობს, თითოეული კანდიდატი 4 ქულას იღებს ყოველი პირველი პრეფერენციული ხმისთვის, რომელიც დაფიქსირებული იქნა მის სასარგებლოდ, 3 ქულას – ყოველი მეორე პრეფერენციული ხმისთვის, რომელიც დაფიქსირებული იქნა მის სასარგებლოდ, 2 ქულას - ყოველი მესამე პრეფერენციული ხმისთვის, რომელიც დაფიქსირებული იქნა მის სასარგებლოდ და 1 ქულას - ყოველი მეოთხე პრეფერენციული ხმისთვის, რომელიც დაფიქსირებული იქნა მის სასარგებლოდ, ხოლო არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მთლიანობაში ყველაზე მეტ ქულას მიიღებს; და
- ⇒ “კონდორსეტის” სისტემა, როდესაც არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც, მონიშნული პრეფერენციების საფუძველზე, მოუგებდა ყველა სხვა კანდიდატს პირდაპირი კონკურსის პირობებში.

საარჩევნო ფორმულების კონკრეტული ჯგუფების ფარგლებში, შესაძლებელია მნიშვნელოვანი ვარიაციების არსებობა. მაგალითად, ეროვნული მასშტაბის პროპორციული წარმომადგენლობის სიის სისტემაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს, მისი მუშაობის პროცესში, გადანყვეტილების მიღება იმის თაობაზე, იარსებებს თუ არა ხმათა მინიმალური ბარიერი, რომელიც პარტიამ უნდა გადალახოს იმისთვის, რომ წარმომადგენლობის უფლება მოიპოვოს.

## პარიახიის სხვა ელემენტები

ბიულეტენის სტრუქტურა, ოლქის სიდიდე და საარჩევნო ფორმულა არ წარმოადგენს საარჩევნო სისტემის სახეობის განმსაზღვრელ ერთადერთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომელთა იდენტიფიცირებაც შესაძლებელია. ფიჯის შემთხვევაში, მაგალითად, კიდევ ერთი კრიტიკული მნიშვნელობის მქონე განმასხვავებელი არის ელექტორატის სტრუქტურა. საარჩევნო სისტემა საერთო სიებით, როგორც ეს მსოფლიოს უმეტეს ნაწილში გამოიყენება, შეიძლება დიდად განსხვავდებოდეს იმ სისტემისგან, რომელიც სათემო (კომუნურ) სიებზეა დაფუძნებული, ან იმ სისტემიდან, სადაც ზოგი ღია და ზოგიც სათემო მანდატებია; ასევე ღია და სათემო მანდატების



სინთეზიკ შეიძლება მნიშვნელოვნად ცვალებადი იყოს. აღნიშნული განმასხვავებელი ნიშანი შესაძლოა ასევე ურთიერთდამოკიდებული იყოს ოლქის სიდიდესთან.

კიდევ ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი არის ის მეთოდი, რომლითაც ოლქის საზღვრები დგინდება. ამომრჩეველთა რაოდენობა ოლქში, ისევე როგორც ოლქის საზღვრები, შესაძლოა განსხვავებული იყოს, როგორც კეთილი, ასევე ბოროტი განზრახვით, იმგვარად, რომ მნიშვნელოვანი დადებითი ან უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს არჩევნების შედეგზე.

არსებობს ასევე პოლიტიკური სისტემის ისეთი ასპექტები, რომლებიც შესაძლოა აღქმული იქნას, როგორც “საარჩევნო”, ან უფრო ფართო, “კონსტიტუციური” ხასიათის მქონე, მაგრამ რომელთაც, ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფარული მოსაზრებები გააჩნიათ. აღნიშნულის კარგი მაგალითი არის ის საკითხი, კანდიდატი არჩეულ ცალკეულ პიროვნებად ითვლება თუ პოლიტიკური პარტიის წევრად, რაც პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც შემუშავებულია წესები, რომლებიც პარლამენტის იმ წევრთა სტატუსს აწესრიგებს, ვინც პოლიტიკურ პარტიას დატოვებს და ასევე განსაზღვრულია მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ჩვეულებრივი ვაკანსიები ივსება.


**ვარიაციის მასშტაბი**

როდესაც ლიტერატურაში იდენტიფიცირებულ სისტემებს შორის არსებული ვარიაციების სხვადასხვა განზომილებებს განვიხილავთ, ყველაზე თვალში საცემი არის იმ შესაძლო სისტემების დიაპაზონი, რომლებიც დიზაინის მახასიათებლების შესაძლო სხვადასხვა გადანაცვლებით არის ნაგულისხმევი. საარჩევნო სისტემების პრაქტიკულად ასობით, თუ არა ათასობით სხვადასხვა შესაძლო ვარიანტი არსებობს და თუნდაც მხოლოდ ეს ფაქტი მნიშვნელოვნად ართულებს ისეთი სისტემის შექმნის ამოცანას, რომელიც კონკრეტული ქვეყნის საჭიროებებს დააკმაყოფილებს, როგორც არ უნდა იყოს ისინი განსაზღვრული. ასევე თვალში საცემია, თუ რამდენად მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები მოიტანა იმან, რაც წარსულში საარჩევნო სისტემის უმნიშვნელო ვარიაციებად მიიჩნეოდა.

**ძირითადი საარჩევნო სისტემები**

იდეალური საარჩევნო სისტემა არ არსებობს. ამა თუ იმ სისტემის არჩევა ქვეყანასა და პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაზეა დამოკიდებული. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მიზანი, რომლის მიღწევაც უნდა უზრუნველყოს საარჩევნო სისტემამ. ეს მიზანი სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე მოსახლეობის სამართლიანი წარმომადგენლობის არჩევის უზრუნველყოფაა. სამართლიანად კი ისეთი შედეგია მიჩნეული, როდესაც გამარჯვებულად ის ცხადდება, ვინც მეტი ხმა მიიღო (მაჟორიტარული პრინციპი), ან როდესაც პარტიის მიერ მოპოვებული მანდატების რაოდენობა მიღებული ხმების რაოდენობის პროპორციულია (პროპორციული პრინციპი).

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად, საარჩევნო სისტემები ორ ძირითად ჯგუფად – **მაჟორიტარულ და პროპორციულ საარჩევნო სისტემებად** – იყოფა. მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად მოგვიანებით შერეული საარჩევნო სისტემები გაჩნდა. დროთა განმავლობაში ეს კლასიფიკაცია კიდევ უფრო დაიხვეწა და ამჟამად მსოფლიოში გავრცელებული საარჩევნო სისტემები 4 ოჯახად იყოფა<sup>1</sup>.



1 Electoral System Design: The New International IDEA Handbook. 2005 – International Institute for Democracy and Electoral Assistance;



## პლურალურ-მაჟორიტარული საარჩევნო სისტემები

### რას წარმოადგენს პლურალურ-მაჟორიტარული საარჩევნო სისტემები

პლურალურ-მაჟორიტარული სისტემის პრინციპი მარტივია. ხმის მიცემისა და ხმების ტაბულაციის შემდეგ გამარჯვებულად გამოცხადდება კანდიდატი ან პარტია, რომელიც ხმათა უმრავლესობას დააგროვებს (შესაძლოა დამატებითი პირობებიც იყოს). თუმცა, ამის პრაქტიკულად განხორციელების გზები საკმაოდ განსხვავებულია. გვხვდება პლურალურ-მაჟორიტარული სისტემის ხუთი სახეობა: **უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემა, ბლოკური კენჭისყრა, პარტიის ბლოკური კენჭისყრა, ალტერნატიული კენჭისყრა და ორტურიანი სისტემა.**

### უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემა (FPTP)

უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემა პლურალურ/მაჟორიტარული სისტემის ყველაზე მარტივი ფორმაა, რომელიც ერთმანდატიან ოლქებში და კანდიდატზე ორიენტირებული კენჭისყრის დროს გამოიყენება. ამომრჩეველს წარედგინება კანდიდატების სახელები და ირჩევს მხოლოდ ერთ მათგანს. გამარჯვებულად ის კანდიდატი გამოვლინდება, რომელიც ხმათა უმრავლესობას დააგროვებს. თეორიულად მისი არჩევა ორი ხმითაც შეიძლება, თუ სხვა კანდიდატები მხოლოდ თითო ხმას მიიღებენ.

დღესდღეობით უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემა ძირითადად დიდ ბრიტანეთსა და ისტორიულად ბრიტანეთის ზეგავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში გვხვდება. ასეთი შემთხვევები ყველაზე ხშირია კანადაში, ინდოეთსა და ა.შ.შ-ში. ეს სისტემა ასევე გამოიყენება კარიბის ზღვის აუზის რამდენიმე ქვეყანაში, ამერიკის - 16 ქვეყანაში, აზიის 9 ქვეყანაში, ევროპის 2 ქვეყანაში (დიდი ბრიტანეთი და ბელორუსი), ასევე წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში მდებარე პატარა კუნძულოვან სახელმწიფოებში. აფრიკაში ამ სისტემას 14 ქვეყანა, ძირითადად ყოფილი ბრიტანული კოლონიები იყენებენ. 216 ქვეყნიდან (მათ შორისაა გარდამავალ ეტაპზე მყოფი და პირდაპირი არჩევნების არმქონე ქვეყნები) 21,3% იყენებს უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემას.

**უპირატესობები:** უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემა, ისევე როგორც სხვა პლურალურ/მაჟორიტარული სისტემები ძირითადად სიმარტივით გამოირჩევა და ხასიათდება ტენდენციით გამოავლინოს გამარჯვებულები, რომლებიც წარმოადგენენ განსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალს. ყველაზე ხშირად ნახსენები უპირატესობებია:

- ☞ სისტემა ამომრჩეველს ორ ძირითად პარტიას შორის არჩევანს აძლევს. მესამე და ფრაგმენტირებული პარტიების არახელსაყრელი გარემოებების გამო ბევრ შემთხვევაში პარტიულ სისტემას “მარჯვენა” პარტიის ან “მარცხენა” პარტიისკენ გადახრის, რითაც ძალაუფლების მონაცვლეობა ხდება. მესამე პარტიები ხშირად სუსტდებიან და თითქმის ვერასოდეს აღწევენ პოპულარულ მხარდაჭერას, რომელსაც ეროვნული კენჭისყრის დროს სავარაუდოდ მიაღწევდნენ და მოიპოვებდნენ შედარებით სოლიდურ მანდატებს ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოში.
- ☞ იგი ხელს უწყობს ერთპარტიული მთავრობის ჩამოყალიბებას. ამ სისტემის დროს ხშირია “მანდატების ბონუსი” ყველაზე დიდი პარტიებისთვის (ანუ, როცა ერთი პარტია მოიპოვებს ქვეყანაში ხმების 45%-ს, მაგრამ რეალურად მანდატების 55%-ს). ეს კი ნიშნავს, რომ კოალიციური მთავრობა ნაკლებად გვხვდება. ამგვარ შემთხვევაში უპირატესობას წარმოადგენს ისეთი კაბინეტი, რომელსაც მუდმივად არ სჭირდება უმცირესობის კოალიციურ პარტნიორთან მოლაპარაკებების გამართვა.
- ☞ ეს სისტემა საკანონმდებლო ორგანოში ერთგვაროვან ოპოზიციას წარმოქმნის. თეორიულად, ძლიერი ერთპარტიული მთავრობის მეორე მხარეა ის, რომ ოპოზიციას ასევე საკმაოდ მანდატები უნდა ჰქონდეს, რათა კრიტიკული მაკონტროლებლის როლი შეასრულოს და საკუთარი თავი ერთ მშვენიერ დღეს მთავრობის რეალურ ალტერნატივად წარმოადგინოს.
- ☞ სისტემა უპირატესობას ანიჭებს ფართო წარმომადგენლობის მქონე პოლიტიკურ პარტიებს. დიდი ეთნიკური ან რეგიონული დაყოფის მქონე საზოგადოებაში უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემა პოლიტიკურ პარტიებს უფრო გამსხვილებსკენ მოუწოდებს, სადაც საზოგადოების უფრო დიდი ნაწილი ჩაერთვება, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ ორი დიდი პარტია და ბევრი საზოგადოებრივი ჯგუფი არსებობს. ამ პარტიებს შემდგომ არჩევნებზე კანდიდატების მრავალფეროვანი ჯგუფის წარმოდგენა შეუძლიათ.

- ☞ სისტემა გამორიცხავს ექსტრემისტული პარტიების წარმომადგენლობას საკანონმდებლო ორგანოში. თუ ექსტრემისტულ უმცირესობათა პარტიის საარჩევნო მხარდაჭერა გეოგრაფიულად კონცენტრირებული არ არის, უბრალო უმრავლესობის სისტემის შემთხვევაში იგი თითქმის ვერასოდეს მიიღებს საპარლამენტო მანდატს. (ამისგან განსხვავებით, ერთმანდატიან ოლქში სიითი პროპორციული სისტემის დროს ქვეყნის მასშტაბით მიღებული ხმების 1% საკმარისია საკანონმდებლო ორგანოს მანდატის მისაღებად).
- ☞ სისტემა ხელს უწყობს კავშირს ამომრჩეველსა და მის წარმომადგენელს შორის, ვინაიდან ამ დროს იქმნება გეოგრაფიული არეალების წარმომადგენლებისგან შემდგარი საკანონმდებლო ხელისუფლება. არჩეული წევრები ქალაქების, სოფლებისა თუ რეგიონების კონკრეტულ უბნებს და არამხოლოდ პარტიის ინტერესებს წარმოადგენენ. ზოგიერთი ანალიტიკოსი ამბობს, რომ ეს გეოგრაფიული ანგარიშვალდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგრარულ საზოგადოებასა და განვითარებად ქვეყნებში.
- ☞ სისტემა ამომრჩეველს საშუალებას აძლევს პარტიების გარდა ამოირჩიოს ინდივიდუალურ ადამიანებს შორის. ამომრჩეველს შეუძლია, სიითი პროპორციული სისტემის დროს, პარტიის მიერ შემოთავაზებული კანდიდატების გაზიარების ნაცვლად, ცალკეული კანდიდატების შესრულების დონე შეაფასოს.
- ☞ სისტემა დამოუკიდებელი და პოპულარული კანდიდატების არჩევის შესაძლებლობას იძლევა. ეს შეიძლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყოს ჩამოყალიბების ეტაპზე მყოფი პარტიული სისტემების დროს, სადაც პოლიტიკა ჯერ კიდევ ოჯახის, კლანისა თუ მეგობრული ნიშნით განისაზღვრება და არა ძლიერი პარტიულ-პოლიტიკური მახასიათებლებით.
- ☞ და ბოლოს, უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემა განსაკუთრებით გამოირჩევა გამოყენებისა და აღქმის სიმარტივით. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ბიულეტენზე ბევრი კანდიდატია წარმოდგენილი, საარჩევნო მუშაკებისთვის ხმების დათვლა ადვილია.

**ნაკლოვანი მხარეები:** უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემას ხშირად აკრიტიკებენ რამდენიმე მიზეზის გამო. ესენია:

- ☞ იგი მცირე ზომის პარტიებს გამორიცხავს “სამართლიანი” წარმომადგენლობისგან, ვინაიდან ის პარტია, რომელიც, მაგალითად, ხმების 10% მიიღებს, საკანონმდებლო მანდატების 10% უნდა იღებდეს. 1993 წელს კანადის ფედერალური არჩევნების დროს პროგრესულმა კონსერვატებმა ხმების 16% მიიღეს, მაგრამ მანდატების მხოლოდ 0.7% მოიპოვეს. 1998 წელს ლესოტოში ბასოტოს ეროვნულმა პარტიამ ხმების 24% მიიღო, მაგრამ მანდატების მხოლოდ 1% მოიპოვა. ასეთი შემთხვევები დროდადრო მეორდება უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემის გამოყენების დროს.
- ☞ სისტემა ვერ ახდენს უმცირესობათა პარტიების სამართლიან წარმომადგენლობას. როგორც წესი, უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემის გამოყენებისას პარტიები ყველაზე მისაღებ კანდიდატს წარმოაყენებენ კონკრეტულ ოლქში, რათა მან ამომრჩეველთა უმეტესობა მოიყვას. შესაბამისად, ძალიან იშვიათია, მაგალითად, ბრიტანეთსა და ამერიკაში შავკანიანი კანდიდატის ნომინაცია ისეთ ოლქში, სადაც უმრავლესობას თეთრკანიანი მოსახლეობა წარმოადგენს. ასევე დამტკიცებულია, რომ მსოფლიოს მასშტაბით უბრალო უმრავლესობის სისტემის გამოყენებით ეთნიკური და რასობრივი უმცირესობები გაცილებით ნაკლებად არიან წარმოდგენილები საკანონმდებლო ორგანოში. შესაბამისად, თუ ამომრჩეველთა ქცევა ეთნიკურ დაყოფას ეფუძნება, მაშინ ეთნიკური უმცირესობების გამორიცხვა წარმომადგენლობიდან შეიძლება დესტაბილიზაციის მომტანი იყოს ზოგადად პოლიტიკური სისტემისთვის.
- ☞ სისტემა საკანონმდებლო ხელისუფლებაში ქალების მონაწილეობასაც გამორიცხავს. “ყველაზე ფართოდ მისაღები კანდიდატის” სინდრომი ასევე ზეგავლენას ახდენს ქალების შესაძლებლობაზე იყვნენ არჩეულები საკანონმდებლო ორგანოში, ვინაიდან მამაკაცების მიერ დომინირებული პარტიები ქალებს კანდიდატებად ნაკლებად ირჩევენ. სხვადასხვა ქვეყნების მაგალითები აჩვენებს, რომ ქალების საკანონმდებლო ხელისუფლებაში არჩევა გაცილებით ნაკლებად ხდება პლურალურ/მაჟორიტარული სისტემების ფარგლებში, ვიდრე სიითი პროპორციული წარმომადგენლობის დროს. პარლამენტებში ქალების მონაწილეობის შემსწავლელი საერთაშორისო კვლევის მეშვეობით დადგინდა, რომ 2004 წლის ივნისის მდგომარეობით საკანონმდებლო ორგანოების ქვედა პალატის 15.6% ქალები

შეადგენდნენ. 2004 წლის მდგომარეობით კარგად ჩამოყალიბებული დემოკრატიის მქონე ქვეყნების შედარების დროს აღმოჩნდა, რომ უბრალო უმრავლესობის სისტემით არჩეული ქალების რაოდენობა 14.4% შეადგენდა, მაგრამ ეს ციფრი თითქმის ორმაგი – 27.6% იყო სიითი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემით არჩეული ქალების შემთხვევაში. ეს ტენდენცია ახალი დემოკრატიის მქონე ქვეყნებშიც გვხვდება, განსაკუთრებით ყაფრიკაში.

ამ სისტემამ შეიძლება ხელი შეუწყოს პოლიტიკური პარტიების კლანური, ეთნიკური თუ რეგიონული ნიშნით ჩამოყალიბებას; პოლიტიკურმა პარტიებმა საკუთარი საარჩევნო კამპანია და პლატფორმა შეიძლება ააწყონ ისეთ კონცეფციებზე დაყრდნობით, რაც მიმზიდველია მათ ოლქსა თუ რეგიონში მაცხოვრებელი ადამიანების უმრავლესობისთვის, მაგრამ უგულვებელყოფდეს ან თუნდაც შეურაცხმყოფელი იყოს სხვებისთვის. ეს არსებული პრობლემაა ისეთ აფრიკულ ქვეყნებში, როგორცაა მალავი და კენია, სადაც დიდი კომუნალური ჯგუფები რეგიონებშია კონცენტრირებული. ამგვარად, ქვეყანა გეოგრაფიულად დანაწევრებულ ძლიერ პარტიებადაა დაყოფილი და ამ პარტიებს მათი რეგიონისა და კულტურულ-პოლიტიკური ბაზის გარეთ მოქმედების ინტერესს უკარგავს.

ეს სისტემა კიდევ უფრო ამძაფრებს “რეგიონული ციხესიმაგრის” ცნებას, სადაც ერთ რაიონსა თუ ტერიტორიულ ერთეულში ყველა მანდატს ერთი პარტია იღებს. თუ პარტია ქვეყნის კონკრეტულ ნაწილში ძლიერი მხარდაჭერით სარგებლობს და უმრავლესობის ხმებს მიიღებს, იგი ამ ტერიტორიისთვის გამოყოფილ ყველა ან თითქმის ყველა მანდატს მოიპოვებს. ეს გამორიცხავს ამ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლობას და ამძაფრებს მოსაზრებას, რომ პოლიტიკა განისაზღვრება კუთვნილებისა და საცხოვრებელი ნიშნით და არა იმით, რისი გჯერა. უბრალო უმრავლესობის სისტემის საწინააღმდეგო ეს არგუმენტი უკვე დიდი ხანია ისმის კანადაში.

სისტემის გამოყენების დროს დიდი რაოდენობის ხმები იკარგება, რომელიც კანდიდატის არჩევას არ ხმარდება. ეს შეიძლება განსაკუთრებით საშიში იყოს «რეგიონული ციხესიმაგრის» უარყოფით მომენტთან კომბინაციის დროს, ვინაიდან უმცირესობათა პარტიის მხარდამჭერებმა შესაძლოა იმედი დაკარგონ, რომ ოდესმე შეძლებენ მათთვის სასურველი კანდიდატის არჩევას.

სისტემა ხმების გაყოფის საშიშროებასაც ქმნის. იმ შემთხვევაში, როცა უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემის ფარგლებში ორი მსგავსი პარტია ან კანდიდატი იყრის კენჭს, პოტენციური ამომრჩევლის ხმები ხშირად იყოფა და შედეგად სხვა (უფრო ნაკლებად პოპულარული) პარტია ან კანდიდატი იღებს მანდატს. ამ თვალსაზრისით ძალიან კარგი მაგალითია პაპუა ახალი გვინეის შემთხვევა.

სისტემამ შესაძლოა ვერ ასახოს საზოგადოებრივი აზრის ცვლილება. გეოგრაფიულად კონცენტრირებული ამომრჩევლების შემთხვევაში ერთ პარტიას შეუძლია ექსკლუზიური კონტროლი ჰქონდეს პოპულარული მხარდაჭერის დაცემის დროსაც. ზოგიერთ დემოკრატიულ ქვეყანაში პარტიის პოპულარული ხმების წილის 60%-დან 40%-მდე დაცემამ შესაძლოა მანდატების 80%-დან 60%-მდე დაცემა გამოიწვიოს, რაც ზეგავლენას ვერ ახდენს მის მთლიან დომინანტურ პოზიციაზე. თუ ბევრი მანდატი კონკურენტული არ არის, სისტემა საზოგადოებრივი აზრის ცვლილების მიმართ მგრძობიარე არ არის.

და ბოლოს, უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემა დამოკიდებულია საარჩევნო საზღვრებზე. საარჩევნო საზღვრებს პოლიტიკური შედეგები გააჩნია: არ არსებობს ტექნიკური პროცესი, რომელიც ერთ “სწორ პასუხს” წარმოშობს პოლიტიკური ან სხვა მოსაზრებების გარეშე. საზღვრების დელიმიტაციას შესაძლოა საკმაოდ დრო და რესურსები დასჭირდეს, რათა შედეგები კანონიერად იქნას მიჩნეული. ასევე შესაძლოა გარკვეული ზეწოლა არსებობდეს საზღვრების მანიპულირებისთვის საარჩევნო ოლქების არათანაბრად/ტენდენციურად და არაპროპორციულად დაყოფით. ეს განსაკუთრებით ნათელი იყო კენიის 1993 არჩევნების დროს, როცა საარჩევნო ოლქების ზომებს შორის მკვეთრი განსხვავება იყო – ყველაზე დიდ ოლქს 23-ჯერ უფრო მეტი ამომრჩეველი ჰყავდა, ვიდრე ყველაზე პატარას, რომლის შედეგად კენიის აფრიკის ეროვნული ერთიანობის პარტიამ საკანონმდებლო ხელისუფლების მანდატების უმრავლესობა მიიღო პოპულარული ხმების მხოლოდ 30%-ის სანაცვლოდ.



## ბლოკური კენჭისყრა (BV)

ბლოკური კენჭისყრა მაჟორიტარული სისტემაა, რომელიც გამოიყენება მრავალმანდატიან ოლქებში. ამომრჩეველს იმდენი ხმა აქვს, რამდენი მანდატიცაა გამოყოფილი მათ ოლქზე. ბლოკური კენჭისყრის სისტემაში შესაძლებელია ხმების მაქსიმუმისა და მინიმუმის გამოყენება.

ბლოკური კენჭისყრა ხშირია ქვეყნებში, სადაც სუსტია ან საერთოდ არ არსებობს პოლიტიკური პარტიები. დღეისმდგომარეობით აღნიშნულ სისტემას იყენებენ კამბოჯის კუნძულებზე, ფოლკლენდის კუნძულებზე, გერნსიში, ლაოსში, ლებანონში, მავრიკზე, სირიის არაბულ რესპუბლიკაში და ტუვალუში. აგრეთვე ბლოკური კენჭისყრა 7 ქვეყანაში გამოიყენება უბრალო უმრავლესობის მაჟორიტარულ სისტემასთან კომბინაციაში. სისტემა იორდანიაშიც იქნა გამოყენებული 1989 წელს, მონღოლეთში 1992 წელს და ფილიპინებსა და ტაილანდში 1997 წლამდე, მაგრამ შეიცვალა შედეგების გამო წარმოქმნილი დაძაბულობის საფუძველზე.

**უპირატესობები:** ბლოკური კენჭისყრა ხშირად სასარგებლოა, ვინაიდან ამომრჩეველს ცალკეული კანდიდატებისთვის ხმის მიცემის უფლებას ანიჭებს და საკმაო ზომის მქონე გეოგრაფიულ არეალში გამოიყენება. იგი უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემასთან შედარებით ზრდის პარტიების როლს და აძლიერებს იმ პარტიებს, რომლებსაც ყველაზე თანმიმდევრული საორგანიზაციო შესაძლებლობები გააჩნიათ.

**ნაკლოვანი მხარეები:** თუმცა, ბლოკური კენჭისყრას ხშირად არაპროგნოზირებადი და არასასურველი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია არჩევნების შედეგებზე. მაგალითად, როცა ამომრჩევლები ერთი და იმავე პარტიის კანდიდატებს აძლევდნენ ხმას, სისტემა გაცილებით უფრო მეტ უარყოფით შედეგს წარმოშობს, ვიდრე უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემის დროს ხდება, განსაკუთრებით კი არაპროპორციულობის თვალსაზრისით. როცა ბლოკური კენჭისყრის დროს პარტიები კანდიდატს წამოაყენებენ ყოველი ვაკანსიისთვის და ამომრჩეველს უბიძგებენ მხარი დაუჭირონ მათი სიის ყველა წევრს, ასეც შეიძლება მოხდეს. მაგალითად, 1982 და 1995 წლებში მავრიტანიაში ოპოზიციურმა პარტიამ ყველა საკანონმდებლო მანდატი მიიღო ხმების მხოლოდ 64 და 65 პროცენტებით (შესაბამისად). ამან დიდი სირთულე შეუქმნა საპარლამენტო სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებას.

ტაილანდში ბლოკური კენჭისყრა პარტიული სისტემის ფრაგმენტაციის ხელისშემწყობ ფაქტორად იქნა მიჩნეული. იმის გამო, რომ იგი ამომრჩეველს იმავე ოლქში ერთზე მეტი პარტიის კანდიდატისთვის ხმის მიცემის საშუალებას აძლევს, ერთი და იმავე პარტიის წარმომადგენლები შესაძლოა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ამომრჩევლის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. აქედან გამომდინარე, ბლოკური კენჭისყრა ხშირად პარტიის შიდა დაყოფისა და კორუფციის ხელისშემწყობ ფაქტორად მოიაზრება.

გასულ წლებში რამდენიმე ქვეყანამ უარი თქვა ბლოკური კენჭისყრის გამოყენებაზე და სხვა სისტემაზე გადავიდა. ტაილანდსა და ფილიპინებში ბლოკური სისტემა 1990-იანი წლების ბოლოს შერეული სისტემით შეიცვალა. ორივე შემთხვევაში ცვლილების საჭიროება ხმების მოსყიდვისა და პოლიტიკური პარტიების განვითარების გაძლიერებით იყო დასაბუთებული.

## პარტიული ბლოკური კენჭისყრა (PBV)

პარტიული ბლოკური კენჭისყრის დროს, უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემისგან განსხვავებით მრავალმანდატიანი ოლქები გვხვდება. თითო ამომრჩეველს თითო ხმა აქვს და არჩევანს აკეთებს კანდიდატების პარტიული სიებიდან და არა ცალკეულ პირებს შორის. პარტია, რომელიც ხმების უმეტესობას დააგროვებს, მიიღებს ოლქზე გამოყოფილ ყველა მანდატს და შესაბამისად ხდება მისი კანდიდატების სიის არჩევა. 2017 წლის მდგომარეობით კოტ დ'ივუარი; სინგაპური; კამერუნი და ჩადი პარტიულ ბლოკურ კენჭისყრას იყენებს უბრალო უმრავლესობის სისტემასთან კომბინაციაში, ხოლო ანდორა და სენეგალი პარტიულ ბლოკურ კენჭისყრას იყენებს მათი პარალელური სისტემის პლურალურ/მაჟორიტარული ნაწილისთვის.

**უპირატესობები:** პარტიული ბლოკური კენჭისყრა ადვილად გამოსაყენებელი მექანიზმია. იგი ძლიერ პარტიებს ხელს უწყობს და საშუალებას აძლევს წარმომადგენელთა კანდიდატების შერეული სია, რათა უზრუნველყოფილ იქნას უმცირესობების წარმომადგენლობა. იგი ასევე გამოიყენება ბალანსირებული ეთნიკური წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან მხარეებს არჩევნებისთვის ეთნიკურად მრავალფეროვანი სია შეუძლიათ წარადგინონ და ხშირ შემთხვევაში ასეთი მოთხოვნაც კი აქვთ: ჭიბუტში კანდიდატთა სიაში უნდა იყოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი კანდიდატი; სინგაპურში, კანდიდატთა სიაში სულ მცირე ერთი წევრი უნდა იყოს მალაი, ინდოელი ან სხვა უმცირესობის წარმომადგენელი (სინგაპური ოპოზიციური პარტიების კანდიდატებისთვის იყენებს “საუკეთესო წაგებულის” მანდატებს).

**ნაკლოვანი მხარეები:** პარტიული ბლოკური კენჭისყრის სისტემას უბრალო უმრავლესობის კენჭისყრის სისტემის ნაკლოვანი მხარეების უმეტესობა ახასიათებს და შეუძლია არაპროპორციული შედეგები გამოიწვიოს, როცა ერთი პარტია მანდატების თითქმის უმრავლესობას მოპოვებს ხმების უბრალო უმრავლესობის წყალობით. ჯიბუტის 1997 წლის არჩევნების დროს საპრეზიდენტო უმრავლესობის კავშირის მმართველმა კოალიციამ ყველა მანდატი მოიპოვა და ორი ოპოზიციური პარტია საკანონმდებლო ორგანოში წარმომადგენლის გარეშე დატოვა.

### **ალტერნატიული კენჭისყრა (AV)**

ალტერნატიული კენჭისყრა (ცნობილია როგორც “სტანდარტული პრეფერენციული სისტემა ავსტრალიაში”) შედარებით უჩვეულო საარჩევნო სისტემაა, რომელიც დღესდღეობით მხოლოდ ავსტრალიაში გამოიყენება, ხოლო მოდიფიცირებული ფორმით ნაურუშიც არსებობს. ამ ბოლო პერიოდში ეს სისტემა არ აღიარეს როგორც გაერთიანებულ სამეფოში არსებული უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემის საუკეთესო ალტერნატივა.

უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემით (FPTP) გამართული არჩევნების მსგავსად, ალტერნატიული კენჭისყრით გამართული არჩევნები, ჩვეულებისამებრ, ერთმანდატიან ოლქებში იმართება. თუმცა, ალტერნატიული კენჭისყრა ამომრჩევლებს გაცილებით მეტ ვარიანტს სთავაზობს ბიულეტენის შევსებისას, ვიდრე უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემა. თავიანთი სასურველი კანდიდატის უბრალოდ მითითების მსგავსად, ალტერნატიული კენჭისყრის დროს ამომრჩევლები კანდიდატების რანჟირებას ახდენენ თავიანთი არჩევანის რიგის მიხედვით, სადაც “1”-ით აღნიშნავენ სასურველ კანდიდატს, “2”-ით აღინიშნება მეორე პრეფერენცია, “3”-ით მესამე სასურველი არჩევანი და ა.შ. ამგვარად, სისტემა ამომრჩევლებს შესაძლებლობას უქმნის, რომ არა მარტო პირველი სასურველი არჩევანი გააკეთონ, არამედ რამდენიმე პრეფერენციული კანდიდატი გამოავლინონ. ამ მიზნით, ამას ხშირად პრეფერენციულ კენჭისყრას (Preferential Voting) უწოდებენ იმ ქვეყნებში, სადაც აღნიშნული სისტემა არსებობს.

ამას გარდა, ალტერნატიული კენჭისყრა ხმების დათვლის მეთოდითაც განსხვავდება უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემისგან. უბრალო უმრავლესობის სისტემის ან ორტურიანი სისტემის მსგავსად, დაუყოვნებლივ მოხდება იმ კანდიდატის არჩევა, რომელმაც ხმების უბრალო უმრავლესობა მოიპოვა (50%+1). თუმცა, თუ ხმათა უმრავლესობა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა, ალტერნატიული კენჭისყრის სისტემის მიხედვით დათვლიდან “გამოირიცხება” ის კანდიდატი, რომელმაც ყველაზე ცოტა ამომრჩეველმა დაასახელა სასურველთა შორის პირველ კანდიდატად, ხოლო მათი ბიულეტენი განიხილება მეორე სასურველი კანდიდატის გამოვლენის მიზნით. ესენი შემდეგ გამოიყენება დანარჩენი კანდიდატებისთვის იმ რიგობითი ნომრის მიხედვით, რაც ბიულეტენზეა აღნიშნული. ეს პროცესი მანამდე მეორდება, ვიდრე ერთი კანდიდატი აბსოლუტურ უმრავლესობას არ მოიპოვებს და შემდეგ ის შესაბამისად არჩეულ კანდიდატად გამოცხადდება. ამ მიზნით, ალტერნატიული კენჭისყრა, როგორც წესი, კლასიფიცირებულია როგორც მაჟორიტარული სისტემა, რამდენადაც კანდიდატს აბსოლუტური უმრავლესობა სჭირდება, და არა როგორც უბრალოდ პლურალური სისტემა, რაც მანდატის მოსაპოვებლად მიცემული ყველა ხმის უბრალო უმრავლესობას გულისხმობს.

ალტერნატიული კენჭისყრა გამოიყენება ავსტრალიასა და პაპუა ახალ გვინეაში (1964 წლიდან) ალტერნატიული კენჭისყრის ქვეყნის მასშტაბით გამოყენების მაგალითები ძირითადად სულ წყნარი ოკეანის სახელმწიფოებში გვხვდება. თუმცა, ალტერნატიული კენჭისყრის სისტემის ნაირსახეობას ევროპისა და ჩრდილო ამერიკის რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიული დანაყოფი იყენებს, ისევე როგორც ირლანდიის რესპუბლიკა საპრეზიდენტო არჩევნების დროს.

უპირატესობები: ბიულეტენების გადაცემის ერთი უპირატესობაა ის, რომ იგი რამდენიმე კანდიდატის ხმების დაგროვების საშუალებას იძლევა ისე, რომ განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული ინტერესები ერთმანეთს დაუკავშირდეს წარმომადგენლობის მიღების თვალსაზრისით. ალტერნატიული კენჭისყრა ასევე საშუალებას აძლევს ისეთი კანდიდატების მხარდამჭერებს, რომლებსაც მცირე იმედი აქვთ გავლენიანი არჩევნებისა, მათი მეორე და შემდეგი პრეფერენციით აირჩიონ მაჟორიტარი კანდიდატი. ამ მიზნით ხანდახან ამტკიცებენ, რომ ალტერნატიული კენჭისყრა საუკეთესო სისტემაა ცენტრისტული პოლიტიკის ხელშეწყობისთვის, ვინაიდან იგი კანდიდატებს არამხოლოდ საკუთარი მხარდამჭერების ხმების მიღებისკენ უბიძგებს, არამედ სხვების “მეორე უპირატესობის” მისანიჭებლადაც. ამ პრეფერენციების მისაღებად კანდიდატებმა უფრო ფართო მიმართვა უნდა განახორციელოს ვინაირ საკითხების მაგივრად.

ავსტრალიაში ალტერნატიული კენჭისყრის გამოცდილება ამ არგუმენტებს ამყარებს: დიდი პარტიები, მაგალითად, არჩევნებამდე ძირითადად ცდილობენ მოელაპარაკონ პატარა პარტიებს, რათა მათი მხარდამჭერების მეორე პრეფერენცია მოიპოვონ – ამ პროცესს პრეფერენციების გაცვლა ეწოდება. უფრო მეტიც, უმრავლესობის მხარდამჭერის მოთხოვნის გამო ალტერნატიული კენჭისყრა ზრდის არჩეული წევრებისადმი დადებით დამოკიდებულებას და შესაბამისად ზრდის მათ მიმართ კანონიერების შეგრძნებას.

პაპუა ახალი გვინეისა და ავსტრალიის გამოცდილებიდან გამომდინარე ალტერნატიული კენჭისყრის დროს მნიშვნელოვნად იზრდება შეთავსებითი და ერთობლივი პოლიტიკის განხორციელების სურვილი. ბოლო წლების განმავლობაში ალტერნატიული კენჭისყრა, ან მისი ვარიანტი – დამატებითი კენჭისყრა საპრეზიდენტო არჩევნებზე იქნა გამოყენებული ბოსნიაში, ლონდონსა და სან ფრანცისკოში.

**ნაკლოვანი მხარეები:** მიუხედავად ზემოთქმულისა, ალტერნატიულ კენჭისყრას თავისი ნაკლოვანი მხარეებიც გააჩნია. უპირველეს ყოვლისა, იგი წერა-კითხვისა და ანგარიშის გარკვეულ ცოდნასა და გამოყენების უნარს მოითხოვს და იმის გამო, რომ იგი ერთმანდატიან ოლქებში გამოიყენება, ხშირად არაპროპორციულ შედეგებს წარმოშობს სხვა პროპორციული წარმომადგენლობის სისტემების, ან ზოგ შემთხვევაში, უბრალო უმრავლესობის სისტემის შემთხვევაში. ასევე, ალტერნატიული კენჭისყრის პოტენციური ცენტრისტული შედეგების ხელშეწყობისთვის დამოკიდებულია სოციალურ და დემოგრაფიულ პირობებზე: მიუხედავად იმისა, რომ პაპუა ახალ გვინეაში წარმატებულად მოახდინა ინტერ-ეთნიკური ინტერესების გათვალისწინება 1960-70-იან წლებში და ახლა თავიდან იქნა შემოღებული, მას მკაცრად აკრიტიკებდა მეზობელი ფიჯი, სადაც ეს სისტემა 1997 წელს იქნა გამოყენებული. ავსტრალიის სენატში ამ სისტემის 1919-1946 წლებში გამოყენების შემდეგ დისკუსიებში აღნიშნულია რომ ალტერნატიული კენჭისყრა კარგად არ მუშაობს, თუ მისი გამოყენება უფრო დიდ, მრავალმანდატიან ოლქებში ხდება.

**იხილეთ მაგალითი**

ამ მაგალითში ნაჩვენებია, თუ როგორ მუშაობს პრეფერენციული კენჭისყრა. წარმოდგინეთ არჩევნები, სადაც 100 ამომრჩეველი იყო და ოთხი კანდიდატი მონაწილეობდა: მწვანე, ყავისფერი, ლურჯი და ყვითელი. საარჩევნო კომისიის წევრებმა ბიულეტენში მითითებული პირველი პრეფერენციები დათვალეს (ნომერ პირველი ხმა) და თითოეული კანდიდატისთვის ცალკე დასტა დააღაგეს. შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

დათვლა	მწვანე	ყავისფერი	ლურჯი	ყვითელი	სულ
<b>პირველი დათვლა</b>	15	35	30	20	<b>100</b>

ეს რომ უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემით (FPTP) გამართული არჩევნები ყოფილიყო, გამარჯვებული ყავისფერი გამოვიდოდა, რადგანაც მან ყველა კანდიდატზე მეტი ხმა მოიპოვა. თუმცა, პრეფერენციული კენჭისყრის მიხედვით, ამ ეტაპზე ვერავინ ვერ მოიგო, რადგან კანდიდატს გამარჯვებისთვის ხმების სულ მცირე, 50 პროცენტს პლუს ერთი ხმა სჭირდება (50 + 1 = 51).

შემდეგ ეტაპზე ის კანდიდატი უნდა გამორიცხულიყო, ვისაც ყველაზე ცოტა პირველი პრეფერენციის ხმები გააჩნდა (მწვანე, 15 ხმით) და მისი ბიულეტენები სხვა კანდიდატებზე უნდა გადანაწილდებოდა ყველა მწვანე კანდიდატის ბიულეტენში მითითებული მეორე პრეფერენციის შესაბამისად (ნომერი 2).

ხუთმა ამომრჩეველმა თავიანთი ბიულეტენები შემდეგნაირად შეავსო:      ხუთმა ამომრჩეველმა თავიანთი ბიულეტენები შემდეგნაირად შეავსო:      ხუთმა ამომრჩეველმა თავიანთი ბიულეტენები შემდეგნაირად შეავსო:

① მწვანე
② ყავისფერი
④ ლურჯი
③ ყვითელი

① მწვანე
④ ყავისფერი
② ლურჯი
③ ყვითელი

① მწვანე
④ ყავისფერი
③ ლურჯი
② ყვითელი

ქვემოთ მოცემული ცხრილის მეშვეობით შეიძლება პრეფერენციების განაწილება გავიგოთ.

დათვლა	მწვანე	ყავისფერი	ლურჯი	ყვითელი	სულ
<b>პირველი დათვლა</b>	15	35	30	20	<b>100</b>
<b>მწვანეს პრეფერენციების განაწილება</b>	-	5	5	5	<b>15</b>
<b>შედეგები პირველი განაწილების შემდეგ</b>	-	40	35	25	<b>100</b>



შედეგი აჩვენებს, რომ ჯერჯერობით უმრავლესობას ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიაღწია. ახლა ყვითელს ხმების ყველაზე ნაკლები რაოდენობა აქვს. ყვითელი ახლა უნდა გამოირიცხოს, ხოლო მისი ხმები კი დანარჩენ ორ კანდიდატზე უნდა განაწილდეს ბიულეტენში მითითებული პრეფერენციების მიხედვით. ყველა მათგანი არ ყოფილა დასახელებული რიგით მეორე სასურველ კანდიდატად. ხმები უნდა გადასცემოდა იმ კანდიდატს, რომელიც ჯერ კიდევ მონაწილეობდა დათვლაში, შესაბამისად, თუ ბიულეტენზე მეორე სასურველ კანდიდატად უკვე გამოირიცხული კანდიდატი იყო მონიშნული, მაშინ მესამე პრეფერენცია დაითვლებოდა.

ათმა ამომრჩეველმა თავიანთი ბიულეტენები შემდეგნაირად შეავსო: ხუთმა ამომრჩეველმა თავიანთი ბიულეტენები შემდეგნაირად შეავსო: ხუთმა ამომრჩეველმა თავიანთი ბიულეტენები შემდეგნაირად შეავსო:

④ მწვანე
③ ყავისფერი
② ლურჯი
① ყვითელი

④ მწვანე
② ყავისფერი
③ ლურჯი
① ყვითელი

① მწვანე
④ ყავისფერი
③ ლურჯი
② ყვითელი

ქვემოთ მოცემული ცხრილის გამოყენებით, შეიძლება განვიხილოთ სასურველი კანდიდატების განაწილება.

დათვლა	მწვანე	ყავისფერი	ლურჯი	ყვითელი	სულ
პირველი დათვლა	15	35	30	20	100
მწვანეების სასურველი არჩევანის განაწილება	-	5	5	5	15
შედეგები პირველი განაწილების შემდეგ	-	40	35	25	100
ყვითლების სასურველი არჩევანის განაწილება	-	5	20	-	25
საბოლოო დათვლა	-	45	55	-	100

შედეგი აჩვენებს, რომ ლურჯმა გაიმარჯვა იმის მიუხედავად, რომ მას თავიდან უფრო ნაკლები პირველი პრეფერენციის ხმა ჰქონდა, ვიდრე ყავისფერს.

### ორტურიანი სისტემა (TRS)

ორტურიანი სისტემის მთავარი მახასიათებელი მისი სახელიდან გამომდინარეობს: ეს ერთი არჩევნები კი არა, ორ ტურად ჩატარებული პროცესია, რომელიც ერთი ან ორკვირიანი შუალედით წარიმართება. პირველი ტური ისევე ტარდება, როგორც ერთტურიანი პლურალურ/მაჟორიტარული არჩევნები. ორტურიანი არჩევნების ყველაზე გავრცელებული ფორმის დროს მისი ჩატარება უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემის გამოყენებით ხდება. თუმცა, ორტურიანი არჩევნების ჩატარება ასევე შესაძლებელია მრავალმანდატიან ოლქში ბლოკური კენჭისყრის (როგორც ხდება კირიბათში) ან პარტიული ბლოკური კენჭისყრის (როგორც ხდება მალის შემთხვევაში) გამოყენებით. კანდიდატი ან პარტია, რომელიც ხმების კონკრეტულ პროპორციას მიიღებს, იმთავითვე იქნება არჩეული მეორე კენჭისყრის გარეშე. ეს პროპორცია ჩვეულებრივ ნამდვილი ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას (50% +1) წარმოადგენს, თუმცა ზოგიერთი ქვეყანა სხვა მაჩვენებელს იყენებს ორტურიანი არჩევნების წესით პრეზიდენტის არჩევის დროს. თუ ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას ვერც ერთი კანდიდატი ან პარტია მიიღებს, მაშინ არჩევნების მეორე ტური ტარდება და არჩეულად ამ ტურის გამარჯვებული დასახელდება. მეორე ტური მთელს მსოფლიოში გამოიყენება პრეზიდენტების, სუბნაციონალური (მაგალითად, გუბერნატორები, მერები), ნაციონალური და სუბნაციონალური საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლების არჩევნებისას.

მეორე ტურის გამართვის დეტალები პრაქტიკაში სხვადასხვაგვარია და განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელიც უკრაინაში გამოიყენება, ეხება კენჭისყრის მეორე ტურს, რომელიც პირდაპირი კონკურსი არის იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც პირველ ტურში ყველაზე ბევრი ხმა მიიღეს; ამას უმრავლესობის ტურის სისტემა (majority-runoff system) ჰქვია. აღნიშნული სისტემის შედეგი ჭეშმარიტად მაჟორიტარულია იმგვარად, რომ ერთ-ერთი კანდიდატი აუცილებლად მოიპოვებს ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას და გამარჯვებულად გამოცხადდება. აღნიშნული პროცედურის ვარიანტი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების დროს გამოიყენება საფრანგეთში, ეს ქვეყანა ყველაზე ხშირად არის ხოლმე ასოცირებული ორტურიან სისტემასთან. ამ არჩევნებისთვის, ნებისმიერი კანდიდატი, რომელმაც რეგისტრირებული ამომრჩევლების 12.5% პროცენტზე მეტი მიიღო პირველ ტურში, შეუძლიათ მეორე ტურშიც მიიღონ მონაწილეობა. ვინც ხმების უმრავლესობას მიიღებს მეორე ტურში, შემდეგ არჩეულად გამოცხადდება იმის მიუხედავად, აბსოლუტური უმრავლესობით გაიმარჯვეს თუ არა. პირდაპირი უმრავლესობის მეორე ტურისგან (straight majority-runoff), სისტემა ჭეშმარიტად მაჟორიტარული არ არის, რადგანაც არჩევნების ამ მეორე ტურში შეიძლება ხუთიდან ექვს კანდიდატამდე მონაწილეობდეს.



ორტურნიანი სისტემა 19 ეროვნული საკანონმდებლო ხელისუფლების ასარჩევად გამოიყენება და მსოფლიოში ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდია საპრეზიდენტო არჩევნების დროს. საფრანგეთთან ერთად ბევრი სხვა ქვეყანა, რომელიც ორტურნიანი სისტემას იყენებს, საფრანგეთზე დამოკიდებულ ან მისი ზეგავლენის ქვეშ მყოფ სახელმწიფოებს წარმოადგენს. საკანონმდებლო ხელისუფლების არჩევისთვის ორტურნიანი სისტემას იყენებს კუბა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, კონგო (ბრაზავილი), გაბონი, მალი, მავრიტანია და ტოგო საჰარის ქვემო ფრანგულენოვან აფრიკაში, ბაჰრეინი, ეგვიპტე, კომოროს კუნძულები, მონსერატი; ჰაიტი, კორეის დემ. სახალხო რესპუბლიკა, ირანი, კირიბატი და ვიეტნამი, ასევე ზოგიერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა (თურქმენეთი და უზბეკეთი). რამდენიმე ისეთი ქვეყანა, როგორცაა ყაზახეთი, ტაჯიკეთი, და მათ შორის საქართველო ორტურნიანი სისტემას შერეული საარჩევნო სისტემის ნაწილად იყენებენ ოლქის წარმომადგენლების არჩევის დროს.

### უპირატესობები:

- ☞ უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ორტურნიანი საარჩევნო სისტემა ამომრჩეველს მისი კანდიდატისთვის ხმის მეორედ მიცემის, ან პირველ და მეორე ტურებს შორის აზრის შეცვლის საშუალებას აძლევს. ამგვარად ეს სისტემა ალტერნატიული კენჭისყრის პრეფერენციულ მახასიათებლებს იზიარებს, სადაც ამომრჩეველს კანდიდატების პრიორიტეტების მიხედვით დალაგება ეთხოვებათ და ამავდროულად მეორე ტურში მათი სურვილისამებრ სრულიად ახალი არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევს.
- ☞ ორტურნიანი საარჩევნო სისტემა განსხვავებული ინტერესების პირველ ტურში წარმატებული კანდიდატის ირგვლივ გაერთიანების საშუალებას იძლევა, რასაც კენჭისყრის მეორე ტურამდე მივყავართ და ამგვარად პარტიებსა და კანდიდატებს შორის მოლაპარაკებებსა და შეთანხმებებს უწყობს ხელს. იგი პარტიებსა და ამომრჩეველს ასევე აძლევს საშუალებას რეაგირება მოახდინონ პოლიტიკური გარემოს ცვლილებაზე, რომელიც კენჭისყრის პირველ და მეორე ტურებს შორის მოხდა.
- ☞ ორტურნიანი საარჩევნო სისტემა ამცირებს ხმების გახლეჩვასთან დაკავშირებულ პრობლემებს, რომელიც ბევრ პლურალურ/მაჟორიტარულ სისტემას ახასიათებს და ორი მსგავსი პარტია თუ კანდიდატი გაერთიანებულ ხმებს იყოფენ და შესაბამისად უფრო ნაკლებად პოპულარული კანდიდატი მოიპოვებს მანდატს. ასევე, იმის გამო, რომ ამომრჩეველს კანდიდატების პრიორიტეტების მიხედვით დალაგება არ ესაჭიროება მეორე არჩევანის გამოხატვის მიზნით, ორტურნიანი არჩევნები შესაძლოა პრეფერენციულ დანომვრაზე (უფრო მეტად მიზანშეწონილი იყოს ისეთი ქვეყნებისთვის, სადაც წერა-კითხვის არცოდნის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

### ნაკლოვანი მხარეები:

- ☞ ორტურნიანი საარჩევნო სისტემა საკმაოდ დიდ ზენოლას ახდენს საარჩევნო ადმინისტრაციებზე, ვინაიდან მეორე არჩევნების ჩატარება პირველი ტურიდან საკმაოდ მალე უნდა მოხდეს და ამგვარად მნიშვნელოვნად იზრდება როგორც საარჩევნო პროცესის ხარჯები, ასევე დროის დაჩქარება არჩევნების ჩატარებისა და შედეგების გამოცხადებას შორის. ამას შესაძლოა არასტაბილურობა და გაურკვევლობა მოჰყვეს. ორტურნიანი სისტემა დამატებით ტვირთს აკისრებს ამომრჩეველს და ხანდახან მეორე ტურის დროს პირველთან შედარებით ამომრჩეველთა გამოცხადება საგრძნობლად იკლებს.
- ☞ ორტურნიანი სისტემა უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემის ბევრ უარყოფით მხარეს იზიარებს. კვლევამ აჩვენა, რომ საფრანგეთში იგი დასავლურ დემოკრატიაში ყველაზე არაპროპორციულ შედეგებს წარმოქმნის, ხოლო ახალი დემოკრატის პირობებში იგი ანაწევრებს პარტიულ სისტემებს.
- ☞ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ორტურნიანი არჩევნების დროს, მკვეთრად დაყოფილ საზოგადოებაზე მისი ზეგავლენაა. ანგოლაში 1992 წელს არჩევნების დროს, რომელსაც სამშვიდობო მისია უნდა შეესრულებინა, მემბოხე ლიდერმა, ჯონას სავიმბიმ, ორტურნიანი საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურზე მეორე ადგილი დაიკავა და ხმათა 40% მიიღო, ხოლო ხოსე დოს სანტოსმა 49% მიიღო. ვინაიდან ამჟამად იყო, რომ იგი მეორე ტურს წააგებდა, მას უკვე ნაკლები მოტივაცია ჰქონდა დემოკრატიული ოპოზიციური თამაში გაეგრძელებინა და ანგოლაში დაუყოვნებლივ დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელიც ათწლეულის განმავლობაში გაგრძელდა. კონგოში (ბრაზავილში) 1993 წელს მთავრობის მიერ ორტურნიანი არჩევნების მეორე ეტაპზე გასვლის პერსპექტივის გამო ოპოზიციამ ბოიკოტი გამოუცხადა მეორე ტურს და ხელში იარაღი აიღო. ორივე შემთხვევაში, ერთი მხარის მიერ არჩევნების წაგების პროგნოზი ძალადობას წარმოშობდა.

# პროპორციული წარმომადგენლობის სისტემები

## რას წარმოადგენს პროპორციული წარმომადგენლობა

პროპორციული წარმომადგენლობა არის ტერმინი და აღწერს იმ საარჩევნო სისტემათა ჯგუფს, რომელიც მრავალმანდატიანი ოლქებიდან წარმომადგენელთა არჩევის დროს გამოიყენება. პოლიტიკური პარტიები მანდატებს მიღებული ხმების პროპორციულად იღებენ. პროპორციული წარმომადგენლობის ყველა სისტემის დასაბუთება პარტიის ხმათა წილის საკანონმდებლო ხელისუფლების მანდატების შესაბამის პროპორციულ ინტერპრეტაციაა.

ხმებისა და მანდატების პროპორციულობის საკითხი უფრო ხარისხს ეხება და არა პრინციპს “ყველაფერი ან არაფერი”. ერთის მხრივ, არსებობს არაპროპორციული სისტემები, სადაც გამარჯვებული ყველა მანდატს იღებს და რომლის დროსაც ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობის მიღება მანდატების 100% მიღებას ნიშნავს. მეორეს მხრივ, არსებობს “სრულყოფილი პროპორციული წარმომადგენლობის” იდეალური შემთხვევა, რომლის დროსაც პარტიის მანდატები ზუსტად მის მიერ დაგროვილი ხმების პირდაპირპროპორციულია. ამ ორ უკიდურესობას შორის არის სისტემები, სადაც აბსოლუტური უმრავლესობის სისტემა მაინც არ იძლევა ყველა მანდატის მოპოვების გარანტიას და მანდატების რაოდენობა განსხვავდება ხმების წილისგან, ჩვეულებრივ უფრო მეტი ხმების მომპოვებელი პარტიების სასარგებლოდ.

პროპორციული წარმომადგენლობის ყველა სისტემა მუდმივად ცდილობს შეამციროს განსხვავება პარტიის მიერ ქვეყნის დონეზე მიღებულ ხმების წილსა და მის მიერ საპარლამენტო მანდატების წილს შორის. თუ დიდი პარტია ხმების 40% მიიღებს, მან მანდატების დაახლოებით 40% უნდა მოიპოვოს, ხოლო თუ პატარა პარტია ხმების 10% დააგროვებს, მაშინ მისი საპარლამენტო მანდატების წილიც დაახლოებით 10% უნდა იყოს.

პროპორციულობა ხშირად პარტიული სიების (სიითი პროპორციული წარმომადგენლობა) გამოყენებით მიიღწევა. ამ დროს პოლიტიკური პარტიები ამომრჩეველს ქვეყნის ან რეგიონული მასშტაბის კანდიდატების სიებს წარუდგენენ. თუმცა, ამ დროს პრეფერენციული კენჭისყრაც კარგად მოქმედებს: კარგად დამკვიდრებული პროპორციული ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემის შემთხვევაში მრავალმანდატიან ოლქში ამომრჩეველს კანდიდატების სასურველი უპირატესობის მიხედვით დალაგებაც შეუძლია. აქედან გამომდინარე პროპორციული წარმომადგენლობის ორი ძირითადი სახეობა არსებობს – **სიითი პროპორციული წარმომადგენლობა და ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემა.**

ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელსაც შესამჩნევი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია პროპორციული სისტემის პრაქტიკაში ასამოქმედებლად. რაც უფრო მეტი წარმომადგენლის არჩევაა საჭირო ოლქში, მით უფრო პროპორციული იქნება საარჩევნო სისტემა. პროპორციული საარჩევნო სისტემა ასევე განსხვავებული იქნება ამომრჩევლისთვის მიცემული არჩევანიდან გამომდინარე – შეუძლია თუ არა ამომრჩეველს ამოირჩიოს პოლიტიკურ პარტიებს შორის, ინდივიდუალურ კანდიდატებს შორის, ან ორივე. პროპორციული წარმომადგენლობა ერთზე მეტი წევრისგან შემდგარი საარჩევნო ოლქების გამოყენებას მოითხოვს: შეუძლებელია ერთი პროცესით მოპოვებული მანდატის პროპორციულად გაყოფა. ზოგიერთ ქვეყანაში, როგორცაა ისრაელი და ჰოლანდია, მთელი ქვეყანა მრავალმანდატიან ოლქად მოიაზრება. სხვა ქვეყნებში, მაგ., არგენტინასა თუ პორტუგალიაში საარჩევნო ოლქები პროვინციებს ედრება, ხოლო ინდონეზიაში საარჩევნო ოლქების სხვადასხვა ზომებია გათვალისწინებული და მათი განსაზღვრა საარჩევნო ადმინისტრაციის კომპეტენციაა.

თუმცა, ზოგადად პროპორციული სისტემისთვის უფრო მნიშვნელოვანია ოლქების სიდიდე (რამდენი მანდატია გადასანაწილებელი) და წარმომადგენლობისთვის გადასალახი ბარიერი. რაც უფრო მეტი წარმომადგენლის არჩევა ხდება ოლქიდან და რაც უფრო დაბალია ბარიერი, მით უფრო პროპორციული იქნება საარჩევნო სისტემა და უმცირესობებისგან შემდგარ პატარა პარტიებს მანდატების მოპოვების უფრო კარგი შანსი ეძლევათ. დანიაში, მაგალითად, ეს ბარიერი 2% წარმოადგენს, ხოლო გერმანიაში 5%. სეიმელებზე 10% ბარიერი პროპორციული სისტემით ასარჩევი 23 მანდატისთვისაა დაწესებული. სამხრეთ აფრიკაში 1994 წელს რაიმე კანონით დაწესებული ბარიერი არ ყოფილა და მიუხედავად ამისა, აფრიკის ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ 400-დან მხოლოდ 2 მანდატი მიიღო ქვეყნის მასშტაბით დაგროვილი ხმების 0.45% მეშვეობით.

ოცამდე კარგად დამკვიდრებული დემოკრატიის ქვეყანა და “თავისუფალი” დემოკრატიის მქონე ქვეყნების დაახლოებით ნახევარი პროპორციული წარმომადგენლობის რომელიმე ფორმას

იყენებს. პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა დომინირებს ლათინურ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში, ასევე აფრიკაში გამოყენებული სისტემების მესამედს შეადგენს. მანდატები ხშირად რეგიონული მრავალმანდატიანი ოლქების მიხედვით ნაწილდება, მაგრამ ბევრ ქვეყანაში (მაგ. გერმანია, ნამიბია, ისრაელი, ჰოლანდია, დანია, სამხრეთ აფრიკა, ახალი ზელანდია) საპარლამენტო მანდატების გადანაწილება ქვეყნის მასშტაბით დაგროვილი ხმების მიხედვით ხდება.

სხვა ვარიანტები მოიცავს ფორმალურ თუ არაფორმალურ “ხმების თავმოყრას”; პარტიებს შორის მოლაპარაკებების მასშტაბს, როგორც ამას «საარჩევნო შეთანხმების» გამოყენებული სისტემები უზრუნველყოფს.

**უპირატესობები:** პროპორციული სისტემის მხარდამჭერი არგუმენტები ხაზს უსვამენ სისტემის მიერ პლურალურ/მაჟორიტარული სისტემების ანომალიური შედეგების თავიდან აცილების მცდელობას და წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ხელისუფლების შექმნის უკეთეს შესაძლებლობას. ახალი დემოკრატიის მქონე ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი ნორმების მკაფიოდ გამიჯვნის შემთხვევაში ყველა მნიშვნელოვანი ჯგუფის მოცვა საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ შესაძლოა არსებითი ფაქტორი პირობა იყოს დემოკრატიული კონსოლიდაციისთვის. თუ ვერ მოხერხდება უმცირესობის, ისევე როგორც უმრავლესობის მიერ პოლიტიკური სისტემების განვითარებაში წვლილის შეტანა, ამას შესაძლოა კატასტროფული შედეგებიც მოჰყვეს.

ზოგადად, პროპორციული წარმომადგენლობის სისტემები დადებითად მიიჩნევა, ვინაიდან ისინი:

- ⌚ მიღებულ ხმებს ზუსტად გარდაქმნის მიღებულ მანდატებად და შესაბამისად თავიდან იცილებს უფრო არასტაბილურ თუ უსამართლო შედეგებს, რომელსაც პლურალურ/მაჟორიტარული სისტემები წარმოქმნის. მინიმუმამდეა დაყვანილი “ბონუს მანდატების” შესაძლებლობა დიდი პარტიებისთვის, ხოლო მცირე პარტიებს საკანონმდებლო ხელისუფლებაში შეღწევა ხმების მცირე რაოდენობითაც შეუძლიათ.
- ⌚ ხელს უწყობს ან მოითხოვს პოლიტიკური პარტიების ან მსგავსად მოაზროვნე კანდიდატების ჯგუფების მიერ სიების ჩამოყალიბებას. ამის შედეგად შესაძლოა უფრო გაირკვეს პოლიტიკა, იდეოლოგია ან ლიდერობასთან დაკავშირებული განსხვავებები საზოგადოებაში, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს ჩამოყალიბებული პარტიული სისტემა (მაგ., ტიმორ-ლესტეში დამოუკიდებლობის მიღებისას).
- ⌚ იკარგება მხოლოდ ხმების მცირე ნაწილი. როცა ბარიერი დაბალია, თითქმის ყველა ხმა, რომელიც პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემის მიხედვით ჩატარებულ არჩევნებშია მიცემული სასურველი კანდიდატის არჩევისკენაა მიმართული. ეს ზრდის ამომრჩევლის რწმენას, რომ ნამდვილად ღირს არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე მისვლა, ვინაიდან უფრო დარწმუნებულები არიან, რომ მათი ხმა ნამდვილად მოახდენს თუნდაც მცირეოდენ ზეგავლენას არჩევნების შედეგებზე.
- ⌚ უმცირესობათა პარტიების ხელმისაწვდომობა წარმომადგენლობაზე. თუ ბარიერი წარმოუდგენლად მაღალი არ არის, ან თუ ოლქების ზომა (მაგნიტუდა) უჩვეულოდ პატარა არაა, მაშინ ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც ხმების მცირე პროცენტი მაინც გააჩნია, შეუძლია საკანონმდებლო ხელისუფლებაში წარმომადგენლობის მოპოვება. ეს ინკლუზიის (მომცველობის) პრინციპს უწყობს ხელს, რომელიც შესაძლოა აუცილებელი იყოს გაყოფილ საზოგადოებაში სტაბილურობის მიღწევის მიზნით, ხოლო უკვე დაფუძნებული დემოკრატიის შემთხვევაში გარკვეული სარგებელი მოაქვს გადანაცვებების მიღების კუთხითაც.
- ⌚ ხელს უწყობს პარტიებს კამპანიები იმ ოლქის გარეთაც განავრცონ, სადაც მათი ზეგავლენა ძლიერია ან სადაც შედეგები შესაძლოა მსგავსი იყოს. პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემის დადებით მხარეს ზოგადად ხმების მაქსიმუმამდე გაზრდა წარმოადგენს მიუხედავად იმისა, საიდან მოდის ეს ხმები. ყოველი ხმა, ისეთი ტერიტორიებიდანაც კი, სადაც პარტიის ელექტორატი სუსტია, მიმართულია კიდევ ერთი მანდატის მოპოვებისკენ.
- ⌚ ზღუდავს რეგიონის შიგნით ტერიტორიული დანაყოფების ზრდას. იმის გამო, რომ პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა უმცირესობათა პარტიებს მანდატების მცირე რაოდენობას ანიჭებს, ნაკლებად სავარაუდოა ისეთი სიტუაციების წარმოშობა, როცა მოცემულ პროვინციასა თუ ოლქში ერთი პარტია ფლობს ყველა მანდატს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროვინციაში მაცხოვრებელი უმცირესობებისთვის, რომლებიც შესაძლოა მთელი რეგიონის მასშტაბით არ იყვნენ კონცენტრირებულები ან არ მიუწვდებოდეთ ხელი ძალაუფლებაზე.



ჭ ქმნის უფრო უწყვეტ და სტაბილურ პოლიტიკას. დასავლეთ ევროპის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საპარლამენტო პროპორციული წარმომადგენლობის სისტემები უფრო კარგ შედეგებს იძლევა მთავრობის ხანგრძლივობის, ამომრჩეველთა მონაწილეობისა და ეკონომიკური საქმიანობის თვალსაზრისით. ამ მოსაზრებას ადასტურებს ის, რომ მთავრობის რეგულარული ცვლილება ორ იდეოლოგიურად განსხვავებულ პარტიებს შორის, როგორც ეს უბრალო უმრავლესობის სისტემის დროსაა შესაძლებელი, ართულებს გრძელვადიან ეკონომიკურ დაგეგმვას, ხოლო ფართო პროპორციული წარმომადგენლობითი კოალიციური მთავრობა გადანყვეტილების მიღების დროს სტაბილურობასა და შეთანხმებულ პროცესებს უწყობს ხელს, რაც ეროვნული განვითარების საშუალებას იძლევა.

ღ ძალთა გადანაწილება პარტიებსა და ინტერესთა ჯგუფებს შორის უფრო ნათელია. ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში ძალთა გადანაწილება პოლიტიკური ძალაუფლების მქონე მოსახლეობის რიცხოვრივ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, რომელსაც ეკონომიკური ძალაუფლება გააჩნია, გარდაუვალი რეალობაა. იქ, სადაც საკანონმდებლო ხელისუფლებაში რიცხოვრივი უმრავლესობა დომინირებს და უმცირესობა მის ინტერესებს ეკონომიკური სფეროს კონტროლში გამოხატავს, მოლაპარაკებები სხვადასხვა ძალაუფლების ბლოკებს შორის ნაკლებად შესამჩნევი, ნაკლებად გამჭვირვალე და ნაკლებად ანგარიშვალდებულია (მაგ., ზიმბაბვეში მისი დამოუკიდებლობის პირველი 20 წლის განმავლობაში). არის მოსაზრება, რომ პროპორციული წარმომადგენლობა, საკანონმდებლო ხელისუფლებაში ყველა ინტერესის ჩართვით უფრო დიდ იმედს ტოვებს, რომ გადანყვეტილებები საზოგადოებისთვის ნათელი და უფრო ინკლუზიური პროცესების შედეგად იქნება მიღებული.

**ნაკლოვანი მხარეები:** პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის კრიტიკა ძირითადად პროპორციული სისტემის მიერ კოალიციური მთავრობისა და ფრაგმენტული პარტიული სისტემის წარმოქმნის ტენდენციის ირგვლივ ტრიალებს. ყველაზე ხშირად გამოთქმული არგუმენტებია ის, რომ ეს სისტემა ხშირად იწვევს:

ღ კოალიციურ მთავრობას, რომელიც, თავის მხრივ საკანონმდებლო ჩაკეტილობასა და თანმიმდევრული პოლიტიკის შექმნის შეუძლებლობას იწვევს. რისკი განსაკუთრებით მაღალია კონფლიქტის შემდგომ გარდამავლობის პერიოდში, როცა ახალი პოპულარული მთავრობის მიმართ მოლოდინი მაღალია. სწრაფი და თანმიმდევრული გადანყვეტილებების მიღება შესაძლოა გარკვეულწილად შეფერხდეს კოალიციური კაბინეტებისა და ეროვნული ერთიანი მთავრობის მიერ, რომელიც დაყოფილია ფრაქციებად.

ღ პარტიული სისტემის დანაწევრებას, რომელიც დესტაბილიზაციას იწვევს. პროპორციული წარმომადგენლობა ასახავს და ხელს უწყობს პარტიის სისტემის ფრაგმენტაციას. შესაძლოა, რომ ექსტრემალური პლურალიზმის შემთხვევაში პატარა უმცირესობების პარტიებმა დიდ პარტიებს კოალიციური მოლაპარაკებების დროს გარკვეული გამოსასყიდი მოსთხოვონ. ამ თვალსაზრისით პროპორციული წარმომადგენლობის ინკლუზიურობა სისტემის უარყოფით მხარედ უფრო სახელდება. ისრაელში, მაგალითად, ექსტრემისტი რელიგიური პარტიები ხშირად მთავრობის შექმნაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, ხოლო იტალია წლების განმავლობაში კოალიციური მთავრობების არასტაბილური მონაცვლეობის რეჟიმში იყო. დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი ქვეყნები ხშირად შიშობენ, რომ პროპორციული წარმომადგენლობა პიროვნებებსა და ეთნიკურად გახლეჩილ პარტიებს საკუთარი განუვითარებელი პარტიის სისტემების პროლიფერაციის საშუალებას აძლევს.

ღ პლატფორმის შექმნას ექსტრემისტული პარტიებისთვის. პროპორციული წარმომადგენლობის სისტემას ხშირად აკრიტიკებენ საკანონმდებლო ხელისუფლების მარჯვენა თუ მარცხენა მხარის ექსტრემისტულ პარტიებზე გადაცემის გამო. ერთნი ამტკიცებენ, რომ ვაიმარის გერმანიის რღვევა ნაწილობრივ მისი პროპორციული საარჩევნო სისტემის მიერ მარჯვენა და მარცხენა ექსტრემისტული ჯგუფებისთვის საყრდენის შექმნის გამო მოხდა.

ღ მმართველი კოალიციების წარმოქმნას, რომელსაც არასაკმარისი საერთო აქვთ პოლიტიკისა თუ მხარდამჭერთა ბაზის თვალსაზრისით. ეს ხელსაყრელი კოალიციები ხშირად სხვა სისტემების (მაგ., ალტერნატიული კენჭისყრის) შედეგად წარმოქმნილ ვალდებულების კოალიციებს უპირისპირდება, სადაც პარტიები ურთიერთდამოკიდებულებაში არიან სხვა პარტიების ამომრჩევლის ხმებზე და შესაბამისად კოალიციაც უფრო ძლიერია.

მცირე პარტიებს, რომლებიც არაპროპორციულად დიდ ძალაუფლებას ფლობენ. დიდი პარტიები იძულებულიები არიან გაცილებით მცირე პარტიებთან შექმნან კოალიციები და ამ შემთხვევაში ამომრჩეველთა მცირე პროცენტის მხარდაჭერის მქონე პარტიებს ძალაუფლება ეძლევათ ვეტო დაადონ ისეთ შემთავაზებებს, რომელიც უფრო დიდი პარტიებიდან მოდის.

ამომრჩევლის უუნარობას პარტიის ძალაუფლებიდან ჩამოგდების დროს მიიღოს ანგარიშგება. პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის დროს შესაძლოა ძალიან ძნელი იყოს საკმაო ზომის მქონე პარტიის ძალაუფლებიდან მოშორება. როცა მთავრობა კოალიციისგან შედგება, ზოგიერთი პოლიტიკური პარტია მთავრობაში მუდმივადაა წარმოდგენილი მიუხედავად დროდადრო სუსტი საარჩევნო შედეგებისა. გერმანიის თავისუფალი დემოკრატიული პარტია მმართველი კოალიციის წევრი 1949-1998 წლებში 8 წლის გამოკლებით თითქმის 50 წლის განმავლობაში იყო მიუხედავად იმისა, რომ მას ხმების 12%-ზე მეტი არასოდეს მიუღია.

სირთულეებს ამომრჩევლისთვის, რათა გაიგოს და საარჩევნო ადმინისტრაციისთვის, რათა განახორციელოს ამ სისტემის ხშირად კომპლექსური წესები. ზოგიერთი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემები გაცილებით უფრო რთულად მიიჩნევა, ვიდრე არაპროპორციული წარმომადგენლობის სისტემები.

### სიითი პროპორციული წარმომადგენლობა (List PR)

ეს სისტემა პროპორციული წარმომადგენლობის დროს ყველაზე ხშირად გამოიყენება. სიითი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა, ყველაზე მარტივი ფორმით გულისხმობს პარტიის მიერ მრავალმანდატიან ოლქში ელექტორატისთვის კანდიდატების ჩამონათვალის წარდგენას. ამომრჩეველი ხმას პარტიას აძლევს, რის შედეგადაც პარტია მოცემულ ოლქში ხმების მთლიანი წილის მიხედვით იღებს მანდატებს. მანდატის მფლობელი კანდიდატები მოცემული სიიდან აირჩევიან მათი რიგითობის მიხედვით.

სიითი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის არჩევა საარჩევნო სისტემის სპეციფიკაციებს არ განსაზღვრავს: აუცილებელია დამატებითი დეტალების დადგენა. მანდატების გადანაწილებისთვის გამოყენებულ ფორმულას მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია პროპორციული წარმომადგენლობის შედეგებზე. ხმების დათვლის შემდეგ მანდატების გამოყოფის სისტემა უმაღლესი საშუალოს ან უდიდეს ნაშთის მეთოდს უნდა ეფუძნებოდეს. შერჩეულ ფორმულას მცირე, მაგრამ ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობის ზეგავლენა აქვს პროპორციული სისტემის მიხედვით ჩატარებულ არჩევნებზე. 1998 წელს კამბოჯაში კენჭისყრის დღემდე ფორმულის ცვლილების შედეგად ყველაზე დიდმა პარტიამ 59-ის მაგივრად 64 მანდატი მიიღო 121 მანდატისგან შემდგარ ეროვნულ ასამბლეაში. ცვლილება კარგად არ გაშუქებულა და ამის გამო ოპოზიციამ შედეგები ძნელად მიიღო. ეს მაგალითი აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საარჩევნო სისტემების შემქმნელების მიერ მცირე დეტალებზეც კი ყურადღების გამახვილება.

სიითი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის გამართულად მუშაობისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გათვალისწინებაა საჭირო. საკანონმდებლო ხელისუფლებაში მოსახვედრად ფორმალური ბარიერის დაწესება შეიძლება გახდეს საჭირო: მაღალი ბარიერი (მაგ., 10% თურქეთის მსგავსად) სავარაუდოდ გამორიცხავს მცირე ზომის პარტიებს, ხოლო დაბალი ბარიერი (მაგ., ისრაელის მსგავსად 1.5% 2004 წელს) შესაძლოა ხელს უწყობდეს მათ წარმომადგენლობას. სამხრეთ აფრიკაში ფორმალური ბარიერი არ არსებობს და 2004 წელს აფრიკის ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ 400 მანდატიდან მხოლოდ 6 მანდატი მიიღო ეროვნული ხმების 1.6% წყალობით. სიითი პარტიული სისტემები ასევე განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რამდენად და როგორ ირჩევს ამომრჩეველი კანდიდატებსა თუ პარტიებს შორის, ანუ, ღია, დახურული თუ თავისუფალია ეს სიები. ეს არჩევანი ბიულეტენის სირთულეზე ახდენს ზეგავლენას.

**უპირატესობები:** გარდა ზოგადად პროპორციული წარმომადგენლობის სისტემასთან დაკავშირებული უპირატესობებისა, სიითი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა უფრო მეტად იძლევა უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლების არჩევის საშუალებას. როცა ამომრჩეველთა ქცევა საზოგადოების კულტურულ თუ სოციალურ დაყოფას ასახავს, მაშინ სიითი პროპორციული წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოში როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის ჯგუფების წარმომადგენლობას უზრუნველყოფს. ეს იმის გამოა, რომ სისტემა პარტიას უბიძგებს უფრო დაბალანსებული პარტიული სია შექმნას, რომელიც ამომრჩეველთა ინტერესების ფართო სპექტრს ითვალისწინებს. რამდენიმე ახალი დემოკრატიის მქონე

ქვეყნის (მაგ., სამხრეთ აფრიკა, ინდონეზია, სიერა ლეონე) გამოცდილებამ აჩვენა, რომ სიითი პროპორციული წარმომადგენლობა პოლიტიკურ სივრცეს ქმნის, რომელიც პარტიებს კანდიდატთა მრავალფეროვანი სიების წარმოდგენის საშუალებას აძლევს. სამხრეთ აფრიკის ეროვნული ასამბლეა, რომელიც 1994 წელს იქნა არჩეული 52% შავკანიანი კანდიდატების (11% ზულუ, დანარჩენი ხოსა, სოთო, ბენდა, ცვანა, პედი, სვაზი, შანგაანი და ნდებელე), 32% თეთრკანიანი (მესამედი ინგლისურენოვანი, ორი მესამედი აფრიკაანზე მოსაუბრე), 7% ფერადკანიანი და 8% ინდოელი წარმომადგენლისგან შედგებოდა. ნამიბიის პარლამენტიც მსგავსად მრავალფეროვანია, სადაც წარმომადგენელია ოვამბოს, დამარას, ჰერეროს, ნამას, ბასტერისა და თეთრი (ინგლისურად და გერმანულად მოსაუბრე) მოსახლეობა.

სიითი პროპორციული წარმომადგენლობის გამოყენებისას უფრო დიდია ქალების არჩევის შანსი. პროპორციული წარმომადგენლობის საარჩევნო სისტემები თითქმის ყოველთვის უფრო ღიაა ქალების მიმართ, ვიდრე პლურალურ/მაჟორიტარული სისტემები. პარტიებს შეუძლიათ სიის გამოყენება ქალი პოლიტიკოსების ხელშეწყობის მიზნით, ამომრჩეველს საშუალებას აძლევენ აირჩიონ მდებარეობითი სქესის კანდიდატები და ამავდროულად არჩევანი მაინც პოლიტიკური და არა გენდერული მოსაზრებებიდან გამომდინარე გააკეთონ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთმანდატიან ოლქებში პარტიების უმეტესობას ყველაზე ფართოდ მიღებული კანდიდატის წამოყენების საშუალებას აძლევს, მაგრამ ეს კანდიდატი იშვიათადაა ქალი. პროპორციული წარმომადგენლობის გამოყენების დროს მსოფლიოს მასშტაბით ქალების არჩევა გაცილებით უფრო ხშირად ხდება, ვიდრე აბსოლუტური უმრავლესობის სისტემის დროს, ხოლო 20 დიდი სახელმწიფოდან 14 ქალების ჩართულობის უზრუნველსაყოფად სიითი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემას ირჩევს. 2004 წელს საკანონმდებლო ხელისუფლებაში სიითი პროპორციული წარმომადგენლობით არჩეული ქალების რაოდენობა 4.3%-ით აჭარბებდა საშუალო 15.3 პროცენტს, ხოლო მათი რაოდენობა უბრალო უმრავლესობით არჩეული საკანონმდებლო ორგანოს შემთხვევაში 4.1%-ით ნაკლები იყო.

**ნაკლოვანი მხარეები:** გარდა პროპორციული წარმომადგენლობების ზოგადი ნაკლოვანი მხარეებისა ამ სისტემას კიდევ ქვემოთ მოყვანილი სისუსტეებიც გააჩნია:

☞ სუსტი კავშირები ამომრჩეველსა და არჩეულ წარმომადგენლებს შორის. სიითი პროპორციული წარმომადგენლობის გამოყენების დროს ქვეყანა ერთ ოლქადაა წარმოდგენილი (მაგ., ნამიბია ან ისრაელი) და მანდატები ამ ოლქში ნაწილდება, სისტემა ვერ ახერხებს ამომრჩეველსა და მის წარმომადგენელს შორის კავშირის დამყარებას. როცა სია დახურულია, ამომრჩეველს არ აქვს საშუალება განსაზღვროს იმ ადამიანების ვინაობა, რომლებიც მომავალში მისი წარმომადგენელი უნდა გახდეს, ვერ ახერხებს მისი ქალაქის, რაიონისა თუ სოფლის წარმომადგენლის იდენტიფიცირებას ან ცალკეული წარმომადგენლების ადვილად გადარჩევას მათი საქმის შესრულების ცუდი დონის შემთხვევაში. უფრო მეტიც, ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში, სადაც საზოგადოება უფრო აგრარულია, ამომრჩეველთა იდენტიფიკაცია საცხოვრებელ რეგიონთან გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე მათი იდენტიფიკაცია რომელიმე პარტიასა თუ დაჯგუფებასთან. თუმცა, ეს კრიტიკა შესაძლოა უფრო მეტად იყოს დაკავშირებული სისტემებს შორის განსხვავებებთან, სადაც ამომრჩეველი ხმას ან პარტიას აძლევს, ან კანდიდატს.

☞ ძალაუფლების პარტიის ძირითად შტაბში და პარტიის უფროსი რანგის ლიდერების ხელში ზედმეტად კონცენტრაცია – განსაკუთრებით კი დახურული სიის სისტემის შემთხვევაში. კანდიდატის რიგითობა პარტიულ სიაში და შესაბამისად მისი წარმატების შანსი დამოკიდებულია პარტიის ხელმძღვანელობის მის მიმართ დამოკიდებულებაზე, ხოლო ამომრჩეველთან ურთიერთობა უკვე მეორეხარისხოვანია. საინტერესოა, რომ სიითი პროპორციული სისტემის გამოყენების დროს, გაიანაში, პარტიები აქვეყნებენ სიებს, სადაც წევრების სახელები რიგითობის მაგივრად ანბანის მიხედვითაა დალაგებული. ეს პარტიის ლიდერებს უფრო მეტ საშუალებას აძლევს დააფასონ ერთგულება და დასაჯონ დამოუკიდებლობა, ვინაიდან მანდატების წევრებზე გადანაწილება მხოლოდ კენჭისყრის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ ხდება.

☞ აუცილებელია ცნობილი პოლიტიკური პარტიის ან დაჯგუფების არსებობა. ეს სიით პროპორციულ წარმომადგენლობას განსაკუთრებით რთულად განხორციელებად სისტემად აყალიბებს იმ საზოგადოებაში, სადაც არ არსებობს, ჯერ კიდევ ჩანასახში იმყოფება ან მოშვებულია პარტიების სტრუქტურა. ასეთი მაგალითები გვხვდება წყნარი ოკეანის ბევრ კუნძულოვან სახელმწიფოში.



**პროპორციული წარმომადგენლობის დროს მანდატების დანაწილების ფორმულები**

სიითი პროპორციული წარმომადგენლობის დროს საკანონმდებლო ხელისუფლების მანდატები პარტიის მიერ მიღებული ხმების შესაბამისად ხდება. ამისთვის საჭიროა ფორმულის გამოყენება და ასეთი რამდენიმე ფორმულა არსებობს. ამ დოკუმენტში სამი ყველაზე ხშირად გამოყენებული ფორმულაა აღწერილი. ასევე მოცემულია ცხრილები, სადაც ნაჩვენებია ყოველი ფორმულის მოქმედება და სხვადასხვა ფორმულების დროს მანდატების გადანაწილების შემთხვევები პარტიების მიერ ხმების იგივე დისტრიბუციის შემთხვევაში. ეს ფორმულები გარკვეულწილად განსხვავდება შედეგების პროპორციულობისა და გარკვეული ზომის პარტიებისთვის პრეფერენციების მინიჭების თვალსაზრისით.

**უდიდესი ნაშთის ფორმულა**

უდიდესი ნაშთის ფორმულა ყველაზე მარტივია. უპირველეს ყოვლისა უნდა დადგინდეს კვოტა. ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული კვოტა არის ჰეირის კვოტა, რომლის დასადგენადაც ოლქის ნამდვილი ხმების მთლიანი რაოდენობა იყოფა ოლქისთვის გამოყოფილი მანდატების მთლიან რაოდენობაზე. ცხრილში N1 - 99 ამომრჩეველმა მიმიიღო მონაწილეობა არჩევნებში; ეს ხმები იყოფა გამოყოფილი მანდატების რაოდენობაზე - «9-ზე», რის შედეგადაც ჰეირის კვოტა შეადგენს 11-ს. ამის შემდეგ თითოეული პარტიის მიერ მიღებული ხმები იყოფა ამ კვოტაზე და პარტია იღებს იმდენ მანდატს, რამდენი მთელი ციფრიც მიიღება. ამგვარად “ა” პარტიამ 36 ხმა დააგროვა და 11-ზე გაყოფის დროს 3 მანდატი მიიღო. როგორც უმეტეს შემთხვევაში, ხდება ხმების მორჩენა – 3 ხმა “ა” პარტიის შემთხვევაში. იგივე პროცესი მეორდება სხვა პარტიებისთვის მანდატების გამოყოფის მიზნით. თუ ამ პროცესის შედეგად კვლავ გასანაწილებელი რჩება მანდატ(ებ)ი, მაშინ მათი გადანაწილება მოხდება ისეთ პარტიებზე, რომლებსაც მორჩენილი ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა გააჩნიათ. ამ მაგალითის მიხედვით დარჩენილია 1 მანდატი და იგი “დ” პარტიას გადაეცემა, ვინაიდან მას მორჩენილი ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა გააჩნია.

*ცხრილი N1: მანდატების გადანაწილება უდიდესი ნაშთის ფორმულის გამოყენებით*

პარტიები	ხმები	მანდატების პირველი გადანაწილება	დარჩენილი ხმები	მანდატების მეორე გადანაწილება	მანდატების საბოლოო რაოდენობა
ა	36	3	3	0	3
ბ	24	2	2	0	2
გ	22	2	0	0	2
დ	17	1	6	1	2

შენიშვნა: 99 ამომრჩეველი, 9 მანდატი, კვოტა – 11 ხმა

ამ სისტემის ერთი ვარიანტი იყენებს განსხვავებულ, დრუპის (Droop) კვოტას. ამ შემთხვევაში ხმების მთლიანი რაოდენობა იყოფა მანდატების რაოდენობას +1-ზე. ეს შედეგებით უფრო ამცირებს შედეგების პროპორციულობას.

**დ’ონდტის (D’Hondt) ფორმულა (უმაღლესი საშუალოს/გამყოფის მეთოდი)**

დ’ონდტის სისტემა სახელს ბელგიელი იურისტის, ვიქტორ დ’ონდტიდან იღებს, თუმცა იგივე ფორმულა თომას ჯეფერსონმაც გამოიგონა შტატების კონგრესმენტათვის მანდატების დანაწილების მიზნით. ამ ფორმულას ხშირად უმაღლესი საშუალოს მეთოდსაც უწოდებენ. ეს სისტემა მანდატებს ე.წ. გამყოფების გამოყენებით ანაწილებს. თითოეული პარტიის ხმების ოდენობა რამდენიმე გამყოფის მეშვეობით იყოფა. ამ ფორმულაში გამყოფებია 1, 2, 3, 4 და ა.შ. ამ გამყოფების შედეგად ხდება ციფრების მიღება, რომელთაც “საშუალო” ეწოდებათ. ყოველთვის, როცა პარტია მიიღებს მანდატს, მისი ხმები იყოფა შემდეგ გამყოფზე და ამ პარტიისთვის ახალი საშუალოს მიღება ხდება. მაგალითად, ცხრილში ა2 “ა” პარტიას პირველ რაუნდში ყველაზე მაღალი საშუალო გააჩნია 36 ხმით, ასე რომ, იგი პირველ მანდატს მოიპოვებს. მისი ხმები შემდეგ 2-ზე იყოფა და ახალ საშუალოს, ანუ 18 ვიღებთ. ახლა უკვე “ბ” პარტიას აქვს ყველაზე მაღალი საშუალო, 24 ხმა. ამჯერად “ბ” პარტია იღებს შემდეგ მანდატს და მისი საშუალო იყოფა 2-ზე და ხმების ოდენობა 12 ხდება. ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ ყველა მანდატის დანაწილება არ მოხდება.

ცნობილია, რომ დ’ონდტის მეთოდით უპირატესობა უფრო დიდი ზომის პარტიას ენიჭება მცირე პარტიის ხარჯზე. ცხრილში N2 მოყვანილ მაგალითში პარტია “ა” 4 მანდატს ღებულობს მაშინ, როცა უდიდესი ნაშთის ფორმულის გამოყენების დროს ამ პარტიამ მხოლოდ 3 მანდატი მიიღო. ამ ტენდენციის გამო დიდი პარტიებისადმი მიკერძოებულობის შესამცირებლად სხვა გამყოფი ფორმულებიც იქნა გამოგონებული. ერთ-ერთი ასეთი ფორმულაა სენ-ლაჟეს (Sainte-Lague) ფორმულა, რომელიც ქვემოთაა აღწერილი.

**ცხრილი N2. მანდატების გადანაწილება დ'ონდტის ფორმულის მიხედვით**

პარტიები	ხმები/1	ხმები/2	ხმები /3	ხმები /4	მანდატების საბოლოო რაოდენობა
ა	36(1)	18(4)	12(6)	9(9)	4
ბ	24(2)	12(7)	8		2
გ	22(3)	11(8)	7.33		2
დ	17(5)	8.5			1

შენიშვნა: 99 ამომრჩეველი, 9 მანდატი; ფრჩხილებში მოცემული ციფრი მანდატების გადანაწილების რიგითობას აღნიშნავს.

**სენ-ლაჟე (Sainte-Laguë) ფორმულა (უმაღლესი საშუალოს/გამყოფის მეთოდი)**

სენ-ლაჟეს ფორმულა კიდევ ერთი სისტემაა, რომელიც გამყოფებს იყენებს. იგი ძირითადად იმავე მიდგომას ეფუძნება, რასაც დ'ონდტის მეთოდი და მანდატებს ყველაზე მაღალი საშუალოს მქონე პარტიებს ანიჭებს. მაგრამ იგი განსხვავებულ გამყოფებს იყენებს. 1, 2, 3 გამყოფების მაგივრად სენ-ლაჟეს სისტემა მხოლოდ კენტ რიცხვებს იყენებს – 1, 3, 5 და ა.შ. ამით მანდატების გადანაწილების უფრო მეტად პროპორციული შედეგები მიიღება. უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილში N3 მოცემული სენ-ლაჟეს ფორმულის შედეგები იგივეა, როგორც უდიდესი ნაშთის სისტემის დროს. ორივე მათგანი უფრო პროპორციულად მიიჩნევა, ვიდრე დ'ონდტის მეთოდი.

**ცხრილი N3: მანდატების დანაწილება სანტ–ლაგეს ფორმულის მიხედვით**

პარტიები	ხმები/1	ხმები /3	ხმები /5	ხმები /7	მანდატების საბოლოო რაოდენობა
ა	36(1)	12(5)	7.2	5.14	3
ბ	24(2)	8(6)	4.8		2
გ	22(3)	7.33(7)	4.4		2
დ	17(4)	5.67(9)			2

შენიშვნა: 99 ამომრჩეველი, 9 მანდატი; ფრჩხილებში მოცემული ციფრი მანდატების გადანაწილების რიგითობას აღნიშნავს.

**სხვა სიითი პროპორციული წარმომადგენლობის ფორმულები**

ზემოთ სამი ყველაზე ხშირად გამოყენებული ფორმულაა აღწერილი, თუმცა კიდევ რამდენიმე არსებობს. მოდიფიცირებული სენ-ლაჟეს ფორმულა 1. 4, 3, 5 და ა.შ. კრიტერიუმებს იყენებს, რაც მცირე პარტიებისთვის კიდევ უფრო ართულებს მანდატების მოპოვებას და ამით უფრო დიდი ზომის პარტიები სარგებლობენ. იმპერიალის ფორმულა 2, 3, 4 და ა.შ. გამყოფებს იყენებს და ისიც უფრო დიდი პარტიებისთვის ხელსაყრელ შედეგებს წარმოქმნის.

**ერთადერთი გადამხადი ხმის სისტემა (STV)**

ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემა პოლიტიკური მეცნიერების მიერ ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ საარჩევნო სისტემად მოიაზრება, მაგრამ მისი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებისთვის გამოყენება მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში ხდება – ირლანდიის რესპუბლიკაში 1921 წლიდან, მალტაში 1947 წლიდან და ერთხელაც ესტონეთში, 1990 წელს. იგი ავსტრალიის ფედერალური სენატის არჩევნებისა და ავსტრალიის რამდენიმე შტატის მიერაც გამოიყენება, ასევე ჩრდილო ირლანდიის და ევროპის ქვეყნებში ადგილობრივი არჩევნების დროსაც. ეს სისტემა ადაპტირებულია ადგილობრივი არჩევნებისთვის შოტლანდიასა და ახალი ზელანდიის გარკვეულ ერთეულებში. იგი ბრიტანული კოლუმბიის მოქალაქეთა ასამბლეის მიერაც იქნა შერჩეული.

სისტემის ძირითადი პრინციპები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გამოიგონეს თომას ჰარმა ბრიტანეთში და კარლ ანდრემ დანიაში, მე-19 საუკუნეში. ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემა მრავალმანდატიან ოლქებში გამოიყენება და ამომრჩეველი ბიულეტენზე კანდიდატების ჩამონათვალს სასურველი რიგითობის მიხედვით აღნიშნავს, ალტერნატიული კენჭისყრის სისტემის მსგავსად. უმეტეს შემთხვევაში ეს პრეფერენციული მონიშვნა არჩევითია და ამომრჩეველს არ მოეთხოვება ყველა კანდიდატისთვის რანგის მინიჭება. თუ სურვილი აქვთ, მხოლოდ ერთი კანდიდატის მონიშვნაც შეუძლიათ.

მას შემდეგ, რაც პირველი პრეფერენციების ხმების ტაბულაცია მოხდება, დაიწყება დათვლა და დადგინდება ხმების კვოტა, რომელიც საჭიროა ერთი კანდიდატის ასარჩევად. ამ შემთხვევაში ძირითადად დრუპის კვოტა (Droop) გამოიყენება, რომელიც მარტივი ფორმულით გამოითვლება:

$$\text{კვოტა} = (\text{ხმები} / (\text{მანდატები} + 1)) + 1$$

შედეგები დათვლის რამდენიმე ტურის შედეგად გამოვლინდება. პირველი დათვლის შემდეგ დგინდება ყოველი კანდიდატის მიერ მიღებული პირველი პრეფერენცია. ნებისმიერი კანდიდატი, რომლის ხმებიც კვოტას უტოლდება ან აჭარბებს, დაუყოვნებლივ არჩეულად ჩაითვლება.

მეორე და შემდგომი დათვლის დროს არჩეული კანდიდატების ზედმეტი (ჭარბი) ხმები (ანუ ხმები, რომელიც კვოტას ზემოთ იქნა მიღებული) გადანაწილდება ბიულეტენებზე აღნიშნულ მეორე პრეფერენციების მიხედვით. სამართლიანობის მიზნით ყველა კანდიდატის ბიულეტენის გადანაწილება ხდება, მაგრამ ყველა მათგანი ერთი ხმის წონით, რათა მთლიანობაში გადანაწილებული ხმები უტოლდებოდეს კანდიდატის ჭარბ ხმებს (გარდა ირლანდიის რესპუბლიკისა, რომელიც შენონილ ვარიანტს იყენებს). მაგალითად, თუ კანდიდატს 100 ხმა ჰქონდა და ზედმეტი ხმების რაოდენობა 5 იყო, მაშინ ყოველი ბიულეტენი გადანაწილდება ხმის ერთი მეოცედი წონით (1/20).

თუ რომელიმე დათვლის შემდეგ არც ერთ კანდიდატს არ ექნება ქვოტით გათვალისწინებული ხმები, მაშინ გამოირიცხება ის კანდიდატი, რომელსაც ხმების ყველაზე ნაკლები რაოდენობა აქვს. შემდეგი დათვლის დროს მისი ხმები გადანაწილდება კონკურსში დარჩენილ კანდიდატებზე მეორე პრეფერენციის მიხედვით. შემდეგი დათვლის პროცესი, რომელთა შემდეგაც ზედმეტი ხმები გადანაწილდება ან კანდიდატი გამოითიშება, გრძელდება, სანამ საარჩევნო ოლქზე გამოყოფილი ყველა მანდატი არ შეივსება იმ კანდიდატებით, რომელთაც მოაგროვეს დადგენილი კვოტა, ან სანამ დათვლაში მონაწილე დარჩენილი კანდიდატების რაოდენობა ერთით აღემატება გამოყოფილ მანდატებს. ამ ბოლო შემთხვევაში ერთის გარდა ყველა კანდიდატი იქნება არჩეული ქვოტის მიღების გარეშე.

**უპირატესობები:** ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემას იგივე დადებითი მხარეები ახასიათებს, როგორც პროპორციული წარმომადგენლობის სისტემებს ზოგადად. გარდა ამისა, როგორც წარმომადგენლების არჩევის მექანიზმი, ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემა ალბათ ყველაზე სიღრმისეულია სხვა საარჩევნო სისტემებთან შედარებით. იგი პარტიებსა და პარტიებს შიგნით კანდიდატებს შორის არჩევის საშუალებას იძლევა. საბოლოო შედეგები პროპორციულობის სამართლიანი ხარისხით ხასიათდება და იმის გამო, რომ რეალურ ცხოვრებაში ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემის გამოყენება შედარებით მცირე ზომის მრავალმანდატიან ოლქებში ხდება, ეს ნიშნავს, რომ გეოგრაფიული კავშირი ამომრჩეველსა და წარმომადგენელს შორის კვლავ შენარჩუნებულია. უფრო მეტიც – ამომრჩეველს შეუძლია არჩევნების შემდგომი კოალიციების შემადგენლობაზე ზეგავლენის მოხდენა, რისი მაგალითიც გვხვდება ირლანდიის რესპუბლიკაში.

სისტემა პარტიებს შორის ურთიერთგაგებასაც უწყობს ხელს პრეფერენციების მიმოცვლის ხარჯზე. ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემა სიითი პროპორციული წარმომადგენლობისგან განსხვავებით ასევე უკეთ ახდენს პოპულარული დამოუკიდებელი კანდიდატების არჩევას, ვინაიდან ამომრჩეველი ირჩევს კანდიდატებს შორის და არა პარტიებს შორის (მიუხედავად იმისა, რომ ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემის მიხედვით გამართულ არჩევნებს ასევე შეიძლება დაემატოს პარტიული სიების მექანიზმიც, რისი მაგალითიც ავსტრალიის სენატში გვხვდება).

**ნაკლოვანი მხარეები:** ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემას იგივე ნაკლოვანი მხარეები ახასიათებს, რაც ზოგადად პროპორციული წარმომადგენლობის სისტემებს. გარდა ამისა:

- ☞ სისტემას ხშირად აკრიტიკებენ იმ მიზეზით, რომ პრეფერენციული კენჭისყრა ბევრი საზოგადოებისთვის უცხოა და სულ მცირე, წერა-კითხვისა და ანგარიშის გარკვეულ დონეს მოითხოვს.
- ☞ სისტემის მიხედვით ხმების დათვლა საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც მნიშვნელოვან შემადგენელ გარემოებას წარმოადგენს. ეს ერთ-ერთი მიზეზი იყო, რის გამოც ესტონეთმა პირველი არჩევნების შემდეგ სისტემის გამოყენება შეწყვიტა. სისტემა ზედმეტი ხმების გადანაწილებისას მუდმივ რეკალკულაციას მოითხოვს. ამის გამო, ხმების დათვლა დამთვლელ ცენტრებში ხდება და არა საარჩევნო უბანზე. იქ, სადაც არჩევნების განუხრელობა ეჭვქვეშ დგას, ხმების საარჩევნო უბანზე დათვლა შესაძლოა აუცილებელი გახდეს კენჭისყრის ლეგიტიმურობის დასადგენად და შესაბამისად, სხვა საარჩევნო სისტემების გამოყენება გახდება საჭირო.
- ☞ ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემა, სიითი პროპორციული წარმომადგენლობისგან განსხვავებით პოლიტიკურ პარტიებს შიდა ფრაგმენტაციისკენ უბიძგებს, ვინაიდან იმავე პარტიის წევრები ეფექტურად უწევენ ერთმანეთს კონკურენციას ერთმანეთის სანინააღმდეგოდ, ასევე ოპოზიციის წინააღმდეგ, ხმების მიღების მიზნით. ამან შესაძლოა “კლიენტელისტური” პოლიტიკის შექმნას შეუწყოს ხელი, სადაც პოლიტიკოსები ამომრჩეველთა ჯგუფების გარკვეულწილად მოსყიდვასაც ახორციელებენ.





ერთადერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემით შეიძლება ისე მოხდეს, ის პარტია, ვინც უფრო მეტი ხმა მიიღო, თავის კონკურენტებზე ნაკლები რაოდენობის მანდატს მიიღებს. მალტამ თავისი სისტემა 1980-იანი წლების შუა პერიოდში შეცვალა და რამდენიმე დამატებითი საკომპენსაციო მანდატიც გამოჰყო პარტიისთვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი რამ მოხდებოდა. თუმცა, ამ საკითხის მიმართ გამოთქმული ბევრი კრიტიკა პრაქტიკაში ნაკლებად პრობლემური აღმოჩნდა. ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემებით გამართულმა არჩევნებმა, რაც ირლანდიის რესპუბლიკასა და მალტაში არსებობს, შედარებით უფრო სტაბილური და ლეგიტიმური მთავრობა მოიტანა შედეგად, რომელიც ერთი ან ორი ძირითადი პარტიისგან შედგებოდა.

თუმცა, ამ კრიტიკიდან ბევრი პრაქტიკაში ნაკლებად ხელისშემშლელი აღმოჩნდა. ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემის მიხედვით განხორციელებული არჩევნების დროს ირლანდიის რესპუბლიკამ და მალტამ შედარებით სტაბილური, ლეგიტიმური მთავრობები შექმნეს, რომლებიც ერთი ან ორი ძირითადი პარტიისგან შედგება.

**მაგალითი: ავსტრალიის ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემა**

ავსტრალიაში ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემა ზედა პალატის (სენატის) არჩევნების დროს გამოიყენება.

უმალეს საკანონმდებლო ორგანოში არჩევის მიზნით კანდიდატებმა ხმების სპეციფიური პროპორცია, ანუ კვოტა უნდა დააგროვონ. კვოტა ნამდვილი ბიულეტენების მთლიანი ოდენობის მანდატების რაოდენობაზე ერთის დამატებით მიღებულ ციფრზე გაყოფით და საბოლოო შედეგზე ერთის დამატებით მიიღება.

$$\frac{\text{ნამდვილი ხმების რაოდენობა}}{\text{მანდატების რაოდენობა} + 1} + 1 = \text{კვოტა}$$

შემდეგ მაგალითში სამი მანდატია შესავსები. ნამდვილი ხმების მთლიანი რაოდენობაა 2,400 ხმა.

კვოტის შერჩევა შემდეგნაირად ხდება:  $2400 / (3 + 1) + 1 = 601$

ამის შემდეგ ხდება ყველა ნამდვილი ბიულეტენის შემოწმება და დაითვლება ყოველი კანდიდატის მიერ მიღებული პირველი უპირატესობები. ხმების პირველი გადანაწილების შედეგები:

ლურჯი	240	ყვითელი	140
წითელი	550	ყავისფერი	590
მწვანე	730	სტაფისლოსფერი	150

მწვანე ერთადერთი კანდიდატია, რომელმაც 601 კვოტა იმთავითვე გადალახა და შესაბამისად, არჩეულ იქნა. ქვოტის ზემოთ მიღებულ 129 ხმას ჭარბი ხმები ეწოდება. 129 ჭარბი ხმა დანარჩენ კანდიდატებს გადაეცემა "გადაცემის წონით".

ბიულეტენის «გადაცემის წონა» გამოითვლება ჭარბი ხმების ბიულეტენების იმ მთლიან რაოდენობაზე გაყოფით, რომელიც არჩეულმა კანდიდატმა მიიღო. ფორმულა შემდეგნაირად გამოიყურება:

$$\frac{\text{ჭარბი ხმების რაოდენობა}}{\text{მწვანის მიერ პირველ უპირატესობად მიღებული ხმების მთლიანი რაოდენობა}} = \frac{129}{730}$$

აქედან გამომდინარე, მწვანის ხმების გადაცემის წონაა 0.177.

ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი აჩვენებს მეორე უპირატესობების რაოდენობას, რომელიც კანდიდატებმა მიიღეს მწვანის 730 ბიულეტენზე.

ლურჯი	100	ყავისფერი	150
წითელი	400	სტაფისლოსფერი	60
ყვითელი	20		

ამ ბიულეტენების რაოდენობა შემდეგ მრავლდება «გადაცემის წონაზე» და ემატება ქვემოთ ნაჩვენებ პირველი პრეფერენციების მთლიან ოდენობას:

	მეორე უპირატესობა X გადაცემის წონაზე	=	გადაცემული ხმები	+	პირველი უპირატესობის ხმები	=	ახალი ჯამი
ლურჯი	100 X 0.177	=	18	+	240	=	258
წითელი	400 X 0.177	=	71	+	550	=	621
ყვითელი	20 X 0.177	=	3	+	140	=	143
ყავისფერი	150 X 0.177	=	26	+	590	=	616
სტაფილოსფერი	60 X 0.177	=	11	+	150	=	161

ახლა უკვე ნითელმა და ყავისფერმა კანდიდატებმაც მიაღწიეს კვოტას და ამით უკვე სამი მანდატი გადანაწილდა. თუ ჭარბი ხმების გადაცემის შემდეგ მაინც არ შეივსება ყველა მანდატი, მაშინ ყველაზე ნაკლები ხმების რაოდენობის მქონე კანდიდატი გამოეთიშება დათვლის პროცესს. გამოთიშული კანდიდატის ბიულეტენები უპირატესობების მიხედვით გადანაწილდება სხვა კანდიდატებზე ხმების სრული წონის მიხედვით. გამოთიშული კანდიდატების უპირატესობების გადანაწილება გრძელდება, სანამ საჭირო რაოდენობის სენატორების არჩევა არ მოხდება.

## **პროპორციული წარმომადგენლობის ელემენტები**

### **ოლქის სიდიდე (მაგნიტუდა)**

საარჩევნო სპეციალისტები თითქმის ყოველთვის თანხმდებიან, რომ საარჩევნო სისტემების მიერ პროპორციულად მიღებული ხმების მანდატებად გარდასახვის დროს ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ოლქის სიდიდეა, რაც ყოველ საარჩევნო ოლქში ასარჩევი წევრების რაოდენობას ნიშნავს. ისეთი სისტემის დროს, როგორცაა უბრალო უმრავლესობა, ალტერნატიული კენჭისყრა ან ორტურიანი სისტემა, ოლქის მაგნიტუდა ერთს წარმოადგენს: ამომრჩეველი ერთ წარმომადგენელს ირჩევს. ამისგან განსხვავებით, პროპორციული წარმომადგენლობის სისტემების, ზოგიერთი პლურალურ/მაჟორიტარული სისტემებისა (მაგ., ბლოკური კენჭისყრა და პარტიული ბლოკური კენჭისყრა) და ზოგიერთი სხვა სისტემის შემთხვევაში (მაგ, შეზღუდული კენჭისყრა და ერთადერთი არაგადაცემადი ხმის სისტემა) აუცილებელია საარჩევნო ოლქების არსებობა, რომელშიც ერთზე მეტი წევრის არჩევა იქნება შესაძლებელი. ნებისმიერ პროპორციულ სისტემაში ყოველ ოლქში ასარჩევი წევრების რაოდენობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, თუ რამდენად პროპორციული იქნება არჩევნების შედეგები.

სისტემები, რომელიც პროპორციულობის ყველაზე მაღალ ხარისხს აღწევს ძალიან დიდი ზომის ოლქებს იყენებს, ვინაიდან ასეთი ოლქები საკანონმდებლო ხელისუფლებაში ძალიან მცირე პარტიების წარმომადგენლობასაც კი უზრუნველყოფს. უფრო მცირე ოლქებში ეფექტური ბარიერი უფრო მაღალია. მაგალითად, ოლქში, სადაც მხოლოდ სამი წევრი უნდა აირჩეს, პარტიამ სულ მცირე ხმების 25%+1 უნდა მიიღოს მანდატის მოსაპოვებლად. პარტიას, რომელსაც ელექტორატის მხოლოდ 10% მხარდაჭერა აქვს, თითქმის არ აქვს მანდატის მოპოვების შანსი და ამ პარტიის მხარდაჭერთა ხმები, შეიძლება ითქვას, გაცდენილია. ამისგან განსხვავებით, ცხრამანდატიან ოლქში 10%+1 ხმა პარტიას სულ მცირე ერთი მანდატის მოპოვების გარანტიას აძლევს.

პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ოლქების ზრდასთან ერთად – როგორც მანდატების რაოდენობის, ასევე მის შედეგად გეოგრაფიული ზომის ზრდასთან ერთად – კავშირი არჩეულ წევრსა და მის ელექტორატს შორის უფრო სუსტდება. ამას შესაძლოა სერიოზული შედეგები მოჰყვეს იმ საზოგადოებაში, სადაც ადგილობრივი ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკაში ან სადაც ამომრჩეველი მისი წარმომადგენლისგან ელექტორატთან ძლიერი კავშირის შენარჩუნებას და საკანონმდებლო ორგანოში მათი დელეგატის როლის შესრულებას მოელის.

ამის გამო არაერთი განხილვა მიმდინარეობს ოლქის საუკეთესო სიდიდის შესახებ. სწავლულთა უმეტესობა თანხმდება ისეთი ოლქის სიდიდეზე, რომელიც მოიცავს სამიდან შვიდ მანდატს. ასევე არსებობს მოსაზრება, რომ პრაქტიკაში უკეთ მუშაობს მანდატების კენტი რაოდენობა – სამი, ხუთი თუ შვიდი, განსაკუთრებით ორპარტიული სისტემის დროს. თუმცა, ეს მხოლოდ უხეში ჩარჩოა და არსებობს ბევრი სიტუაცია, სადაც მანდატების უფრო დიდი რაოდენობაა სასურველი და საჭირო დამაკმაყოფილებელი პროპორციული წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად. ბევრ ქვეყანაში საარჩევნო ოლქები უკვე არსებულ ადმინისტრაციულ დანაყოფებს მიჰყვება – რეგიონებისა თუ პროვინციების საზღვრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ზომა მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება. ამიტომაც, არჩევნებისთვის საზღვრების დადგენის საჭიროება აღარ იქმნება და საშუალებას იძლევა საარჩევნო ოლქების საზღვრები დაუკავშირდეს არსებულ და მიღებულ დასახლებებს.

რადიკალურად განსხვავებული რაოდენობა ასევე ექსტრემალურ შედეგებს წარმოქმნის. ერთის მხრივ, მთელი ქვეყანა შეიძლება ერთ საარჩევნო ოლქად ჩაითვალოს, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევნებისთვის საჭირო ხმების ოდენობა ძალიან ცოტაა და ყველა პატარა პარტიას შეუძლია არჩევნების მოგება. ისრაელში, მაგალითად, მთელი ქვეყანა ერთ ოლქადაა მიჩნეული, რომელიც 120 მანდატს ირჩევს. ეს ნიშნავს, რომ არჩევნების შედეგები მაღალპროპორციულია, მაგრამ ასევე ნიშნავს, რომ პარტიები, რომლებმაც ხმათა მცირე რაოდენობა დააგროვეს, ასევე იქნებიან წარმოდგენილები და რომ კავშირი ამომრჩეველსა და გეოგრაფიულ არეალს შორის

ძალიან სუსტია. მეორეს მხრივ, პროპორციული წარმომადგენლობის სისტემები შესაძლოა ისეთ დროსაც იქნას გამოყენებული, როცა საარჩევნო ოლქის სიდიდე მხოლოდ ორ მანდატს მოიცავს. მაგალითად, სიითი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა ჩილეში ორმანდატიან ოლქში გამოიყენება. როგორც მაგალითი აჩვენებს, შედეგები საკმაოდ არაპროპორციულია, ვინაიდან ყველა ოლქის მანდატებს მხოლოდ ორი პარტია იღებს. ამით პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის სარგებელი ეჭვქვეშ დგება წარმომადგენლობისა და ლეგიტიმურობის თვალსაზრისით.

ეს რადიკალურად განსხვავებული მაგალითები გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ოლქის ზომა პროპორციული წარმომადგენლობის სისტემისა თუ სხვა სისტემების გამოყენებისას. ერთადერთი არაგადაცემადი ხმის სისტემა, მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ პროპორციულ ფორმულას არ წარმოადგენს, შედარებით უფრო ზომიერ პროპორციულ შედეგებს იძლევა სწორედ იმიტომ, რომ მრავალმანდატიან ოლქებში გამოიყენება.

ამის მსგავსად, ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემა, ერთმანდატიან ოლქში გამოყენებისას ალტერნატიული კენჭისყრის სისტემად გადაიქცევა, რომელიც ერთადერთი გადაცემადი ხმის სისტემის გარკვეულ უპირატესობებს ინარჩუნებს, მაგრამ არა მის პროპორციულობას. პარტიული ბლოკური კენჭისყრისა და ბლოკური კენჭისყრის სისტემის შემთხვევაში ოლქის სიდიდის ზრდის მიუხედავად, პროპორციულობის მაჩვენებელი მაინც დაბალია. შესაჭამებლად უნდა ითქვას, რომ საარჩევნო სისტემის შექმნის დროს ოლქის სიდიდე მნიშვნელოვანი ფაქტორია სისტემის პრაქტიკაში მოქმედების, ამომრჩეველსა და წარმომადგენელს შორის კავშირის სიძლიერისა და არჩევნების შედეგების პროპორციულობის თვალსაზრისით.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის ზომა (წარმატებული კანდიდატების საშუალო რაოდენობა პარტიიდან იმავე საარჩევნო ოლქში) მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, თუ ვინ იქნება არჩეული. თუ ოლქში პარტიის მხოლოდ ერთი კანდიდატი იქნება არჩეული, ეს კანდიდატი ალბათ უფრო მამაკაცი და ოლქში მაცხოვრებელი ეთნიკური ან სოციალური უმრავლესობის წარმომადგენელი იქნება. თუ ორი ან მეტი კანდიდატი აირჩევა, მაშინ უფრო მეტია ბალანსის შანსი და ქალებსა და უმცირესობებს უფრო მეტი შესაძლებლობები მიეცემათ. დიდ ოლქებში (შვიდი ან მეტი მანდატის შემთხვევაში) და პარტიების შედარებით მცირე რაოდენობის დროს პარტიის ზეგავლენა გაცილებით უფრო გაიზრდება.

## ბარიერი

ყველა საარჩევნო სისტემას წარმომადგენლობის ბარიერი აქვს: ესაა მხარდაჭერის მინიმალური ზღვარი, რომელიც პარტიას ესაჭიროება საკანონმდებლო ორგანოს მანდატების მოსაპოვებლად. ეს ბარიერი შეიძლება კანონის მეშვეობით დაწესდეს (ფორმალური ბარიერი) ან საარჩევნო სისტემის მათემატიკური მახასიათებლის სახით არსებობდეს (ეფექტური ან ბუნებრივი ბარიერები).

ფორმალური ბარიერი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის განმსაზღვრელ კონსტიტუციურ ან სხვა საკანონმდებლო რეგულაციებშია განწერილი. მაგალითად საქართველოს, გერმანიის, ახალი ზელანდიისა და რუსეთის შერეულ სისტემებში, ისევე როგორც უმრავლეს ქვეყნებში, პროპორციული წარმომადგენლობის შემთხვევაში 5% ბარიერია დადგენილი: პარტიები, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით ხმების 5% ვერ დააგროვებენ, პროპორციული სისტემებით მანდატებს ვერ მოიპოვებენ. ეს კონცეფცია გერმანიაში ექსტრემისტული დაჯგუფებების არჩევის შეზღუდვის მიზნით ჩამოყალიბდა და შექმნილია ძალიან მცირე პარტიების მიერ მანდატების მოპოვების თავიდან ასაცილებლად. თუმცა, როგორც გერმანიაში, ასევე ახალ ზელანდიაში ე.წ. “შემოვლითი” გზებიც არსებობს პარტიისთვის სიების მიხედვით მანდატების მოსაპოვებლად. ახალი ზელანდიის შემთხვევაში პარტიამ სულ მცირე ერთი მანდატი უნდა მოიპოვოს, ხოლო გერმანიაში კი სამი, რათა გადალახოს ბარიერის მოთხოვნები. რუსეთში 1995 წელს ეს შემოვლითი გზები არ არსებობდა და შესაბამისად პარტიული სიების ხმათა თითქმის ნახევარი უქმად დაიკარგა.

სხვა ადგილებში საკანონმდებლო ბარიერი 0.67%-დან (ჰოლანდია) 10%-მდე (თურქეთი) მერყეობს. მხარეები, რომლებიც ამ პროცენტულ მაჩვენებელზე ნაკლებ ხმებს დააგროვებენ, გამოეთიშებიან დათვლის პროცესს. ამისი შთამბეჭდავი მაგალითია 2002 წლის არჩევნები თურქეთში, სადაც ძალიან ბევრმა პარტიამ ვერ შეძლო 10%-იანი ბარიერის გადალახვა და ხმათა 46% უქმად დაიკარგა. ყველა ამ შემთხვევაში ფორმალური ბარიერის არსებობა ზრდის არაპროპორციულობის ზოგად დონეს, ვინაიდან იკარგება იმ პარტიების მხარდამჭერთა ხმები, რომლებიც სხვა შემთხვევაში გარკვეული მანდატების მოპოვებას შეძლებდნენ.

პოლონეთში 1993 წელს შედარებით დაბალი, პარტიებისთვის 5% ბარიერისა და კოალიციებისთვის 8% ბარიერის არსებობის დროსაც პარტიებისა და კოალიციების მიერ დაგროვილი ხმების 34% დაიკარგა.



ეფექტური, დაფარული ან ბუნებრივი ბარიერი საარჩევნო სისტემების მათემატიკური გათვლის შედეგად იქმნება და მათ შორის ყველაზე ეფექტური საარჩევნო ოლქის სიდიდეა. მაგალითად, ოლქში, სადაც პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის ფარგლებში ოთხი მანდატი გამოყოფილი, არჩეული იქნება ნებისმიერი კანდიდატი, რომელიც ხმების 20%-ზე მეტს დააგროვებს, ხოლო არჩევის ნაკლები შანსი აქვს კანდიდატს, რომელიც ხმების 10% ნაკლებს დააგროვებს (ზუსტი ციფრი დამოკიდებულია პარტიების, კანდიდატებისა და ხმების კონფიგურაციაზე).

### **ღია, დახურული და თავისუფალი სიები**

იმის გამო, რომ სიითი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა ეფუძნება პრინციპს, რომლის მიხედვითაც პარტიასა თუ პოლიტიკურ ჯგუფს კანდიდატების წარმოდგენის საშუალება ეძლევა, იგივე სისტემით შესაძლებელია ამომრჩეველსაც მიეცეს კანდიდატებსა და პარტიებს შორის არჩევის გარკვეული ხარისხი. ძირითადად სამი ვარიანტიდან შეიძლება არჩევა – ღია, დახურული და თავისუფალი სიებიდან.

სიითი პროპორციული წარმომადგენლობის უმრავლესობა დახურულ სისტემას წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ასარჩევი კანდიდატების რიგითობა ფიქსირებულია თავად პარტიის მიერ და ამომრჩეველს არ შეუძლია რომელიმე კონკრეტული კანდიდატის მიმართ პრეფერენციის გამოხატვა. ამის კარგი მაგალითია სიითი პროპორციული წარმომადგენლობა, რომელიც სამხრეთ აფრიკაში გამოიყენება. ბიულეტენზე მოცემულია პარტიების დასახელება და სიმბოლოები, ასევე პარტიის ლიდერის სურათი. ცალკეული კანდიდატების სახელები ჩამოთვლილი არ არის. ამომრჩეველი უბრალოდ სასურველ პარტიას ირჩევს, ხოლო ცალკეული კანდიდატები პარტიების მიერ წინასწარაა შერჩეული. ეს ნიშნავს, რომ პარტიებს შეუძლიათ ისეთი კანდიდატებიც ჩასვან სიაში, რომელთა სხვაგვარად არჩევის შანსი შედარებით ნაკლებია (მაგ., უმცირესობათა წარმომადგენლები ან ქალები).

დახურული სიების ნაკლოვანი მხარეა ის, რომ ამომრჩეველს არ შეუძლია თავად განსაზღვროს, ვინ იქნება მისი პარტიის წარმომადგენელი. დახურული სიები მოვლენების სწრაფ ცვლილებებზე რეაგირების საშუალებასაც არ იძლევა. აღმოსავლეთ გერმანიის გაერთიანებამდე არჩევნების დროს, 1990 წელს, არჩევნებამდე სულ რაღაც 4 დღით ადრე გამოვლინდა, რომ ერთ-ერთი პარტიის ყველაზე მაღალი რანგის კანდიდატი საიდუმლო პოლიციის აგენტი იყო და დაუყოვნებლივ გაირიცხა პარტიიდან. თუმცა, იმის გამო, რომ სია დახურული იყო, ამომრჩეველს, რომელსაც მისი ყოფილი პარტიის მხარდაჭერა სურდა, მაინც მოუწია ამ პიროვნების სასარგებლოდ ხმის მიცემა.

დასავლეთ ევროპის ბევრი ქვეყანა სიითი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის დროს ღია სიას იყენებს, რომელშიც ამომრჩეველს არამხოლოდ მისი სასურველი პარტიის, არამედ პარტიის შიგნით სასურველი კანდიდატის შერჩევის უფლებაც აქვს. ამ სისტემებიდან უმრავლესობაში არჩევითაა პარტიისა და კანდიდატისთვის კენჭისყრა და იმის გამო, რომ ამომრჩეველთა უმეტესობა პარტიებს უფრო უჭერს მხარს, ვიდრე კანდიდატებს, კანდიდატის შერჩევის შესაძლებლობას ხშირად შეზღუდული ეფექტი აქვს. თუმცა, შვედეთში ამომრჩეველთა 25% რეგულარულად ირჩევს არა მხოლოდ პარტიას, არამედ კანდიდატსაც და ყოველთვის ხდება რამდენიმე ისეთი ადამიანის არჩევა, რომელიც მანდატს ვერ მოიპოვებდა სია რომ დახურული ყოფილიყო.

ბრაზილიაში და ფინეთში ამომრჩეველი კანდიდატებს უყრის კენჭს: პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა დამოკიდებულია მისი კანდიდატების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობაზე, ხოლო ამ კანდიდატების მიერ პარტიის მანდატების დანაწილება მათ მიერ მიღებული ხმების საფუძველზე ხდება. ეს მეთოდი ამომრჩეველს სასურველი კანდიდატის არჩევის თავისუფლებას აძლევს, მაგრამ ამას გვერდითი მოვლენებიც ახასიათებს. ვინაიდან ერთი და იმავე პარტიის კანდიდატები ერთმანეთს ეჭიბრებიან ხმების მისაღებად, ამგვარი ღია სია ხშირად პარტიის შიდა კონფლიქტისა და ფრაგმენტაციის მიზეზი ხდება. ეს ასევე ნიშნავს, რომ გადანაწილი იქნება პარტიის პოტენციური სარგებელი, რომელიც მრავალფეროვანი კანდიდატებისგან შემდგარ სიას მოაქვს. მაგალითად, შრი ლანკაში ღია სიითი პროპორციული წარმომადგენლობის დროს სიპალესის უმრავლესობების პარტიები ტამილის უმცირესობების წარმომადგენლებს საკუთარ სიებში მომგებიანი პოზიციების კანდიდატებად სვამენ, რაც არაეფექტური გამოდგა, ვინაიდან ბევრი ამომრჩეველი მაინც დაბალ პოზიციებზე მყოფ სიგალის კანდიდატებს აძლევს ხმას. კოსოვოში დახურულიდან ღია სიაზე გადასვლამ გააძლიერა უფრო ექსტრემისტული კანდიდატების ჩართულობა. ამის მსგავსად, ღია სიები ხანდახან არამომგებიანია ძლიერ პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალების წარმომადგენლობის მხრივ. თუმცა, პოლონელმა ამომრჩევლებმა ღია სიების გამოყენების დროს მზაობა გამოთქვეს უფრო მეტად აერჩიათ ქალები, რაც არ მოხდებოდა პარტიების დახურული სიების შემთხვევაში.

რამდენიმე იურისდიქციაში სხვა საშუალებებიც გამოიყენება, რათა ღია სიითი სისტემები უფრო მოქნილი გახდეს. მაგალითად, ლუქსემბურგსა და შვეიცარიაში ამომრჩეველს იმდენივე ხმის უფლება აქვს, რამდენი მანდატიცაა შესავსები და საკუთარი მოსაზრების მიხედვით თავად შეუძლიათ ამ ხმების კანდიდატების მიხედვით დანაწილება ან ერთი პარტიის სიაში, ან რამდენიმე პარტიულ სიას შორის. ერთზე მეტი კანდიდატისთვის ხმის მიცემა სხვადასხვა პარტიული სიიდან, ან ერთზე მეტი ხმის მიცემა რომელიმე კონკრეტული ძლიერი სასურველი კანდიდატისთვის, ამომრჩეველს დამატებითი კონტროლის საშუალებას აძლევს და თავისუფალი სიითი სისტემის კატეგორიაში შედის.

## **საარჩევნო შეთანხმება**

მაღალეფექტური ბარიერი მცირე პარტიების დისკრიმინაციას იწვევს და ხშირად სწორედ ესაა ბარიერის დაწესების მიზანიც. მაგრამ ბევრ შემთხვევაში მცირე პარტიების მიმართ დისკრიმინაცია არასასურველად მიჩნეული; განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, სადაც მსგავსი მხარდამჭერთა ბაზის მქონე რამდენიმე მცირე პარტია იყოფს კომბინირებულ ხმებს და შესაბამისად ბარიერის ქვემოთ აღმოჩნდება, ხოლო ამ დროს ერთი დაკავშირებული ჯგუფი ხმების საკმარის კომბინირებულ რაოდენობას მიიღებს, რათა საკანონმდებლო ორგანოს მანდატები მოიპოვოს. ამ პრობლემის მოგვარების მიზნით ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც სიით პროპორციულ წარმომადგენლობას იყენებს, მცირე პარტიებს ასევე აძლევს საშუალებას საარჩევნო მიზნით დაჯგუფდნენ და ამგვარად, არჩევნებში მონაწილეობისთვის შექმნან კარტელი/ბლოკი – ანუ, საარჩევნო შეთანხმება (ფრანგულად *apparentement* ან ჰოლანდიურად *stembusaccoord*). ეს ნიშნავს, რომ თავად პარტიები ცალკეულ ერთეულებად რჩებიან და ბიულეტენში ცალკე ერთეულად ირიცხებიან, მაგრამ ყოველი მათგანის მიერ მიღებული ხმა მთელი ბლოკის საკუთრებად ითვლება და ამგვარად იზრდება შანსი, რომ ეს კომბინირებული ხმები მათ ბარიერის გადალახვაში დაეხმარება და სავარაუდოდ დამატებითი მანდატების მოპოვებას შეძლებენ. ამგვარი მეთოდი ევროპას, ლათინურ ამერიკასა (სადაც გაერთიანებულ პარტიას/ბლოკს ლემა ეწოდება) და ისრაელში გამოიყენება სიითი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის დროს. თუმცა, ასეთი მეთოდი იშვიათია აფრიკასა და აზიაში, ხოლო ინდონეზიაში 1999 წელს გაუქმდა მას შემდეგ, რაც ზოგიერთმა პატარა პარტიამ აღმოაჩინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბლოკმა ზოგადად მიიღო მანდატები, მათ, როგორც პარტიებმა ეს მანდატები დაკარგეს.

## **შერეული საარჩევნო სისტემები**

შერეული საარჩევნო სისტემები პლურალურ/მაჟორიტარული და პროპორციული წარმომადგენლობის საარჩევნო სისტემების დადებითი მახასიათებლების კომბინაციას ცდილობს. შერეულ სისტემაში ორი საარჩევნო სისტემაა, რომელიც განსხვავებულ ფორმულას იყენებს. ხმას ერთი და იგივე ამომრჩეველი აძლევს და წარმომადგენლებს ორივე სისტემის მიხედვით ირჩევს. ერთ-ერთი სისტემა პლურალურ/მაჟორიტარული სისტემაა (ან “სხვა” სისტემა), ჩვეულებრივ ერთმანდატიანი ოლქის სისტემა, ხოლო მეორე სიითი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემაა. შერეული სისტემის ორი ფორმა არსებობს. როცა ორი სახის არჩევნების შედეგების დაკავშირება ხდება, სადაც მანდატების მინიჭება პროპორციული წარმომადგენლობის დონეზე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოხდება პლურალურ/მაჟორიტარულ ოლქის მანდატებთან დაკავშირებით და ხდება ამ ეტაპზე წარმოქმნილი ნებისმიერი პროპორციის დარღვევის კომპენსაცია, ამ სისტემას შერეული წევრობის პროპორციული სისტემა ეწოდება. იქ, სადაც არჩევნების ორი მიმდინარეობა განცალკევებული და განსხვავებულია და ერთმანეთზე დამოკიდებული არ არის მანდატების გამოყოფასთან დაკავშირებით, ამ სისტემას პარალელური სისტემა ეწოდება. შერეული წევრობის პროპორციული სისტემა ზოგადად თანაბომიერ შედეგებს წარმოქმნის, ხოლო პარალელურ სისტემას ისეთი შედეგები მოჰყვება, რომელიც თანაბომიერად პლურალურ/მაჟორიტარულ და პროპორციული წარმომადგენლობის სისტემებს შორისაა.

## **შერეული წევრობის პროპორციული სისტემა (MMP)**

შერეული წევრობის პროპორციული სისტემის ფარგლებში პროპორციული წარმომადგენლობის მანდატები გაიცემა იმ არათანაბომიერების აღმოსაფხვრელად, რომელიც საოლქო მანდატების შედეგებიდან წარმოიშვა, მაგალითად, თუ ერთი პარტია ქვეყნის მასშტაბით ხმების 10% დააგროვებს, მაგრამ ოლქში მანდატებს ვერ მოიპოვებს, მაშინ მას პროპორციული წარმომადგენლობის სიებიდან საკმარისი მანდატები გადაეცემა, რათა საკანონმდებლო ხელისუფლებაში მისი წარმომადგენლობა

მანდატების 10% ფლობდეს. ამომრჩეველს შესაძლოა ორი ცალკეული არჩევანი მიეცეს, როგორც ეს გერმანიასა და ახალ ზელანდიაში ხდება. გარდა ამისა, ამომრჩეველმა შესაძლოა მხოლოდ ერთი არჩევანი გააკეთოს, სადაც პარტიის ხმების მთლიანი რაოდენობა გამოითვლება ინდივიდუალური საოლქო კანდიდატების ხმების მთლიანი ოდენობიდან გამომდინარე.

ცხრილი N4: ქვეყნები, რომელიც შერეული წევრობის პროპორციულ სისტემას იყენებენ

ქვეყანა	პროპორციული წარმომადგენლობითი მანდატების რაოდენობა	პლურალურ/ მაჟორიტარული (ან სხვა) მანდატების რაოდენობა	პლურალურ/ მაჟორიტარული (ან სხვა) სისტემა	მანდატების საერთო რაოდენობა
ბოლივია	62 (48%)	68 (52%)	უბრალო უმრავლესობის სისტემა	130
გერმანია	332 (52,6%)	299 (47,4%)	უბრალო უმრავლესობის სისტემა	631
უნგრეთი	93 (46,7%)	106 (53,3%)	უბრალო უმრავლესობის სისტემა	199
ლესოტო	40 (33%)	80 (67%)	უბრალო უმრავლესობის სისტემა	120
მექსიკა	200 (40%)	300 (60%)	უბრალო უმრავლესობის სისტემა	500
ახალი ზელანდია	50 (41,6%)	70 (58,3%)	უბრალო უმრავლესობის სისტემა	120
ჭიბუტი	13 (20%)	52 (80%)	ბლოკური კენჭისყრა	65

ქვეყანა პროპორციული წარმომადგენლობითი მანდატების შერეული წევრობის პროპორციული სისტემა გამოიყენება ბოლივიაში, გერმანიაში, უნგრეთში, ლესოტოში, მექსიკაში, ჭიბუტსა და ახალ ზელანდიაში. ყველა ამ ქვეყანაში, გარდა ერთისა საოლქო მანდატები უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემის მიხედვით აირჩევა. ჭიბუტი ბლოკური კენჭისყრის სისტემას იყენებს. მექსიკაში სიითი პროპორციული წარმომადგენლობის 300 მანდატი აკომპენსირებს იმ დისბალანსს, რომელიც 200 უბრალო უმრავლესობით არჩეული მანდატი ქმნის და რაც ჩვეულებრივ მაღალია. ლესოტოს პოსტ-კონფლიქტური საარჩევნო სისტემა უბრალო უმრავლესობით ასარჩევ 80 მანდატს და 40 საკომპენსაციო მანდატს მოიცავს.

მიუხედავად იმისა, რომ შერეული წევრობის პროპორციული სისტემა თანაბარზომიერ შედეგებს წარმოქმნის, ასევე შესაძლებელია, რომ ერთმანდატიან ოლქებში უთანასწორობა იმდენად მაღალი იყოს, რომ სიითი მანდატები მის სრულად კომპენსაციას ვერ ახდენდეს. ეს უფრო მეტად შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა პროპორციული წარმომადგენლობის საარჩევნო ოლქები ქვეყნის მასშტაბით კი არა, რეგიონულ ან პროვინციის დონეზე განსაზღვრული. აქედან გამომდინარე პარტიას შეუძლია უფრო მეტი პლურალურ/მაჟორიტარული მანდატების მიღება რეგიონში, ვიდრე მას პარტიის კენჭისყრა მისცემდა საშუალებას რეგიონში. ამის მოსაგვარებლად პროპორციულობის მიმართ მიდგომა შესაძლებელია, თუ საკანონმდებლო ორგანოს ზომა ცოტათი გაიზრდება: დამატებით მანდატებს «ზემანდატები» (Überhangsmandaten) ეწოდებათ. ასეთი სცენარი გერმანიის არჩევნების უმეტესობის დროს განმეორდა და ასევე შესაძლებელია ახალ ზელანდიაშიც. ამისგან განსხვავებით ლესოტოში საკანონმდებლო ხელისუფლების ზომა ფიქსირებულია და შერეული წევრობის პროპორციული სისტემით არჩევნები 2002 წელს სრულად პროპორციული არ იყო.

**უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები.** შერეული წევრობის პროპორციული სისტემა პროპორციული წარმომადგენლობის სისტემებისთვის დამახასიათებელ სასარგებლო მახასიათებლებს ატარებს, მაგრამ იგი არჩეული წარმომადგენლების გეოგრაფიულ ოლქებთან კავშირის შენარჩუნებასაც უზრუნველყოფს. თუმცა, იმ შემთხვევაში, როცა ამომრჩეველს ორი ხმა აქვს – ერთი პარტიისა და მეორე ადგილობრივი წარმომადგენლისთვის – ყოველთვის გასაგები არ არის, რომ საკანონმდებლო ორგანოსთვის მანდატების მოპოვების თვალსაზრისით ადგილობრივი წარმომადგენლისთვის განკუთვნილი ხმა ნაკლებად მნიშვნელოვანია პარტიის ხმასთან მიმართებით. უფრო მეტიც, შერეული წევრობის პროპორციულ სისტემას კანონმდებელთა ორი კლასის შექმნა შეუძლია – ერთი ჭკუფი, რომელიც ძირითადად პასუხისმგებელი და ვალდებულია ამომრჩევლის წინაშე და მეორე, არჩეული პარტიის სიის მიხედვით, რომელსაც არ გააჩნია რაიმე გეოგრაფიული კუთვნილება და ვალდებულია პარტიის მიმართ. ამას შესაძლოა პარტიის არჩეულ წარმომადგენელთა ჭკუფების ერთსულოვნებაზე ჰქონდეს ზეგავლენა.

ამომრჩეველთა ხმების მანდატებად ინტერპრეტაციის დროს შერეული წევრობის პროპორციული სისტემა შესაძლოა იმდენადვე პროპორციული იყოს, როგორც წმინდა სიითი პროპორციული



წარმომადგენლობა და მას (ზემოთ აღწერილი) მრავალი უპირატესობა და ნაკლოვანი მხარეები ახასიათებს. თუმცა, ერთი მიზეზი, თუ რატომ მიიჩნევა შერეული წევრობის პროპორციული სისტემა ნაკლებად სასურველად, ვიდრე პირდაპირი სიითი პროპორციული წარმომადგენლობა არის ის, რომ მან შესაძლოა ე.წ. "სტრატეგიული კენჭისყრის" ანომალია გამოიწვიოს. 1996 წელს ახალ ზელანდიაში ველინგტონ ცენტრალის ამომრჩევლებთან ეროვნული პარტიის სტრატეგიაში მოსახლეობას მოუწოდეს არ მიეცათ ხმა ნაციონალისტური პარტიის კანდიდატისთვის, ვინაიდან მათ გამოთვალეს, რომ შერეული წევრობის პროპორციული სისტემის შემთხვევაში მისი არჩევა ნაციონალისტურ პარტიას დამატებით მანდატს კი არ მოუტანდა, არამედ უბრალოდ ჩაანაცვლებდა პარლამენტის იმ წევრს, რომელიც მათი პარტიული სიიდან უნდა ყოფილიყო არჩეული. აქედან გამომდინარე, მათივე კანდიდატის მხარდასაჭერად ხმების გაფლანგვის მაგივრად ნაციონალისტური პარტიისთვის უკეთესი იყო სხვა პარტიის კანდიდატის არჩევა (თუნდაც იმ პირობით, რომ ის კანდიდატი იზიარებდა ნაციონალისტური პარტიის იდეებსა და იდეოლოგიას).

### **პარალელური სისტემები (Parallel)**

პარალელური სისტემები ასევე იყენებს პროპორციული წარმომადგენლობისა და პლურალურ/მაჟორიტარულ კომპონენტებს, მაგრამ შერეული წევრობის სისტემებისგან განსხვავებით პროპორციული წარმომადგენლობის კომპონენტი არ ახდენს პლურალურ/მაჟორიტარულ ოლქებში წარმოქმნილი რაიმე უთანაბრობის კომპენსაციას. (პარალელურ სისტემაში არაპროპორციული წარმომადგენლობის კომპონენტი ასევე შესაძლოა "სხვა" სისტემებიდან გამომდინარეობდეს, როგორც ეს ტაივანში ხდება.) პარალელური სისტემის დროს, როგორც შერეული წევრობის სისტემაში ყოველი ამომრჩეველი სავარაუდოდ ერთ ბიულეტენს მიიღებს, რომელიც გამოიყენება როგორც კანდიდატის, ასევე მისი პარტიისთვის ხმის მისაცემად, როგორც ეს სამხრეთ კორეაში (კორეის რესპუბლიკა) ხდება. ასევე შესაძლებელია ორი ბიულეტენის მიღება – ერთი პლურალურ/მაჟორიტარული მანდატისთვის და ერთი პროპორციული წარმომადგენლობის მანდატისთვის. ასეთი მაგალითები გვხვდება იაპონიაში, ლიტვასა და ტაილანდში.

პარალელური სისტემები ამჟამად 21 ქვეყანაში გამოიყენება და საარჩევნო სისტემის დიზაინში უკვე თითქმის 15 წელია გვხვდება ალბათ იმიტომ, რომ ისინი ერთმანეთთან აკავშირებენ პროპორციული წარმომადგენლობის სიებისა და პლურალურ/მაჟორიტარული (და სხვა) წარმომადგენლობის სარგებელს. გვინეა (კონაკრი), იაპონია, სამხრეთ კორეა, პაკისტანი, ფილიპინები, რუსეთი, სეიშელი, ტაილანდი, სუდანი, ვენესუელა და უკრაინა უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემის ერთმანდატიან ოლქებს იყენებს სიით პროპორციულ წარმომადგენლობასთან ერთად, ხოლო საქართველო, ლიტვა და ტაჯიკეთი ორტურიან სისტემას იყენებენ მათი სისტემების ერთმანდატიანი ოლქების კომპონენტისთვის.

ანდორა და სენეგალი პარტიულ ბლოკურ კენჭისყრას იყენებენ რამდენიმე წარმომადგენლის ასარჩევად. მონაკო ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც პარალელურ სისტემაში ბლოკურ კენჭისყრას იყენებს. ტაივანიც ასევე ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ერთადერთი არაგადაცემადი ხმის სისტემას იყენებს პროპორციული წარმომადგენლობის კომპონენტთან ერთად.

ბალანსი პროპორციულ მანდატებსა და პლურალურ/მაჟორიტარულ მანდატებს შორის დიდად განსხვავდება (იხ. ცხრილი 5). მხოლოდ ანდორაში, პალესტინაში, რუსეთსა და უკრაინაში გვხვდება 50:50 დაყოფა. ერთი უკიდურესობის ამსახველი მაგალითია სამხრეთ კორეაში 253 მანდატის უბრალო უმრავლესობით და მხოლოდ 47 წევრის პროპორციული წარმომადგენლობით არჩევა. ამისი საპირისპირო უკიდურესი მაგალითია გვინეაში 76 მანდატის პროპორციულად და 38 მანდატის უბრალო უმრავლესობის ოლქების მეშვეობით არჩევა. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში ბალანსი გაცილებით უფრო ახლოა. მაგალითად, იაპონია წარმომადგენლების 60%-ზე ოდნავ მეტს ირჩევს ერთმანდატიანი ოლქებიდან, ხოლო დანარჩენი პროპორციული წარმომადგენლობის სიებით აირჩევა.

**უპირატესობები:** არათანაბრობის თვალსაზრისით პარალელური სისტემები ჩვეულებრივ ისეთ შედეგებს იძლევა, რომელიც წმინდა პლურალურ/მაჟორიტარულ და წმინდა პროპორციულ წარმომადგენლობით სისტემებს შორის თავსდება. ერთი უპირატესობა ისაა, რომ როცა პროპორციული წარმომადგენლობითი მანდატების საკმარისი ოდენობაა მოცემული, პატარა უმცირესობათა პარტიებს, რომლებმაც პლურალურ/მაჟორიტარულ არჩევნებში წარმატებას ვერ მიაღწიეს, მიღებული ხმებისთვის მაინც დასაჩუქრდებიან მანდატებით პროპორციული გადანაწილების დროს. გარდა ამისა, პარალელური სისტემა, თეორიულად უფრო ნაკლებად უნდა ანაწევრდეს პარტიის სისტემას, ვიდრე წმინდა პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა.

**ნაკლოვანი მხარეები:** როგორც შერეული წევრობის პროპორციის დროს, ასევე სავარაუდოა წარმომადგენლების ორი კლასის ჩამოყალიბება. ამას გარდა, პარალელური სისტემა მაინც ვერ იძლევა მთლიანი პროპორციულობის გარანტიას და ზოგიერთი პარტია შესაძლოა მაინც ვერ მოხვდეს საკანონმდებლო ხელისუფლებაში ხმების მნიშვნელოვანი ოდენობის მიღების მიუხედავად. პარალელური სისტემა შედარებით კომპლექსური ფენომენია და ამომრჩევლისთვის შესაძლოა დამაბნეველი იყოს საარჩევნო სისტემის მახასიათებლები და მოქმედების სფერო.

ცხრილი N5: ქვეყნები, რომლებიც პარალელურ სისტემებს იყენებენ

ქვეყანა	პროპორციული წარმომადგენლობითი მანდატების რაოდენობა	პლურალურ/ მაჟორიტარული (ან სხვა) მანდატების რაოდენობა	პლურალურ/ მაჟორიტარული (ან სხვა) სისტემა	მანდატების საერთო რაოდენობა
ანდორა	14 (50%)	14 (50%)	პარტიული ბლოკური კენჭისყრა	28
საქართველო	77 (51,3%)	73 (48,7%)	ორტურიანი სისტემა	150
გვინეა	76 (67%)	38 (33%)	უბრალო უმრავლესობის სისტემა	114
იაპონია	180 (37.9%)	295 (62.1%)	უბრალო უმრავლესობის სისტემა	475
კორეის რესპ.	47 (15,6%)	253 (84,3%)	უბრალო უმრავლესობის სისტემა	300
ლიბია	80 (40%)	120 (60%)	უბრალო უმრავლესობის სისტემა	200
ლიტვა	70 (50%)	71 (50%)	ორტურიანი სისტემა	141
მონაკო	8 (33%)	16 (67%)	ბლოკური კენჭისყრა	24
ნეპალი	335 (58,3%)	240 (41,7%)	უბრალო უმრავლესობის სისტემა	575
სუდანი	128 (30%)	213 (70%)	უბრალო უმრავლესობის სისტემა	426
პაკისტანი	70 (20%)	272 (80%)	უბრალო უმრავლესობის სისტემა	342
პალესტინა	66 (50%)	66 (50%)	უბრალო უმრავლესობის სისტემა	132
ფილიპინები	59 (20%)	238 (80%)	უბრალო უმრავლესობის სისტემა	297
რუსეთი	225 (50%)	225 (50%)	უბრალო უმრავლესობის სისტემა	450
სენეგალი	60 (40%)	90 (60%)	პარტიული ბლოკური კენჭისყრა	150
სეიშელი	8 (24,2%)	25 (75,8%)	უბრალო უმრავლესობის სისტემა	33
ტაივანი	34 (30%)	79 (70%)	ერთი არაგადაცემადი ხმა	113
ტაჯიკეთი	22 (35%)	41 (65%)	ორტურიანი სისტემა	63
ტაილანდი	100 (20%)	400 (80%)	უბრალო უმრავლესობის სისტემა	500
უკრაინა	225 (50%)	225 (50%)	უბრალო უმრავლესობის სისტემა	450
ვენესუელა	51 (31,1%)	113 (68,9%)	უბრალო უმრავლესობის სისტემა	164

## სხვა სისტემები

გარდა პლურალურ/მაჟორიტარული, პროპორციული წარმომადგენლობისა და შერეული სისტემებისა, არსებობს რამდენიმე სხვა სისტემა, რომელიც არც ერთ კატეგორიას არ განეკუთვნება. ამათ შორისაა ერთადერთი არაგადაცემადი ხმის სისტემა, შეზღუდული კენჭისყრა და ბორდას დათვლა. ეს სისტემები მიღებული ხმების მანდატებად ინტერპრეტაციას ისე ახდენენ, რომ პლურალურ/მაჟორიტარულ და პროპორციულ წარმომადგენლობას შორის ხვდებიან.

## ერთადერთი არაგადაცემადი ხმის სისტემა (SNTV)

ერთადერთი არაგადაცემადი ხმის სისტემის ფარგლებში თითოეული ამომრჩეველი ერთ ხმას აძლევს კანდიდატს, მაგრამ (უბრალო უმრავლესობის სისტემიდან განსხვავებით) საარჩევნო ოლქში ერთზე მეტი მანდატია გასანაწილებელი. ამ მანდატებს ინაწილებენ კანდიდატები, რომლებიც ხმათა უმრავლესობას დააგროვებენ.

ერთადერთი არაგადაცემადი ხმის სისტემა პოლიტიკურ პარტიებს გარკვეული გამოწვევის წინაშე აყენებს. მაგალითად, ოთხმანდატიანი ოლქის შემთხვევაში კანდიდატი, რომელიც ხმათა 20%-ზე ოდნავ მეტს დააგროვებს, აუცილებლად იქნება არჩეული. შესაბამისად, პარტიას, რომელიც ხმათა 50% დააგროვებს ოთხმანდატიან ოლქში, მოლოდინი ექნება, რომ მისი ორი კანდიდატი მანდატს მიიღებს: თუ თითოეული კანდიდატი 25% დააგროვებს, ეს ასე მოხდება კიდევ, მაგრამ თუ ერთი კანდიდატი ხმათა 40% მიიღებს, ხოლო მეორე 10%, მაშინ მეორე კანდიდატის არჩევა შესაძლოა ვერ მოხდეს. თუ პარტია სამ კანდიდატს წამოაყენებს, ხმების გახლეჩვის საშიშროებიდან გამომდინარე უფრო ნაკლებია პარტიის მიერ ორი მანდატის მოიპოვების შანსი.

დღესდღეობით ეს სისტემა საკანონმდებლო ხელისუფლების არჩევნებში გამოიყენება ავღანეთში, ქუვეითში, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, პიტკაირნის კუნძულებსა და ვანუატუზე, მეორე პალატის არჩევნებისთვის ინდონეზიასა და ტაილანდში, ასევე ტაივანის საკანონმდებლო ხელისუფლების პარალელური სისტემით 113 მანდატიდან აბორიგენების 6 წარმომადგენლის ასარჩევად. თუმცა, სისტემის ყველაზე ცნობილი გამოყენება იაპონიაში ხდებოდა 1948-1993 წლებში ქვედა პალატის არჩევნების დროს.

### უპირატესობები:

- ერთადერთი არაგადაცემადი ხმის სისტემასა და პლურალურ/მაჟორიტარულ სისტემას შორის ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ისაა, რომ ერთადერთი არაგადაცემადი ხმის სისტემა უფრო კარგად უზრუნველყოფს უმცირესობათა პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების წარმოდგენას. რაც უფრო დიდია ოლქი (მანდატების რაოდენობა მოსახლეობაზე), მით უფრო თანაბარზომიერი ხდება ეს სისტემა. იორდანიაში მან რამდენიმე პოპულარული არაპარტიული პრო-მონარქისტული კანდიდატის არჩევას შეუწყო ხელი, რაც ჩანასახის ეტაპზე მყოფი პარტიული სისტემის უპირატესობად იქნა მიჩნეული.
- სისტემა პარტიებს ორგანიზების მაღალი დონისკენ მოუწოდებს და ამომრჩეველს მიუთითებს ხმა მისცენ კანდიდატებს ისე, რომ მაქსიმალურად გაიზარდოს პარტიის მიერ მანდატების მიღების პოტენციალი. სისტემა ამომრჩეველს პარტიული სიის კანდიდატების შერჩევის საშუალებას აძლევს და როგორც ამბობენ, პროპორციული წარმომადგენლობის სისტემებისგან განსხვავებით ნაკლებად იწვევს პარტიის სისტემის ფრაგმენტაციას. 45-წლიანი გამოცდილებით იაპონიამ აჩვენა, რომ ეს ერთი პარტიის დომინანტობის სისტემაა.
- და ბოლოს, სისტემა ადვილად გასაგები და გამოსაყენებელია.

### ნაკლოვანი მხარეები:

- მცირე პარტია, რომლის ხმებიც ფართოდაა მიმოფანტული, შესაძლოა არც ერთი მანდატის მფლობელი არ გახდეს, ხოლო დიდმა პარტიამ შესაძლოა მანდატების მნიშვნელოვანი ბონუსი მიიღოს, რაც ხმების სიმრავლეს საკანონმდებლო ორგანოს აბსოლუტურ უმრავლესობად აქცევს. მიუხედავად იმისა, რომ სისტემის თანაბრობა შესაძლოა მრავალმანდატიან ოლქებში გასანაწილებელი მანდატების ოდენობის მომატებით გაიზარდოს, ეს ასუსტებს ამომრჩეველსა და არჩეულ წევრს შორის კავშირს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია გეოგრაფიული ოლქების მხარდამჭერთათვის. მაგალითად, ტაილანდში 18-წევრიანი მრავალმანდატიანი ოლქი ყველაზე დიდ მართვად ოლქს წარმოადგენს.
- ისევე, როგორც რამდენიმე კანდიდატის მიერ ერთი ხმისთვის ბრძოლის სისტემაში, შეიძლება წარმოიშვას პარტიის შიდა ფრაგმენტაცია და უთანხმოება. ეს შესაძლოა კლიენტელისტური პოლიტიკის ხელშეწყობის მიზეზიც გახდეს, სადაც პოლიტიკოსები ამომრჩეველთა განსაზღვრულ ჯგუფებს ერთგვარ ქრთამსაც თავაზობენ.
- პარტიებმა უნდა გაითვალისწინონ ისეთი კომპლექსური სტრატეგიული კითხვები, როგორცაა ნომინაცია და ხმების მართვა. ძალიან ბევრი კანდიდატის ნომინაცია ისევე არაეფექტური შეიძლება იყოს, როგორც ძალიან ცოტა კანდიდატის წარდგენა. ასევე უმნიშვნელოვანესია პარტიის მიერ საკუთარ ამომრჩეველთა დისციპლინირება ხმების პარტიის წევრებს შორის თანაბრად დანაწილებასთან დაკავშირებით.
- ვინაიდან ერთადერთი არაგადაცემადი ხმის სისტემა ამომრჩეველს მხოლოდ ერთ ხმას ანიჭებს, პოლიტიკურ პარტიებს ნაკლები სურვილი აქვთ ამომრჩეველთა ფართო სპექტრს მიმართონ მათი ინტერესების გათვალისწინების მიზნით. თუ პარტიებს საკმაო ოდენობის ძირითადი ამომრჩეველი ჰყავთ, მათ მანდატების მოპოვება “გარეშე” პირებთან მოლაპარაკების გარეშეც შეუძლიათ მიიღონ.
- სისტემა ხშირად ბევრი ხმის გაცდენას იწვევს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ნომინაციის დროს აუცილებელია ინკლუზიურობის დაცვა, რაც კანდიდატებს საკუთარი თავის წინ წამოწევის საშუალებას აძლევს.



## **შეზღუდული კენჭისყრა (LV)**

ისევე, როგორც ერთადერთი არაგადაცემადი ხმის შემთხვევაში, შეზღუდული კენჭისყრა პლურალურ/მაჟორიტარული სისტემაა, რომელიც მრავალმანდატიან ოლქებში გამოიყენება. ერთადერთი არაგადაცემადი ხმის სისტემისგან განსხვავებით ამ შემთხვევაში ამომრჩეველს ერთზე მეტი ხმა აქვს, მაგრამ უფრო ნაკლები ხმა, ვიდრე ასარჩევი კანდიდატია. ხმების დათვლა ერთადერთი არაგადაცემადი ხმის სისტემის მსგავსად მიმდინარეობს, სადაც საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატები მიიღებენ მანდატებს.

ეს სისტემა სხვადასხვა ადგილობრივი დონის არჩევნების დროს გამოიყენება, მაგრამ მისი ქვეყნის მასშტაბით გამოყენება მხოლოდ გიბრალტარსა და ესპანეთში ხდება, სადაც ის ესპანეთის უმაღლესი პალატის, სენატის ასარჩევად 1977 წლიდან გამოიყენება. ამ შემთხვევაში, როცა დიდი მრავალმანდატიანი ოლქები გვხვდება, ყოველ ამომრჩეველს იმაზე ერთით ნაკლები ხმა აქვს, ვიდრე ასარჩევი წევრების რაოდენობაა.

**უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები:** როგორც ერთადერთი არაგადაცემადი ხმის სისტემის შემთხვევაში, შეზღუდული კენჭისყრა ამომრჩევლისთვის ადვილად გასაგები და ადმინისტრაციისთვის ადვილად დასათვლელი სისტემაა. თუმცა, იგი უფრო ნაკლებად პროპორციულ შედეგებს წარმოშობს, ვიდრე ერთადერთი არაგადაცემადი ხმის სისტემა. ბევრი არგუმენტი პარტიის შიგნით შეჭიბრებასთან, პარტიის მენეჯმენტის საკითხებსა და კლიენტელისური პოლიტიკის განხორციელებასთანაა დაკავშირებული.

## **ბორდას დათვლა (BC)**

საარჩევნო სისტემის დიზაინის ყველაზე ბოლო და უნიკალური მაგალითია ბორდას დათვლა, რომელიც წყნარი ოკეანის პატარა სახელმწიფო ნაურუში გამოიყენება. ბორდას დათვლა პრეფერენციული საარჩევნო სისტემაა, რომლის დროსაც ამომრჩეველი კანდიდატებს ალტერნატიული კენჭისყრის მსგავსად რიგითობის მიხედვით ალაგებს. მისი გამოყენება როგორც ერთმანდატიან, ასევე მრავალმანდატიან ოლქებშიცაა შესაძლებელი. ხმების დათვლა მხოლოდ ერთხელ ხდება რაიმე გამოთიშვის გარეშე, ხოლო პრეფერენციების ტაბულაცია უბრალოდ “ფრაქციული ხმების” სახით ხდება: თანამედროვე ბორდას დათვლის დროს პირველი პრეფერენცია ერთ ქულას უდრის, მეორე – ნახევარს, მესამე – ერთ მესამედს და ა.შ. ეს ქულები ჯამდება და კანდიდატები, რომლებიც ყველაზე მაღალ ქულებს მიიღებენ, ცხადდებიან გამარჯვებულებად.

## **საარჩევნო სისტემების დონეები და ჰიბრიდული სისტემები**

ბევრი საარჩევნო სისტემა, როგორც პლურალურ/მაჟორიტარული, ასევე პროპორციული, წარმომადგენლობის ერთ დონეს მოიცავს: ქვეყნის ყველა ამომრჩეველი ხმას ერთხელ აძლევს და არჩეული წარმომადგენლების მხოლოდ ერთი ნაკრებია სახეზე. ერთდონიანი სიითი პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემების შემთხვევებში სიები შესაძლოა ეროვნულ დონეზე მომზადდეს, როგორც ეს ნამიბიასა და კოლანდიაში ხდება, ან რეგიონულ დონეზე, როგორც ფინეთსა და შვეიცარიაში.

შერეული სისტემების დროს წარმომადგენლების ორი დონე არსებობს – პლურალურ/მაჟორიტარული სისტემის მეშვეობით არჩეულები და პროპორციული სისტემით არჩეულები. უნგრეთში სამი დონეც კი გვხვდება: ორტონიანი სისტემით არჩეული ერთმანდატიანი ოლქების პლურალურ/მაჟორიტარული წარმომადგენლები და რეგიონულ და ეროვნულ დონეზე სიითი პროპორციული წარმომადგენლობის მეშვეობით არჩეული წარმომადგენლები.

საარჩევნო სისტემებისთვის ასევე დასაშვებია ორი ხასიათობრივად განსხვავებული დონის არსებობა. ორდონიანი პროპორციული სისტემის შემთხვევაში შესაძლებელია ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბის სიების (სამხრეთ აფრიკა), ან მხოლოდ რეგიონული სიების (დანია) არსებობა. ბრიტანული ვირჯინის კუნძულებზე ორდონიან პლურალურ/მაჟორიტარულ სისტემაში არიან წარმომადგენლები, რომლებიც ერთმანდატიან ოლქებში უბრალო უმრავლესობით არიან არჩეულები და წარმომადგენლები, რომლებიც მთლიანად კუნძულებზე ირჩევიან ბლოკური კენჭისყრის მეშვეობით.

ცხრილი N6: პროპორციული წარმომადგენლობის ვარიაციები

ამომრჩევლის არჩევანი			
დონეები	დახურული სია	ღია სია	თავისუფალი სია
ერთი: რეგიონული	მაგ., ესპანეთი, მაკედონია	ლატვია, ინდონეზია	შვეიცარია, ლუქსემბურგი
ერთი: ეროვნული	მაგ., ნამიბია, მოლდავეთი	ჰოლანდია	-
რამდენიმე	მაგ., სამხრეთ აფრიკა, ელ სალვადორი	შვედეთი, ისლანდია	-

საარჩევნო სისტემები, რომელთაც ორი ან მეტი დონე ახასიათებთ, უნდა განვასხვავოთ ჰიბრიდული სისტემებისგან, სადაც ქვეყნის ერთი ნაწილი მის წარმომადგენლებს ერთი საარჩევნო სისტემის გამოყენებით ირჩევს, ხოლო ქვეყნის მეორე, განსხვავებული ნაწილი კი სხვა სისტემის მიხედვით. პანამაში წარმომადგენელთა დაახლოებით ორი მესამედი მრავალმანდატიანი ოლქებიდან სიითი პროპორციული წარმომადგენლობის მეშვეობით აირჩევიან, ხოლო დარჩენილი მესამედი ერთმანდატიან ოლქებში უბრალო უმრავლესობის სისტემის გამოყენებით აირჩევიან.

**საარჩევნო სისტემის თვისებები**

ფიჯის საკონსტიტუციო სარევიზიო კომისიის<sup>2</sup> (CRC) ანგარიშში, იდენტიფიცირებული და გარკვეულწილად დეტალურად განხილული იქნა შემდეგი კრიტერიუმები საარჩევნო სისტემის შერჩევისთვის:

- მრავალენიკური მმართველობის ნახალისება;
- პოლიტიკური პარტიების როლის აღიარება;
- სტიმულები ეთნიკურ ჯგუფებს შორის მოდერაციისა და თანამშრომლობისთვის;
- ამომრჩეველთა ეფექტური წარმომადგენლობა;
- ამომრჩეველთა ეფექტური მონაწილეობა;
- უმცირესობათა და განსაკუთრებული ინტერესების მქონე ჯგუფების ეფექტური წარმომადგენლობა;
- სამართლიანობა პოლიტიკურ პარტიებს შორის;
- ეფექტური მთავრობა;
- ეფექტური ოპოზიცია;
- დადასტურებული ქმედუნარიანობა;
- და ლეგიტიმურობა.

ეს საკმაოდ შთამბეჭდავი ჩამონათვალი არავითარ შემთხვევაში არ არის ამომწურავი და მას მთელი რიგი აღსანიშნავი მახასიათებლები გააჩნია. უპირველეს ყოვლისა, ის წარმომადგენლობის პროპორციულობის, როგორც ფუნდამენტური კრიტერიუმის იდენტიფიცირებას არ ახდენს, თუმცა შეიძლება იმის თქმა, რომ პროპორციულობა, მეტნაკლებად, ჩადებულია რიგ ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებში. გარდა ამისა, ის მნიშვნელოვნად, თუმცა არა ექსკლუზიურად, ფოკუსირებულია იმაზე, რასაც შეიძლება სისტემის მაკრო-დონის ასპექტები ეწოდოს: მნიშვნელოვანწილად (თუმცა, ისევ და ისევ, არა ექსკლუზიურად), შესაძლებელია დებატების გამართვა იმაზე, თუ რომელი აღნიშნული კრიტერიუმი რამდენად დაკმაყოფილდა, უბრალოდ იმ ინფორმაციის საფუძველზე, თუ რამდენი ხმა მოიპოვა თითოეულმა პარტიამ ეროვნული მასშტაბით და რამდენი მანდატი მოიპოვა თითოეულმა პარტიამ.

სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მომენტი, რომელიც სათანადოდ არის აღიარებული ჩღჩ-ის მიერ, არის ის, რომ გარდაუვალია კომპრომისი სხვადასხვა კრიტერიუმებს შორის და რომ გამონვევა, რომლის წინაშეც ამ დროს იმყოფებოდა ფიჯი, ისეთი სისტემის შექმნაში მდგომარეობდა, რომელიც სხვადასხვა კრიტერიუმებს რაც შეიძლება ჰარმონიულად დააბალანსებდა. აღნიშნული რეალურად იმას ნიშნავდა, რომ უმთავრესი მნიშვნელობის მქონე კრიტერიუმი ლეგიტიმურობა იყო და ამ მხრივ CRC ნამდვილად მართალი გახლდათ: საზოგადოებაში, რომელიც კონფლიქტებისა და სტრესების მოგვარებას ცდილობს, საარჩევნო სისტემის უდიდესი თვისება არის ის, რომ ის ზოგადად მისაღები იყოს და ასეთი მისაღებობა შესაძლოა საკმარისი იყოს იმისთვის, რომ საარჩევნო სისტემის ვალიდაცია მოახდინოს, მისი დადასტურებული არსებითი ნაკლოვანებების მიუხედავად.

2 ფიჯის საკონსტიტუციო სარევიზიო კომისია The Fiji Islands – Towards a United Future, Suva, 1996, pp. 309-330.

თუმცა, ჩამონათვალს შეიძლება სხვა კრიტერიუმები დაემატოს, რომლებიც დამყარებულია იმის ანალიზზე, თუ როგორ შეიძლება ბიულეტენის სხვადასხვა სტრუქტურები და საარჩევნო ფორმულები ურთიერთქმედებდეს კონკრეტული ოლქის ფარგლებში. ბიულეტენის სტრუქტურისა და საარჩევნო ფორმულის ყველა კომბინაციას საკუთარი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. მაგალითად:

- ⇒ უბრალო უმრავლესობის სისტემას ის უარყოფითი მხარე გააჩნია, რომ როდესაც ორზე მეტი კანდიდატი მონაწილეობა, კანდიდატი შეიძლება არჩეული იქნას მაშინაც კი, როდესაც ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობა მას შეთავაზებული კანდიდატებიდან ყველაზე არასასურველად მიიჩნევს;
- ⇒ ალტერნატიული კენჭისყრის ფორმულას შეუძლია, გარკვეულ შემთხვევებში, პარტიას იმის სტიმული გაუჩინოს, რომ საკუთარი ხმების ბათილად ცნობის მიღწევას შეეცადოს დათვლის პროცესში<sup>3</sup>;
- ⇒ ალტერნატიული კენჭისყრის პირობებში, შესაძლებელია, რომ ორი მიყოლებით ჩატარებული არჩევნებისას, პირველ არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატი დამარცხდეს მეორე არჩევნებში, მიუხედავად იმისა, რომ მეორე არჩევნებში მომხდარი ერთადერთი ცვლილებაა ის, რომელიც ასარჩევ კანდიდატს უფრო და უფრო სასურველად განიხილავს;
- ⇒ ბორდას ფორმულის შესაბამისად, ამომრჩევლის მიერ მითითებულ უფრო დაბალ პრეფერენციებს შეუძლია იმის ალბათობა გაზარდოს, რომ ამომრჩევლისთვის ყველაზე სასურველი კანდიდატი დამარცხდება<sup>4</sup>;
- ⇒ კონდორსეტის სისტემა გამარჯვებულს ყოველთვის არ გამოავლენს, შესაბამისად, პრაქტიკაში საჭირო ხდება მისი კომბინირება სხვა ისეთ სისტემასთან, რომელიც ყოველთვის გამოავლენს გამარჯვებულს;
- ⇒ მრავალ სისტემას, უბრალო უმრავლესობის სისტემის, ალტერნატიული კენჭისყრისა და ბორდას ფორმულის ჩათვლით, შეუძლია ამომრჩევლებს სტიმული მისცეს, რომ მათ “სტრატეგიულად” მისცენ ხმა, ანუ არასწორად წარმოადგინონ საკუთარი სასურველი არჩევანი, რათა მათთვის სასურველი შედეგის მიღების ალბათობა მაქსიმუმამდე გაზარდონ<sup>5</sup>;
- ⇒ და ასე შემდეგ.

თუმცა, ასეთი მახასიათებლების აღიარება მხოლოდ სანყისი წერტილია საარჩევნო სისტემებისა და მათი პოტენციური პოლიტიკური ეფექტების ანალიზის პროცესში. საკითხი, რომელიც გადანყვეტას საჭიროებს ბიულეტენის სტრუქტურისა და საარჩევნო ფორმულის ნებისმიერ შესაძლო არჩევანთან დაკავშირებით, არის არა მხოლოდ ის, შესაძლებელია თუ არა პარადოქსული შედეგების მიღება – ეს ყოველთვის შესაძლებელია, არამედ, რამდენად მაღალია მათი ალბათობა კონკრეტული ქვეყნის კონტექსტში და რამდენად სერიოზულ პრობლემებს გამოიწვევენ ისინი, თუ ასეთ შედეგებს მივიღებთ.

ისევე როგორც შესაძლებელია პარადოქსების იდენტიფიცირება არჩევნების მიკრო-დონეზე, კონკრეტული ოლქის ფარგლებში, ასევე შესაძლებელია პარადოქსების წარმოშობა მაკრო-დონეზე, განსაკუთრებით კი ელექტორატზე დამყარებული სისტემების პირობებში. პარტიამ შესაძლოა მოიპოვოს ხმათა 50%-ზე მეტი, ქვეყნის მასშტაბით, მაგრამ არ მოიპოვოს მანდატების უმრავლესობა. მეორე მხრივ, პარტიამ შეიძლება მანდატების უმრავლესობა მოიპოვოს, ხმათა 50%-ზე გაცილებით ნაკლები ხმით. ორმა მცირე ზომის პარტიამ შეიძლება ხმათა მთლიანი რაოდენობის ერთი და იგივე წილი მოიპოვოს, მაგრამ მანდატების მნიშვნელოვნად განსხვავებული რაოდენობა მიიღოს, სადაც უპირატესობა ძირითადად იმ პარტიას გააჩნია, რომლის მხარდამჭერებიც გეოგრაფიულად კონცენტრირებულნი არიან. მეორე მხრივ, დიდი ზომის პარტიებისთვის, მხარდამჭერთა გეოგრაფიული კონცენტრაცია შესაძლოა წამგებიანი იყოს.

3 ეს ტიპურად მაშინ წარმოიშვება, როცა მთავარი პარტიის კანდიდატი არსებობს, მაგ. მთავრობიდან, მაგრამ დამოუკიდებელი კანდიდატი ბევრ ხმას მიიღებს. ამგვარ შემთხვევაში, ოპოზიციის კანდიდატი მიიჩნევს, რომ თუ მას დამოუკიდებელ კანდიდატზე მეტი ხმის მიღება შეუძლია, დამოუკიდებელი კანდიდატის შემდეგ არსებული სასურველი არჩევანი სამთავრობო კანდიდატზე გაკეთდება, მაგრამ თუ დამოუკიდებელი კანდიდატი ოპოზიციის კანდიდატზე მეტ ხმას მიიღებს, ოპოზიციის კანდიდატის მეორე სასურველი არჩევანი შეიძლება დამოუკიდებელ კანდიდატზე გაკეთდეს. ამ შემთხვევაში ოპოზიციის კანდიდატს მოტივაცია ექნება, რომ დათვლის დროს საკუთარი ხმების რაოდენობა შეამციროს ისე, რომ ხმები დამოუკიდებელი კანდიდატის ხმებზე ნაკლები გამოვიდეს.

4 ეს ნათელია, რადგანაც ბორდას სისტემით, ქულები ყველაზე სასურველი კანდიდატების მეტოქეებს მიენერება, ამომრჩევლის მიერ ნაჩვენები მოგვიანებითი პრეფერენციების შედეგად

5 აღნიშნული ფენომენი, რომელსაც კარგად იცნობენ და ნათელია ხმების უბრალო უმრავლესობის სისტემასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, საარჩევნო ფორმულების უფრო ფართო სპექტრზე ახდენს გავლენას. იხილეთ See A. Gibbard, “Manipulation of Voting Schemes: A General Result”, *Econometrica*, vol. 41, 1973, pp. 587-602



წინამდებარე განხილვა ხაზს უსვამს იმ მნიშვნელოვან სირთულეებს, რომლებიც შესაძლოა ქვეყნისთვის მისაღები საარჩევნო სისტემის შემუშავების პროცესში წარმოიშვას, განსაკუთრებით კი იმ კონფლიქტის, გაყოფისა და აზრთა სხვადასხვაობის ფონზე, რაც მანამდე გამოყენებულ სისტემებს ახლდა თან. არჩევანთა სპექტრი ძალიან ფართოა, მაგრამ ასევე დიდია შემზღვეველი ფაქტორებისა და შესაძლო საფრთხეების რაოდენობა. გარემო განსაკუთრებით სავსეა გამოწვევებით მაშინ, როდესაც პოლიტიკურ პარტიებს მიაჩნიათ, რომ მათ იციან, სავარაუდოდ ვის მისცემენ ხმას ადამიანები და ვინაიდან თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ საბოლოო შედეგზე უფრო მეტ ზეგავლენას საარჩევნო სისტემის არჩევანი მოახდენს, ვიდრე მათი კამპანიის წარმატება ან წარუმატებლობა.

**ხუთი საარჩევნო სისტემის შედარება – დადებითი და უარყოფითი მხარეები**

სისტემა	დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
სიითი პროპორციული წარმომადგენლობა (List PR)	<ul style="list-style-type: none"> <li>პროპორციულობა</li> <li>ინკლუზიურობა</li> <li>უმცირესობის წარმომადგენლობა</li> <li>ცოტა რაოდენობის გაფუჭებული ხმა</li> <li>ქალი წარმომადგენლებისთვის უფრო მარტივია არჩეული იქნან</li> <li>არ არის (ნაკლებად არის) საჭირო საზღვრების გავლება</li> <li>არ არის საჭირო შუალედური არჩევნების გამართვა</li> <li>ხელს უწყობს დაუსწრებლად ხმის მიცემას (absentee voting)</li> <li>ზღუდავს ერთპარტიული რეგიონების ზრდას</li> <li>სავარაუდოდ, არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლებთან რაოდენობა უფრო მაღალია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სუსტი გეოგრაფიული წარმომადგენლობა</li> <li>ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებული საკითხები</li> <li>უფრო სუსტი საკანონმდებლო მხარდაჭერა პრეზიდენტი-სთვის, უფრო სავარაუდოა საპრეზიდენტო სისტემებში</li> <li>კოალიციური ან უმცირესობის მთავრობები, უფრო სავარაუდოა საპარლამენტო სისტემებში</li> <li>პოლიტიკურ პარტიებს ბევრი ძალაუფლება აქვთ გადაცემული</li> <li>შეუძლია ექსტრემისტული პარტიები ჩართოს საკანონმდებლო ორგანოში</li> <li>შეუძლებელია პარტია ხელისუფლებას ჩამოაშორონ</li> </ul>
უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემა (FPTP)	<ul style="list-style-type: none"> <li>უფრო ძლიერი გეოგრაფიული წარმომადგენლობა</li> <li>ანგარიშვალდებულება უფრო მარტივად შესასრულებელი ხდება</li> <li>მარტივი გასაგებია</li> <li>ამომრჩევლებს ნათელ არჩევანს სთავაზობს</li> <li>თანმიმდევრულ ოპოზიციას წაახალისებს</li> <li>ექსტრემისტულ პარტიებს გამორიცხავს</li> <li>შესაძლებლობას უქმნის ამომრჩევლებს, რომ კანდიდატებს შორის გააკეთონ არჩევანი</li> <li>ძლიერი საკანონმდებლო მხარდაჭერა პრეზიდენტი-სთვის უფრო სავარაუდოა საპრეზიდენტო სისტემებში</li> <li>უმრავლესობის მთავრობები უფრო სავარაუდოა საპარლამენტო სისტემებში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>უმცირესობის პარტიებს გამორიცხავს</li> <li>უმცირესობებს გამორიცხავს</li> <li>ქალებს გამორიცხავს</li> <li>ბევრი ხმა ფუჭად იკარგება</li> <li>ხშირად საჭირო ხდება შუალედური არჩევნები</li> <li>საზღვრების დელიმიტაციას მოითხოვს</li> <li>შეიძლება წინასაარჩევნო მაქინაციები გამოიწვიოს</li> <li>რთულია დაუსწრებლად კენჭისყრის მოწყობა</li> </ul>

სისტემა	დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
<b>ორტურიანი სისტემა (TRS)</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უბრალო უმრავლესობის საარჩევნო სისტემა</li> <li>• ამომრჩევლებს მეორე შანსს აძლევს, რომ არჩევანი გააკეთონ</li> <li>• უფრო ნაკლებად ხდება ხმების გაყოფა (vote-splitting) ვიდრე ბევრ სხვა პლურალურ-მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემებში</li> <li>• მარტივი გასაგებია</li> <li>• ძლიერი გეოგრაფიული წარმომადგენლობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საზღვრების დელიმიტაციას მოითხოვს</li> <li>• ძვირადღირებულ და ხშირად ადმინისტრაციულად გარულებულ მეორე ტურს მოითხოვს</li> <li>• ხშირად საჭიროებს შუალედურ არჩევნებს</li> <li>• არჩევნებსა და შედეგების გამოცხადებას შორის დიდი დროითი შუალედია</li> <li>• არაპროპორციულობა</li> <li>• შეიძლება პარტიის სისტემები დაანაწევროს</li> <li>• შეიძლება ძალიან გაყოფილ საზოგადოებებში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს</li> </ul>
<b>პარალელური</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინკლუზიურობა</li> <li>• უმცირესობების წარმომადგენლობა</li> <li>• პარტიის ნაკლებად დანაწევრება, ვიდრე წმინდა სიითი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემაში</li> <li>• შეიძლება უფრო მარტივი იყოს შეთანხმება სხვა ალტერნატივებზე</li> <li>• ანგარიშვალდებულება</li> <li>• ცოტა რაოდენობის დაკარგული ხმა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გართულებული სისტემა</li> <li>• საზღვრების დელიმიტაციას მოითხოვს</li> <li>• ხშირად შუალედურ არჩევნებს საჭიროებს</li> <li>• შეუძლია წარმომადგენლების ორი კლასი შექმნას</li> <li>• სტრატეგიული კენჭისყრა</li> <li>• უფრო რთულია დაუსწრებელი კენჭისყრის მოწყობა, ვიდრე სიითი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემაში</li> <li>• არ იძლევა საერთო პროპორციულობის გარანტიას</li> </ul>
<b>შერეულმანდატიანი პროპორციული სისტემა (MMP)</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროპორციულობა</li> <li>• ინკლუზიურობა</li> <li>• გეოგრაფიული წარმომადგენლობა</li> <li>• ანგარიშვალდებულება</li> <li>• ცოტა რაოდენობის დაკარგული ხმა</li> <li>• შეიძლება უფრო მარტივი იყოს შეთანხმება სხვა ალტერნატივებზე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გართულებული სისტემა</li> <li>• საზღვრების დელიმიტაციას მოითხოვს</li> <li>• ხშირად საჭიროებს შუალედურ არჩევნებს</li> <li>• შეიძლება წარმომადგენლების ორი კლასი შექმნას</li> <li>• სტრატეგიული კენჭისყრა</li> <li>• უფრო რთულია დაუსწრებლად კენჭისყრის მოწყობა, ვიდრე სიითი პროპორციული წარმომადგენლობის სისტემაში</li> </ul>

წყარო: საარჩევნო სისტემის დიზაინი, IDEA-ს ახალი საერთაშორისო სახელმძღვანელო, 2005 წ.

## საარჩევნო სისტემის დიზაინი და პრინციპები

### რჩევა საარჩევნო სისტემის შემდგომელებს

1. მარტივად გააკეთეთ;
2. ნუ მოერიდებით სიახლის გამოგონებას;
3. ყურადღება მიაქციეთ კონტექსტიდან გამომდინარე და დროებით ფაქტორებს;
4. სათანადოდ დააფასეთ ამომრჩეველი;
5. აჭობებს უფრო მეტი ჩართოთ და ამით შეცდეთ, ვიდრე რამე დააკლოთ;
6. პროცესი მთავარი ფაქტორია არჩევანის გასაკეთებლად;
7. ყველა მთავარ მონაწილე მხარეს შორის ლეგიტიმურობა და მიმღეობა ჩამოაყალიბეთ;
8. ეცადეთ, რომ ამომრჩევლის ზეგავლენა მაქსიმალურად აამაღლოთ;
9. მაგრამ პოლიტიკური პარტიების გამხნევების მიმართ ბალანსი დაიცავით;
10. გრძელვადიანი სტაბილურობა და მოკლევადიანი უპირატესობა ყოველთვის ორმხრივად არ მიესადაგება ხოლმე ერთმანეთს;
11. ნუ გგონიათ, რომ საარჩევნო სისტემა ყველანაირი ავადობის პანაცეაა;
12. თუმცა, საპირისპიროდ, მათი ზეგავლენის მნიშვნელობა არ უნდა დააკნინოთ;
13. ყურადღება მიაქციეთ ელექტორატის სურვილს, რომ ცვლილება მოხდეს;
14. არ დაუშვათ, რომ წარსულის სისტემების მონა გახდეთ;
15. შეაფასეთ ნებისმიერი ახალი სისტემის სავარაუდო ზეგავლენა საზოგადოებრივ კონფლიქტზე;
16. ეცადეთ და წარმოიდგინეთ უჩვეულო ან ნაკლებად სავარაუდო, გაუთვალისწინებელი შემთხვევები.

(ამონარიდია „IDEA-ს საერთაშორისო სახელმძღვანელოდან საარჩევნო სისტემის დიზაინის შესახებ“ (1997) ა. რეინოლდსი და ბ. რელი (რედაქტორები), დემოკრატიის და საარჩევნო დახმარების საერთაშორისო ინსტიტუტი, სტოკჰოლმი, შვედეთი)

### საარჩევნო სისტემის დიზაინის პრინციპები – ACE

საარჩევნო სისტემების ფორმის დადგენისას, სამუშაოს დაწყების საუკეთესო გზა არის იმ კრიტერიუმების ჩამოთვლა, რომლებიც საბოლოოდ იმის შეჭამებაა, რისი მიღწევაც თქვენ გსურთ, რა გინდათ თავიდან აიცილოთ, ფართო გაგებით, როგორი გინდათ იყოს თქვენი პარლამენტი და მთავრობა. კრიტერიუმები, რომლებიც მოცემულია “პარლამენტის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა საპარლამენტო ოპოზიციის მხარდაჭერისთვის”, უმეტეს სფეროებს მოიცავს, მაგრამ სია ამომწურავი არ არის და მკითხველს შეუძლია ასევე თანაბრად ვალიდური საკითხებიც დაუმატოს. ასევე მართალია, რომ ზოგიერთი გადმოცემული კრიტერიუმი ერთმანეთს ფარავს და შეიძლება წინააღმდეგობრივად ჩანდეს. ეს იმიტომ, რომ ისინი ხშირად ასეთებიც არიან და ეს ინსტიტუციური დიზაინის თვისებაა, რომ კომპრომისი უნდა გაკეთდეს მთელ რიგ წინააღმდეგობრივ სურვილებსა და ამოცანებს შორის.



მაგალითად, ვინმეს შეიძლება უნდოდეს შესაძლებლობის შექმნა დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის, რომ ისინი არჩეულები იქნან, და ამავდროულად მხარი დაუჭიროს ძლიერი პოლიტიკური პარტიების ზრდას. ან, საარჩევნო სისტემის დიზაინერმა შეიძლება იფიქროს, რომ გონივრული იქნება ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც ამომრჩეველს კანდიდატებსა და პარტიებს შორის არჩევანის გაკეთების ფართო დიაპაზონს აძლევს, მაგრამ ამან შეიძლება ბიულეტენები გაართულოს, რის შედეგადაც შედარებით დაბალი განათლების დონის ამომრჩევლები სირთულეებს წააწყდებიან. საარჩევნო სისტემის შერჩევის – ან რეფორმირების – დროს ერთგვარი ხერხია პრიორიტეტებად დალაგდეს – რომელი კრიტერიუმებია ყველაზე მნიშვნელოვანი და შემდეგ შეფასდეს, თუ რომელი საარჩევნო სისტემა, ან სისტემების კომბინაციით შეიძლება ამ მიზნების მაქსიმალურად შესრულება.

წარმომადგენლობა შეიძლება სულ მცირე, **სამი** ფორმით მოხდეს:

- ⇒ უპირველეს ყოვლისა, **გეოგრაფიული წარმომადგენლობა** გულისხმობს, რომ თითოეულ რეგიონს, ქალაქი იქნება ეს, პროვინცია თუ საარჩევნო ოლქი, პარლამენტში არჩეული წევრები ჰყავდეს და რომლებიც საბოლოო ჯამში ანგარიშვალდებულნი იქნებიან მათ ტერიტორიაზე.
- ⇒ მეორე, პარლამენტი ფუნქციურად უნდა წარმოადგენდეს **პარტიას/პოლიტიკურ** სიტუაციას, რომელიც ქვეყანაში არსებობს. თუ ამომრჩევლების ნახევარი ხმას აძლევს ერთ პოლიტიკურ პარტიას, მაგრამ პარტია ვერც ერთ - ან ძლივს ერთ - მანდატს მოიპოვებს პარლამენტში, მაშინ ვერ ვიტყვით, რომ სისტემა ადეკვატურად წარმოადგენს ხალხის სურვილს. არა მარტო პოლიტიკური პარტიების, არამედ ასევე დამოუკიდებელი პარლამენტის წევრების წარმომადგენლობის მეშვეობით, ეფექტური პარლამენტი ეფექტურად უნდა ასახავდეს იდეოლოგიურ დაყოფას საზოგადოების შიგნით.
- ⇒ ამას გარდა, არსებობს **აღწერითი წარმომადგენლობის** საკითხი, რომელიც გულისხმობს, რომ პარლამენტი ერთგვარ დონეზე “ერის სარკეა”, რომლის ხედვა, გრძნობა, აზროვნება და ქმედება იმგვარად უნდა მოხდეს, რომ ეს ზოგადად ხალხს ასახავდეს. ადეკვატურად აღწერითი პარლამენტში მამაკაცები და ქალები არიან წარმოდგენილნი, ახალგაზრდები და ასაკიანები, მდიდრები და ღარიბები, ასევე ასახული უნდა იყოს სხვადასხვა რელიგიური აფილიაციები, ლინგვისტური საზოგადოებები და ეთნიკური ჯგუფები კონკრეტულ საზოგადოებაში.

### **საპარლამენტო ოპოზიციის მხარდაჭერა**

ეფექტური მმართველობა არა მარტო “ხელისუფლებაში” მყოფ ადამიანებზეა დამოკიდებული, არამედ ასევე, თითქმის იმავე დოზით, იმ ხალხზე, რომლებიც პარლამენტში სხედან, მაგრამ მთავრობის წევრები არ არიან. საარჩევნო სისტემამ უნდა უზრუნველყოს სიცოცხლისუნარიანი საპარლამენტო ოპოზიციური დაჯგუფების არსებობა, რომელსაც შეუძლია კანონმდებლობა კრიტიკულად შეაფასოს, უმცირესობის უფლებები დაიცვას და მათი საარჩევნო ოლქები ეფექტურად წარმოადგინოს. ოპოზიციურ ჯგუფებს პარლამენტში საკმარისი წევრები უნდა ჰყავდეთ, რათა ეფექტურები იყვნენ, იმ ვარაუდით, რომ ისინი აღნიშნულ წევრებს უფლებამოსილებას მიანიჭებენ იმის მიხედვით, თუ რამდენად მიაღწიეს წარმატებას არჩევნების დროს და უნდა შესძლონ, რომ ამჟამინდელი მთავრობის ალტერნატივა რეალურად წარმოადგინონ. საარჩევნო სისტემის არჩევის გარდა, რასაკვირველია, საპარლამენტო ოპოზიციის სიძლიერე ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგრამ თუ თავად სისტემა საპარლამენტო ოპოზიციას ძალადაკარგულს გახდის, დემოკრატიული მმართველობა არსებითად დასუსტდება. ამავდროულად, საარჩევნო სისტემამ უნდა დააბრკოლოს ის მიდგომა, რაც გულისხმობს ფრაზას “ყველაფერს გამარჯვებული იღებს”, სადაც მმართველები სხვა შეხედულებებს ვერ ხედავენ და ოპოზიციური ამომრჩევლების საჭიროებებს და სურვილებს ვერ ამჩნევენ; ასევე, სადაც არჩევნებიც და მთავრობაც განხილულია როგორც ნულოვანი ჯამის მდგომარეობაში მყოფი კონკურენცია.

ACE ვებგვერდი v0.2 ©1998, 1999, 2000 IFES, UN-DESA, IDEA

## **ინტერნეტ რესურსები საარჩევნო სისტემის შესახებ**

### **International IDEA (დემოკრატიისა და საარჩევნო დახმარების ინსტიტუტი)**

[www.idea.int](http://www.idea.int)

IDEA-ს მიზანია მხარი დაუჭიროს მდგრად დემოკრატიას და ხელი შეუწყოს მის წინსვლას, ასევე გააუმჯობესოს საარჩევნო პროცესები და უზრუნველყოს მათი კონსოლიდაცია მსოფლიოს მასშტაბით. ეს არის ფორუმი დისკუსიებისა და ქმედებისთვის იმ კონკრეტულ პირებსა და ორგანიზაციებს შორის, რომლებიც დემოკრატიის მხარდაჭერაში მონაწილეობენ.

### **საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES)**

[www.ifes.org](http://www.ifes.org)

IFES კერძო, არამომგებიანი ორგანიზაციაა, რომელიც 1987 წელს ჩამოყალიბდა საარჩევნო და სხვა დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდასაჭერად ახალი, განვითარებადი და გამოცდილების მქონე დემოკრატიულ ქვეყნებში. თავისი მიუკერძოებელი და ტექნიკური მიდგომით, IFES-მა ბევრი პროექტი, კონფერენცია ან/და სადამკვირვებლო საქმიანობა განახორციელა 100-ზე მეტ ქვეყანაში.

### **საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)**

[www.ndi.org](http://www.ndi.org)

საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) არამომგებიანი ორგანიზაციაა, რომელიც მსოფლიოში დემოკრატიის გაძლიერებისა და გავრცელებისთვის მუშაობს. NDI მოხალისე ექსპერტების გლობალურ ქსელს ქმნის და პრაქტიკულ დახმარებას უზრუნველყოფს სამოქალაქო და პოლიტიკური ლიდერებისთვის, სადაც წინა პლანზე წამოსწევს დემოკრატიულ ფასეულობებს, პრაქტიკებს და ინსტიტუტებს. NDI დემოკრატებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში მუშაობს, რათა პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები შექმნას, არჩევნები დაიცვას და ასევე ხელი შეუწყოს მოქალაქეთა მონაწილეობას, ღიაობას და ანგარიშვალდებულებას მთავრობაში.

### **ეუთო (დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი - ODIHR)**

[www.osce.org](http://www.osce.org)

ეუთო, რომელიც ვენაში, ავსტრიაში მდებარეობს, რეგიონული უშიშროების ყველაზე დიდი ორგანიზაციაა მსოფლიოში, რომლის წევრიც 55 ქვეყანაა. ეუთოს მიდგომა უსაფრთხოების მიმართ ყოვლისმომცველია და მთელ რიგ საკითხებს მოიცავს (რაშიც შედის იარაღის კონტროლი, პრევენციული დიპლომატია, ნდობისა და უსაფრთხოების გამყარების ზომები, ადამიანის უფლებები, დემოკრატიზაცია, არჩევნების მონიტორინგი, ასევე ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოება). ეუთო ასევე თანამშრომლური ორგანიზაციაა იმ გაგებით, რომ მის ყველა წევრ ქვეყანას თანაბარი სტატუსი გააჩნია და გადაწყვეტილებებიც კონსენსუსის საფუძველზე მიღებული.

### **არჩევნების და დემოკრატიის ცენტრი**

[www.fairvote.org](http://www.fairvote.org)


ცენტრის საქმიანობა სამართლიან არჩევნებს ეძღვნება, სადაც ყოველი ხმა ითვლება და ყველა ამომრჩეველი წარმოდგენილია. რეფორმის კატალიზატორის სახით, ჩვენ კვლევა გავმართეთ, ასევე ანალიზი, განათლება და ადვოკატირება უზრუნველყავით, რათა უფრო მეტად გაგებულყოფო მხარდაჭერა უფრო დემოკრატიული საარჩევნო სისტემებისთვის. ჩვენ მხარს ვუჭერთ კენჭისყრის მეორე ტურის მყისიერად გამართვას (instant run-off), ასევე პროპორციული წარმომადგენლობის ფორმებს როგორც იმ პლურალური არჩევნების ალტერნატივას, სადაც ყველაფერს გამარჯვებული იღებს.

### **საარჩევნო რეფორმის საერთაშორისო სერვისები (ERIS)**

[www.eris.org.uk](http://www.eris.org.uk)

ERIS – საარჩევნო და დემოკრატიზაციის მხარდამჭერი წამყვანი ევროპული ორგანიზაცია. პროგრამების განხორციელების მიზანია საარჩევნო პროცესის კონსოლიდირება და მონიტორინგი, ასევე დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება და სამოქალაქო ინფორმირებულობის წინა პლანზე წამოსწევა. ERIS ეროვნულ საარჩევნო კომისიებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან პარტნიორობს საერთაშორისო დონორების სახელით.

**საარჩევნო სისტემების პროცენტული და რაოდენობრივი განაწილება მსოფლიოში (მონაცემები 216 ქვეყნის მიხედვით)**



**საარჩევნო სისტემების პროცენტული და რაოდენობრივი განაწილება (მონაცემები 216 ქვეყნის მიხედვით)**

სისტემა/სისტემები	რაოდენობა	%
List PR	81	37,5%
FPTP	46	21,3%
Parallel	21	9,7%
TRS	18	8,3%
multiple choices	15	6,9%
BV	9	4,2%
MMP	7	3,2%

სისტემა/სისტემები	რაოდენობა	%
No direct elections	6	2,8%
SNTV	5	2,3%
AV	2	0,9%
STV	2	0,9%
In transition	2	0,9%
LV	1	0,5%
Modified BC	1	0,5%

**საარჩევნო სისტემების რაოდენობრივი განაწილება კონტინენტების მიხედვით**

კონტინენტი	ცვლილების ეტაპზე	შერეული	არ გამოიყენება	სხვა სისტემები	პლურალურ/მაჟორიტარული	პროპორციული	სულ
Africa	1	9	2		26	17	55
Americas		3			22	19	44
Asia	1	10	3	2	21	11	48
Europe		7	1	1	6	36	51
Oceania		1		3	13	1	18
<b>ჯამი</b>	<b>2</b>	<b>30</b>	<b>6</b>	<b>6</b>	<b>88</b>	<b>84</b>	<b>216</b>

**საარჩევნო სისტემების კლასიფიკაცია ქვეყნების მიხედვით**

ქვეყანა	სისტემა
Australia	AV
Papua New Guinea	AV
Cayman Islands	BV
Falkland Islands (Malvinas)	BV
Guernsey	BV
Lao People's Dem. Republic	BV
Lebanon	BV
Mauritius	BV
Syrian Arab Republic	BV
Tuvalu	BV

Anguilla	FPTP
Antigua and Barbuda	FPTP
Azerbaijan	FPTP
Bahamas	FPTP
Bangladesh	FPTP
Barbados	FPTP
Belarus	FPTP
Belize	FPTP
Bermuda	FPTP
Bhutan	FPTP
Botswana	FPTP



ქვეყანა	სისტემა
Canada	FPTP
Cook Islands	FPTP
Dominica	FPTP
Ethiopia	FPTP
Gambia	FPTP
Ghana	FPTP
Grenada	FPTP
India	FPTP
Jamaica	FPTP
Kenya	FPTP
Liberia	FPTP
Malawi	FPTP
Malaysia	FPTP
Maldives	FPTP
Micronesia, Federated States of	FPTP
Mongolia	FPTP
Myanmar	FPTP
Nigeria	FPTP
Oman	FPTP
Palau	FPTP
Saint Kitts and Nevis	FPTP
Saint Lucia	FPTP
Saint Vincent and The Grenadines	FPTP
Sierra Leone	FPTP
Solomon Islands	FPTP
Swaziland	FPTP
Tanzania, United Republic of	FPTP
Tonga	FPTP
Trinidad and Tobago	FPTP
Uganda	FPTP
United Kingdom	FPTP
United States	FPTP
Virgin Islands, British	FPTP
Yemen	FPTP
Zambia	FPTP
Zimbabwe	FPTP
Isle of Man	FPTP BV
Jersey	FPTP BV
Marshall Islands	FPTP BV
Niue	FPTP BV
Saint Helena	FPTP BV
Samoa	FPTP BV
Turks and Caicos Islands	FPTP BV
Congo, Democratic Republic of	FPTP List PR
Madagascar	FPTP List PR
Panama	FPTP List PR
Cote d'Ivoire	FPTP PBV
Singapore	FPTP PBV
Cameroon	FPTP PBV List PR
Chad	FPTP PBV List PR

ქვეყანა	სისტემა
Qatar	In transition
South Sudan	In transition
Albania	List PR
Algeria	List PR
Angola	List PR
Argentina	List PR
Armenia	List PR
Aruba	List PR
Austria	List PR
Belgium	List PR
Benin	List PR
Bosnia and Herzegovina	List PR
Brazil	List PR
Bulgaria	List PR
Burkina Faso	List PR
Burundi	List PR
Cambodia	List PR
Cape Verde	List PR
Chile	List PR
Colombia	List PR
Costa Rica	List PR
Croatia	List PR
Cyprus	List PR
Cyprus (North)	List PR
Czech Republic	List PR
Denmark	List PR
Dominican Republic	List PR
Ecuador	List PR
El Salvador	List PR
Equatorial Guinea	List PR
Estonia	List PR
Fiji	List PR
Finland	List PR
Greece	List PR
Guatemala	List PR
Guinea-Bissau	List PR
Guyana	List PR
Honduras	List PR
Iceland	List PR
Indonesia	List PR
Iraq	List PR
Israel	List PR
Italy	List PR
Jordan	List PR
Kazakhstan	List PR
Kosovo	List PR
Kyrgyzstan	List PR
Latvia	List PR
Liechtenstein	List PR
Luxembourg	List PR

ქვეყანა	სისტემა
Macedonia, former Yugoslav Republic (1993-)	List PR
Moldova, Republic of	List PR
Montenegro	List PR
Morocco	List PR
Mozambique	List PR
Namibia	List PR
Netherlands	List PR
Netherlands Antilles	List PR
Nicaragua	List PR
Niger	List PR
Norway	List PR
Paraguay	List PR
Peru	List PR
Poland	List PR
Portugal	List PR
Romania	List PR
Rwanda	List PR
San Marino	List PR
Sao Tome and Principe	List PR
Serbia	List PR
Slovakia	List PR
Slovenia	List PR
South Africa	List PR
Spain	List PR
Sri Lanka	List PR
Suriname	List PR
Sweden	List PR
Switzerland	List PR
Timor-Leste	List PR
Togo	List PR
Tunisia	List PR
Turkey	List PR
Uruguay	List PR
Gibraltar	LV
Bolivia	MMP
Djibouti	MMP
Germany	MMP
Hungary	MMP
Lesotho	MMP
Mexico	MMP
New Zealand	MMP
Nauru	Modified BC
Brunei Darussalam	No direct elections
China	No direct elections
Eritrea	No direct elections
Holy See (Vatican City State)	No direct elections
Saudi Arabia	No direct elections
Somalia	No direct elections
Andorra	Parallel

ქვეყანა	სისტემა
Georgia	Parallel
Guinea	Parallel
Japan	Parallel
Korea, Republic of	Parallel
Libya	Parallel
Lithuania	Parallel
Monaco	Parallel
Nepal	Parallel
Pakistan	Parallel
Palestinian Territory, Occupied	Parallel
Philippines	Parallel
Russian Federation	Parallel
Senegal	Parallel
Seychelles	Parallel
Sudan	Parallel
Taiwan	Parallel
Tajikistan	Parallel
Thailand	Parallel
Ukraine	Parallel
Venezuela	Parallel
Afghanistan	SNTV
Kuwait	SNTV
Pitcairn Islands	SNTV
United Arab Emirates	SNTV
Vanuatu	SNTV
Ireland	STV
Malta	STV
Bahrain	TRS
Central African Republic	TRS
Comoros	TRS
Cuba	TRS
France	TRS
Gabon	TRS
Haiti	TRS
Iran, Islamic Republic of	TRS
Kiribati	TRS
Korea, Dem. People's Republic	TRS
Mali	TRS
Mauritania	TRS
Montserrat	TRS
Republic of The Congo (Brazzaville)	TRS
Tokelau	TRS
Turkmenistan	TRS
Uzbekistan	TRS
Viet Nam	TRS
Egypt	TRS PBV

# საარჩევნო პროცესი, მისი ადმინისტრირება და სახელმძღვანელო პრინციპები

## საარჩევნო პროცესი და მისი ადმინისტრირება

**საარჩევნო პროცესი** არის ინდივიდების, ორგანიზაციებისა და ცალკეული ჯგუფების მიერ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მიზნით განხორციელებული საქმიანობა. საარჩევნო პროცესი რეგულირდება სამართლებრივი აქტებისა და სოციალური ნორმების (მაგალითად, ტრადიციების) მეშვეობით. მაშასადამე, საარჩევნო პროცესი არის გარკვეული აქტივობა და სამართლებრივი ნორმების სისტემა, რომელიც ამ აქტივობას არეგულირებს.

განასხვავებენ საარჩევნო პროცესის ორ მხარეს: **ოფიციალურსა და არაოფიციალურს**. ოფიციალურ მხარეში იგულისხმება სახელმწიფო ორგანოების მიერ არჩევნების ჩასატარებლად განხორციელებული ღონისძიებები, მაგალითად: საარჩევნო კომისიების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ არჩევნების ჩატარებასა და ამ პროცესის ზედამხედველობას, უზრუნველყოფენ საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციას და ა.შ. არაოფიციალურ მხარეში იგულისხმება ისეთ მოქმედებები, რომელთაც პოლიტიკური პარტიები ან სხვა არასახელმწიფო ორგანოები (მაგალითად, დამკვირვებლები, მასმედიის წარმომადგენლები და ა.შ.) განახორციელებენ.

**საარჩევნო პროცესის ძირითადი ეტაპები.** საარჩევნო პროცესი შესაძლებლობას იძლევა იგი დაიყოს შედარებით დამოუკიდებელ, ერთმანეთის შემცვლელ სტადიებად, რომლებიც ერთობლიობაში ქმნის საარჩევნო პროცესის სტრუქტურას. დროითი თანამიმდევრობისა და გადასაწყვეტი ამოცანების თავისებურებებიდან გამომდინარე, საარჩევნო პროცესში პირობითად გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ეტაპები: არჩევნების დანიშვნა; საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების შექმნა; საარჩევნო ადმინისტრაციის დროებითი ტერიტორიული ორგანოების შექმნა; ამომრჩეველთა რეგისტრაცია; კანდიდატების წარდგენა/რეგისტრაცია; საარჩევნო კამპანია; კენჭისყრა; კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების დადგენა; განმეორებითი კენჭისყრა, არჩევნების მეორე ტური, ხელახალი არჩევნები; არჩევნების შედეგების დადგენა და გამოქვეყნება.

## საარჩევნო პროცესის ადმინისტრირება

არჩევნების მომზადების, გამართვისა და არჩევნების შედეგების შეჯამების პროცესში ძირითად როლს **არჩევნების მარეგულირებელი ორგანოები** ასრულებენ.

მსოფლიოში არსებული პრაქტიკით, არჩევნების მარეგულირებელი ორგანოები (საარჩევნო ადმინისტრაცია) შეიძლება იყოს დროებითი ან მუდმივ მოქმედი. დროებითი ორგანო იქმნება კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად და აქვს უფლებამოსილების განსაზღვრული ვადა. რაც შეეხება მუდმივმოქმედ ორგანოს, ეს არის ინსტიტუცია, რომელსაც გააჩნია ჩამოყალიბებული სტრუქტურა და ფუნქციონირებს საქმიანობის შეუწყვეტლად.

აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის ხარისხის მიხედვით მსოფლიოში არსებული არჩევნების მარეგულირებელი ორგანოები სამ ძირითად მოდელად იყოფა:





**დამოუკიდებელი მოდელის** შემთხვევაში არჩევნების ხელმძღვანელობასა და მართვას ახორციელებს არჩევნების მართვის ორგანო, რომელიც ხელისუფლების აღმასრულებელი შტოსაგან ინსტიტუციურად დამოუკიდებელი და ავტონომიურია. ის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და ანგარიშვალდებულია მხოლოდ ქვეყნის წარმომადგენლობითი ორგანოს წინაშე. დამოუკიდებელი მოდელი მოქმედებს როგორც საქართველოში, ისე ბევრ სხვა ქვეყანაში, როგორცაა სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, უკრაინა, რუმინეთი, კანადა, ინდოეთი, ურუგვაი, კოსტა-რიკა და სხვა.












**სამთავრობო მოდელის** შემთხვევაში არჩევნების ხელმძღვანელობასა და მართვას ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლება სამინისტროს (მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს) ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საშუალებით. სამთავრობო მოდელი მოქმედებს ბელგიაში, გერმანიაში, აშშ-ში, ახალ ზელანდიაში, დიდ ბრიტანეთში, დანიასა და უნგრეთში.

**შერეული მოდელი** დამოუკიდებელი და სამთავრობო მოდელის კომბინაციაა. დამოუკიდებელი კომპონენტი წარმოდგენილია საარჩევნო ადმინისტრაციის სახით, რომელიც ზედამხედველის ფუნქციას ასრულებს, ხოლო სამთავრობო კომპონენტი – სამინისტროს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახით (დევცენტრალიზებული საარჩევნო მმართველობა), რომლებიც უზრუნველყოფენ არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებას. შერეული მოდელი მოქმედებს იაპონიაში, სენეგალსა და ესპანეთში.

**უფლებამოსილების ვადის მიხედვით** დამოუკიდებელი საარჩევნო ადმინისტრაცია შეიძლება არსებობდეს მუდმივმოქმედი ან დროებითი ორგანოს სახით. გარდა აღნიშნულისა, ქვეყნების უმეტესობა პრიორიტეტს ანიჭებს ე. წ. შერეული ტიპის საარჩევნო ადმინისტრაციას, სადაც ზედა რგოლი (მაგალითად, ცენტრალური საარჩევნო კომისია) მუდმივმოქმედია, ხოლო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები – დროებითი.


**დაკომპლექტების წესის მიხედვით** საარჩევნო ადმინისტრაცია შეიძლება შედგებოდეს პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული წევრებისგან, რომლებიც არიან პროფესიული ნიშნით შერჩეული პირები ან საზოგადოებისთვის მისაღები უპარტიო ექსპერტები, პარტიული ნიშნით დაკომპლექტებული წევრებისგან, სადაც წევრებს პოლიტიკური პარტიები ნიშნავენ და ასევე შერეული ტიპის, როდესაც კომისიაში პროფესიული ნიშნით შერჩეულ წევრებთან ერთად შედიან პარტიული ნიშნით დანიშნული წევრებიც. აღნიშნული კომისიის წევრები შესაძლებელია იყვნენ როგორც მუდმივმოქმედი, ისე დროებითი. რაც შეეხება საარჩევნო ტრიბუნალს, ის მოსამსართლეებისგან შედგება და მათი უფლებამოსილების ვადაც არის მუდმივმოქმედი ან დროებითი. ეს მოდელი გამოიყენება კოსტა-რიკასა და მექსიკაში.

რაც შეეხება **შემადგენლობას (წევრების რაოდენობას)**, ის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია. მაგალითად:

- |  |   |
|--|---|
|  ისრაელის არჩევნების მარეგულირებელი ორგანო არაუმეტეს 31 წევრისაგან შედგება, |  საქართველო – 13   |
|  ნიგერია - 30   |  კოლუმბია, მექსიკა, მალტა, ერაყი, მოლდოვა, პალესტინა და ლატვია – 9 |
|  კენია - 22   |  ფილიპინები, სომხეთი, თურქეთი და უგანდა – 7                        |
|  კონგო - 21   |  ჰონდურასი – 3   |
|  მოზამბიკი – 19   |  კანადა, ახალი გვინა და სეიშელი - 1 .                              |
|  უკრაინა, ტაჯიკეთი და რუსეთი – 15   |   |

მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ საარჩევნო ადმინისტრაციის მოდელს აქვს ძირითადი მახასიათებლები, სხვადასხვა ქვეყანაში ისინი შეიძლება განსხვავებული ვარიაციით იყოს წარმოდგენილი, რაც დამოუკიდებელია ქვეყნის კანონმდებლობაზე, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ფაქტორებზე. სწორედ ამიტომ, თითოეული ქვეყანა თავად ირჩევს არჩევნების მართვის ორგანოს რომელი მოდელია მისთვის მისაღები.

# პროექტების მარაგული რეგები ორბანოები მთვლითი



ლაგოქილებელი	137 ქეგანა (63,1%)
შეკული	24 ქეგანა (11,1%)
სამთვროგო	51 ქეგანა (23,5%)
ქროვლ ლოგო ქროვნიბი ქო მთვლები	5 ქეგანა (2,3%)



## საარჩევნო პროცესის ფინანსური უზრუნველყოფა

არჩევნების მომზადება და ჯეროვანი ჩატარება მრავალ ფაქტორზე დამოკიდებულია. მათ შორისაა ფულადი სახსრები. არცერთი დემოკრატიული სახელმწიფო, როგორც გამოცდილებაც არ უნდა ჰქონდეს მას, ვერ უზრუნველყოფს არჩევნების სრულფასოვან ჩატარებას შესაბამისი სახსრების გარეშე.

საქართველოში არჩევნების დაფინანსების საკითხები მოცემულია საქართველოს საარჩევნო კოდექსის VII თავში, რომელიც არეგულირებს, როგორც არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსების საკითხებს, ასევე ცალკე საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო კამპანიის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის საკითხებს.

არჩევნების, რეფერენდუმის მოსამზადებლად და ჩასატარებლად საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განეული ხარჯი და მისი საქმიანობა ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ცესკო კენჭისყრამდე არაუგვიანეს 55 დღისა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დაფინანსების გეგმას. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარუდგენილი გეგმის შესაბამისად კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50 დღისა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არჩევნებისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს ჩარიცხავს ცესკოს ანგარიშზე. თავის მხრივ, ცესკო კენჭისყრამდე არაუგვიანეს 45 დღისა საოლქო საარჩევნო კომისიისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს ჩარიცხავს მის მიმდინარე ანგარიშზე.

საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრიდან არაუგვიანეს 30 დღისა წყვეტს ყოველგვარ ანგარიშსწორებას ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან და 10 დღის ვადაში ცესკოს ანგარიშზე ჩარიცხავს თავის ანგარიშზე არსებულ ნაშთს. ნაშთის ჩარიცხვიდან 2 კვირის ვადაში საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს წარუდგენს საფინანსო ანგარიშს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მოსამზადებლად და ჩასატარებლად საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განეული ხარჯი და მისი საქმიანობა უფლებამოსილების განხორციელების ვადაში ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

არჩევნების ხარჯთაღრიცხვა	2016 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნები (I და II ტური)	2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნები	2013 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები
	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)	თანხა (ლარი)
<b>საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია</b>	<b>42,820,587</b>	<b>34 673 300</b>	<b>34 466 703</b>
ხარჯები	41 996 887	34 233 300	34 026 703
შრომის ანაზღაურება	24 710 585	17 879 500	19 809 457
საქონელი და მომსახურება	8 200 057	7 365 300	7 387 456
სხვა ხარჯები	9 086 245	8 988 500	6 829 790
არაფინანსური აქტივების ზრდა	823 700	440 000	440 000

### მსოფლიოს საარჩევნო ხარჯების სტატისტიკა,

#### საშუალოდ მერყეობს \$1-\$7 თითოეულ ამომრჩეველზე:

პაკისტანი	(\$0.50)	ავსტრალია	(\$3.20)
განა	(\$0.70)	ურუგვაი	(\$3.70)
ინდოეთი	(\$1.00)	უგანდა	(\$3.70)
ჩილე	(\$1.20)	ელსალვადორი	(\$4.10)
სენეგალი	(\$1.20)	საქართველო	(\$4.50)*
ბენინი	(\$1.60)	მექსიკა	(\$5.90)
კოსტარიკა	(\$1.80)	ლიბერია	(\$6.10)
ბრაზილია	(\$2.30)	ლესოტო	(\$6.90)
ბოტსვანა	(\$2.70)	რუსეთი	(\$7.50)

\* გაცვლითი კურსი 2,43



## საარჩევნო პროცესის სახელმძღვანელო პრინციპები – ACE<sup>®</sup>

მყარი ეთიკური პრინციპების ბაზის გარეშე ხმის მიცემის პროცესის წარმართვა საუკეთესო შემთხვევაში არაეფექტიანი, ხოლო უარეს შემთხვევაში, პარტიული პოლიტიკური თუ კორუმპირებული ძალების მიერ იქნება მანიპულირებული, რაც საარჩევნო პროცესებისადმი საზოგადოების უნდობლობას იწვევს.

თავის მხრივ, ამას შედეგად მოყვება არჩევნებთან დაკავშირებული გადანყვეტილებებისა და შედეგების საზოგადოების მიერ მიუღებლობა და სანდოობისა და ვალიდურობის დეფიციტი. არჩევნების განუხრელობის დასაცავად აუცილებელია ხმის მიცემის აქტივობების დროს შემდეგი პრინციპების გატარება.

### ხელმისაწვდომობა

კენჭისყრის საშუალებით დემოკრატიული უფლების განხორციელებისთვის კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებამოსილების მქონე ყველა პირს უნდა ჰქონდეს წვდომა ამ პროცესზე. ხელმისაწვდომობას ზეგავლენა აქვს ხმის მიცემასთან დაკავშირებულ ყველა ქმედებაზე და ყველაზე რთული პირინციპია, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციამ მაქსიმალურად და ხარტუფექტიანად უნდა განახორციელოს. ხმის მიცემასთან დაკავშირებული ქმედებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისას გასათვალისწინებელია შემდეგი ძირითადი საკითხები:

- ☞ ხმის მიცემისთვის განკუთვნილი ადგილების ისეთ პუნქტებში განთავსება, სადაც უფლებამოსილ ამომრჩეველს ადვილად და თავისუფლად შეეძლება მისვლა;
- ☞ მათთვის, ვისაც საარჩევნო უბანზე მისვლა არ შეუძლია, სპეციალური საარჩევნო მონყობილობების უზრუნველყოფა საარჩევნო ოლქში არჩევნების დღეს;
- ☞ ხმის მიცემის დღისა და საათების განსაზღვრა ისე, რომ გათვალისწინებული იყოს ამომრჩეველთა სამუშაო სპეციფიკა;
- ☞ საარჩევნო ლიტერატურისა და ინფორმაციის მომზადება ამომრჩევლის განათლების დონისა თუ ენობრივი განსხვავებების გათვალისწინებით;
- ☞ ფიზიკური შეზღუდულობის ან პრობლემების მქონე, წერა-კითხვის ცუდად ან საერთოდ არმცოდნე ამომრჩევლის დახმარება ხმის მიცემის დროს;
- ☞ საარჩევნო საქმიანობის (მაგ., კანდიდატების ნომინაცია ადმინისტრაციული გადანყვეტილებებისა თუ ხარვეზების გასაჩივრება და ა.შ.) ადმინისტრაციულ თუ საკანონმდებლო მხარესთან დაკავშირებული ვადების იმგვარად დადგენა, რომ საზოგადოების ჩართულობას უზრუნველყოფდეს.

### თანაბარი პირობები

თანაბარი პირობები ნიშნავს, რომ საარჩევნო საქმიანობა ყველა უფლებამოსილ ამომრჩეველსა და ყველა პოლიტიკურ პარტიას მონაწილეობის თანაბარ შესაძლებლობებს აძლევს. ამის განხორციელებისთვის საჭიროა სულ მცირე საჭარო, ყველასთვის მისაღები წესებისა და პროცედურების არსებობა და ამ წესების ზუსტად, სანდოდ დაცვა, საჭიროებისამებრ გადახედვის შესაძლებლობით. თანაბარი პირობები მოიცავს ხელმისაწვდომობის ასპექტებს, რომელიც ყველა ამომრჩევლისთვის, მიუხედავად მათი ადგილსამყოფელისა, სოციალური სტატუსისა თუ შესაძლებლობებისა, ხმის მიცემისთვის საჭირო შესაძლებლობების შექმნასა და თანაბარ მოპყრობას საჭიროებს. თანაბარი შესაძლებლობები ასევე ნიშნავს, რომ გათვალისწინებულია მოსახლეობის ნაკლებად ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი ნაწილის განსაკუთრებული საჭიროებები.

თანაბარი შესაძლებლობები მოიცავს გამჭვირვალობის ასპექტებს, რაც გულისხმობს საარჩევნო ადმინისტრაციის ან საარჩევნო საქმიანობაზე პასუხისმგებელი სხვა ორგანოების მიერ გადანყვეტილების ღია და ანგარიშვალდებულების პრინციპის დაცვით მიღებას.

პოლიტიკური მონაწილეების როლთან დაკავშირებით თანაბარი პირობების კონცეფცია მოითხოვს ყველასთვის თანაბარი წვდომის უზრუნველყოფას საარჩევნო პროცესების დაკვირვება/მონიტორინგისთვის განკუთვნილ ადგილებში და ამ პროცესების გასაჩივრების უფლებას.

საარჩევნო საქმიანობის ფუნქციების მართვისას ასევე საჭიროა თანაბარი შესაძლებლობების შექმნა მასალებისა თუ მომსახურებისთვის კონტრაქტების დადებისას თუ სამუშაოზე აყვანისა და ჯგუფების დაკომპლექტების პრაქტიკის ფარგლებში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქალების, უმცირესობათა ჯგუფებისა თუ კულტურულად ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში მყოფი ადამიანების საჭიროებებს.

### **ერთგვაროვნება**

ერთგვაროვნება ნიშნავს, რომ ყველა წესი და რეგულაცია ყველა ამომრჩეველზე თანაბრად ვრცელდება და თანაბრად გამოიყენება ყველა ამომრჩეველთან თუ დაინტერესებულ მხარესთან მიმართებით. მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთგვაროვნების უზრუნველყოფისთვის საჭიროა შედეგების მენეჯმენტის სისტემაში შემავალი ყველა ოფიციალური პირის კარგად განვრთნა და მათი არაპარტიულობა, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ წესების შესრულების ზედამხედველობისთვის საჭირო ეფექტიანი ხელმძღვანელობითი და კონტროლის უნარების ფლობა. პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების წარმომადგენლების, ასევე დამკვირვებელთა ადგილზე ყოფნით უზრუნველყოფილია შედეგების სისტემის სხვადასხვა ნაბიჯების სამართლიანად და სწორად გადადგმა.

### **უსაფრთხოება**

საარჩევნო საქმიანობის უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ყველა უფლებამოსილ ამომრჩეველს ჰქონდეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში, ხმა მისცეს საკუთარი შეხედულებისამებრ, რამე ზიანის შიშის ან მუქარის გარეშე. პოლიტიკურ მონაწილეებსაც მსგავსი გარანტიები ესაჭიროებათ, რაც მათ საარჩევნო პროგრამების უსაფრთხო გარემოში გამოქვეყნების საშუალებას აძლევს.

საარჩევნო საქმიანობის უსაფრთხოებას კიდევ ერთი განსხვავებული, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი უკავშირდება: კენჭისყრის დასრულებისას დათვლილი ხმები და მათგან გამომდინარე საარჩევნო შედეგები ნამდვილად ზუსტად უნდა ასახავდეს უფლებამოსილი ამომრჩევლის ნებას.

ამგვარად, უსაფრთხოების ფარგლებში თანაბარი ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთ ზომებს, როგორცაა საარჩევნო მასალების, სისტემებისა თუ პროცედურების უკანონო მიტაცების, არასანქცირებული განადგურებისა თუ გაყალბებისა და მანიპულაციის, ასევე მასალებისთვის არასწორი თუ არასანქცირებული საარჩევნო მონაცემების დამატების, ხმის მიცემის გაყალბების პრევენცია.

შედეგების უსაფრთხოება გასათვალისწინებელი საკითხებისა და ქმედებების ფართო სპექტრს მოიცავს. საარჩევნო ადმინისტრაცია შედეგების სისტემის უსაფრთხოების გეგმაში ხშირად შემდეგ საკითხებსაც ითვალისწინებს:

- ④ სენსიტიური საარჩევნო მასალების (მაგ., ბიულეტენები, საარჩევნო ყუთი, უსაფრთხოების ლუქები, შედეგების ოფიციალური ფორმები, ოფიციალური ბეჭდები, ამომრჩეველთა სიები) ფიზიკური უსაფრთხოება შენახვისა და ტრანსპორტირების დროს;
- ④ შედეგების დათვლის, ტაბულაციის, გამოქვეყნებისა და მასალების შენახვისთვის განკუთვნილი შენობების/დანესებულებების ფიზიკური უსაფრთხოება. საფრთხე შესაძლოა მოიცავდეს, მაგალითად, ხანძარს, წყლით დაზიანებას, ელექტრონულ გაყვანილობას, აჯანყებებს, ტერორისტულ თავდასხმებსა და სხვა საფრთხეებს.
- ④ კიბერ-შეტევები შედეგების გადაცემის პროცესზე, საკომუნიკაციო სისტემებზე, ასევე შედეგების ტაბულაციის, აგრეგაციისა და გამოქვეყნებისთვის გამოყენებულ კომპიუტერულ სისტემებზე;
- ④ საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენელთა უსაფრთხოება, ვინაიდან შედეგების პროცესის სანდოობა შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს, თუ ამ პროცესში ჩართული ადამიანების დაშინება ან მოსყიდვა ხდება მათი საქმიანობის წარმმართველი წესებიდან გადახვევის მიზნით.

დღესდღეობით უსაფრთხოების არაერთი მექანიზმი არსებობს, რომელიც სენსიტიური მასალების წვდომასა და მოძრაობას აკონტროლებს. ყველაზე ხშირად გამოიყენება საარჩევნო უბნებისთვის განკუთვნილი შეკვრის შტრიხკოდების მინიჭება დისტრიბუციამდე, რათა მოხდეს მასალების გადაადგილების გაკონტროლება; ასევე გვხვდება პლასტმასის უსაფრთხოების ლუქები ინდივიდუალური ნომრებით, რათა გამოვლინდეს ტრანსპორტირების დროს სენსიტიურ მასალებთან არამიზანმიმართული შეხება; გაყალბებისგან დამცველი შეკვრები (ჩანთები) გამოყენება შევსებული შედეგების ფორმებისა და ბიულეტენების ტრანსპორტირების დროს, როცა ეს უკანასკნელი ისევე საარჩევნო ყუთში არ იყრება. სანამ მასალები საარჩევნო უბანზეა, სენსიტიური მასალები ყოველთვის საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილი პირების მეთვალყურეობის ქვეშაა და ხშირად განთავსებულია გამჭვირვალე ყუთებში, რომელიც უნიკალური კოდის მქონე უსაფრთხოების ბეჭდითაა დალუქული. ცენტრალიზებულ გადათვლის ორგანოებში ან შედეგების აგრეგაციაზე პასუხისმგებელ ცენტრებში წვდომის კონტროლი მოცემული დანესებულების უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ეს ეხება როგორც პერსონალს, ასევე მასალებსა თუ ავტომობილებს. საფრთხის დონიდან გამომდინარე, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიიღება სხვადასხვა ზომები, მაგალითად, ტერიტორიაზე შესვლამდე საიდენტიფიკაციო ბარათების სავალდებულო შემოწმება, მეტალის დეტექტორები, ავტომანქანებისა თუ მასალების სავალდებულო ჩხრევა. დანესებულების შიგნით სენსიტიური მასალების გადაადგილება მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილ პერსონალს შეუძლია. პროცესი შემდეგნაირია: რეგისტრირება, დროებითი შენახვა, კარანტინის ადგილი, დათვლა ან აგრეგაცია და მუდმივად შენახვა. სხვა ადგილებში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები ხშირად უკავშირდება მონაცემთა სისტემებსა და საკომუნიკაციო სისტემებს, რომელიც შედეგების გადაცემის, ტაბულაციის, აგრეგაციისა თუ გამოცემისთვის გამოიყენება. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ გამოიყენება ისეთი მექანიზმები, როგორცაა დამცავი ქსელი (firewall), სრულდება მომსახურებაზე უარის თქმის თავდასხმისთვის მზადდება, გამოიყენება კოდური სიტყვების მკაცრი სისტემა და ინკრიპტირებული (encrypted) მონაცემთა კომუნიკაცია.

ჰაკერების, წყალდიდობის, ხანძრისა თუ ტექნიკური დანადგარების მწყობრიდან გამოსვლისა თუ სხვა კატასტროფის შედეგად მონაცემთა დაკარგვისგან დაცვის კიდევ ერთი მექანიზმი მონაცემთა სარეზერვო ასლის სხვაგან შენახვაც წარმოადგენს.

ერთ-ერთი ყველაზე რთული რისკი, რომლის წინაშეც საარჩევნო ადმინისტრაცია დგას, მისი თანამშრომლების დაცვაა. საარჩევნო კომისიის წევრები, საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი და სხვა მუდმივი თანამშრომლები ხშირად ერთიანი უსაფრთხოების სისტემის ქვეშ არიან, მაგრამ საარჩევნო ადმინისტრაცია ხშირად ასობით მუდმივ და ათასობით დროებით თანამშრომელს ქირაობს დატვირთული სეზონის დროს. საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ასევე მათი ოჯახის წევრები შესაძლოა მუქარის ობიექტები აღმოჩნდნენ. ასეთ შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები და ქმედებები შესაძლოა გახდეს იმ სავალდებულო ტრენინგის განუყოფელი ნაწილი, რომელსაც გადიან საარჩევნო სისტემაში მომუშავე პირები, მიუხედავად მათი პოზიციისა ორგანიზაციაში.

### გამჭვირვალობა



ქმედებებისა და გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა საარჩევნო ქმედებების თანასწორობისა და სანდოობის მიმართ საზოგადოების ნდობის შენარჩუნების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კომპონენტია. ზოგადად, იგი მოითხოვს, რომ საარჩევნო ქმედებებთან დაკავშირებული დოკუმენტები საჯაროდ იყოს წვდომადი და შესაძლებელი იყოს მათი გამოწვევა და დამოუკიდებელი განხილვა.

საარჩევნო ქმედებების გამჭვირვალობა ასევე მოითხოვს პოლიტიკური მონაწილეებისა და როგორცსაერთაშორისო, ასევე ადგილობრივი დამოუკიდებელი დამკვირვებლების მნიშვნელოვან როლს და მათი თანაბარი წვდომით უზრუნველყოფას, რათა დააკვირდნენ და ეჭვქვეშ დააყენონ საარჩევნო პროცესები, განსაკუთრებით საარჩევნო უბნებზე, მაგრამ ასევე სხვა საარჩევნო ქმედებების პროცესში, სადაც შესაძლოა მიიღებოდეს დისკრეციული გადაწყვეტილებები, ან უნდა განხორციელდეს კანონით ან პროცედურებით განსაზღვრული ქმედებები.



ტრადიციულად, საარჩევნო ადმინისტრაციები გამჭვირვალობას თითქმის ყოველთვის უკავშირებენ ხმების დათვლის პროცესში პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების წარმომადგენელთა დასწრებას და დაკვირვება/მონაწილეობას, ასევე უფლებას, მიიღონ ხმების დათვლის პროცესის შედეგების დოკუმენტის ოფიციალური ასლები. ადგილობრივ და საერთაშორისო არჩევნების დამკვირვებლებს ასევე უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა თვალი ადევნონ პროცესს და მიიღონ შედეგების ამსახველი დოკუმენტის ოფიციალური ასლი. გამჭვირვალობის კონცეფცია გაცილებით უფრო გაფართოვდა, რადგან საარჩევნო ადმინისტრაციები ხმების დათვლის პროცესს შედეგების მართვის სისტემის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევენ და უფრო ერთიან მიდგომას იყენებენ. შესაბამისად, აუცილებელია გამჭვირვალობის დაცვა შედეგების მართვის სისტემის მთლიანი კონცეფციის შექმნისას, ასევე მისი ინდივიდუალური კომპონენტებისთვისაც, მათ შორისაა: ხმების დათვლა, შედეგების ტაბულაციის საშუალებები, შუალედური შედეგების გადაცემის საკომუნიკაციო სისტემები, სენსიტიური საარჩევნო შედეგების მასალების ტრანსპორტირება, ხმების დათვლის იურიდიული განაცხადისა თუ საარჩევნო შედეგებთან დაკავშირებული სხვა მასალების შენახვა. ისევე, როგორც ხმების დათვლისას საარჩევნო ადმინისტრაციის გარეშე პირებისთვის დასწრების საშუალების მიცემაა აუცილებელი გამჭვირვალობისთვის, ასევე მნიშვნელოვანია მხარეთა წარმომადგენლებისა და დამკვირვებლებისთვის შედეგების ტაბულაციის პროცესზე წვდომა.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა მოითხოვს, რომ იქ, სადაც საარჩევნო ადმინისტრაცია კრებით შედეგებს აცხადებს, უნდა გამოქვეყნდეს ცალკეულ საარჩევნო უბნებზე მიღებული შედეგებიც, რაც აკრედიტებულ დამკვირვებლებს, მხარეებისა და მედიის წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს თვალი გაადევნონ შედეგებს საარჩევნო უბნიდან მთლიანი შედეგების პროცესში. საარჩევნო ადმინისტრაციის ვებ-გვერდის გამოყენება სწრაფი და ადვილად წვდომადი საშუალებაა მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო უბნების მიხედვით შედეგების გასაზიარებლად. საარჩევნო უბნების მიხედვით შედეგების დაყოფა ასევე მზად უნდა იყოს შესაბამისი ელექტორატისთვის, სადაც შედეგების ტაბულაცია ხდება და შუალედური შედეგები ელექტორატის დონეზე ცხადდება.

შედეგების ხელით დათვლა, ბუნებრივია, უფრო გამჭვირვალე პროცესია, ვიდრე კომპიუტერის მეშვეობით დათვლა. თუ ხმების დათვლა, გადაცემა და აგრეგაცია საინფორმაციო-კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით ხდება, მაშინ აუცილებელია გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად საჭირო ახალი მექანიზმების შემოღება. თუმცა, აუცილებელია ისეთი შემთხვევების განხილვა, სადაც საინფორმაციო-კომპიუტერული ტექნოლოგიები ამცირებს გაყალბების შესაძლებლობებს. მაგალითად, ბრაზილიაში, საარჩევნო პროცესში ელექტრონული დანადგარების შემოღებისას გაყალბების შემთხვევებმა იკლო ისეთ ადგილებში, სადაც აქამდე შესაძლებელი იყო - ბიულეტენების სხვა ყუთებში გადაადგილება თუ პარტიული შედეგების შეცვლა თითოეულ საარჩევნო უბანზე. უფრო მეტიც, საარჩევნო ადმინისტრაციამ აქტიური კამპანია უნდა წარმართოს მოქალაქეებთან, რომელიც აუხსნის, თუ როგორ გააძლიერებს საინფორმაციო-ტექნოლოგიების გამოყენება სისტემას.



### პროფესიონალიზმი და საზოგადოებრივი სამსახური

საარჩევნო საქმიანობის დროს პროფესიონალიზმი უზრუნველყოფს ამომრჩევლისა და პოლიტიკური მონაწილეებისთვის მომსახურების ეფექტიანად მიწოდებას. მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ფორმალური ადმინისტრაციული ქცევის კოდექსი, საარჩევნო საქმიანობაში ჩართული პერსონალი უნდა იყოს:

- ☑ არაპარტიული/მოუკერძოებელი;
- ☑ პროფესიონალი;
- ☑ თავაზიანი;
- ☑ ეფექტიანი გადანაცვლებების მიღებისა და რესურსების გამოყენების დროს
- ☑ საარჩევნო მასალებთან ფრთხილი და მარჯვე;
- ☑ ამომრჩეველთა და პოლიტიკურ მონაწილეთა უფლებების მცოდნე;
- ☑ ელექტორატის უმცირესობათა და არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი სექტორების საჭიროებათა მცოდნე;

☒ პასუხისმგებელი უსაფრთხოებასა და ხმის ფარულობაზე;

☒ საქმიანობის გაუმჯობესებაზე მზრუნველი.

პროფესიონალიზმის მოთხოვნას თან სდევს საარჩევნო ადმინისტრაციების აღმასრულებელთა და ზედამხედველთა პასუხისმგებლობა, შესაბამისი ტრენინგი ჩაუტარონ ყველა თანამშრომელს, რათა საარჩევნო ქმედებების განხორციელება პროფესიონალურად მოხდეს.

კენჭისყრისა და ხმების დათვლის პროცესზე პასუხისმგებელი პირები პროფესიონალურად უნდა იქცეოდნენ. მათ ამომწურავი ტრენინგი უნდა გაიარონ ხმების დათვლის პროცესთან დაკავშირებით, რაც განსხვავებულია ხმის მიცემის პროცედურებისგან. ისინი ზედმინევენით და უნდა იცავდნენ წესებს და საარჩევნო მასალებს მზრუნველობით და პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ. მას შემდეგ, რაც პირი ხმების დათვლის პასუხისმგებლობას მიიღებს, იგი მთელი პროცესის განმავლობაში მიუკერძოებელი უნდა დარჩეს. ზოგიერთ ქვეყანაში დათვლაზე პასუხისმგებელი ყველა პირი ხელს აწერს ფიცს, რაც ნიშნავს, რომ ქმედების მიკერძოებულობის შემთხვევაში კანონის წინაშე იქნებიან პასუხისმგებლები.

პროფესიონალიზმის მოთხოვნა მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციების თანამშრომლებზე არ ვრცელდება. საარჩევნო პროცესებში მონაწილე სხვა ორგანიზაციებიც, მაგალითად, სამართალდამცავი ორგანოები, სამოქალაქო ორგანიზაციები, კონტრაქტორები, დამოუკიდებელი სადამკვირვებლო ჯგუფები და პოლიტიკური მონაწილეები, ყველა ვალდებულია უზრუნველყოს თანამშრომლების მიერ ნაკისრი ვალდებულებების პროფესიონალურად შესრულება.

საარჩევნო ადმინისტრაციები აღიარებენ, რომ თანამშრომლები ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსია. თუმცა, იგივე მათი სუსტი წერტილიც შეიძლება გახდეს, ვინაიდან ყველაზე კარგად ჩამოყალიბებული გეგმაც, ყველაზე მარტივი ფორმებითა და გამოსაყენებლად ადვილი ტექნოლოგიებით შეიძლება ჩავარდეს, თუ თანამშრომლებს არ გააჩნიათ საჭირო მოტივაცია და ტრენინგი.

დიდი ხნის განმავლობაში საარჩევნო ადმინისტრაციები ძირითადად საარჩევნო უბნებისა და ხმების დათვლაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების ტრენინგებს ატარებდნენ, ვინაიდან ამ თანამშრომლებს საკუთარი მოვალეობების პროფესიონალურად განხორციელება ევალებოდათ. ისინი ამომწურავ ტრენინგს გადიოდნენ ხმების დათვლის პროცესის ირგვლივ, რაც ხმის მიცემის პროცედურებისგან განსხვავებულად ითვლებოდა, ხოლო საარჩევნო მასალებს განსაკუთრებული მზრუნველობით და პატივით ეპყრობოდნენ. თუმცა, სანდო საარჩევნო შედეგების პროცესის მიმართ მოთხოვნების ზრდასთან ერთად გაიზარდა იმ თანამშრომელთა კატეგორიაც, რომლებსაც მოვალეობების პროფესიონალურად შესრულება ევალებათ. გარდა ამისა, საარჩევნო პროცესში ახალი ტექნოლოგიების შემოღებასთან ერთად უფრო მეტი ყურადღება ეთმობა დაქირავებულ თანამშრომელთა კომპიუტერულ უნარებს. ტრადიციულად, უფრო ასაკოვან და მეტად გამოცდილ საარჩევნო მუშაკებს უფრო ნაკლებად აქვთ კომპიუტერული და სმარტფონებთან დაკავშირებული უნარები, ხოლო ახალ და უფრო ტექნოლოგიურად გათვითცნობიერებულ თანამშრომლებს კი საარჩევნო გამოცდილება აკლიათ.

იმისთვის, რომ შესრულდეს საარჩევნო ადმინისტრაციების თანამშრომელთა (როგორც მუდმივ, ასევე დროებით თანამშრომელთა) მიმართ მზარდი მოთხოვნები, ტრენინგის პროგრამები უფრო მრავალფეროვანი და სპეციალიზებული უნდა იყოს. შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაციას კარგად მომზადება მოუწევს, რათა დააკმაყოფილოს მუდამ მზარდი მოთხოვნები.

ზოგადი საარჩევნო პროცესების ცოდნა და უშუალოდ განსახორციელებელ დავალებებში განაფულობა საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიონალი თანამშრომლის ორი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. თუმცა, მას შემდეგ, რაც პირი ხმების დათვლის პასუხისმგებლობას მიიღებს, იგი მთელი პროცესის განმავლობაში მიუკერძოებელი უნდა დარჩეს. ზოგიერთ ქვეყანაში დათვლაზე პასუხისმგებელი ყველა პირი ხელს აწერს ფიცს, რაც ნიშნავს, რომ მიკერძოებული ქცევის, კანონისა თუ საარჩევნო ადმინისტრაციის ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში კანონის წინაშე იქნებიან პასუხისმგებლები. ფიცი ასევე უნდა მოიცავდეს კონფიდენციალურობის მოთხოვნას, რომ არ გაიციემა სენსიტიური ინფორმაცია და ამომრჩეველთა ვინაობა. ხელმოწერილი ქცევის წესების არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ საარჩევნო საქმიანობაში ჩართული პირის მიმართ თანამდებობის ბოროტად გამოყენების კუთხით გამოძიება მიმდინარეობს.

## სიზუსტე

არჩევნების შედეგების სიზუსტე პირდაპირ უკავშირდება ხმების დათვლის, ტაბულაციისა და აგრეგაციის პროცესის დროს სანდობას. მოგვიანებით ცდომილების აღმოჩენისა თუ შეცდომების გამოსწორების მცდელობას შესაძლოა თან არამართლზომიერი ქმედებისა და თვით გაყალბების ბრალდება მოყვეს.

ხმების დათვლის სიზუსტე დამოკიდებული იქნება ზუსტ პროცედურებსა და სახელმძღვანელოებზე, სათანადოდ შემოწმებულ სწორ კომპიუტერულ პროგრამებსა და საკომუნიკაციო სისტემებზე, თანამშრომელთა ადეკვატურ ტრენინგზე, დამაბალანსებელ მექანიზმებზე და თანამშრომელთა პროცესის მიმართ ერთგულ დამოკიდებულებაზე. ბიულეტენებისა და საარჩევნო ყუთების შემოწმება, შედეგებისა და ტაბულაციების ფორმების, ასევე შემოწმებისა და ხელახლა გადამოწმების მექანიზმები ხელს შეუწყობს შედეგების სიზუსტეს. კომპიუტერულმა-საინფორმაციო ტექნოლოგიებმა შესაძლოა გაზარდოს სიზუსტე, მაგრამ მისი სარგებელი უნდა დაბალანსდეს გამჭვირვალობის დაკარგვასთან დაკავშირებულ შედეგებთან მიმართებით.

## სანდობა



შედეგების მართვის სისტემის სანდობა პირდაპირ კავშირშია შედეგების წარმოქმნის მთლიან პროცესთან და არამხოლოდ დათვლის პროცესთან. შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაციამ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა დაცული იყოს შედეგების მართვის სისტემის სანდობა, საარჩევნო გაყალბების რისკებისა თუ სისტემური მანიპულაციებისა და საარჩევნო დარღვევების წინააღმდეგ აქტიურად ბრძოლით. შედეგების მართვის სისტემის გაყალბების

რისკების ამომწურავი ანალიზის ჩატარებით საარჩევნო ადმინისტრაცია უკეთ შეძლებს პოტენციური სისუსტეების გამოვლენას. გაყალბებასთან დაკავშირებული რისკების საფუძველზე საარჩევნო ადმინისტრაცია შეძლებს ეს რისკები წარმოშობის რეალურობის მიხედვით და წარმოშობის შემთხვევაში ზეგავლენის მასშტაბის მიხედვით დააღაგოს. ამგვარი რანჟირება მნიშვნელოვან ინსტრუმენტი გახდება და ეფექტიანად დაეხმარება საარჩევნო ადმინისტრაციას გაყალბების რისკების მაკონტროლებელი გეგმის შემუშავებაში, ვინაიდან ამგვარად შესაძლებელი გახდება გაყალბებასთან დაკავშირებული რისკების ხელის შეშლა, გამოვლენა და აღმოფხვრა.

თუმცა, საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელს პირადი პასუხისმგებლობაც გააჩნია დაიცვას შედეგების პროცესის სანდობა და შესაძლოა პასუხისმგებლობაში მიეცეს მის კონტროლს ქვეშ არსებული პროცესების უნებლიე დარღვევების შემთხვევაშიც კი. თუ პირი გაუფრთხილებლად იქცევა ან არღვევს ქცევის კოდექსს, წესებსა და რეგულაციებს, რომელშიც მას გავლილი აქვს ტრენინგი, მაშინ შესაძლოა იგი არასამართლებრივად იქცევა. საარჩევნო ადმინისტრაციებისთვის რეკომენდირებულია შექმნან ქცევის კოდექსი და ყველა თანამშრომლის ტრენინგის დროს გათვალისწინებულ იქნას პასუხისმგებლობის ფარგლების კონცეფცია იმისდა მიუხედავად, კომისიის წევრები არიან თუ დროებითი თანამშრომლები.

## ანგარიშვალდებულება



იმის გამო, რომ საარჩევნო საქმიანობასთან დაკავშირებული გადანყვეტილებები და ქმედებები ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის საბაზისო უფლების გამოყენებაზე, აუცილებელია, რომ ეს გადანყვეტილებები და ქმედებები განხორციელდეს ანგარიშვალდებულების ჩარჩოში. ამგვარი დამოკიდებულება თანაბრად

მნიშვნელოვანია როგორც საარჩევნო სისტემის თანამშრომელთათვის, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის ყველაზე მაღალი რანგის მენეჯმენტისთვისაც. ეს ჩარჩო უნდა:

- ⇒ განსაზღვრავდეს ყოველ დავალებას, როგორც კონკრეტული თანამშრომლის პირად პასუხისმგებლობას;
- ⇒ უზრუნველყოფდეს, რომ თანამშრომლებმა იცოდნენ საკუთარი და სხვების გადანყვეტილებების მიღების უფლებამოსილების საზღვრები;
- ⇒ ქმნიდეს დავების გადანყვეტის მექანიზმს;



⇒ ქმნიდეს ნათელ და მრავალმხრივ გაიდლაინებს და პროცედურებს საარჩევნო ქმედებების პროცესებისა და დავების გადაჭრისთვის.

პროფესიონალიზმის მსგავსად, თანამშრომლებს ანგარიშვალდებულების საკითხზეც უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგი.

გარკვეული კონტროლის მექანიზმის არსებობის გარეშე ანგარიშვალდებულება შესაძლოა შემცირდეს. ყველა მიღებული გადაწყვეტილებისა და განხორციელებული ქმედების შესაბამისად დოკუმენტირება და აუდიტის აქტიურად განხორციელება შესაბამის დაცვის მექანიზმს ქმნის.

საარჩევნო სისტემის მენეჯმენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და ქმედებების გასაჩივრების ღია და გამჭვირვალე საჯარო პროცესები ასევე დაეხმარება, ისევე როგორც საარჩევნო ქმედებების ამოცანებისა და შესრულების დონის რეგულარული, დამოუკიდებელი და საჯარო შეფასებები.

საარჩევნო შედეგების პროცესის ყოველ ეტაპზე პასუხისმგებლობის აღება და ანგარიშვალდებულება ასევე მნიშვნელოვანია. საკანონმდებლო ჩარჩო და საარჩევნო ადმინისტრაციის ქცევის კოდექსი აყალიბებს იმ ძირითად პასუხისმგებლობას, რომელიც უნდა ჰქონდეს საარჩევნო სისტემაში მომუშავე პირებს. გარდა შედეგების მართვის სისტემის პროცედურებისა და რეგულაციებისა, ყოველი პოზიციის სამუშაოს აღწერა უფრო დეტალურად ადგენს რა მოეთხოვება კონკრეტულ პირს. ყველა საარჩევნო პირს აქვს სიფრთხილის პასუხისმგებლობა.

ქვეყნის დონეზე საარჩევნო ადმინისტრაცია ანგარიშვალდებულები უნდა იყოს ყველა საჭირო მოსამზადებელი სამუშაოს დროულად დასრულებაზე და ისეთი შედეგების სისტემის ჩამოყალიბებაზე, რომელიც შეესაბამება მოცემულ დავალებებს. საარჩევნო ოლქების დონეზე უფროსი რანგის საარჩევნო პირი ან საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეა პასუხისმგებელი შედეგების პროცესის სრულად განხორციელებაზე მათი უფლებამოსილების ფარგლებში.

საარჩევნო უბნებზე და ცენტრალიზებულ ხმების დათვლის/ტაბულაციის ადგილებში ხმის მიცემაზე, დათვლასა და ტაბულაციაზე შესაძლოა კონკრეტული პირები იყვნენ პასუხისმგებლები. იგივე ეხება შედეგებთან დაკავშირებული სენსიტიური მასალების ტრანსპორტირებასა თუ შუალედური და საბოლოო შედეგების კომუნიკაციას. ასევე აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრული გასაჩივრებისა და აპელაციის პროცესები. უნდა შეიქმნას სტრუქტურები, რომელსაც საჩივრების განხილვის უფლებამოსილება და კომპეტენცია ექნება. ასეთები შეიძლება იყოს პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობის კომიტეტები, კონფლიქტების მართვისა და გადაწყვეტის ორგანოები თუ იურიდიული დანესებულებები.

ხმების დათვლის წესები, მათ შორის ბიულეტენის ბათილად ცნობის კრიტერიუმები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, შეთანხმებული და წინასწარ ცნობილი. რაც მთავარია, კარგად უნდა ესმოდეს ყველას, ვინც არჩევნებშია ჩართული, ოფიციალური პირები იქნება, საზოგადოება, პოლიტიკური პარტიები, კანდიდატები, არასამთავრობო ორგანიზაციები თუ ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები. თუ შედეგების ფორმა საარჩევნო უბანზე არასწორად შეივსება, ხოლო ცდომილება ტაბულაციის პროცესის დროს გამოვლინდება, მაშინ საჭიროა მკაფიო და კარგად ცნობილი პროცედურების არსებობა, თუ ვინ და როგორ უნდა შეასწოროს მონაცემები, რათა არ წარმოიშვას საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ტაბულაციის შედეგების არამართებულად ცვლილების ბრალდებები. ამგვარად, ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად პროცესების სათანადოდ დოკუმენტირებაა საჭირო.



### ფარულობა

ხმის ფარულობის, ანუ კონფიდენციალურობის დაცვა ყველაზე მთავარი გარანტიაა, რომ ამომრჩეველს შეუძლია საკუთარი არჩევანი გააკეთოს სხვადასხვა პოლიტიკურ ინტერესებს შორის, რამე უპირატესობის მიღებისა და დასჯის შიშის გარეშე. ხმის ფარულობის დაცვა გატარებული უნდა იყოს:

☞ საარჩევნო უბნების შიდა და ხმის მიცემისთვის განკუთვნილი მონყობილობების განლაგებით;

- ☞ ბიულეტენისა და საარჩევნო ფორმის დიზაინით ;
- ☞ საარჩევნო უბნების პერსონალის ქცევითა და მათი და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა მიერ შესრულებული როლებით;
- ☞ ხმის მიცემის დროს დახმარების პროცედურებით.

ხმის მიცემის განსაკუთრებული ფორმების (ხმის ელექტრონული ფოსტით, წინასწარ, მინდობილობით ან სხვა საარჩევნო უბანზე ან ქვეყანაში მიცემა) შექმნისას და შესაბამისი მასალებისა თუ პროცედურების მომზადებისას აუცილებელია ისეთი საკითხების გათვალისწინება, როგორცაა, მაგალითად, ბიულეტენისთვის ამომრჩევლის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის თანდართვა, რაც მის ხმის უფლებას აჩვენებს. აუცილებელია გავითვალისწინოთ, რამდენად უნდა მოხდეს ხმების დათვლა განსხვავებული თემებისთვის ან ძალიან მცირე მოსახლეობისთვის შექმნილ საარჩევნო უბნებზე, თუ დათვლამდე ბიულეტენები სხვაგან უნდა განთავსდეს სხვა საარჩევნო უბნების ხმებთან ერთად.

ხმის ფარულობა მნიშვნელოვანია, რათა ამომრჩეველი საკუთარი გადაწყვეტილების გამო არ აღმოჩნდეს მსხვერპლის პოზიციაში, ან არ განიცადოს მუქარა. ხმის ფარულობის შენარჩუნებისთვის ამომრჩეველთა იდენტობა არასოდეს უნდა უკავშირდებოდეს მის არჩევანს. თუმცა, საარჩევნო უბანზე, სადაც მცირე რაოდენობის ამომრჩეველია რეგისტრირებული, ხმის ფარულობა შესაძლოა ადვილად დაირღვეს, თუ ყველა ამომრჩეველი ხმას იმავე პარტიას მისცემს.

თუ ცალკეული პირებისა თუ თემის ხმის ფარულობა ეჭვქვეშ დგას, შესაძლოა ისეთი ზომების გათვალისწინება, როგორცაა ხმების დათვლა დასათვლელ ცენტრებში და არა ცალკეულ საარჩევნო უბნებზე, ან სხვადასხვა საარჩევნო უბნების ბიულეტენების შერევა. თანმიმდევრულად დანომრილი ბიულეტენები, რომელიც საარჩევნო ბიულეტენის ყუის ნომერს ემთხვევა და შესაძლოა ამომრჩევლის ვინაობა იქნას მითითებული, ეჭვქვეშ დააყენებს ხმის ფარულობას და უკეთესია მისი თავიდან არიდება. თუმცა, აუდიტის მიზნებისთვის, საკმარისია, თუ ბიულეტენები და მოსახვეი ნაწილი დაიბეჭდება ბიულეტენების ბუკლეტში მოცემული ნუმერაციით და ამგვარად, თავიდან აიცილებს ხმის ფარულობას. გარდა ამისა, ნუმერაციის გამოყენების შემთხვევაში შესაძლოა ეს ნომრები განსხვავდებოდეს ბიულეტენსა და ყუაზე, მაგრამ ერთმანეთს შეესაბამებოდეს მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციისა და კანონით განსაზღვრული ორგანოებისთვის ხელმისაწვდომ მონაცემთა ბაზაში.



**მზაობა**

საარჩევნო საქმიანობა მოკლე დროში და მკაცრი ვადების პირობებში დიდი ოდენობის რესურსების მობილიზაციასა და მრავალფეროვანი სისტემების განხორციელებას მოითხოვს. ამის მიღწევა შეუძლებელია საარჩევნო ოპერაციების ყველა ასპექტის პროფესიონალურად დაგეგმვისა და ყველა კომპონენტის მასალისა თუ მომსახურების მკაცრ ვადებში აღსრულების გარეშე.

დაგეგმვის დროს ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ახალი სისტემებისა და პროცედურების შემოღება ისეთ ვადებში, რომ არჩევნების გამოცხადებამდე მუდმივად მოხდეს სამოქმედო ხარისხის სტანდარტების მიღწევა.

ისეთ საარჩევნო სისტემებში, სადაც არჩევნების თარიღები ფიქსირებულია, მზაობის დაგეგმვა უფრო ადვილია. ისეთ სისტემებში კი, სადაც საარჩევნო თარიღები ნაკლებადაა განსაზღვრული, აუცილებელია მზაობის მუდმივი რეჟიმის შენარჩუნება.

საარჩევნო ქმედებებისთვის მზაობის ნაკლებობა - არასათანადოდ ან სრულიად მოუმზადებელი საარჩევნო ადმინისტრაციების წევრები, მასალებისა და მოწყობილობების დაბალი ხარისხი ან მათი არარსებობა, შესაბამისი საარჩევნო პუნქტების არასწორი იდენტიფიკაცია, შეუმომწებელი საკომუნიკაციო თუ ელექტრონული სისტემები, არასათანადო ლოჯისტიკური დაგეგმვა - არჩევნების ვალიდურობას საფრთხის ქვეშ დააყენებს.

მთავრობები და სხვა სახელმწიფო ორგანოები ასევე კარგად უნდა აცნობიერებდნენ შედეგებს, რაც შეიძლება ჰქონდეს მზაობის ნაკლებობას საარჩევნო ქმედებების სანდოობაზე. საკანონმდებლო ცვლილებები ან ადმინისტრაციული შესწორებები, რომელიც არჩევნების თარიღთან ახლო პერიოდში შედის ძალაში, განსაკუთრებით კი საარჩევნო კანონმდებლობის მუდმივი ცვლილებები არჩევნების დღის წინა კვირების განმავლობაში, ისედაც გამოწვევების მქონე პროცესს კიდევ უფრო მეტ ქაოტურობას სძენს.

საარჩევნო ადმინისტრაციამ შესაბამისად ხელახლა უნდა გააკეთოს ისეთი აქტივობების ორგანიზება, როგორცაა მასალების მიწოდება, თანამშრომელთა დაქირავება, ტრენინგის შინაარსი და განრიგი, და ეს ყველაფერი ისეთ ვადებში, რომელიც თავდაპირველად დაგეგმილი პროცესისთვის არასაკმარისია.

ამგვარ სიტუაციას მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგი მოაქვს არჩევნების ხარისხის კუთხით. სასურველია, მთავრობამ და საარჩევნო ადმინისტრაციამ მოილაპარაკონ საბოლოო თარიღზე, რომლის მიღმაც საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო სტატიკური იქნება.



### **დროულობა**

საარჩევნო ადმინისტრაციამ ორი განსხვავებული, თუმცა ურთიერთგადაჭაჭვული პროცესი უნდა განახორციელოს: ტაბულაცია და ანგარიშგება. ორივე მათგანი დროული საარჩევნო შედეგების წარმოქმნას ემსახურება. ხმების დათვლისა და არაოფიციალური წინასწარი შედეგების გამოქვეყნების დაგვიანებამ, რაც, თავის მხრივ, საბოლოო შედეგების დაგვიანებით გამოცხადებას იწვევს, შეუძლია უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს საარჩევნო პროცესის განუხრელობაზე და მის მიმართ ნდობაზე.

პასუხისმგებელმა საარჩევნო ადმინისტრაციამ ხმების დათვლის პროცესის ყველა ეტაპი ყურადღებით უნდა დაგეგმოს, რათა ადრეულად გამოქვეყნდეს შედეგები, ან რეალურად შეაფასოს, როდის მოხდება შედეგების გამოქვეყნება, საკომუნიკაციო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით.

თუმცა, აუცილებელია, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია არ აღმოჩნდეს შედეგების დროზე ადრე გამოქვეყნების ზეწოლის ქვეშ. საარჩევნო ადმინისტრაციამ საკმარისი დრო უნდა გამოყოს, რათა შესაბამისად მოხდეს შედეგების გადაცემა, ტაბულაცია და შემოწმება, სანამ შუალედური თუ საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება. ამგვარი მოლოდინის მართვის მიზნით საარჩევნო ადმინისტრაცია ზედმინუნით და მუდმივად უნდა მიჰყვეს დასახულ ვადებს არჩევნების დღეს შედეგების დროულად გამოქვეყნებისთვის, ასევე, უნდა აცნობოს ამომრჩეველს მიდის თუ არა პროცესი განრიგის მიხედვით და არის თუ არა მოსალოდნელი რამე ცვლილება.

### **იერარქიული ჯაჭვი**

იერარქიული ჯაჭვი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არჩევნების შედეგების გასაჩივრების პროცესისთვის. საარჩევნო ადმინისტრაციამ სენსიტიურ საარჩევნო მასალებს ისე უნდა მოუაროს, რომ ფიზიკური მასალების მიღებიდან სასამართლოში წარდგენამდე მათი გადაადგილებისა თუ შენახვის დროს არ დაირღვეს ამ მასალების ხელშეუხებლობა.

საარჩევნო ადმინისტრაციები ხშირად სპეციფიურ ფორმას შეიმუშავებენ, სადაც აღირიცხება საარჩევნო მასალების მოძრაობა ცენტრალური საწყობიდან შესაბამის საარჩევნო უბანზე. ამგვარ ფორმაში ცხადად ჩანს, ვის ხელთ იყო მასალები პროცესის სხვადასხვა ეტაპზე. საარჩევნო ადმინისტრაცია იმავე სისტემას გამოიყენებს მასალების საარჩევნო უბნებიდან მის საწყობში თუ ხმის დათვლის/ტაბულაციის დაწესებულებაში გადასატანად. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ხშირად გვხვდება ცენტრალურ დასათვლელ თუ ტაბულაციის დაწესებულებებში.

დაწესებულების შიგნით სენსიტიური მასალების მოძრაობა რეგისტრაციის, დროებითი შენახვის, პოტენციური კარანტინის ტერიტორიაზე, ასევე დათვლა თუ აგრეგაცია და შემდგომ მუდმივი შენახვა მხოლოდ უფლებამოსილი პერსონალის მიერ უნდა მოხდეს, და შესაბამისად უნდა იყოს



დოკუმენტირებული. ზოგჯერ, როცა სენსიტიური მასალები და საიდენტიფიკაციო ბარათები შტრიხ-კოდითაა დაცული, აღრიცხვა ხელში დასაჭერი სკანერებით ხდება. ასევე შესაძლებელია პროცედურების ჩამოყალიბება, რომელიც აჩვენებს, ვის ჰქონდა უფლება მიეღო და რა ფორმით შეეძლო მასალების გადატანა დანესებულების სხვადასხვა ადგილებში. აღრიცხვის ფურცელზე გარკვევით უნდა ჩანდეს კონკრეტულ მასალაზე პასუხისმგებელი ხელისმომწერი პირი. მსგავსი პროცედურა მასალების დაბრუნების დროსაც გამოიყენება.



### **მდგრადობა**

არჩევნები ერთჯერადი ღონისძიება არ არის. საარჩევნო ქმედებების შესაბამისი პროცესის, სისტემისა და პროცედურების განსაზღვრისას დეტალურად უნდა შეფასდეს, რამდენად შესაძლებელია ამ მომსახურების ამომრჩევლისთვის კვლავ მიწოდება ანალოგიურ ან უფრო მაღალ დონეზე. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ საარჩევნო ქმედებებს, რომლის დროსაც შესაძლებელია კონკრეტული არჩევნების დროს საერთაშორისო დაფინანსების მოპოვება. მიუხედავად იმისა, რომ ხარჯის განხრის შესაძლებლობა მნიშვნელოვანია, საუბარი არ არის მხოლოდ დანახარჯზე. ეს ასევე მოიცავს:

- ⇒ დანადგარებისა თუ სისტემების შენარჩუნებისა და მომავალში ამოქმედებისთვის საჭირო უნარების არსებობას;
- ⇒ გარე მომწოდებლებსა და ტექნიკურ დახმარებაზე დამოკიდებულების ჩამოყალიბებას;
- ⇒ საარჩევნო ქმედებების მიზნებისთვის მიღებული უნარების მუდმივად გამოყენებას ან პოტენციურ ალტერნატივას;
- ⇒ ეკონომიკური ცვლილებების გათვალისწინებას, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას საარჩევნო ქმედებების დაფინანსების მასიური შედინებისგან.

ნებისმიერი საარჩევნო ქმედების პროცესი მდგრადი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ იგი ქვეყნის კონკრეტულ გარემოს შეესაბამება.

იქ, სადაც საარჩევნო ქმედებები საერთაშორისო დაფინანსებით ხორციელდება, იგი უფრო მდგრადია, თუ მიღებული უნარები ადგილობრივ მოსახლეობას გადაეცემა. უნარების ამგვარი გადაცემა მოიცავს:

- ⇒ ტექნიკურ დახმარებას, რომელიც ადგილობრივი თანამშრომლებისთვის რჩევების მიწოდებასა და მენტორობას გულისხმობს და არამხოლოდ მთლიანი დავალებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას;
- ⇒ მონყობილობებისა და ტრენინგის მიწოდებას, რომელიც აძლიერებს ადგილობრივ საწარმოო დანესებულებებს, და არ ეფუძნება მხოლოდ მასალების იმპორტს.



### **ხარჯთეფექტიანობა**

ხარჯთეფექტიანობის პრინციპი ერთის შეხედვით შესაძლოა წინააღმდეგობაში მოდიოდეს ზემოთ ჩამოთვლილ პრინციპებთან. ხარჯების მიმართ ფრთხილი დამოკიდებულება შესაძლოა ნიშნავდეს, რომ ხშირად არ იყოს შესაძლებელი აქტივობების ყველაზე იდეალური გზით განხორციელება. არსებობს ორი ძალიან კარგი მიზეზი, თუ რატომაც უნდა იყოს ხარჯთეფექტიანობა საარჩევნო ქმედებების ერთ-ერთი მთავარი წარმმართველი პრინციპი.

საარჩევნო ქმედებების მართვა ნიშნავს მომსახურების ოპტიმალური მრავალფეროვნების მიწოდებას არსებული ამონურვადი თანხების პირობებში. კონკრეტული საარჩევნო ამოცანის განხორციელებისთვის რესურსების არაეფექტიანად გამოყენება ნიშნავს, რომ სხვა ამოცანების მიღწევის პოტენციალი იკლებს.

მთავრობის აღმასრულებელი შტოს ან საზოგადოების მოსაზრება რესურსების არაეფექტიანად თუ არარაციონალურად გამოყენების თაობაზე შესაძლოა ბადებდეს კითხვას, ღირს თუ არა ზემოთ აღწერილი ზოგიერთი ან ყველა ამოცანის მიღწევის ცდა.

## არჩევნებში ჩართული მხარეები

არჩევნებში ჩართულ მხარეებად მოიაზრება საარჩევნო პროცესის ყველა მონაწილე (საარჩევნო ადმინისტრაცია, პარტიები/საარჩევნო სუბიექტები, მედია, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები, სხვა საჯარო დაწესებულებები და ამომრჩეველი), რომელთა საქმიანობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს არჩევნების დემოკრატიულობის ხარისხს. ჩართული მხარეების უფლებები და მოვალეობები კანონითაა განსაზღვრული.

არჩევნებში ჩართულ ძირითად მხარეებად შეიძლება მოვიხაროთ: საარჩევნო ადმინისტრაცია, სადამკვირვებლო სპექტრი, პარტიები/საარჩევნო სუბიექტები და მედია. საარჩევნო ადმინისტრაციაზე უკვე წინა თავში ვისაუბრეთ, ამიტომ განვიხილოთ დანარჩენი მათგანი.

## სადამკვირვებლო სპექტრი

მსოფლიო პრაქტიკაში არჩევნებზე დაკვირვებას ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციები ახორციელებენ. დამკვირვებელი ორგანიზაციები, როგორც საარჩევნო პროცესში ჩართული მიუკერძოებელი და ნეიტრალური ინსტიტუტები, უზრუნველყოფენ არჩევნების მონიტორინგს, მოსახლეობისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის საარჩევნო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას.

არჩევნებისადმი საზოგადოების ნდობის ხარისხის ამაღლება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ მომზადებულ შეფასებებზე. სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების აქტიური და ინტენსიური თანამშრომლობის შესაძლებლობა შესაბამის სტატუსთან და გამოცდილებასთან არის დაკავშირებული.

არჩევნებზე დაკვირვების უფლება აქვთ ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც გაივლიან რეგისტრაციას საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი წესის შესაბამისად (დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესი მოცემულია აღნიშნული კანონის V თავში).



ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 1 წლისა რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდება ან დებულება (სადამკვირვებლო დოკუმენტი) რეგისტრაციაში გატარების მომენტისათვის ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს ან/

და ადამიანის უფლებათა დაცვას. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის წარმომადგენლის - ადგილობრივი დამკვირვებლის მეშვეობით. ერთ ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს ერთი დამკვირვებლისა.

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, გარდა:

- ✗ მოსამართლისა;
- ✗ სახელმწიფო - პოლიტიკური თანამდებობის პირისა;
- ✗ საქართველოს პარლამენტის წევრისა;
- ✗ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრისა;
- ✗ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელისა და მისი მოადგილისა;
- ✗ საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვის და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებისა;
- ✗ პროკურატურის თანამდებობის პირისა;
- ✗ საარჩევნო სუბიექტისა და მისი წარმომადგენლისა;
- ✗ საარჩევნო კომისიის წევრისა.



**საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია** შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელი, სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული ორგანიზაცია ან საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტი/წესდება ითვალისწინებს არჩევნების

მონიტორინგს, ადამიანის უფლებათა დაცვას და რომლის საქმიანობაც ეფუძნება შემდეგ **საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს:**

- ☑ საქართველოს კანონმდებლობის, სუვერენიტეტისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების პატივისცემა;
- ☑ საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლისგან თავის შეკავება;
- ☑ პოლიტიკური მიუკერძოებლობა;
- ☑ საარჩევნო პროცესის მონაწილეებისაგან ფინანსური დამოუკიდებლობა და დაფინანსების წყაროების გამჭვირვალობა;
- ☑ საერთაშორისო საარჩევნო დაკვირვების პრინციპების დეკლარაციით აღიარებული დებულებების დაცვა.

საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციას და იმ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში ატარებს ცესკო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე უსკო, თუ ერთდროულად ტარდება საქართველოს საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული საერთო და უმაღლესი საბჭოს არჩევნები, დამკვირვებელი ორგანიზაცია, თუ იგი რეგისტრირებულია ცესკოს მიერ, უსკოში დამატებით რეგისტრაციას არ საჭიროებს). ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა **საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ** ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს ინფორმაცია დამკვირვებელთა შესახებ და მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ფოტოასლები (თუ საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს თან ახლავთ თარჯიმანი, საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ მათი სიაც უნდა წარადგინოს). ამ ინფორმაციის შინაარსსა და ფორმას განკარგულებით ადგენს ცესკო.

ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა **ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ** ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს საარჩევნო კომისიებში დამკვირვებლების რეგისტრაციის შესახებ განცხადება<sup>7</sup>, ცესკოში, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებელთა სია (გვარი, სახელი, რეგისტრაციის ადგილი, პირადი ნომერი) და მათი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის/პასპორტის ფოტოასლები. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს იმავე ფორმით უნდა წარუდგინოს საოლქო და მის ქვემდებარე საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებელთა სია (სიაში უნდა აღინიშნოს დამკვირვებლის გვარი, სახელი, რეგისტრაციის ადგილი, პირადი ნომერი) და ზემოაღნიშნული დოკუმენტები.

საარჩევნო კომისიას უფლება არა აქვს, დამკვირვებელ ორგანიზაციას უარი უთხრას რეგისტრაციაზე, თუ იგი აკმაყოფილებს საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. საარჩევნო კომისიის განკარგულება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და ორგანიზაციას უნდა გადაეცეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა.

**არჩევნების მონიტორინგის მეთოდები და მნიშვნელობა.** არჩევნებზე დაკვირვება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ელემენტისაგან შედგება. მხოლოდ კენჭისყრის დღეს მონიტორინგის წარმოება სრულყოფილ დაკვირვებად მიჩნეული ვერ იქნება, ვინაიდან არჩევნები იწყება არჩევნების თარიღის გამოცხადებისთანავე (ე. წ. „კენჭისყრის დღემდე პერიოდი“) და მთავრდება საარჩევნო პროცედურების დასრულებიდან (კენჭისყრის დღიდან) რამდენიმე კვირის შემდეგ.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების გლობალური ქსელის (GNDEM—Global Network of Domestic Election Monitors) ინიციატივით არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის შემუშავდა სადამკვირვებლო მონიტორინგის გლობალური პრინციპების დეკლარაცია და ქცევის კოდექსი, რომლის შესრულება ხელმომწერი ორგანიზაციებისთვის სავალდებულოა. მიუკერძოებელი **დაკვირვების განხორციელებისთვის შემუშავდა დამკვირვებელთა ფიცი.**

<sup>7</sup> განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ მის მიერ წარდგენილ სიაში შეყვანილი დამკვირვებლები აკმაყოფილებენ საარჩევნო კოდექსის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს



სადამკვირვებლო მონიტორინგის პრინციპები:


- ☒ **კანონის უზენაესობა** – დამკვირვებელი თავისი საქმიანობისას მკაცრად იცავს კანონს და პატივს სცემს მის აღსრულებას;
- ☒ **მიუკერძოებლობა** – დამკვირვებელი საჯაროდ არ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მიმართ და ობიექტურია თავის შეფასებებში;
- ☒ **პროფესიონალიზმი** – დამკვირვებელი მის მიერ საარჩევნო დაკვირვებასა და მონიტორინგთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელებისას, ხელმძღვანელობს სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგიით და ზუსტად ასრულებს მას. პატივს სცემს საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილებას და არ იქცევა უკანონოდ და არაეთიკურად;
- ☒ **გამჭვირვალობა** – სადამკვირვებლო ორგანიზაციის საარჩევნო პროცესების მონაწილეების განფინანსურად დამოუკიდებელია და ყოველთვის ღიად უთითებს მისი დაფინანსების წყაროზე;
- ☒ **ანგარიშვალდებულება** – დამკვირვებელი ზუსტად, ფაქტებზე დაყრდნობით და მიუკერძოებლად ახორციელებს ანგარიშვალდებულებას.

ადგილობრივმა და საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციებმა არჩევნებზე დაკვირვება შეიძლება აწარმოონ **გრძელვადიანი და მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიის** მეშვეობით. გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია მოიცავს დაკვირვებას წინასაარჩევნო პერიოდის კენჭისყრის შედეგების შეჯამების პერიოდის ჩათვლით. ამ პერიოდში დამკვირვებელთა ყურადღება გამახვილებულია საარჩევნო პროცესში ჩართული საარჩევნო სუბიექტების, საარჩევნო ადმინისტრაციებისა და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების საქმიანობასა და გადანაცვებებებზე. მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისია ორიენტირებულია კენჭისყრის დღის დაკვირვებაზე და იგი კენჭისყრის დღეს მოიცავს საარჩევნო უბნის გახსნიდან საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების შეჯამების ჩათვლით.

როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დამკვირვებლები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კენჭისყრის დღის პროცედურების მიმდინარეობას, დაწყებული საარჩევნო უბნების გახსნიდან, დამთავრებული საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმებში შეტანით და ოქმების ზემდგომი საარჩევნო კომისიებისთვის მიწოდებით.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამკვირვებელს უფლება აქვს:

- ⦿ დაესწროს და დააკვირდეს საარჩევნო კომისიის სხდომებს;
- ⦿ კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან;
- ⦿ კენჭისყრის დღის ნებისმიერ დროს შეენაცვლოს მისი წარმდგენი ორგანიზაციის სხვა რეგისტრირებულ წარმომადგენელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ⦿ მონაწილეობა მიიღოს საარჩევნო ყუთების შემოწმებაში მათ დალუქვამდე და მათი გახსნის შემდეგ;
- ⦿ დააკვირდეს ამომრჩეველთა სივრცეში ამომრჩეველთა რეგისტრაციას, საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გაცემას და მათ დამონმებას კენჭისყრის პროცესისათვის ხელის შეუშლელად;
- ⦿ დაესწროს ამომრჩეველთა ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურებს;
- ⦿ დააკვირდეს გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის პროცესს;
- ⦿ დააკვირდეს ამომრჩეველთა ხმების დათვლას ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს საარჩევნო ბიულეტენის დანახვას;
- ⦿ დააკვირდეს საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და სხვა დოკუმენტების შედგენას;
- ⦿ განცხადებით (საჩივრით) მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ხმის მიცემისა და კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე და კონკრეტული დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში განცხადებით (საჩივრით) მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვოს რეაგირება;



- ⦿ მოსთხოვოს ამომრჩეველს, უჩვენოს, რამდენი საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი აქვს ხელში;
- ⦿ გაასაჩივროს საარჩევნო კომისიის ქმედება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ⦿ დააკვირდეს საარჩევნო ყუთს, საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტების ჩაყრას, საარჩევნო ყუთების გახსნას, საარჩევნო ბიულეტენების დათვლას და ოქმების შედგენას;
- ⦿ გაეცნოს საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს, შესაბამისი საარჩევნო კომისიისგან მოითხოვოს და მიიღოს ამ ოქმების ასლები.

ფართო უფლებების მიუხედავად, დამკვირვებლები მაინც შეზღუდული არიან და ამ შეზღუდვის მთავარი განმსაზღვრელი მათი ნეიტრალიტეტი და მიუკერძოებლობაა. კერძოდ, დამკვირვებელს არა აქვს უფლება:

- ✗ ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში;
- ✗ გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა მიერ ნების თავისუფალ გამოვლენაზე;
- ✗ აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ;
- ✗ ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი;
- ✗ კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკვრდე ნიშნის გარეშე.

სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ წარმატებული დაკვირვების განხორციელების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ეფექტური საადვოკაციო კამპანიის წარმოება. სწორედ ამ პროცესში ხდება იმ პრობლემური საკითხების წამოჭრა და ადვოკატირება, რომელიც სადამკვირვებლო მისიის პროცესში გამოვლინდა.

**საერთაშორისო ორგანიზაციები და სტანდარტები.** არჩევნების შეფასება ძალიან რთული პროცესია, რომელიც ტექნიკური, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებას საჭიროებს. საარჩევნო პროცესის ანალიზის დროს პოლიტიკური მიკერძოებულობის საფრთხის თავიდან არიდების ერთგვარ საშუალებას წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტები, რომელიც არჩევნებთან დაკავშირებულ გარკვეულ სახელმძღვანელო ნიშნულებს მოიცავს. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებისთვის აუცილებელია საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების გაზიარება, რომლებიც საფუძვლად უდევს ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს ძირითად კომპონენტებს (ქვეყნის საარჩევნო სისტემა, საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნისა და მუშაობის წესი, საარჩევნო საზღვრების დადგენა, პოლიტიკური კამპანიების წარმოების წესები, მედია ხელმისაწვდომობა, კამპანიის დაფინანსება, კანდიდატებისა და პარტიების რეგისტრაციის წესები, კენჭისყრის შედეგების შეჯამება და გამოცხადება, და ა.შ.). საერთაშორისო სტანდარტები დაინტერესებულ პირებს პროცესის ობიექტური შეფასების საშუალებას აძლევს.

არჩევნების შეფასების პროცესში საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებას შემდეგი უპირატესობები გააჩნია:

- ⦿ საარჩევნო პროცესის შეფასების კრიტერიუმები ცნობილია და წინასწარაა შეთანხმებული, რაც მხარეებს საშუალებას აძლევს იცოდნენ როგორ შეაფასონ არჩევნები;
- ⦿ დასკვნები უფრო მრავალმხრივი, სანდო და სასარგებლოა, ნაკლებია სუბიექტურობა და ცდომილება;
- ⦿ დასკვნებისა და რეკომენდაციების შესრულების მზაობა უფრო მაღალია, როდესაც არჩევნების ანალიზი საერთაშორისო სტანდარტების, განსაკუთრებით კი ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში მოცემული ვალდებულებების მიხედვით ხდება.

საერთაშორისო სტანდარტების აღიარება უზრუნველყოფილია სახელმწიფოთა მიერ სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებებთან მიერთებით ან/და საუკეთესო საარჩევნო პრაქტიკის გამოყენებით. საქართველო აღიარებს ისეთი საერთაშორისო შეთანხმების შესრულების სავალდებულოობას, როგორცაა: გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948წ.), ადამიანის

უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია (1950წ.), საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966წ.), საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1965წ.), ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ (1985წ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი და სხვ.

ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტები განსაზღვრული და აღიარებულია შემდეგი ძირითადი **საერთაშორისო ორგანიზაციების** მიერ:



გაერთიანებული ერების ორგანიზაცია - **გაერო (United Nations, UN)** - საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია. შეიქმნა 1945 წლის 26 ივნისს, როდესაც სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე 50 სახელმწიფომ ხელი მოაწერა მის წესდებას. ამჟამად გაეროს წევრია 193 სახელმწიფო, საქართველო ორგანიზაციას 1992 წელს შეუერთდა.



ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, **ეუთო (OSCE)** - ჩამოყალიბდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოს საფუძველზე პარიზის 1990 წლის და ვენისა და ჰელსინკის 1992 წლის დეკლარაციების საფუძველზე. ფუნქციონირებს 1995 წლიდან.

ეუთოს უმნიშვნელოვანეს სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ორიენტირებულია ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის საკითხებზე, წარმოადგენს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი - ODIHR (Office for Democratic Institutions and Human Rights);



**ევროპის საბჭო - Council of Europe (CoE)** - საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შედგება ევროპის 47 სახელმწიფოსგან. მისი მიზნებია: ადამიანის უფლებების, პლურალისტური დემოკრატიის და კანონის უზენაესობის დაცვა; ევროპის კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცოდნის ამაღლება, ევროპული კულტურის განვითარება; ევროპული საზოგადოების წინაშე მდგარ პრობლემათა გადაწყვეტის გზების ძიება. საქართველო ევროპის საბჭოს წევრი 1999 წელს გახდა;



**ევროპული კომისია** სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად - ცნობილი როგორც ვენეციის კომისია (Venice Commission), დაარსდა 1990 წელს და არის ევროპის საბჭოს დამოუკიდებელი საკონსულტაციო ორგანო კონსტიტუციურ საკითხებში, რომლის საქმიანობის ერთ - ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას არჩევნები და რეფერენდუმები წარმოადგენს. კომისია შედგება დამოუკიდებელი ექსპერტებისგან;



**ევროპის კავშირი (European Union, შემოკლებით ევროკავშირი - EU)** - ევროპის სახელმწიფოთა მსხვილი პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება. მისი წევრია ევროპის 28 სახელმწიფო.

საარჩევნო პროცესის შეფასების დროს არჩევნების ყველა მიმართულება ქვეყნის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებისა და სხვა იმ საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში უნდა იქნას განხილული, რომელიც ადგენს დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ზოგად პრინციპებს.



## საარჩევნო სუბიექტი

საარჩევნო სუბიექტი საარჩევნო პროცესების ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა, სწორედ მის მიერ წარდგენილი კანდიდატი/კანდიდატები შეიძლება აირჩიოს ამომრჩეველმა მომავალ პარლამენტში, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, საკრებულოში, თვითმმართველი ქალაქის მერად/გამგებლად თუ პრეზიდენტად.

საარჩევნო სუბიექტი შესაბამის საარჩევნო კომისიასთან ურთიერთობას ახორციელებს წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენელი შეიძლება ჰყავდეს რეგისტრირებულ პარტიას/საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას ასევე პრეზიდენტობის კანდიდატს.

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას) და საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვთ, ერთი ან რამდენიმე სახის არჩევნებისას დანიშნონ ორ-ორი წარმომადგენელი ყოველ საარჩევნო კომისიაში, ხოლო საქართველოს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისას ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს, **ორ-ორი წარმომადგენელი** დანიშნოს შესაბამის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში.

საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 18 წლის ასაკიდან. საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ განცხადება წარედგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას, კერძოდ:

- ✎ ცესკოში პარტიის/საარჩევნო ბლოკის, საინიციატივო ჯგუფის (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას) და საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ განცხადება უნდა წარედგინოს ცესკოს თავმჯდომარეს;
- ✎ საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტიის/საარჩევნო ბლოკის, საინიციატივო ჯგუფის (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას) და საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ განცხადება უნდა წარედგინოს ცესკოს მდივანს;
- ✎ საოლქო საარჩევნო კომისიებში ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლების დანიშვნის თაობაზე, განცხადებით უნდა მიემართოს იმ საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს, რომელ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერაც იქნა რეგისტრაციაში გატარებული ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი;
- ✎ საუბნო საარჩევნო კომისიაში პარტიის/საარჩევნო ბლოკის/საინიციატივო ჯგუფისა და საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ განცხადება უნდა წარედგინოს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს.

სათანადო ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში ცესკოს თავმჯდომარე/შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი 24 საათის განმავლობაში განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს და გასცემს წარმომადგენლის მონშობას, რომელიც იმავდროულად არის სამკერდე ნიშანი. საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს (გარდა კენჭისყრის დღისა) შეცვალოს ან/და გამოიწვიოს თავისი წარმომადგენელი, რასაც იგი აცნობებს შესაბამის საარჩევნო კომისიას.

ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიაში დანიშნული წარმომადგენლები არ შეიძლება იმავდროულად დაინიშნონ სხვა საარჩევნო კომისიაში.

საარჩევნო სუბიექტის **მხოლოდ 1 წარმომადგენელს** აქვს უფლება, დაესწროს შესაბამისი საარჩევნო კომისიის სხდომებს; მოითხოვოს სიტყვით გამოსვლა, აზრის გამოთქმა, ამა თუ იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება.

საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი კენჭისყრის დღეს შეუზღუდავად სარგებლობს დამკვირვებლის ანალოგიური უფლებებით. საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს ეკრძალება საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევა, ამომრჩეველთა მიერ ნების თავისუფალ გამოვლენაზე გავლენის მოხდენა, რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ ამომრჩევლისთვის აგიტაციის განწევა, რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკისა და ნიშნის ტარება, კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში სამკერდე ნიშნის გარეშე ყოფნა.

## საარჩევნო სუბიექტის დაფინანსების წყაროები

ნებისმიერი ინსტიტუტის ფუნქციონირება აუცილებლად საჭიროებს გარკვეულ ქონებას (მათ შორის ფინანსებს) და ამ თვალსაზრისით, გამონაკლისს არც მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები (პარტიები) წარმოადგენენ. საქართველოს ორგანული კანონი «საქართველოს საარჩევნო კოდექსი» და საქართველოს ორგანული კანონი «მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ», სხვა შესაბამის საკითხებთან ერთად, პოლიტიკური პარტიის ქონებასაც არეგულირებს. კერძოდ, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონში აღნიშნულ საკითხს მესამე თავი – „პარტიის ქონება და ფინანსები, პარტიის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი“ ეძღვნება.

ქვეყნების უმრავლესობაში, საარჩევნო სუბიექტების დაფინანსება კომბინირებული წყაროებით ხდება: ერთი მხრივ, ეს არის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, მეორე მხრივ, საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო ფონდში არსებული თანხები, რომელშიც ასევე იგულისხმება ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ განხორციელებული კერძო შემოწირულობები. წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯების დაფინანსებაში სახელმწიფოს მონაწილეობა შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი და ირიბი დაფინანსების გზით. **პირდაპირი** (ე.წ. საკომპენსაციო) დაფინანსება გულისხმობს, არჩევნების საბოლოო შედეგების გათვალისწინებით, საარჩევნო სუბიექტის მიერ განეული ხარჯების სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურებას. **ირიბი** დაფინანსება გულისხმობს, სახელმწიფოს მიერ საარჩევნო სუბიექტებისათვის გარკვეული შეღავათების შემოღებას. მაგალითად: მედია საშუალებებში უფასო საეთერო დროის/სარეკლამო ფართობის დაწესებას, საარჩევნო კამპანიის წარმოების მიზნით შენობა-ნაგებობების გამოყოფას, საარჩევნო კომისიებში წარმომადგენელთა დაფინანსებას და სხვა.

**საარჩევნო/სარეფერენდუმო კამპანიის ფონდი.** საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ თანახმად, საარჩევნო/სარეფერენდუმო კამპანია ფინანსდება:

- ❶ პოლიტიკური გაერთიანების ფონდიდან – თუ პარტია დამოუკიდებლად მონაწილეობს არჩევნებში, რეფერენდუმში;
- ❷ საარჩევნო ბლოკის პირველი ნომერი პარტიის ფონდიდან – თუ პოლიტიკური გაერთიანებები ერთ საარჩევნო სუბიექტად ერთიანდებიან;
- ❸ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ გახსნილი საარჩევნო ფონდიდან, დამოუკიდებელი კანდიდატის კამპანიის დასაფინანსებლად.

საარჩევნო კამპანიის ხარჯებად ითვლება საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანიისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების ერთობლიობა, ასევე უსასყიდლოდ მიღებული ყველა სახის საქონელი და მომსახურება (გარდა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი წესით მიღებული უფასო სარეკლამო დროის ღირებულებისა).

საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, ქვეყნების დიდ ნაწილში იფარება პარტიების, ზოგ შემთხვევაში – დამოუკიდებელი კანდიდატების, მიერ განეული საარჩევნო კამპანიის ხარჯების ნაწილი ზოგან ავანსად, ზოგან კი – არჩევნების დასრულების შემდეგ. გერმანიაში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დაფინანსება პარტიებს შორის მათი კანდიდატების მიერ მიღებული ხმების პროპორციულად ნაწილდება. საფრანგეთში სახელმწიფო ფარავს იმ პარტიების სააგიტაციო მასალების დამზადებისა და გავრცელების ხარჯებს, რომლებიც ხმების 5 % მაინც მიიღებენ.

**დაფინანსება საარჩევნო კამპანიის ხარჯების დასაფარავად.** საქართველოში აღნიშნული საკითხი შემდეგნაირად რეგულირდება: საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5 % ან მეტს, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 10 % ან მეტს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად მიიღებს არაუმეტეს 1 000 000 ლარს არჩევნების ორივე ტურში საარჩევნო კამპანიისას განეული ხარჯების დასაფარავად.

საარჩევნო სუბიექტი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების საერთო არჩევნებში მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3%-ს ან მეტს (ხმათა ეს რაოდენობა გამოიანგარიშება მთელ ქვეყანაში პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიღებული ხმების მიხედვით), საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად მიიღებს **არაუმეტეს 500 000 ლარს** საკრებულოს/მერის/გამგებლის არჩევნების ორივე ტურში საარჩევნო კამპანიისას განეული ხარჯების დასაფარავად.

საარჩევნო კამპანიის ხარჯების დაფინანსების მიზნით საარჩევნო სუბიექტმა წინასწარ, არჩევნებამდე არაუგვიანეს 38-ე დღისა, წერილობით უნდა მიმართოს ცესკოს. მოთხოვნილი თანხა საარჩევნო სუბიექტის ანგარიშზე ჩაერიცხება ცესკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და ფინანსური ანგარიშის წარდგენის საფუძველზე, არჩევნების შედეგების შეჯამებიდან არაუგვიანეს მე-15 დღისა.

**პოლიტიკური ბაერთიანებების დაფინანსება 2013-2016 წლებში (ლარი)®**

N	პოლიტიკური ბაერთიანება	2013 წელი			2014 წელი			2015 წელი			2016 წელი		
		დაფინანსება ცესკო	დაფინანსება ფონდი	სულ	დაფინანსება ცესკო	დაფინანსება ფონდი	სულ	დაფინანსება ცესკო	დაფინანსება ფონდი	სულ	დაფინანსება ცესკო	დაფინანსება ფონდი	სულ
1	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	541 232	61 120	<b>602 352</b>	870 381	80 836	<b>951 217</b>	764 844	78 908	<b>843 752</b>	918 540	111 258	<b>1 029 798</b>
2	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	1 954 809	366 719	<b>2 321 528</b>	2 258 244	485 020	<b>2 743 264</b>	2 175 828	473 452	<b>2 649 280</b>	2 052 943	473 452	<b>2 526 395</b>
3	მრეწველობა გადარჩენის საქართველოს	418 832	61 120	<b>479 952</b>	642 444	80 836	<b>723 280</b>	642 444	78 908	<b>721 352</b>	630 092	78 908	<b>709 000</b>
4	ახალი მემორკეცენები	176 864	91 680	<b>268 544</b>	116 637	63 038	<b>179 675</b>						
5	საქართველოს ლიბერალისტული პარტია				373 295	116 433	<b>489 728</b>	373 296	236 724	<b>610 020</b>	384 906	236 724	<b>621 630</b>
6	საქართველოს რესპუბლიკური პარტია	418 832	61 120	<b>479 952</b>	615 444	80 836	<b>696 280</b>	642 444	78 908	<b>721 352</b>	595 092	78 908	<b>674 000</b>
7	საქართველოს კონსერვატიული პარტია	418 832	61 120	<b>479 952</b>	642 444	80 836	<b>723 280</b>	642 444	78 908	<b>721 352</b>	595 092	78 908	<b>674 000</b>
8	ჩვენ თვითონ	268 219	122 239	<b>390 458</b>									
9	ხალხის პარტია	193 738	122 240	<b>315 978</b>	130 892	84 051	<b>214 943</b>						
10	ერთიანი ფორუმი	418 832	61 120	<b>479 952</b>	617 444	80 836	<b>698 280</b>	642 444	78 908	<b>721 352</b>	595 092	78 908	<b>674 000</b>
11	ქართული დასი												
12	ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	260 959	122 240	<b>383 199</b>	581 328	316 918	<b>898 246</b>						
13	საქართველოს გზა	160 786	91 680	<b>252 466</b>	106 035	63 038	<b>169 073</b>						
14	მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის	193 738	122 240	<b>315 978</b>	130 892	84 051	<b>214 943</b>						
15	ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია	260 959	122 240	<b>383 199</b>	168 289	84 051	<b>252 340</b>						
16	თავისუფალი დემოკრატი	418 832	61 120	<b>479 952</b>	588 907	80 836	<b>669 743</b>	642 444	78 908	<b>721 352</b>	627 248	90 473	<b>717 721</b>
17	გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა				41 571	234 215	<b>275 786</b>	997 032	473 452	<b>1 470 484</b>	997 032	473 452	<b>1 470 484</b>
18	საქართველოს ევროპელი დემოკრატები				172 313	84 051	<b>256 364</b>						
19	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი				400 206	116 433	<b>516 639</b>	400 212	236 724	<b>636 936</b>	438 572	236 724	<b>675 296</b>
20	საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია				598 698	116 433	<b>715 131</b>	598 692	236 724	<b>835 416</b>	598 693	236 724	<b>835 417</b>
21	ევროპული საქართველო										104 502	20 785	<b>125 287</b>
22	დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო										28 189	10 393	<b>38 582</b>
23	ქართული ტრადიციონალისტთა კავშირი										10 153	3 464	<b>13 617</b>
24	თავისუფალი საქართველო										10 153	3 464	<b>13 617</b>
25	თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა										10 153	3 464	<b>13 617</b>
26	ახალი ქრისტიან-დემოკრატები										10 153	3 464	<b>13 617</b>
27	საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა										10 153	3 464	<b>13 617</b>
28	მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის										22 810	10 393	<b>33 203</b>
29	სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო										22 810	10 393	<b>33 203</b>
	<b>სულ</b>	<b>6 105 464</b>	<b>1 527 998</b>	<b>7 633 462</b>	<b>9 055 464</b>	<b>2 332 748</b>	<b>11 388 212</b>	<b>8 522 124</b>	<b>2 130 524</b>	<b>10 652 648</b>	<b>8 662 378</b>	<b>2 243 723</b>	<b>10 906 101</b>

**დაფინანსება სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად.** საარჩევნო წელს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა დამატებითი დაფინანსება სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად. თუმცა აღნიშნულ თანხას მიიღებენ მხოლოდ ის პარტიები, რომელთაც ბოლო საერთო არჩევნების შედეგების მიხედვით წარმოეშვებათ დაფინანსების მიღების უფლება.

პარტიისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობის გამოსაანგარიშებლად შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის მიერ ბოლო საერთო არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება სამზე და იყოფა საარჩევნო სუბიექტში შემავალი პოლიტიკური გაერთიანებების რაოდენობაზე. ამასთანავე, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიისთვის და საარჩევნო ბლოკისთვის (მიუხედავად ბლოკში გაერთიანებული პარტიების რაოდენობისა) განკუთვნილი თანხის ოდენობა **არ უნდა აღემატებოდეს 600 000 ლარს**. საარჩევნო სუბიექტისთვის გამოყოფილი თანხის არანაკლებ 15 % გამოყენებული უნდა იქნეს წინასაარჩევნო რეკლამის განსათავსებლად სულ ცოტა 7 მაუწყებელში, რომლებიც არ არიან ეროვნული მაუწყებლები (მაუწყებელს ხარჯებს აუნაზღაურებს ცესკო მაუწყებელსა და საარჩევნო სუბიექტს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ცესკოსთვის მისი წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში).

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხების გარდა, პარტიები და კანდიდატები, როგორც წესი, კერძო შემოწირულობებითაც აგროვებენ საარჩევნო კაპიტალს, რომელიც თავს იყრის შესაბამისი სუბიექტის საარჩევნო კამპანიის ფონდში. დაუშვებელია საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნების დროს შესაბამისი ფონდის სახსრების გარდა სხვა სახსრების გამოყენება.

**საარჩევნო სუბიექტების მიერ არასახელმწიფო წყაროებიდან მიღებული სახსრები.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანია ფინანსდება პოლიტიკური გაერთიანების/საარჩევნო ბლოკის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის ფონდიდან. კამპანიის ხარჯებზე და

8 წყარო <http://funding.cec.gov.ge/>



დაფინანსების წყაროებზე ვრცელდება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი. აღნიშნული კანონის თანახმად, პოლიტიკური პარტიის ფონდის რესურსებს ქმნის:

- § შემოწირულობები;
- § საწევრო შენატანები;
- § კანონით დადგენილ შემთხვევებში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა;
- § სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით, ლექციების, გამოფენებისა და სხვა საჯარო ღონისძიებების მოწყობით, აგრეთვე საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე საგამომცემლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული წლიური შემოსავალი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მინიმალური საბაზო დაფინანსების ორმაგ ოდენობას (300 000\*2).

შემოწირულობად ითვლება პარტიის ანგარიშზე საქართველოს მოქალაქისა და იურიდიული პირის მიერ ჩარიცხული თანხები. შემოწირულობად ითვლება, ასევე, პარტიის მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით, ან შეღავათიანი პირობებით მიღებული მატერიალური ან არამატერიალური ფასეულობა და მომსახურება. შემოწირულობის განხორციელებისას პირმა უნდა მიუთითოს სახელი, გვარი და პირადი ნომერი. აღნიშნული მონაცემების მითითების გარეშე შეტანილი ფულადი სახსრები ითვლება ანონიმურად.

ანონიმური ფორმით შემოწირულობების მიღება კი დაუშვებელია. გარდა აღნიშნულისა დაუშვებელია შემოწირულობების მიღება:

- ⊗ მოქალაქეობის არმქონე პირისაგან;
- ⊗ სხვა ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მოძრაობებისაგან;
- ⊗ არასამეწარმეო იურიდიული პირისაგან და რელიგიური ორგანიზაციისაგან;
- ⊗ სახელმწიფო ორგანოსაგან, სახელმწიფო ორგანიზაციისაგან, საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საზოგადოებისაგან.

**საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დაფინანსება.** კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი (არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე კვალიფიციური პარტია, აგრეთვე საარჩევნო ბლოკი, რომელშიც გაერთიანებულია კვალიფიციური პარტია) არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად დაფინანსებას მიიღებს ყოველ საარჩევნო უბანზე 100 ლარის და ყოველ საარჩევნო ოლქზე 150 ლარის ოდენობით, ხოლო ის საარჩევნო ბლოკი, რომელშიც 2 ან მეტი კვალიფიციური პარტიაა გაერთიანებული, დაფინანსებას მიიღებს ყოველ საარჩევნო უბანზე 150 ლარის და ყოველ საარჩევნო ოლქზე 200 ლარის ოდენობით. ის საარჩევნო ბლოკი, რომლის შემადგენლობაშიც არ შედის არცერთი კვალიფიციური პარტია, მაგრამ მასში გაერთიანებული პარტიების მიერ ბოლო საპარლამენტო ან ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ საერთო არჩევნებში, ერთ-ერთში მაინც, მიღებული ხმების ჯამი არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3% ან მეტია, არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად დაფინანსებას მიიღებს ყოველ საარჩევნო უბანზე 100 ლარის და ყოველ საარჩევნო ოლქზე 150 ლარის ოდენობით. ერთი საარჩევნო უბნისთვის გამოყოფილი თანხა გაიცემა მხოლოდ ამ უბანზე დანიშნულ წარმომადგენელზე (წარმომადგენლებზე). კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დაფინანსების თანხა ცესკომ შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის ანგარიშზე უნდა ჩარიცხოს არჩევნებამდე არა უგვიანეს 3 დღისა.

პოლიტიკური პარტია, აგრეთვე საარჩევნო ბლოკი, უფლებამოსილია ეს თანხა გადაანაწილოს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში შესაბამის წარმომადგენლობაზე ისე, რომ თითოეულ კომისიაში დაფინანსდეს არა უმეტეს 2 წარმომადგენლის საქმიანობა, ამასთანავე, ერთსა და იმავე წარმომადგენელზე არ გაიცემა სამზე მეტი საარჩევნო უბნისთვის გამოყოფილი თანხა. თუ დაფინანსების მქონე პოლიტიკურ პარტიას არ ეყოლება წარმომადგენელი საარჩევნო ოლქში ან/და საარჩევნო უბანში ან/და არ მოხდა თანხის სრულად ათვისება, პარტია ვალდებულია არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი თანხის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება.

## მედია

მედიის როლი საარჩევნო პროცესში საზოგადოებისათვის არჩევნების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას უკავშირდება, რითაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ინფორმირებული ელექტორატის ჩამოყალიბებასა და ამომრჩევლის მიერ გააზრებული პოლიტიკური არჩევანის გაკეთებას.



მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ აკრედიტებულ მედიის წარმომადგენლებს აქვთ უფლება დაესწრონ კომისიის სხდომებს, ასევე კენჭისყრის დღეს ისარგებლონ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლებით.

განცხადება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ წარედგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-3 დღისა. განცხადებას თან უნდა დაერთოს წარმომადგენლების საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის/პასპორტის ფოტოასლები.

განცხადების წარდგენიდან 1 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი წყვეტს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის საკითხს და აკრედიტებულ წარმომადგენლებს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის ვადაში გადასცემს სათანადო მოწმობას, ხოლო აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში იმავე ვადაში გადასცემს სათანადო განკარგულებას.

რამდენიმე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციას ახორციელებენ ცესკოს მდივანი (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე – უსკოს მდივანი) ან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნები, მხოლოდ ერთი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე წარმომადგენლების აკრედიტაციას – შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი.

კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს **არაუმეტეს 3 წარმომადგენლისა**.

კენჭისყრის დღეს, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებსა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე სხვა პირებს შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება. კენჭისყრის შენობაში ფოტოვიდეოგადაღება უნდა წარმოებდეს კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოყოფილი სპეციალური ადგილიდან, საიდანაც ჩანს საარჩევნო პროცესი<sup>9</sup>.

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებთან ინტერვიუს ჩაწერა დასაშვებია მხოლოდ კენჭისყრის შენობის გარეთ. კომისიის წევრების მიერ ინტერვიუების მიცემა უნდა განხორციელდეს კენჭისყრის პროცესში მისთვის განკუთვნილი მოვალეობების შესრულების შეფერხების გარეშე.

ერთიდაიგივე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებას უფლება აქვს ერთ საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცესის განმავლობაში ფოტოვიდეოგადაღება აწარმოოს **ერთხელ არაუმეტეს 10 წუთისა**, ხოლო, თუ აღნიშნულ წარმომადგენელს აქვს სურვილი ფოტოვიდეოგადაღება აწარმოოს 10 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში, მაშინ ის ვალდებულია დაიკავოს კენჭისყრის შენობაში გამოყოფილი სპეციალური ადგილი.

კენჭისყრის შენობაში დაუშვებელია ნებისმიერი ფორმით ისეთი ინფორმაციისა თუ მასალის გადაღება, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციას არ განეკუთვნება, მათ შორის ამომრჩეველთა სიების საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილი (სამაგიდო) ვერსია.

<sup>9</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 24 სექტემბრის № 42/2012 დადგენილება «ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ»

# არჩევნებში ჩართულ მხარეთა ქცევის კოდექსი

## საარჩევნო ადმინისტრაციის ქცევის კოდექსი

დემოკრატიისა და არჩევნების ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტმა (International IDEA) შეიმუშავა ქცევის კოდექსი, რომლის მიზანია არჩევნების ეთიკურ და პროფესიულ დონეზე ადმინისტრირება. ქცევის კოდექსი მოიცავს ხუთ პრინციპს, რომელიც საფუძვლად ედება არჩევნების ჩატარებას და უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესისადმი საზოგადოების ნდობას. მოცემული კოდექსის თანახმად, საარჩევნო პროცესის საფუძველი უნდა იყოს:

- კანონის პატივისცემის დემონსტრირება;
- მიუკერძოებლობა;
- გამჭვირვალობა;
- სიზუსტე;
- ამომრჩევლის სამსახური.

ქვემოთ დეტალურად არის განხილული ეთიკური პრინციპები.

### **N1 ეთიკური პრინციპი: საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა მოახდინოს კანონის პატივისცემის დემონსტრირება**

არჩევნების წარმატება გარკვეულწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ლეგიტიმურად და სავალდებულოდ აღიქმება ის პოლიტიკური პროცესის მონაწილეთა მიერ. ძირითადი კურსის შესახებ გადანყვეტილებების მიღებისას აუცილებელია შერჩეულ იქნეს გასაგები იურიდიული ფორმა, რომ საარჩევნო პროცესის ყველა მონაწილის მიერ ერთნაირად იყოს გაგებულნი თუ როგორ მოხდება არჩევნების ადმინისტრირება. იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო ადმინისტრაცია არ მისდევს კანონს (მის მოთხოვნებს), არ იყენებს მას სამართლიანად და არ განმარტავს თავის გადანყვეტილებათა სამართლებრივ საფუძვლებს, საარჩევნო პროცესი მისმა მონაწილეებმა შეიძლება არაერთგვაროვნად აღიქვან, რაც შეასუსტებს მათ ნდობას/მარდაჭერას საარჩევნო პროცესისადმი.

ამიტომაც, საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა:

- ☞ მისდიოს ქვეყნის კანონმდებლობას;
- ☞ უზრუნველყოს საარჩევნო კანონების სრული განხორციელება ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში, მიუკერძოებელი და სამართლიანი ფორმით;
- ☞ ზრუნველყოს ყველა პარტიის, კანდიდატის, ამომრჩევლისა და საარჩევნო პროცესის ყველა სხვა მონაწილის მიმართ სამართლიანი და მიუკერძოებელი დამოკიდებულება, ყველა გარემოების გათვალისწინებით.

### **N2 ეთიკური პრინციპი: საარჩევნო ადმინისტრაცია უნდა იყოს მიუკერძოებელი და ნეიტრალური**

არჩევნები წარმატებული რომ იყოს, საარჩევნო პროცესის მონაწილეებს უნდა სჭეროდეთ, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები თავიანთი ფუნქციების შესრულებისას იქნებიან ნეიტრალურები. თუ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები კონკრეტული შედეგების მომხრეებად აღიქმებიან, არჩევნებისადმი საზოგადოების ნდობის ხარისხი იმდენად შეიბღალება, რომ პროცესისადმი ნდობის აღდგენა გართულდება. ამიტომაც, საარჩევნო ადმინისტრაციამ თავისი ფუნქციები უნდა შეასრულოს ნეიტრალურად და მიუკერძოებლად.

ზოგიერთ სახელმწიფოში საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები პოლიტიკური კუთვნილების ნიშნით არიან შერჩეულნი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი მათ მოეთხოვებათ მკაცრად ნეიტრალურად და მიუკერძოებლად შეასრულონ თავიანთი მოვალეობები. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები:

- ☞ პოლიტიკური პარტიის, კანდიდატის, ამომრჩევლის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა მიმართებაში უნდა მოქმედებდნენ ნეიტრალურად და მიუკერძოებლად;
- ☞ თავისი საქციელით არ უნდა ქმნიდნენ ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს საარჩევნო ადმინისტრაცია მხარს უჭერს რომელიმე კანდიდატს, პარტიას, პოლიტიკურ მოღვაწეს ან პოლიტიკურ მიმდინარეობას;



- ☞ ნებისმიერ დროს უნდა იქცეოდნენ უნაკლოდ, გამოთქვან მართებული მოსაზრებანი, იყვნენ უალრესად წინდახედულნი;
- ☞ უნდა იყვნენ გულწრფელნი და აღიარონ გარკვეული ურთიერთობების არსებობა, რაც წინააღმდეგობაში მოდის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა მოვალეობებთან;
- ☞ არ უნდა იღებდნენ საჩუქრებს ან კეთილგანწყობას საარჩევნო პროცესში მონაწილე პოლიტიკური პარტიების, ორგანიზაციებისა და პირებისგან;
- ☞ არ უნდა ექცეოდნენ ზეგავლენის ქვეშ და კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, უარს უნდა ამბობდნენ მითითებების შესრულებაზე;
- ☞ არ უნდა იღებდნენ მონაწილეობას არასანქცირებულ, მათ შორის კერძო ღონისძიებებში, რომელიც წარმოქმნის ან აღიქმება ინტერესთა კონფლიქტად;
- ☞ არ უნდა იღებდნენ მონაწილეობას არასანქცირებულ, მათ შორის კერძო ღონისძიებებში, რაც შექმნის გარკვეული კანდიდატის, პოლიტიკური პარტიის, პოლიტიკური მოღვაწის ან პოლიტიკური მიმდინარეობისადმი სიმპათიის შთაბეჭდილებას;
- ☞ არ უნდა გამოხატავდნენ შეხედულებას საარჩევნო პროცესის პოლიტიკურ თემასთან დაკავშირებით;
- ☞ არ უნდა ესაუბრონ ამომრჩევლებს პარტიული მნიშვნელობის საკითხებზე;
- ☞ არ უნდა იცვამდნენ ან ატარებდნენ პარტიულ სიმბოლოებსა და ფერებს;
- ☞ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები უნდა იცავდნენ ყველა ამ პრინციპს, რადგან ეს პრინციპები ეხება როგორც მთლიანად ადმინისტრაციას ასევე პიროვნებებს.

### **N3 ეთიკური პრინციპი: საარჩევნო ადმინისტრაცია უნდა იყოს გამჭვირვალე**

იმისთვის, რომ არჩევნები წარმატებული იყოს, საარჩევნო პროცესის მონაწილეებმა უნდა აღიარონ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. სავარაუდოდ, ისინი საარჩევნო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებებს ცნობენ, თუ დარწმუნდებიან მათ საფუძვლიანობაში. ამისთვის საარჩევნო პროცესის ყველა მონაწილისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც გადაწყვეტილებები იქნა მიღებული. ცხადია, ნებისმიერი არჩევნების დროს გროვდება დიდი რაოდენობით ინფორმაცია, მონაცემთა ბაზა და დოკუმენტები. ზოგადად, ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ყველა დოკუმენტისა თუ ასლის ხელმისაწვდომობა არაპრაქტიკულია. თუმცა, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები მომზადებულნი უნდა იყვნენ:

- ⇒ იმსჯელონ გადაწყვეტილებების მართებულობაზე;
- ⇒ უზრუნველყონ იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომლის საფუძველზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება;
- ⇒ ორგანიზება გაუკეთონ შესაბამისი დოკუმენტებისა და ინფორმაციის მიზანშეწონილ ხელმისაწვდომობას საარჩევნო და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობის ფარგლებში.

გარდა ამისა, საარჩევნო ადმინისტრაციამ:

- ⇒ უნდა უზრუნველყოს ყოველი საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის მიერ კანონიერი უფლებების თავისუფლად განახორციელება;
- ⇒ რეგულარულად უნდა ატაროს კონსულტაციები საარჩევნო პროცესის მონაწილეებთან კონკრეტული გადაწყვეტილებების თაობაზე, თუკი ეს მართებულია მოცემულ პირობებში;
- ⇒ მართებული მოთხოვნების საპასუხოდ, უნდა უზრუნველყოს ახსნა-განმარტება საარჩევნო პროცესთან ან ზოგადად, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე;
- ⇒ უნდა ჩამოაყალიბოს ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესში ან საარჩევნო ადმინისტრაციის არასაარჩევნო პერიოდში საქმიანობის დროს გამოყენებადი მნიშვნელოვანი ინფორმაციის, დოკუმენტების, მონაცემთა ბაზის დროულ ხელმისაწვდომობას დაინტერესებული მხარეების მიერ;
- ⇒ უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და თავად განაცხადოს ნებისმიერი ხარვეზის შესახებ, რომელიც აღმოჩნდება არჩევნების ადმინისტრირებისას.

#### **N4 ეთიკური პრინციპი: საარჩევნო ადმინისტრაცია უნდა იყოს ზუსტი**

მესამე ეთიკური პრინციპი ასკვნის, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებები მისაღები რომ იყოს პროცესის მონაწილეებისთვის, ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიღებულია გადაწყვეტილება, ზუსტი და ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს. მცდარი ან არასანდო ინფორმაცია ძირს უთხრის საარჩევნო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებებსა და მთლიანად მის კომპეტენტურობას. საარჩევნო ადმინისტრაციის თითოეული ამოცანა უნდა ემყარებოდეს ინფორმაციის უმაღლეს დონეზე სიზუსტესა და ობიექტურ ანალიზს. კერძოდ, საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს:

- ⇒ ინფორმაციის მოპოვების, შეჯერებისა და გამოქვეყნების სისტემურობა და არაორაზროვნება;
- ⇒ შეჯერებული, გამოყენებული ან გამოქვეყნებული ინფორმაციის მყარი ფაქტობრივი ბაზის არსებობა.

#### **N5 ეთიკური პრინციპი: საარჩევნო ადმინისტრაცია უნდა ემსახურებოდეს ამომრჩეველს**

საარჩევნო ადმინისტრაცია და მისი მოხელეები უნდა ცდილობდნენ მაღალ დონეზე მოემსახურონ ამომრჩეველს, რათა ამომრჩეველმა შეძლოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებების გამოყენება კონკრეტულ გარემოში.

კერძოდ, საარჩევნო ადმინისტრაცია ვალდებულია:

- ⇒ მაქსიმალურად მოსახერხებელი გახადოს ამომრჩევლის მონაწილეობა საარჩევნო პროცესში;
- ⇒ იზრუნოს იმაზე, რომ ამომრჩევლებმა ადეკვატურად გაიგონ საარჩევნო პროცესი;
- ⇒ გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა იმისთვის, რომ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება მიეცეთ იმ პირებს, ვინც განსაკუთრებულ მოპყრობას საჭიროებს, მაგალითად, უსინათლოებს, ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობის პირებს, წერა-კითხვის უცოდინრებსა და ძნელად მისადგომ ადგილზე მაცხოვრებლებს.

### **საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსი<sup>10</sup>**

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შემუშავებული კოდექსი ქცევის რამდენიმე ძირითად ნორმას აერთიანებს, ესენია: კანონის პატივისცემა, სამართლიანობა, მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა, გამჭვირვალობა და პროფესიონალიზმი.

ეთიკის კოდექსი არჩევნების დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ჩატარებისა და ამომრჩეველთა მხრიდან ნდობის ამაღლების მიზნით შემუშავდა. პირველად მსგავს დოკუმენტს 2010 წელს მოენერა ხელი.

#### **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ეთიკის კოდექსი (შემდგომში “კოდექსი”) ადგენს ქცევის წესს, რომელიც სავალდებულოა საარჩევნო ადმინისტრაციის ნებისმიერი მოხელისათვის.

#### **მუხლი 2. კოდექსის სამართლებრივი საფუძვლები**

ამ კოდექსის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი “საქართველოს საარჩევნო კოდექსი” (შემდგომში “საარჩევნო კოდექსი”), საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

#### **მუხლი 3. ტერმინთა განმარტება**

ამ კოდექსის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) საარჩევნო ადმინისტრაცია - ცესკო, ცესკოს აპარატი, უსკო, უსკოს აპარატი, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები;
- ბ) ოჯახის წევრი - მოხელის მეუღლე, შვილი და გერი, პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, და და ძმა, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირი.

#### **მუხლი 4. კოდექსის მიზნები, ამოცანები და მოქმედების სფერო**

1. კოდექსის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოებაში საარჩევნო ადმინისტრაციის პრესტიჟის ამაღლებას, საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ საზოგადოების წევრთა ნდობის

<sup>10</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება № 14/2012 2012 წლის 9 მარტი

განმტკიცებას, საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების მიმართ ამ ქვეყნის წესების დაცვასა და დამკვიდრებას.

2. კოდექსის ამოცანაა მოსამსახურეთა პროფესიული ეთიკის ნორმებისადმი ერთგულების, მაღალი ზნეობრიობის გაწევა და სამსახურებრივ მოვალეობებთან მიმართებაში პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება.
3. კოდექსის მოქმედება ვრცელდება საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმებულ მოხელეებზე.

### **მუხლი 5. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა (შემდგომში - მოხელეთა) საქმიანობის ძირითადი პრინციპები**

მოხელე ვალდებულია :

1. პატივი სცეს კანონს : უზრუნველყოს საარჩევნო კანონმდებლობის ზუსტი და თანმიმდევრული განხორციელება , ფუნქციების შესრულებისას იყოს დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი.
2. იყოს სამართლიანი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი:
  - ა) უზრუნველყოს საარჩევნო სუბიექტების, ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში მონაწილე სხვა პირთათვის თანაბარი და სამართლიანი გარემოს შექმნა;
  - ბ) თავი აარიდოს ისეთ მოქმედებას, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც პარტიისა თუ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერად /წინააღმდეგ ქმედებად ;
  - გ) მოხელის ოჯახის წევრის საარჩევნო სუბიექტად რეგისტრაციის შემთხვევაში, ზემდგომ საარჩევნო კომისიაში ან/და ცესკოში 5 სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს წერილობითი განცხადება, რომლის წარუდგენლობაც აღნიშნულ ვადაში შეიძლება გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი ;
  - დ) არ მიიღოს საჩუქარი ან რაიმე სარგებელი პოლიტიკური პარტიის, ორგანიზაციისა ან იმ პირისაგან, რომელიც ჩართულია საარჩევნო პროცესში;
  - ე) საარჩევნო პერიოდში არ დაესწროს წვეულებებს, ბანკეტებსა და სადღესასწაულო ღონისძიებებს, რომელიც ორგანიზებულია პოლიტიკური პარტიის, ორგანიზაციის ან იმ პირის მხრიდან, რომელიც ჩართულია საარჩევნო პროცესში;
  - ვ) საარჩევნო პერიოდში თავი აარიდოს ადგილობრივი თუ სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობის პირებთან პირადი ხასიათის შეხვედრებსა და ვიზიტებს.

3. მოქმედებდეს გამჭვირვალედ:

ხელი შეუწყოს დაინტერესებულ მხარეებს საარჩევნო პროცესთან ან საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და დოკუმენტების მიღებაში (გარდა ამომრჩეველთა სიებში პირადი ნომრის შემცველი ინფორმაციისა).

4. იყოს პროფესიონალი, მონესრიგებული და პუნქტუალური:

- ა) მიიღოს მონაწილეობა მისთვის ჩატარებულ ტრენინგებში და ზედმინეწით შეისწავლოს საარჩევნო პროცედურები;
- ბ) არ დაუშვას სამსახურებრივი დროისა და ქონების გამოყენება არასამსახურებრივი მიზნებისათვის;
- გ) იყოს კომუნიკაბელური და თავი აარიდოს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობას ან მათ გაღვივებას;
- დ) საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისას ტაქტიანად გამოხატოს დასაბუთებული კრიტიკა;
- ე) იყოს პუნქტუალური და იმოქმედოს კანონით დადგენილი ვადების შესაბამისად.

### **მუხლი 6. პასუხისმგებლობა ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევაზე**

1. ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას და მასზე საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა საარჩევნო კოდექსითა და “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონებით დადგენილი წესით.
2. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, რომლებიც არ არიან საჯარო მოხელეები და მათზე არ ვრცელდება “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონი, ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევისათვის პასუხს აგებენ საარჩევნო კოდექსით დადგენილი ზომების შესაბამისად და წესით.



## მედიის საარჩევნო ძეგვის კოდექსი – IDEA

ქვეყნების უმეტესობაში ცალკეულმა ჟურნალისტებმა და ზოგადად მედიამ ქვეყნის კოდექსი, ანუ ეთიკური და პროფესიონალური სტანდარტები ჩამოაყალიბეს, ხშირად მათი საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით. ამას გარდა, უფრო და უფრო მეტი ქვეყანა იღებს მოხალისეობრივ პრინციპზე დაფუძნებულსა თუ კანონებით გამყარებულ ქვეყნის კოდექსს, რომელიც არჩევნების დროს პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების ქცევას არეგულირებს. საარჩევნო ადმინისტრაციის ქცევაც მკაცრი პროფესიონალური სტანდარტებით რეგულირდება.

ქვეყნის ამ კოდექსის დანიშნულებაა იმ საკითხების ამოწვრა, სადაც სამივე სახის ეთიკური სტანდარტები კვეთს ერთმანეთს. მას-მედიას უფრო და უფრო აღიარებენ როგორც თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების გამართვის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად. მედიას ელექტორატისათვის ინფორმაციის გადაცემის, თავისუფალი და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. ისინი ამას შემდეგი სამი გზით აკეთებენ:

- ⇒ გადასცემენ პარტიებისა და კანდიდატების პოლიტიკური გზავნილებს;
- ⇒ გადასცემენ საარჩევნო ადმინისტრატორებისგან მიღებულ ამომრჩეველთა ინფორმაციას;
- ⇒ ხდიან მთელ საარჩევნო პროცესს დამოუკიდებელი შემოწმების და კომენტარის საგნად.

მას-მედიის ეს მნიშვნელოვანი როლი გასნაკუთრებულ ეთიკურ ვალდებულებებს აკისრებს ცალკეულ ჟურნალისტებს, რედაქტორებსა და საინფორმაციო საშუალებების მფლობელებს, პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციას. რეკომენდებულია ყველა ამ მხარისთვის გაერთიანებული ქვეყნის კოდექსის შემოღება, რათა ყოველმა მათგანმა ეთიკის ნორმების გათვალისწინებით იმოქმედოს და პატივი სცეს სხვების უფლებებსა და თავისუფლებებს.

ქვემოთ მოცემული ქვეყნის კოდექსის ვერსია ოთხ ნაწილადაა დაყოფილი და ინდივიდუალური ჟურნალისტების, რედაქტორებისა და მფლობელების, პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების, ასევე საარჩევნო ადმინისტრირების ორგანოების ვალდებულებებს მოიცავს.

ცალკეულ საკითხებს ეს კოდექსი პირდაპირ არ მოიცავს. მაგალითად, მედიის მიერ პოლიტიკური პარტიებისთვის პირდაპირი ეთერის განაწილების სისტემის საკითხი შესაძლოა უკვე განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით, რეგულაციებით ან დაინტერესებულ მხარეებს შორის შეთანხმებით.

ამის მსგავსად, ამ კოდექსის რეგულაციების გატარების საკითხი ეროვნულ დონეზე უნდა გადამწყდეს და დამოკიდებულია ამ კოდექსის მოხალისეობრივ ბუნებასა თუ კანონით გამყარებაზე.

### ინდივიდუალური ჟურნალისტები

- ☒ ჟურნალისტის პირველი მოვალეობა მოვლენების ზუსტად და მიუკერძოებლად გაშუქებაა;
- ☒ ჟურნალისტმა მოვლენები იმ ფაქტების მიხედვით უნდა გააშუქოს, რომლის წარმომავლობაც მისთვის ცნობილია. ჟურნალისტმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია არ უნდა დაფაროს;
- ☒ ჟურნალისტმა პროფესიულად და კონფიდენციალურად უნდა დაიცვას ინფორმაციის ისეთი წყარო, რომელმაც მას ეს ინფორმაცია საიდუმლოდ ანდო;
- ☒ ჟურნალისტის მიერ მოვლენების გაშუქება დაბალანსებულად უნდა ხდებოდეს. თუ ერთი კანდიდატი მეორეს რაიმე ბრალდებას წაუყენებს, მაშინ ჟურნალისტმა შეძლებისდაგვარად ორივე მხარისგან უნდა მიიღოს მოსაზრება;
- ☒ ჟურნალისტმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა ნებისმიერი არასწორი გამოქვეყნებული ინფორმაცია გაასწოროს;
- ☒ რამდენადაც შესაძლებელია, ჟურნალისტმა კანდიდატებისა და პოლიტიკური პარტიების შეხედულებები მათივე სიტყვებით უნდა გადმოსცეს და არა სხვების გადმოცემით;
- ☒ ჟურნალისტმა არ უნდა გამოიყენოს ისეთი ლექსიკა ან გამოხატოს მოსაზრებები, რომელმაც შესაძლოა უფრო გააღვივოს რაიმე სახის დისკრიმინაცია და ძალადობა, მათ შორის რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა მოსაზრებების და ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის საფუძველზე;
- ☒ დისკრიმინაციის ან ძალადობის მომხრე მოსაზრებების გაშუქების დროს ჟურნალისტი მაქსიმალურად უნდა ეცადოს ამ მოსაზრებების ნათელ კონტექსტში გადმოცემას და იმ ადამიანების მოსაზრებების გაშუქებასაც, რომლის წინააღმდეგაცაა მიმართული ამგვარი მოსაზრებები;

- ☒ ჟურნალისტს პოლიტიკოსის ან კანდიდატისგან რაიმე წახალისების მიღება ეკრძალება;
- ☒ ჟურნალისტმა პოლიტიკოსს არ უნდა მისცეს რაიმე სახის დაპირება ახალი ამბების შინაარსის შესახებ;
- ☒ ჟურნალისტმა ყურადღება უნდა მიაქციოს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გაშუქებას. ამგვარი ინფორმაცია შეძლებისდაგვარად უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - ⇒ ვინ შეუკვეთა და გამართა ეს გამოკითხვა და როდის;
  - ⇒ რამდენი ადამიანი იყო გამოკითხული, სად და როგორ იყვნენ გამოკითხულები და რა ზომის არის ცდომილების მარჟა;
  - ⇒ ზუსტად როგორ იყო ფორმულირებული კითხვები.
- ☒ ქვემოთ ჩამოთვლილი დარღვევები ჟურნალისტმა უდიდეს დანაშაულად უნდა მიიჩნიოს:
  - ⇒ პლაგიატიზმი;
  - ⇒ არასწორად გაშუქება ბოროტი განზრახვით;
  - ⇒ ცილისწამება, ავად ხსენება, რეპუტაციის შემლახველი არასწორი ცნობები ან უსაფუძვლო ბრალდებები;
  - ⇒ ნებისმიერი ფორმის ქრთამის მიღება ინფორმაციის გამოქვეყნების სანაცვლოდ, ან მის დასამალად.

### **მასობრივი საინფორმაციო საშუალებები**

- ☒ ნებისმიერ მედიაში გარკვეულად უნდა იყოს გამიჯნული ფაქტი და კომენტარი. ახალი ამბების გაშუქების დროს ისეთი ფაქტები უნდა გადაიცივს, რომელიც ჟურნალისტების მიერ სწორად არის მიჩნეული. კომენტარი შესაძლოა პუბლიკაციის რედაქტორის მიერ მომზადებულ სექციაში ჩაერთოს.
- ☒ სახელმწიფო მფლობელობაში მყოფმა მედიამ რომელიმე პარტიის ან კანდიდატის მიმართ რედაქციის მოსაზრება არ უნდა გამოხატოს.
- ☒ სახელმწიფო მფლობელობაში მყოფ მედიას ევალება არჩევნების გაშუქების დროს განონასწორებული და მიუკერძოებელი იყოს და რომელიმე პარტიისთვის საეთერო დროის გამოყოფის დროს რაიმე დისკრიმინაცია არ დაუშვას.
- ☒ თუ მედია ფასიან პოლიტიკურ რეკლამასაც უშვებს, მაშინ მან ეს დისკრიმინაციის გარეშე და ყველა პარტიისთვის თანაბარი საფასურის შეთავაზებით უნდა გააკეთოს.
- ☒ სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი მედიის ახალი ამბები, ინტერვიუები, ინფორმაცია ან მიმდინარე მოვლენების პროგრამები რომელიმე პარტიის ან კანდიდატის მიმართ კეთილგანწყობას ან საპირისპირო დამოკიდებულებას არ უნდა გამოხატავდეს.
- ☒ მედიამ სამართლიანად და რეგულარულად უნდა გააშუქოს ყველა პოლიტიკური პარტია, მათი კანდიდატები და პლატფორმა.
- ☒ მედიამ ამომრჩეველი უნდა წახალისოს და საჭირო საშუალება მისცეს საკუთარი მოსაზრებების გამოსახატად.
- ☒ მედიამ ისეთ დემოკრატიულ ღირებულებებს უნდა შეუწყოს ხელი, როგორცაა კანონის უზენაესობა, ანგარიშვალდებულება და კარგი მმართველობა.
- ☒ ნებისმიერი კანდიდატი ან პარტია, რომელიც დასაბუთებულად განაცხადებს, რომ მაუწყებლობის ან პუბლიკაციის მიერ მის მიმართ ცილისწამებას ან სხვაგვარად ზიანის მიყენებას ჰქონდა ადგილი, მოცემულმა საინფორმაციო საშუალებამ მას პასუხის გაცემის შესაძლებლობა უნდა მისცეს და მაუწყებელმა თუ გამომცემელმა შესწორება უნდა შეიტანოს, ან სხვაგვარად უკან წაიღოს მისი ან სხვა პირის მიერ გაკეთებული ცილისწამებლური განაცხადი. პასუხი ან შესწორება მაუწყებლის მეშვეობით უნდა გადაიცივს ან დაიბეჭდოს რაც შეიძლება მოკლე დროში.
- ☒ მთავრობის მეთაურის, მინისტრების, ან პარლამენტების მიერ მოწყობილი, პოლიტიკურ დაპირისპირებასთან (სახელმწიფო ფუნქციების საპირისპიროდ) დაკავშირებული პრეს-კონფერენციებისა და საჯარო გამოსვლების გაშუქების დროს პასუხის უფლება დაცული უნდა იყოს და თანასწორი დროის გამოყოფა უნდა მოხდეს. ეს ვალდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა განმცხადებელი ასევე არჩევნების მონაწილეა.

- ☒ სახელმწიფო მფლობელობაში მყოფმა მედიამ უნდა გამოაქვეყნოს ან გადმოსცეს ამომრჩეველთა განათლებასთან დაკავშირებული მასალები.
- ☒ ამომრჩეველთა განათლების მასალები ზუსტი და მიუკერძოებელი უნდა იყოს და ამომრჩეველს ეფექტურად უნდა აცნობდეს კენჭისყრის პროცესს, მათ შორის, როდის და სად უნდა მისცეს ხმა, როგორ დარეგისტრირდეს და შეამოწმოს რეგისტრაციის სისწორე; ხმის ფარულობა (და ამგვარად ზენოლისგან თავისუფლება); ხმის მიცემის მნიშვნელობა; ასარჩევი თანამდებობების ფუნქციები და სხვა მსგავსი საკითხები.
- ☒ ამომრჩეველთა განათლება უმცირესობათა ენაზე მომზადებულ პროგრამებსა და ისეთ ჯგუფებზე მიმართულ პროგრამებს უნდა მოიცავდეს, რომლებიც შესაძლოა გარიყულები იყვნენ პოლიტიკური პროცესებისგან. ასეთი ჯგუფები შეიძლება იყოს, მაგალითად, ქალები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები.
- ☒ საინფორმაციო საშუალებებმა მათ მიერ გადაცემული მასალა უნდა აკონტროლონ, რათა ამ ქცევის კოდექსთან შესაბამისობა იყოს დაცული.


### პოლიტიკური პარტიები

- ☒ ყველა პოლიტიკური პარტია და კანდიდატი პატივს უნდა სცემდეს მედიის თავისუფლებას.
- ☒ პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს პროფესიული ვალდებულებების შესრულების პროცესში მყოფი ჟურნალისტების შევიწროება ან ხელის შეშლა ეკრძალებათ.
- ☒ მონაწილე პოლიტიკურმა პარტიებმა და კანდიდატებმა საკუთარი მდგომარეობა მედიისადმი ხელმისაწვდომობის უპირატესობისათვის არ უნდა გამოიყენონ. ეს რეგულაცია ყველა სახის მედიას შეეხება, მაგრამ განსაკუთრებით სახალხო დაფინანსებაზე მყოფ მედიას გულისხმობს, რომელიც მოცემული მთავრობის პირდაპირი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება.
- ☒ პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს ჟურნალისტებისა თუ საინფორმაციო საშუალებებისათვის რაიმე ქრთამისა თუ წახალისების შეთავაზება ეკრძალებათ კამპანიის ღონისძიებებზე დასწრების, პარტიის მიმართ დადებითად გაშუქების ან სხვა პარტიებისა თუ კანდიდატების შესახებ ნეგატიურად გაშუქების სურვილით.
- ☒ პოლიტიკურმა პარტიებმა და კანდიდატებმა სხვა პარტიებისა თუ კანდიდატების უკვე გაცხადებული პოზიციებისა თუ ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის არასწორად წარმოჩინება არ უნდა განახორციელონ.
- ☒ პოლიტიკურმა პარტიებმა და კანდიდატებმა თავი უნდა აარიდონ ისეთი ლექსიკის გამოყენებას, რომელიც გაღიზიანებასა და დაძაბულობას იწვევს, ან საფრთხის ქვეშ აყენებს სხვა პირსა თუ ჯგუფს ან მათ მიმართ ძალადობას უწყობს ხელს.
- ☒ პარტიის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ამ კოდექსში მოცემული ტოლერანტობისა და თავისუფალი დებატების სტანდარტებს კამპანიის მუშაკებს სრულად გააცნობენ. პარტიები თავად აგებენ პასუხს მათი კამპანიის ფარგლებში მომუშავე ადამიანების სიტყვებსა თუ ქმედებაზე.

### საარჩევნო ადმინისტრაცია

- ☒ საარჩევნო ადმინისტრაციამ პატივი უნდა სცეს მედიის თავისუფლებას, მათ შორის რედაქციის თავისუფლებასა და პოლიტიკური პრეფერენციების გამოხატვის უფლებას.
- ☒ საარჩევნო ადმინისტრაციამ პატივი უნდა სცეს პარტიებისა და კანდიდატების გამოხატვის თავისუფლებას.
- ☒ საარჩევნო ადმინისტრაციამ არჩევნები ღია და გამჭვირვალე სახით უნდა გამართოს.
- ☒ საარჩევნო ადმინისტრაცია უნდა ეცადოს დარწმუნდეს, რომ მისი საქმიანობა მაქსიმალურად ღიაა მედიის კრიტიკისთვის.
- ☒ საარჩევნო ადმინისტრაციებმა ფასიანი რეკლამისა თუ უფასო საინფორმაციო მასალების განაწილების დროს რომელიმე მედიას უპირატესობა არ უნდა მიანიჭონ.
- ☒ საარჩევნო ადმინისტრაციამ მას-მედია სხვა საშუალებებთან ერთად უნდა გამოიყენოს დროული და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებისთვის, რათა ამომრჩეველმა ხმის მიცემის უფლების განხორციელება ინფორმირებულად შეძლოს.



 საარჩევნო ადმინისტრაციამ გაშუქებაზე შეზღუდვები მხოლოდ იმ შემთხვევაში, მაგალითად, საარჩევნო უბანზე ან დათვლის დროს უნდა დააწესოს, როცა ეს საარჩევნო პროცესის განუხრელობის დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარეობს.

## **ძვევის კოდექსი აღმოსავლეთ ტიმორის მას-მედიის პროფესიონალებისთვის**

### **მას-მედიის პროფესიონალების უფლებები**

საარჩევნო პროცესის გაშუქებისას მას-მედიის პროფესიონალებს შემდეგი უფლებები ექნებათ:

- ა. საარჩევნო ინფორმაციის წყაროებზე ხელმისაწვდომობის უფლება, წინამდებარე კოდექსის მიხედვით;
- ბ. უსაფრთხოების პირობების უფლება, რაც პოლიტიკური ძალაუფლებით არის გარანტირებული, რათა მათ თავიანთი ფუნქციების შესრულება შესძლონ;
- გ. ინფორმაციის წყაროს საიდუმლოდ შენახვის უფლება, კანონის შესაბამისად;
- დ. უფლება, რომ პატივისცემით მოექცნენ კანდიდატები, პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური კოალიციები და არჩევნებში მონაწილე სხვა ერთეულები.

### **ხელმისაწვდომობის უფლება**

ხელმისაწვდომობის უფლება, რაც წინა პუნქტშია უზრუნველყოფილი, შემდეგ პირობებში უნდა განხორციელდეს:

- ა. გაშუქების მიზნებისთვის, მას-მედიის პროფესიონალებს უფლება ექნებათ, რომ შევიდნენ იმ ადგილებში, სადაც ამომრჩეველთა რეგისტრაციის განახლება ხდება, ასევე იმ ადგილებში, სადაც მთლიანი საარჩევნო პროცესი ხორციელდება, რაც მოიცავს კანდიდატურების წარდგენას, საარჩევნო კამპანიის ღონისძიებებს, კენჭისყრას, ხმების დათვლასა და შედეგების შეჯამებას.
- ბ. შესვლის უფლება მას-მედიის პროფესიონალებს საშუალებას უქმნის, დაესწრონ ხმების დათვლასა და ხმების ტაბულაციას საარჩევნო უბნებზე, ასევე ტაბულაციას საოლქო და ცენტრალურ უბნებზე, შესაბამისად; ქვემოთ მოცემული ნორმებში მოცემული დებულებების გათვალისწინების გარეშე.
- გ. კენჭისყრის განმავლობაში მას-მედიის პროფესიონალებმა არ უნდა მოიპოვონ სურათები, არც რაიმე სახით ახლოს არ უნდა მივიდნენ საარჩევნო ყუთებთან ისე, რომ ამით ხმის ფარულობა დაირღვეს.
- დ. საარჩევნო ცენტრებსა და საარჩევნო უბნებში საქმიანობის დაწყებამდე, მას-მედიის პროფესიონალებმა საარჩევნო უბნის თავმჯდომარისგან ავტორიზაცია უნდა მოიპოვონ, რათა თავიდან იქნას აცილებული საარჩევნო ცენტრების ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელშეშლა.

### **ქვევის კოდექსი მას-მედიის პროფესიონალებისთვის**

არჩევნების დროს მედიის გაშუქებისას, მას-მედიის პროფესიონალებმა უნდა:

- ა. იმოქმედონ სიზუსტით და პროფესიონალიზმით, საარჩევნო კანონების და რეგულაციების შესაბამისად, ასევე დემოკრატიული პრინციპების დაცვით;
- ბ. წვლილი შეიტანონ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გამართვაში, მხარი დაუჭირონ ახალი ამბების გავრცელებას კონკრეტული ფაქტების და მოსაზრებების საფუძველზე, რომლებიც ვარაუდებს არ შეიცავს;
- გ. შესძლონ თანაბარი ხელმისაწვდომობის და ნათელი განმარტების გარანტირება ყველა კანდიდატისთვის, პოლიტიკური პარტიებისა და კოალიციებისთვის;
- დ. დაადასტურონ ყველა ინფორმაცია, რაც უნდა გამოქვეყნდეს და შესაძლებელი უნდა იყოს მისი სიზუსტის დემონსტრირება ნებისმიერ დროს; ასევე დაიცვან მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა მედიის მიერ ფაქტების გაშუქებისას;
- ე. მოახდინონ კანდიდატების ქმედების დიფერენცირება პოლიტიკური ძალაუფლების მქონე ორგანოების საქმიანობისგან მათი ფუნქციების შესრულებისას;

- ვ. პატივი სცენ ხალხის პირად ცხოვრებას;
- ზ. ინფორმაცია გამიჯნონ შეხედულებისგან;
- თ. თავი შეიკავონ საარჩევნო ოპერაციებში ჩარევისგან;
- ი. სრული და ზუსტი ინფორმაცია გამოაქვეყნონ არჩევნების შესახებ, მაგრამ პირადი მოსაზრებით არ გამოარჩიონ რომელიმე კანდიდატი, პარტია ან კოალიცია;
- კ. შეგროვებული განაცხადები შესაბამის ავტორს მიანწერონ;
- ლ. უარი სთქვან საჩურებზე, კეთილგანწყობასა თუ სპეციალურ მოპყრობაზე კანდიდატების, პარტიების ან კოალიციების და მათი წარმომადგენლების მხრიდან;
- მ. ისეთი ენა გამოიყენონ, რომელიც არ არის შემარცხვენილი, ცილისმწამებლური ან აგრესიული, არც ისეთი ენა, რომელიც ძალადობას აღვივებს ან ხალხის დისკრიმინაციას ახდენს, განსაკუთრებით კი კანის ფერის, რასის, წარმოშობის, ეროვნების, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, პოლიტიკური ან რელიგიური არჩევანის, ასევე გონებრივი და ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის გამო.

## დამკვირვებლების ქსევის წესები - IDEA

### დაკვირვების ფუნქცია

ყველაზე ფართოდ გავრცელებული გამოყენების შესაბამისად, არჩევნებზე ნებისმიერი უცხო დამსწრის არსებობა შეიძლება აღვწეროთ, როგორც „დაკვირვება“. ეს შეიძლება დამაბნეველი იყოს, რადგანაც დღემდე ხალხი ამ სიტყვას იყენებს ქვემოთ ჩამოთვლილი ხუთი სხვადასხვა ტიპის საქმიანობის მიმართ:

- ⦿ შუამდგომლობა (მედიაცია), რომელიც არის მესამე მხარის მიერ დავაში ჩარევა, მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მოკამათე მხარეებს, რათა მოიძებნოს საკითხის ორივე მხარისთვის მისაღები გადაწყვეტა;
- ⦿ ტექნიკური დახმარება, რომელიც ზოგადად ხორციელდება საარჩევნო პროცესის ტექნიკური მხარდაჭერის კუთხით;
- ⦿ ზედამხედველობა: პროცესი, რომლის დროს ხდება საარჩევნო პროცესის ყველა ან ზოგიერთი ღონისძიების კანონიერების დადგენა;
- ⦿ მონიტორინგი, რომელიც მოიცავს არჩევნებზე დაკვირვების უფლებამოსილებას და პროცესში ჩარევის უფლებამოსილებას, თუკი დაირღვა შესაბამისი კანონები და სტანდარტული პროცედურები ან მოხდა მათი უგულებელყოფა.
- ⦿ დაკვირვება, რომელიც მოიცავს ინფორმაციის მოგროვებას და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით საფუძვლიანი დასკვნების გაკეთებას

### შუამდგომლობა და ტექნიკური დახმარება

როგორც შუამდგომლობა, ასევე ტექნიკური დახმარება, ფართოდ გავრცელებული საქმიანობებია, რომლებშიც უცხო ქვეყნის მოქალაქეები ხშირად არიან ჩართული. თუმცა ამ საქმიანობებთან დაკავშირებული ამოცანები საზოგადოდ განსხვავდება დამკვირვებლის ამოცანებისგან, ისინი ქვემოთ მოცემული მიზეზების გამო შეიძლება დაკვირვებაში აგვერიოს:

- ⦿ ზოგჯერ ერთი ორგანიზაცია უფლებამოსილია სამივე ეს ფუნქცია შეასრულოს ერთი და იმავე არჩევნების დროს.
- ⦿ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ორგანიზაცია პასუხისმგებელია მხოლოდ დაკვირვებაზე, ორგანიზაციისთვის შეიძლება ძნელი იყოს უარი განაცხადოს შუამდგომლობაზე ან დახმარებაზე, თუკი არჩევნების პროცესში მას ამის გაკეთებას მოსთხოვენ, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეს როლები ზიანს არ აყენებს დაკვირვების ფუნქციას.
- ⦿ ამ სამ ფუნქციათაგან თითოეულს თავისი წვლილი შეაქვს საერთო მიზნების განხორციელებაში. ეს არის – საარჩევნო პროცესის ლეგიტიმაცია, ნდობის ჩამოყალიბება, დემოკრატიზაციის პროცესების გაუმჯობესება, საარჩევნო პროცესის გავრცობა-გაფართოება, კონფლიქტის შემცირება და/ან აღმოფხვრა. უფრო მეტიც, შუამდგომლობამ და ხელშეწყობამ შეიძლება შეამციროს დაკვირვების აუცილებლობა, რაც აადვილებს საერთო მიზნების მიღწევას ნაკლები რესურსების პირობებში.

## ზედამხედველობა და მონიტორინგი

ზედამხედველობა და მონიტორინგი ზოგჯერ დაკვირვებაში ერევათ, რადგან ეს სამივე სახის საქმიანობა ეფუძნება საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებასა და შემდეგ ამ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე დასკვნების გაკეთებას. თუმცა, ზედამხედველობა და მონიტორინგი მნიშვნელოვნად განსხვავდება დაკვირვებისგან შემდეგი მიზეზების გამო:

- ☛ ზედამხედველებს და/ან მონიტორებს გაცილებით დიდი უფლებამოსილება გააჩნიათ, ვიდრე დამკვირვებლებს.
- ☛ ზედამხედველები და/ან მონიტორები, მათი უფრო დიდი უფლებამოსილების გამო, გაცილებით უფრო მკაცრი ქცევის წესებით ხელმძღვანელობენ, ვიდრე ის წესები, რომლებიც დამკვირვებლების მიმართ მოქმედებენ.
- ☛ ზედამხედველებისა და მონიტორების ფუნქციებიდან გამომდინარე ზედამხედველები და მონიტორები შეიძლება ჩართული იყვნენ თავად არჩევნების მენეჯმენტის პროცესში.

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საარჩევნო პროცესის ზედამხედველობა აუცილებელია ზოგიერთ არჩევნებში; მაგალითად, არჩევნებში, რომლებიც განხორციელდა ნამიბიაში 1989 წლის ნოემბერში და ბოსნიაში 1996 წლის სექტემბერში. მეორე მხრივ, საარჩევნო პროცესში ჩარევის უფლებამოსილება, რომელიც არის მონიტორინგის ფუნქციის ნაწილი, იშვიათად ენიჭებათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს. თუმცა, ასეთი უფლებამოსილება ზოგიერთ შემთხვევაში მიენიჭება საარჩევნო ადმინისტრაციის გუნდის თანამშრომლებს (წევრებს). მაგალითად, 1994 წლის აპრილის სამხრეთ აფრიკის საარჩევნო გამოცდილებამ აჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა მიერ არჩევნების საშინაო მონიტორინგის განხორციელება.

## დაკვირვება

მოცემული ქცევის კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე დაკვირვება ნიშნავს:

„საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიზანმიმართული შეგროვება და მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ასეთი პროცესის განხორციელების მიმართ საფუძვლიანი დასკვნების გაკეთება იმ პირების მიერ, რომელთაც არსებითად ამ პროცესში ჩარევის უფლებამოსილება არ ენიჭებათ, და ვისი შუამდგომლობაში მონაწილეობა ან მათ მიერ განხორციელებული ტექნიკური დახმარების ქმედებები არ უნდა იყოს ისეთი ხასიათის, რომ საფრთხე შეუქმნას მათ ძირითად სადამკვირვებლო მოვალეობებს“.

სიტყვა დამკვირვებელს შეიძლება რამდენიმე განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს:

- ☛ ზოგიერთ შემთხვევაში, ტერიტორიულ ერთეულში გაგზავნილ ინდივიდებს მიიჩნევენ დამკვირვებლებად.
- ☛ სხვა შემთხვევებში, როდესაც ორგანიზაცია ჩართულია დაკვირვების პროცესში, მას შეიძლება ჩამოუყალიბდეს მოსაზრება, რომ თავად ეს ორგანიზაცია, ან ორგანიზაციის აღმასრულებელი ხელმძღვანელი არის „დამკვირვებელი“ და მისი ხელმძღვანელობით მოქმედი პირები უბრალოდ არიან მისი პერსონალი, მისი აგენტები, მისი „თვალები და ყურები“.
- ☛ ასევე შეიძლება წარმოიშვას სიტუაცია, როდესაც გარკვეული ორგანიზაციები ისწრაფვიან განახორციელონ ერთობლივი სადამკვირვებლო ოპერაცია ან ითანამშრომლონ სპეციფიკურ სფეროებში. ასეთ შემთხვევაში უპრიანი იქნება ასეთი ოპერაციების განხორციელების მიზნით შექმნილი ინტეგრირებული სტრუქტურა განვიხილოთ როგორც „დამკვირვებელი“.
- ☛ ასევე შესაძლებელია „დამკვირვებელთა“ კატეგორიზაცია „მოკლევადიან დამკვირვებლებად“ და „გრძელვადიან დამკვირვებლებად“, რაც დამოკიდებულია მათი მანდატის ტიპსა და ხანგრძლივობაზე, ასევე იმ პერიოდის ხანგრძლივობაზე, რომლის განმავლობაშიც ისინი ქვეყანაში დამკვირვებლის სტატუსით ჩერდებიან.

არჩევნებზე დაკვირვება შემდეგ ფუნდამენტურ ეთიკურ პრინციპებს უნდა დაემორჩილოს:

1. საარჩევნო დამკვირვებლებმა უნდა სცნონ და პატივი სცნონ მასპინძელი ქვეყნის სუვერენიტეტს.
2. საარჩევნო დამკვირვებლები უნდა იყვნენ მიუკერძოებლები და ნეიტრალურები.
3. არჩევნების მიმოხილვისას საარჩევნო დამკვირვებლების მიერ წარმოდგენილი ანალიზი უნდა იყოს ყოვლის მომცველი/ამომწურავი და მხედველობაში უნდა მიიღონ ყველა არსებითი გარემოება.



4. საარჩევნო დამკვირვებლებმა უნდა იმოქმედონ გამჭვირვალედ.
5. საარჩევნო დამკვირვებლებმა უნდა დაიცვან სიზუსტე.

აღნიშნული პრინციპები ზემოთ ჩამოთვლილ დამკვირვებელთა ყველა ტიპს ეხება. სიტუაციიდან გამომდინარე, ზოგიერთი პრინციპი ზედმინწევნით ეხება „დამკვირვებლის“ ერთ რომელიმე ტიპს და უნდა მოხდეს ამ კოდექსის მოქნილად ინტერპრეტირება, რათა ის კონკრეტულ გარემოებებს მოერგოს. მაგალითად, თუ დაკვირვების პროცესში ჩართულია მხოლოდ ერთი ორგანიზაცია, მას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ყველა ასპექტზე. მაგრამ, თუკი რამდენიმე ორგანიზაცია ახდენს სადამკვირვებლო ფუნქციის კოორდინაციას, ამ ორგანიზაციებს ეკისრებათ დაკვირვების პროცესის ყველა ასპექტზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და არა თითოეულ ორგანიზაციაზე გადანაწილებული ცალკეული პასუხისმგებლობა.

ეს პრინციპები შემუშავებულია ყველა სადამკვირვებლო საქმიანობისთვის, მაგრამ ისინი უნივერსალური ხასიათის არ არის და არ ეხება დაკვირვების ფუნქციის ფარგლებს მიღმა განხორციელებული შუამდგომლობისა და ტექნიკური დახმარების აქტივობებს.

## **არჩევნების დაკვირვების სახელმძღვანელო პრინციპები**

### **ეთიკური პრინციპი 1: არჩევნებზე დამკვირვებლებმა უნდა სცნონ და პატივი სცენ მასპინძელი ქვეყნის სუვერენიტეტს.**

ჩვეულებრივ, არჩევნებზე დაკვირვება სუვერენულ სახელმწიფოში მიმდინარეობს, რომელსაც საშინაო უფლებამოსილების აღიარებული სისტემა გააჩნია. დამკვირვებლები ამ ქვეყნის სტუმრები არიან და მათთვის მინიჭებული ნებისმიერი უფლება არის მასპინძელი ქვეყნის მიერ მათთვის მინიჭებული პრივილეგია, როგორც მოცემული ქვეყნის სუვერენიტეტის განხორციელება. სარგებლობენ რა სტუმრის სტატუსით, დამკვირვებლებმა უნდა გამოიჩინონ სათანადო პატივისცემა მასპინძელი ქვეყნის სუვერენიტეტის მიმართ და სწორად უნდა იქნას გააზრებული, რომ მოცემული ქვეყნის სუვერენიტეტი და ამ ქვეყნის კონკრეტული მთავრობა განსხვავებული ცნებებია.

დამკვირვებლებმა თავიანთი საქმიანობა ქვეყანაში უნდა წარმართონ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქვეყნის შესაბამის უფლებამოსილ უწყებებთან მიიღწევა შეთანხმება, რადგან ამ შეთანხმების ფარგლებს მიღმა მოქმედება ნიშნავს ქვეყნის სუვერენიტეტის უპატივცემულობას.

ამ პრინციპში მოცემული ყველა დირექტივა სპეციფიკურ პირობებს ექვემდებარება, რომლებიც დადგენილია მასპინძელ ქვეყანასთან არსებულ შეთანხმებაში დაკვირვების შესახებ. შეთანხმების მიხედვით, დამკვირვებლებს შეიძლება უფლება მიეცეთ განხორციელონ ისეთი ქმედებები, რომელთაც ჩვეულებრივ ეს დირექტივები არ დაუშვებდა. მაგალითად, თუკი შეთანხმება დამკვირვებლებს „სწრაფი დათვლის“ განხორციელებისა და დათვლის შედეგების გამოცხადების ნებას აძლევს, მე-19 პუნქტის დირექტივა შემსუბუქდებოდა შეთანხმების პირობების შესაბამისად.

სადამკვირვებლო ქმედებათა შესახებ შეთანხმებამ:

- ☞ უნდა ასახოს დამკვირვებელთა, როგორც ქვეყნის სტუმართა უფლებებისა და ვალდებულებების საკითხები; და
- ☞ გავლენა არ უნდა მოახდინოს დამკვირვებელთა ნეიტრალურობაზე ან მისიის შესრულებისას არ უნდა შეზღუდოს მათი შესაძლებლობები.

სადამკვირვებლო ქმედებების სკონსორმა ორგანიზაციებმა და ინდივიდუალურმა დამკვირვებლებმა:

- ☞ პატივი უნდა სცენ მასპინძელი ქვეყნის საშინაო კანონებს.
- ☞ პატივი უნდა სცენ მასპინძელი ქვეყნის ხალხსა და კულტურას.
- ☞ არ უნდა ჩაერიონ მასპინძელი ქვეყნის საშინაო იურისდიქციასა თუ საქმეებში.

#### **კომენტარი:**

ამ ტიპის ჩარევა ქვეყნის სუვერენობის უპატივცემულობას ნიშნავს და მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის დამკვირვებლის ნეიტრალურობას, რადგანაც ჩარევის აქტი შესაძლოა გახდეს ქვეყანაში დაპირისპირების მიზეზი.

- ☞ საარჩევნო ადმინისტრაციას უნდა გააცნონ დაკვირვების პროცესის მიზნები.
- ☞ პატივი უნდა სცენ საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების როლს, სტატუსსა და უფლებამოსილებას და გამოიჩინონ თავაზიანობა საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და ამომრჩევლების მიმართ.

კომენტარი:

საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსი და სანდოობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თავად არჩევნების მიმართ ნდობასა და მის წარმატებაზე. ამდენად, დამკვირვებლებისთვის მნიშვნელოვანია მოახდინონ საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობის დემონსტრირება და თავი აარიდონ ნებისმიერ ქმედებას, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საარჩევნო ადმინისტრაციის ნდობასა და ავტორიტეტს.

- ☞ უნდა მოიპოვონ სათანადო აკრედიტაცია და ამ მიზნით მოთხოვნის შესაბამისად უნდა წარმოადგინონ ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია.

კომენტარი:

არჩევნების სათანადოდ წარმართვა საარჩევნო პროცესის უსაფრთხოებას საჭიროებს. ეს ნიშნავს, რომ სათანადო უფლებამოსილების გარეშე პიროვნებები არ უნდა დაიშვან გარკვეულ ადგილებში, სადაც საარჩევნო პროცესის მნიშვნელოვანი ეტაპები ხორციელდება. საარჩევნო ადმინისტრაციისთვის მნიშვნელოვანია იმ პირების იდენტიფიცირება, რომელთაც აქვთ სპეციალური უფლებამოსილება და პირების, რომელთაც ასეთი უფლებამოსილება არ გააჩნიათ.

მაშინ, როცა ამ თვალსაზრისით დამკვირვებლები ვალდებული არიან ითანამშრომლონ საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, დამკვირვებლებს უფლება აქვთ ჰქონდეთ მოლოდინი, რომ იდენტიფიკაციის მოთხოვნების ადმინისტრირება წარიმართება კეთილსინდისიერად და იდენტიფიცირების ეს პროცესი არ იქნება გამოყენებული მათ ფუნქციებში ჩარევის მიზნით.

- ☞ უნდა ჰქონდეთ მჭიდრო კონტაქტი საარჩევნო ადმინისტრაციასთან.
- ☞ საარჩევნო ადმინისტრაცია უნდა უზრუნველყონ დამკვირვებლების მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი წერილობითი ინფორმაციისა თუ ანგარიშის ასლით.

კომენტარი:

საარჩევნო პროცესში უმთავრესი როლი საარჩევნო ადმინისტრაციას ეკისრება და ამდენად, მას უნდა გააჩნდეს ნებისმიერი ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია ამ პროცესთან.

- ☞ უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფრთხილე საარჩევნო ადმინისტრაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი საჭარო განცხადების გაკეთებისას.

კომენტარი:

იმ შემთხვევაშიც კი, თუკი საარჩევნო შეთანხმება დამკვირვებელს უფლებას აძლევს საარჩევნო პროცესის შესახებ გააკეთოს განცხადება, ან წარმოადგინოს საარჩევნო ადმინისტრაციის კრიტიკა, საარჩევნო პროცესში დამკვირვებლებმა აღნიშნული ქმედებები უნდა განახორციელონ დიდი სიფრთხილით და არ უნდა დაივიწყონ, რომ საჭარო განცხადებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს არჩევნების სანდოობას. თუმცადა, თვით საარჩევნო პროცესის განმავლობაში დამკვირვებლებმა დაუმსახურებლად არ უნდა შექმნან ყალბი შთაბეჭდილება საარჩევნო ადმინისტრაციის სანდოობის შესახებ. დამკვირვებლებმა არ უნდა დაფარონ საარჩევნო ადმინისტრაციის არაკეთილსინდისიერების მაჩვენებელი სამხილები. არჩევნების პროცესის დასრულების შემდეგ სიფრთხილის აუცილებლობა ნაკლებ მნიშვნელოვანია.

- ☞ თავი უნდა აარიდონ საარჩევნო პროცესის ნორმალურ მიმდინარეობაში ჩარევას, ან რაიმე გზით ხელი შეუშალონ მას.
- ☞ სათანადო უფლებამოსილების გარეშე თავი უნდა აარიდონ საარჩევნო პროცესში ჩართული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდებასა და ხელმძღვანელობას; ასევე თავი უნდა შეიკავონ სათანადო კანონების ინტერპრეტაციისგან.

კომენტარი:

საზოგადოდ, საარჩევნო ადმინისტრაცია პასუხისმგებელია რჩევების მიცემაზე და სათანადო კანონების ინტერპრეტაციაზე. დამკვირვებლები, რომლებიც განახორციელებენ ამ ამოცანას, დგებიან რისკის წინაშე, რომ მათი ქმედება აღიქმება, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის ფუნქციაში შეჭრა. თუ რჩევა ეხება სადაო საკითხს, დამკვირვებელი ასევე დადგება რისკის წინაშე, რომ მას აღიქვამენ რომელიმე კონკრეტული მხარის, კანდიდატის, ან საერთო ინტერესების მქონე ჯგუფის ინტერესების მხარდამჭერად.

- ☞ თავი უნდა შეიკავონ არჩევნების შედეგების გამოცხადებისგან საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების გარეშე.
- ☞ უნდა შეატყობინოს სათანადო უფლებამოსილ უწყებას არჩევნებთან დაკავშირებული ნებისმიერი კრიმინალური ქმედების ან საარჩევნო კანონების დარღვევის შესახებ.

კომენტარი:

ქვეყნის (ადგილობრივი) კანონების დაცვა საზოგადოდ მასპინძელი ქვეყნის ხელისუფლების პასუხისმგებლობაა.

**ეთიკური პრინციპი 2: საარჩევნო დამკვირვებლები მიუკერძოებლები და ნეიტრალურები უნდა იყვნენ.**

დამკვირვებლების ძირითადი როლი არის დემოკრატიული პროცესის ხელშეწყობა ლეგიტიმურობის მინიჭებისა თუ უარყოფის მეშვეობით, როგორც ამას მოითხოვს პირობები კონკრეტულ საარჩევნო პროცესში. დამკვირვებლის მიერ ამ ფუნქციის განხორციელების კომპეტენცია შეუქცევადად დადგება ეჭვქვეშ, თუკი წარმოჩინდება, რომ დამკვირვებლებს გააჩნიათ დაინტერესება რომელიმე კონკრეტული საარჩევნო შედეგის მიმართ. ამდენად, დამკვირვებლებმა ყველა მათზე დაკისრებული ამოცანა უნდა განახორციელონ ისეთი პოზიციიდან, რომელიც არის მიუკერძოებელი და პოლიტიკურად ნეიტრალური.

საარჩევნო დამკვირვებლებმა უნდა:

- ☞ იმოქმედონ მკაცრად ნეიტრალურად და მიუკერძოებლად ცენტრალური ხელმძღვანელობის (საარჩევნო ადმინისტრაციის ჩათვლით), პარტიების, კანდიდატების, ამომრჩევლების, პრესისა და მედიის მიმართ.
- ☞ თავი უნდა აარიდონ ნებისმიერ ქმედებას, რაც შეიძლება მიუთითებდეს, ან შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც კანდიდატის, პოლიტიკური პარტიის, პოლიტიკოსის ან პოლიტიკური ტენდენციის მიკერძოებული მხარდაჭერა.
- ☞ სათანადო უფლებამოსილების მქონე ორგანოსთან უნდა გამოააშკარაოს ნებისმიერი ურთიერთობა, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ინტერესების კონფლიქტი თავიანთ, როგორც საარჩევნო დამკვირვებელთა მოვალეობებთან, ან დაკვირვების პროცესთან და არჩევნების შეფასებასთან.
- ☞ პოლიტიკური პარტიისგან, ორგანიზაციისგან, ან საარჩევნო პროცესში ჩართული პიროვნებისგან არ უნდა მიიღოს რაიმე სახის საჩუქარი ან შეღავათი.
- ☞ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა რაიმე სახის ღონისძიებასა თუ საქმიანობაში, რამაც შეიძლება შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ დამკვირვებელი თანაუგრძნობს რომელიმე კონკრეტულ კანდიდატს, პოლიტიკურ პარტიას, პოლიტიკოსსა თუ პოლიტიკურ ტენდენციას. მაგალითად, სამხედრო ობიექტების სტუმრობა, ან ოფიციალურ ცერემონიებზე დასწრება, რომლებიც ხორციელდება ადგილობრივი ხელმძღვანელობისა თუ პოლიტიკური პარტიების სპონსორობით.
- ☞ არ უნდა გამოხატოს მოსაზრება ნებისმიერ თემაზე, რომელიც სავარაუდოდ იქნება არჩევნების პრობლემური საკითხი.
- ☞ არ უნდა დაამყაროს კომუნიკაცია რომელიმე ამომრჩეველთან, რასაც დიდი მნიშვნელობა გააჩნია მიუკერძოებლობის თვალსაზრისით.
- ☞ არ უნდა ჩაიცვას, ატაროს ან წარმოაჩინოს რომელიმე პარტიის მხარდამჭერი ხასიათის სიმბოლო ან ფერები.

**ეთიკური პრინციპი 3: არჩევნების მიმოხილვისას საარჩევნო დამკვირვებლების მიერ წარმოდგენილი ანალიზი უნდა იყოს ამომწურავი და მხედველობაში უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი გარემოება. თუ ეს პირობები არ დაკმაყოფილდა, დაკვირვების პროცესმა შეიძლება ლეგიტიმურობა დაკარგოს საარჩევნო პროცესში მომხდარი დარღვევების გამო.**

როგორც წესი, დამკვირვებლებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ყველა შემდეგი ფაქტორი:

- ☞ საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობის ხარისხი.
- ☞ პოლიტიკური პარტიებისა და გაერთიანებების თავისუფლების ხარისხი, როდესაც მათ სურთ შეკრებების ორგანიზება, გადაადგილება, შეკრება და თავიანთი მოსაზრებების საჯაროდ გამოხატვა.



- ☞ აქვთ თუ არა პოლიტიკურ პარტიებს შესაძლებლობა, რომ მათი წარმომადგენლები დააკვირდნენ საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტს.
- ☞ პოლიტიკური პარტიებისთვის სახელმწიფო მედიისა და სხვა სახელმწიფო რესურსების ხელმისაწვდომობის სამართლიანობა.
- ☞ ამომრჩეველთა სათანადო რეგისტრაცია სქესის საფუძველზე განსხვავებისა და დისკრიმინაციის გარეშე.
- ☞ ადამიანური უფლებების საკითხები, ქალთა უფლებების ჩათვლით, რომლებიც დაკავშირებულია ამომრჩეველთა შესაძლებლობასთან მონაწილეობა მიიღონ საარჩევნო პროცესში.
- ☞ კენჭისყრისა და ხმათა დათვლის პროცესის სათანადოდ განხორციელება.
- ☞ ზოგჯერ დამკვირვებლებს შესაძლებლობა არ ექნებათ გაითვალისწინონ ყველა ეს ფაქტორი არასაკმარისი რესურსების გამო, ან შესაძლოა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღონ ძალიან გვიან და ამის გამო ვერ მოახერხონ რომელიმე კონკრეტული ფაქტორის შეფასება. ასეთ შემთხვევებში, ნაკლებად ზედმინვნითი (ყოველმხრივი) დაკვირვება მაინც შეიძლება იყოს ლეგიტიმური, მაგრამ დამკვირვებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათ მიერ მოცემული შეფასება არ არის სრულიად ამომწურავი და თავიანთ კომენტარებსა თუ ანგარიშებს უნდა მისცენ სათანადო კვალიფიკაცია.

თუკი საჩივრების ან დავის შედეგად წამოჭრილი რომელიმე საკითხი რჩება გადაუჭრელი, დამკვირვებლებმა უნდა გამოიჩინონ სიფრთხილე და თავი შეიკავონ პროცესის შესახებ ნაჩქარევი დასკვნების გაკეთებისგან.

საარჩევნო დამკვირვებლებმა:

☞ უნდა გაიარონ სათანადო კონსულტაცია შესაბამის პოლიტიკოსებთან და ორგანიზაციებთან. კომენტარი:

კონსულტაცია უნდა შედგეს, რათა საარჩევნო პროცესის შესახებ მიიღონ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია და გამოიყენონ ინფორმაციის სხვადასხვა მრავალრიცხოვანი წყარო, რომლებიც ხელმისაწვდომია ადგილობრივი ორგანიზაციებისთვის და რომლებიც ამგვარი კონსულტაციების გარეშე ხელმისაწვდომი არ იქნება უცხოელი დამკვირვებლებისთვის.

- ☞ უნდა სცადონ, რომ საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტზე ჩამოაყალიბონ დასაბუთებული მოსაზრება, რათა განისაზღვროს საარჩევნო პროცესის ლეგიტიმურობა.
- ☞ უნდა სცადონ ჩამოაყალიბონ დასაბუთებული მოსაზრება, თუ როგორ მიმდინარეობს საარჩევნო პროცესი ქვეყნის ყველა ნაწილში და, თუკი შესაძლებელია, ქვეყნის გარეთ.
- ☞ უნდა გააანალიზონ საკანონმდებლო ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება არჩევნები და შეაფასონ, არის თუ არა იგი არსებული გარემოებების ადექვატური.
- ☞ უნდა სცადონ და განსაზღვრონ, ზოგადად დაცულია თუ არა ის კანონები, რომლებიც საარჩევნო პროცესს მართავენ.
- ☞ უნდა სცადონ და დაადგინონ, მოქმედებს თუ არა საარჩევნო ადმინისტრაცია მიუკერძოებლად თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების პრინციპების შესაბამისად.
- ☞ უნდა სცადონ და განსაზღვრონ, პატივს სცემენ თუ არა გამოხატვის, ორგანიზების, გადაადგილებისა და შეკრების თავისუფლებას.
- ☞ სპეციალურად უნდა დააფიქსირონ არჩევნებში ქალთა მონაწილეობა მონაწილე კაცების თანაფარდობასთან მიმართებაში.
- ☞ სპეციალურად უნდა დააფიქსირონ წერა-კითხვის უცოდინართა და შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობა და განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ზომებზე, რომლებიც ხელს უწყობს მოცემულ ინდივიდებს ფარულად ხმის მიცემის პროცესში.
- ☞ უნდა სცადონ და დააკვირდნენ პოლიტიკურ მიტინგებსა და დემონსტრაციებს.
- ☞ უნდა სცადონ და განსაზღვრონ, წარიმართა თუ არა ამომრჩევლების, კანდიდატებისა და პარტიების რეგისტრაციის პროცესი სათანადოდ, ყველა წესის დაცვით.
- ☞ უნდა სცადონ და განსაზღვრონ, გააჩნიათ თუ არა ამომრჩევლებს პროცესის შესახებ საკმარისი ცოდნა, რაც მათ საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში.

- ☞ უნდა სცადონ დამკვირვებლების განთავსება საარჩევნო პუნქტებსა და ხმის დათვლის ცენტრებში, რათა დააკვირდნენ შედეგების შეჭამებისა და გადაცემის პროცესს.
- ☞ უნდა სცადონ და განსაზღვრონ, მიიღეს თუ არა ეფექტური ზომები, რათა აღეკვეთათ ერთი პირის მიერ ერთზე მეტჯერ ხმის მიცემის შესაძლებლობა და უზრუნველყოთ საარჩევნო ბიულეტენის ფარულობა და უსაფრთხოება.
- ☞ უნდა სცადონ და განიხილონ საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ყველა საჩივარი, რომელიც წარუდგინეს საარჩევნო ადმინისტრაციასა თუ დამკვირვებელს, და შეაფასონ, თუ რამდენად საფუძვლიანია თითოეული საჩივარი.

**ეთიკური პრინციპი 4: არჩევნებზე დაკვირვება უნდა წარმოადგინოს გამჭვირვალედ.**

უცხოელი დამკვირვებლების მიერ წარმოდგენილ კომენტარებსა და ანგარიშებს შესაძლოა მასპინძელ ქვეყანაში მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს საარჩევნო პროცესის დასრულების შემდეგ. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ ნათლად იყოს წარმოჩენილი დამკვირვებლების მიერ გაკეთებული დასკვნების საფუძვლიანობა. წარმოდგენილი დასკვნების საფუძვლიანობა უნდა ემყარებოდეს არა დამკვირვებლების სტატუსს, არამედ დასკვნების გაკეთების პროცესში გამოყენებულ მეთოდებსა და მონაცემებს.

ამ საფუძვლიანობის დასადგენად დამკვირვებლებმა სრულად უნდა წარმოადგინონ თავიანთი მეთოდები, ვარაუდები, მონაცემები, ანალიზები და მათი საფუძვლიანი დაკვირვების დეტალები.

ამდენად, საარჩევნო დამკვირვებლებმა:

- ☞ უნდა მოახდინონ თავიანთი დაკვირვების მიზნების იდენტიფიცირება როგორც პროცესის დასაწყისში, ასევე ანგარიშის წარმოდგენისას.

**კომენტარი:**  
 მნიშვნელოვანია საზოგადოებამ იცოდეს, თუ რისკენ ისწრაფვოდნენ დამკვირვებლები დაკვირვების პროცესის შედეგების შესაფასებლად და ასევე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, იყო თუ არა პროცესი ეფექტური.

- ☞ ყველა ანგარიშში დამკვირვებლებმა უნდა დაიცვან პრინციპები, რომლებიც ეფუძნება აღიარებულ მეცნიერულ მეთოდოლოგიას, რომელშიც შედის შემდეგი:
  - ა. დამკვირვებლებმა უნდა მოახდინონ ზუსტი ინფორმაციის იდენტიფიცირება, რომელიც მათ შეაგროვეს და საარჩევნო პროცესის შეფასების საფუძვლად გამოიყენეს.
  - ბ. როდესაც დამკვირვებლები წარმოადგენენ სტატისტიკურ მონაცემებს, მათ უნდა მოახდინონ იმ ბაზისის იდენტიფიცირება, რომლის მიხედვითაც მოხდა საკვლევი ჯგუფის შერჩევა, და ასევე წარმოადგინონ მოცემული სტატისტიკის სიზუსტის კოეფიციენტი.
  - გ. მოახდინონ ყველა იმ მოსაზრების იდენტიფიცირება, რომლებიც მათ გამოიყენეს; და
  - დ. დამკვირვებლებმა უნდა წარმოადგინონ სამხილები და არგუმენტები თავიანთი მოსაზრებებისა და დასკვნების მხარდასაჭერად.
- ☞ მზად უნდა იყვნენ საარჩევნო ადმინისტრაციას წარუდგინონ დაკვირვების პროცესის საბოლოო შეჭამებული შეფასება.
- ☞ თუკი შესაძლებელია და აუცილებელია, დამკვირვებლებმა უნდა მოახდინონ საარჩევნო ადმინისტრაციის ინფორმირება საარჩევნო პროცესის ნაკლოვანებების შესახებ, რათა საარჩევნო ადმინისტრაციამ, საკუთარი სურვილის შესაბამისად, მოახერხოს ზომების მიღება ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.
- ☞ ღიად და პირდაპირ გადმოსცენ დაკვირვების პროცესიდან მიღებული კოლექტიური დასკვნები.

**ეთიკური პრინციპი 5: არჩევნებზე დაკვირვება ზუსტი უნდა იყოს.**

მე-4 ეთიკური პრინციპის მიმოხილვიდან გამომდინარეობს, რომ ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც დამკვირვებლები თავიანთ ანგარიშს წარმოადგენენ უნდა იყოს ზუსტი და ხელმისაწვდომი. არაზუსტი ან არასარწმუნო ინფორმაციას შეუძლია გამოიწვიოს ნდობის შესუსტება როგორც საარჩევნო პროცესის მიმართ, ასევე სადამკვირვებლო პროცესის მიმართ.

საარჩევნო დამკვირვებლებმა ყველა ამოცანა უნდა განახორციელონ ინფორმაციის სიზუსტის, ანალიზის ობიექტურობისა და აღიარებული მეცნიერული მეთოდოლოგიის უმაღლესი სტანდარტების დაცვით. ინფორმაცია, რომელსაც ეფუძნება დამკვირვებელი, უნდა იყოს მის მიერვე პირადად მოპოვებული და უნდა ექვემდებარებოდეს გადამოწმებას. კერძოდ, დამკვირვებლებმა:

- I. უნდა უზრუნველყონ, რომ ინფორმაცია შეგროვებულია, თავმოყრილია და გამოქვეყნებულია იმგვარად, რომ იგი არის სისტემური, ნათელი და არ შეიცავს რაიმე სახის ბუნდოვანებას.
- II. უნდა განახორციელონ აუცილებელი ქმედებები, რათა უზრუნველყონ, რომ ინფორმაცია, რომელსაც ისინი აგროვებენ, იყენებენ ან აქვეყნებენ სადამკვირვებლო პროცესში, მოპოვებულია პირადად მათ მიერ და ექვემდებარება გადამოწმებას.
- III. თუკი ისინი მიიღებენ რაიმე სახის განცხადებას (ან ბრალდებას), რომელიც უარყოფითად აისახება საარჩევნო ადმინისტრაციაზე ან საარჩევნო პროცესის რომელიმე მონაწილეზე, ამ განცხადების (ან ბრალდების) საფუძვლიანობის აღიარებამდე დამკვირვებლებმა მოცემულ განცხადებასთან დაკავშირებით უნდა მოისმინოს იმ პირის ან ორგანიზაციის პოზიცია, რომელსაც ეს განცხადება ეხება.

კომენტარი:

მნიშვნელოვანია საზოგადოებამ იცოდეს, თუ რისკენ ისწრაფვოდნენ დამკვირვებლები დაკვირვების პროცესის შედეგების შესაფასებლად და ასევე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, იყო თუ არა პროცესი ეფექტური.

### **კარგი პროფესიული პრაქტიკის პრინციპები**

ორგანიზაციებმა, რომლებიც ახდენენ საარჩევნო პროცესების დამკვირვებლებით უზრუნველყოფას, მათ განთავსებასა და დაფინანსებას, უნდა მიმართონ ზომებს, რათა უზრუნველყონ, რომ დამკვირვებლები ემორჩილებიან ქვემოთ მოცემულ პრინციპებს:

1. თითოეულმა საარჩევნო დამკვირვებელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს თავის ორგანიზაციას ნებისმიერი ფაქტორი, რასაც შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს ამ კონკრეტული დამკვირვებლის მისიაში მონაწილეობაზე. მაგალითად, დამკვირვებელმა ღიად უნდა განაცხადოს:
  - ა. ნებისმიერი პირადი ჯანმრთელობის პრობლემის შესახებ, რამაც შეიძლება გაართულოს მისი შესრულება, ან მისი განმავლობაში რისკის წინაშე დააყენოს დამკვირვებელი ან სხვა პიროვნებები.
  - ბ. ნებისმიერი სირთულე, რაც დაკავშირებულია მისი ენობრივი მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან; და
  - დ. დამკვირვებლის პირადი ისტორიიდან ნებისმიერი ფაქტი, რომლის გამოც ის დამკვირვებლის ფუნქციის შესრულებისთვის შეუფერებელია.
2. მისი განმავლობაში, თითოეულმა საარჩევნო დამკვირვებელმა მთლიანად უნდა იმოქმედოს იმ ორგანიზაციის ინტერესების შესაბამისად, რომელიც პასუხისმგებელია იმ სადამკვირვებლო მისიაზე, რომლის მონაწილეც არის მოცემული დამკვირვებელი.
3. მისი მთელი პერიოდის განმავლობაში, სამუშაოდან თავისუფალი პირადი დროის ჩათვლით, თითოეული საარჩევნო დამკვირვებლის ქცევა უნდა იყოს უზადო, ეფუძნებოდეს გონივრულ განსჯას და თითოეულმა დამკვირვებელმა პირადი კეთილგონიერების უმაღლესი ხარისხი უნდა აჩვენოს.
4. თითოეულმა საარჩევნო დამკვირვებელმა ჰარმონიულად უნდა იმუშაოს სხვა დამკვირვებლებთან და მონიტორებთან, როგორც უცხოელ, ასევე მასპინძელი ქვეყნის ადგილობრივ წარმომადგენელთან, და დამხმარე პერსონალთან, რომლებიც მუშაობენ სადამკვირვებლო მისიაში.
5. თითოეული საარჩევნო დამკვირვებელი უნდა დაესწროს მისი ორგანიზაციისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ ყოველ ბრიფინგს.
6. თითოეული საარჩევნო დამკვირვებელი მკაცრად უნდა დაემორჩილოს ყველა ინსტრუქციასა და ვალდებულებას, რომელიც დადგენილია:
  - ა. მასპინძელი ქვეყნის კანონების მიერ;



ბ. საარჩევნო ადმინისტრაციის წესების მიერ; და

გ. მისი ორგანიზაციის მიერ.

7. საარჩევნო დამკვირვებელმა მონაწილეობა არ უნდა მიიღოს უკანონო ქმედებებში, რაიმე კერძო ქმედებების ჩათვლით, რომელსაც შეუძლია ინტერესების კონფლიქტი გამოიწვიოს მის, როგორც დამკვირვებლის, ფუნქციებთან.
8. სათანადო უფლებამოსილების გარეშე საარჩევნო დამკვირვებელმა არ უნდა გააკეთოს რაიმე სახის საჯარო განცხადება ან კომენტარი.
9. თითოეული საარჩევნო დამკვირვებელი ანგარიშვალდებულია სპონსორი ორგანიზაციის ლიდერის წინაშე და უნდა მოახსენოს ნებისმიერი ინციდენტის შესახებ, რომელიც შეიძლება აისახოს ორგანიზაციის მუშაობაზე.
10. თითოეული საარჩევნო დამკვირვებელი უნდა დაემორჩილოს ფოტოგადაღების წესებს და არ უნდა გადაიღოს ისეთი ფოტო, რომლის უფლებამოსილება მას არ გააჩნია.
11. საარჩევნო დამკვირვებელს არ აქვს რაიმე სახის იარაღის ტარების უფლება.

### **ყველის კოდექსი საერთაშორისო დამკვირვებლებისთვის – პალესტინა**

ყველა აკრედიტებულმა საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანომ და დამკვირვებელმა „ქველის კოდექსში“ მოცემული დებულებები, პრინციპები და სტანდარტები უნდა დააკმაყოფილოს.

#### **პრინციპები და სტანდარტები არჩევნებზე დაკვირვების მხრივ**

არჩევნებზე დაკვირვება არის საარჩევნო პროცესის შესახებ ინფორმაციის სისტემურად მოპოვება თავად პროცესში ჩარევის გარეშე. საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანოები, მათ მიერ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე ობიექტურად შეაფასებენ ხოლმე საარჩევნო პროცესს.

#### **არჩევნებზე დაკვირვება უნდა იყოს:**

- ა. **მიუკერძოებელი და ბუნებრივი:** დაკვირვება პოლიტიკურად ნეიტრალური და მიუკერძოებელი გზით უნდა მოხდეს. ყველა ღონისძიება უნდა ხორციელდებოდეს პალესტინის რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან კანდიდატის მიკერძოების ან ასოცირების გარეშე, საარჩევნო პროცესში პარტიის მონაწილეობის მიუხედავად.
- ბ. **ყოვლისმომცველი:** დამკვირვებლებმა საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტი უნდა ასახონ. თუ ხდება დაკვირვების რომელიმე ასპექტის შეზღუდვა, ეს აღნიშნული უნდა იქნას განცხადებებსა და ანგარიშებში.
- გ. **ინსტიტუციური:** საარჩევნო პროცესზე დაკვირვების განხორციელებისთვის აკრედიტაცია ინსტიტუციურ საფუძველზე გაიცემა. ინდივიდუალურ დამკვირვებლებს არა აქვთ უფლება, რომ განცხადებები გააკეთონ მათ მიერ პირადი დაკვირვების შედეგების შესახებ. ამის საპირისპიროდ, აკრედიტებულ სადამკვირვებლო ორგანოს უფლება აქვს, რომ ანგარიშები გამოსცეს და განაცხადები გააკეთოს საარჩევნო პროცესის პროგრესის შესახებ დელეგირებული მომხსენებლების მეშვეობით.
- დ. **გამჭვირვალე:** სადამკვირვებლო ორგანოებმა და დამკვირვებლებმა უნდა გასცენ ინფორმაცია ყველა მეთოდის შესახებ, რომელიც ინფორმაციის მოძიების დროს გამოიყენეს, რომელშიც შედის დაშვებები და მეთოდოლოგიები, რომელთა საფუძველზეც დაკვირვება და დასკვნების გამოტანა მოხდა.
- ე. **ზუსტი:** სადამკვირვებლო ორგანოებმა და დამკვირვებლებმა ზუსტი და სანდო ინფორმაცია უნდა გამოიყენონ დაკვირვების პროცესის განმავლობაში და ამგვარი ინფორმაციის წყაროები ყოველთვის უნდა მიუთითონ.
- ვ. **პალესტინის კანონის და ინსტიტუციების მიმართ პატივისცემა:** სადამკვირვებლო ორგანოებმა და მათმა დამკვირვებლებმა უნდა აღიარონ და დაიცვან პალესტინის ადგილობრივი ხელისუფლების კანონები, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომიტეტის რეგულაციები და პროცედურები.

## დამკვირვებლების უფლებები

საერთაშორისო დამკვირვებლებს შემდეგი უფლებებით სარგებლობა შეუძლიათ:

- ა. დააკვირდნენ საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპს და შეუფერხებლად შეეძლოთ შესვლა რეგისტრაციის/კენჭისყრის და ხმის დამთვლელ ყველა ცენტრში, ასევე მონაცემების შეყვანის ცენტრში.
- ბ. მოიპოვონ ინფორმაცია საარჩევნო უწყებებიდან, ყველა დონეზე.
- გ. საჭაროდ გამოაქვეყნონ დაკვირვების ანგარიში და განაცხადები საარჩევნო პროცესის პროგრესის შესახებ. ესენი ორგანიზაციული ანგარიშები და განაცხადები უნდა იყოს, რომელსაც სადამკვირვებლო ორგანოს მომხსენებელი გაახმოვანებს.
- დ. შეხვდნენ ნებისმიერ პირს ან ორგანიზაციას, პარტიული ერთეულების, კანდიდატების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და სხვა ოფიციალური პირების ჩათვლით.
- ე. ისარგებლონ თავისუფალი გადაადგილებით პალესტინის ტერიტორიებზე, შეზღუდვის გარეშე.

## რეგისტრაციის, კენჭისყრისა და ხმების დათვლის ცენტრების შიგნით

- I. გაესაუბრონ ამომრჩევლებს ან რეგისტრაციის მსურველებს რეგისტრაციის ან/და საარჩევნო ცენტრების შიგნით. დამკვირვებლებს მსგავსი რამის უფლება არა აქვთ საარჩევნო უბნების შიგნით და სარეგისტრაციო ოთახებში. დამკვირვებლები შეიძლება დააკვირდნენ რეგისტრაციის, კენჭისყრის და ხმის დათვლის პროცედურებს რეგისტრაციის და საარჩევნო ცენტრებსა და უბნებზე, გონივრული მანძილიდან.
- II. მოსთხოვონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საჩივრების/შენიშვნების ფორმა და ის სარეგისტრაციო/საარჩევნო ცენტრის თავმჯდომარეს ჩააბარონ.

## დამკვირვებლების მოვალეობები

დამკვირვებლებს შემდეგი მოვალეობები გააჩნიათ:

- I. აკრედიტაციის ბარათი ატარონ ისე, რომ კარგად ჩანდეს, ასევე ფორმალურად წარუდგინონ ხოლმე თავიანთი თავი შესაბამის უწყებებს, მოთხოვნის შემთხვევაში.
- II. თავი აარიდონ რომელიმე პოლიტიკური ერთეულის ან კანდიდატის სასარგებლო ღონისძიებაში მონაწილეობას.
- III. არ გამოაჩინონ, არ ჩაიცვან და არ ატარონ რაიმე ლოგო, ფერი ან სიმბოლო, რომელიც იდენტურია, ან ჰგავს რომელიმე პარტიული ერთეულის ან კანდიდატის ლოგოს, ფერს ან სიმბოლოს.
- IV. არ მოახდინონ ზეგავლენა რეგისტრაციის მსურველებსა და ამომრჩევლებზე.
- V. მოვალეობა შეასრულონ ისე, რომ ხელი არავის შეუშალონ და არც საარჩევნო პროცესში ჩაერიონ.
- VI. თავი აარიდონ მას-მედიაში ან დაინტერესებული მხარეებისთვის პირადი ან ნაადრევი კომენტარების გაკეთებას არჩევნებზე დაკვირვების შესახებ.

რეგისტრაციის ცენტრებში, კენჭისყრისა და ხმების დათვლის ცენტრებში, ასევე მონაცემების შეყვანის ცენტრში:

- I. დააკმაყოფილონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური პირების მითითებები რეგისტრაციის/კენჭისყრისა და ხმების დათვლის ცენტრებში, ასევე მონაცემების შეყვანის ცენტრში.
- II. არ ჩაიწერონ რეგისტრაციის მსურველებსა თუ ამომრჩევლებთან დაკავშირებული რაიმე სახის პირადი დეტალები, როგორცაა მათი სახელები, ან იმ კანდიდატების თუ პარტიების დასახელება, რომლებსაც ისინი ხმას აძლევენ.

## დასკვნითი დებულებები

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შეიძლება ნებისმიერი სადამკვირვებლო ორგანოს ან დამკვირვებლის აკრედიტაცია გააუქმოს იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ამ პირმა არსებული კანონების, წესდებების დებულებები ან ქცევის კოდექსი დაარღვია.

## პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი

პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსი ძირითადად ორი მახასიათებლით შეიძლება იქნას წარმოდგენილი:

- ⇒ ქცევის კოდექსი პოლიტიკური პარტიების მიერ მიღწეული შეთანხმების შედეგია. ამგვარი შეთანხმება ძალაში ერთზე მეტი არჩევნების დროს შეიძლება დარჩეს.
- ⇒ ქცევის კოდექსი საარჩევნო წესების შესავსები საშუალებაა. სწორედ ამიტომ ის თამაშობს მნიშვნელოვან როლს გარდამავალი პერიოდის არჩევნებში. მათი მიზანი ორმაგია: ერთი მხრივ, არჩევნების მშვიდად განვითარებას მიაღწიონ, მეორე მხრივ კი – თავიდან აიცილონ რაიმე დარღვევა ძალაუფლების მქონე ჯგუფებისგან.

ბევრი განსხვავება არსებობს, რომლებიც ამ ორს ერთმანეთისგან აცალკევებს. ამგვარი განსხვავებები მათი განმასხვავებელი ნიშან-თვისებებიდან, ასევე იქიდან გამომდინარეობს, თუ რამდენად ძლიერია მათგან წარმოშობილი ვალდებულებები.

პოლიტიკურ პარტიებს შეუძლიათ ქცევის კოდექსი შეიმუშაონ, რომელზე ხელისმომწერთა რიცხვში საერთაშორისო ორგანიზაციებიც შესაძლებელია იყოს. კოდექსების მხარდაჭერა საარჩევნო უწყებების მიერ შეიძლება მოხდეს.

ქცევის კოდექსის ძირითად მიზნებში შედის:

- ↳ ნებისმიერი სახის დაშინების და ძალადობის პრევენცია;
- ↳ ქცევის წესების დადგენა კამპანიის გამართვასთან დაკავშირებით;
- ↳ ნებისმიერი სახის არასათანადო ქცევის პრევენცია ძალაუფლების მქონე პოლიტიკური პარტიებისგან.

პოლიტიკური პარტიები ხშირ შემთხვევებში იღებენ ზოგად კოდექსს, რომელიც არ შეიძლება ქცევის კოდექსად იქნას მიჩნეული. ამგვარი კოდექსები სავალდებულოა მხოლოდ თავიანთი აქტიური წევრებისთვის და არა სხვა პოლიტიკური პარტიებისთვის.

## ნებაყოფლობითი „ქცევის კოდექსი“

პოლიტიკური პარტიების „ქცევის კოდექსი“ შეიძლება რამდენიმე გზით შეიმუშავდეს და თავისი ხასიათით შეიძლება საკმაოდ მრავალფეროვანი იყოს:

1. ის შეიძლება საარჩევნო კანონის ნაწილი იყოს, რომელიც დადგენილია ქვეყნის სუვერენული ძალაუფლებს მიერ; მაგალითად, იხილეთ 1992 წლის კამბოჯის ერთიანი ეროვნული საარჩევნო კანონის დანართი. ზოგჯერ კანონმდებლობაში მოცემული დებულება პარტიათა ქცევას აწესრიგებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ დებულებებს არ აღწერენ როგორც „ქცევის კოდექსს“.
2. მისი შეთანხმება შეიძლება პოლიტიკური პარტიების მიერ მოხდეს, როგორც მხოლოდ მათ შორის მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგი, ან უფრო ხშირად, მესამე მხარის შუამდგომლობით გამართული მოლაპარაკებების შედეგი. ამის მაგალითი არის 1989 წლის ნამიბიის დამოუკიდებელი არჩევნების წინ მიღწეული შეთანხმება.
3. ის შეიძლება შეთანხმდეს პარტიების მიერ და შემდეგ შეერწყას კანონს. როგორც ჩანს, პარტიები, რომლებმაც 1996 წლის არჩევნების წინ სიერა-ლეონეში შეთანხმდნენ, რომ ქცევის კოდექსი კანონად გაფორმდებოდა, თუმცა სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა.
4. ის შეიძლება დადგენილი იყოს მესამე მხარის მიერ, მაგალითად, როგორცაა საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანო.

შეიძლება განსხვავება არსებობდეს იმ ტექსტებს შორის, რომლებსაც პოლიტიკური პარტიები ნებაყოფლობით აღიარებენ და რომელსაც პოლიტიკურ პარტიებს თავს ახვევს სუვერენული კანონიერი ხელისუფლება ან სხვა უფლებამოსილი ორგანო. ავტორთა გარკვეული რაოდენობა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს პოლიტიკური პარტიების მიერ ქცევის კოდექსზე **ნებაყოფლობით** ხელისმომწერაზე.



ამ ტექსტში მოცემული კოდექსი არის ნებაყოფლობითი კოდექსი და ეფუძნება შემდეგ განმარტებას:

„პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო პროცესში მათ მხარდამჭერთათვის შემუშავებული ქცევის წესების ერთობლიობა, რომელსაც იდეალურ შემთხვევაში პოლიტიკური პარტიები ნებაყოფლობით დაეთანხმებიან; და რომელიც მიღწეული შეთანხმების შემდეგ შეიძლება კანონში გაერთიანდეს”.

**ნებაყოფლობითი ქცევის კოდექსის გამოყენების მიზნები.** თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მიმართ საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის მისეულ კვლევაში გუდვინ-გილი აღნიშნავს, რომ:

„პარტიებს შორის შეთანხმებული ქცევის კოდექსი სულ უფრო მეტად მისაღებია პოტენციურად დაძაბულ სიტუაციებში, როგორც მშვიდობიან არჩევნებში წვლილის შეტანის პრაქტიკული საფუძველი; გრძელვადიანი პერსპექტივით ასეთმა კოდექსებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს რწმენის გაზრდას დემოკრატიული პროცესისადმი, როგორც წარმომადგენლობითი მმართველობის დანერგვისა და მშვიდობიანი ცვლილებების მექანიზმი. გარდამავალ სიტუაციებში კრიტიკული პრობლემა ხშირად არის კონკურენტი პარტიების უუნარობა ერთმანეთთან დაამყარონ კომუნიკაცია, რასაც თან ერთვის რწმენის ნაკლებობა, რომ სისტემას შეუძლია თავისუფალი და სამართლიანი შედეგი წარმოშვას. ქცევის კოდექსებს, რომლებშიც პარტიები ძირითად პროცედურულ წესებზე და იმაზე თანხმდებიან, რომ ერთმანეთს რეგულარულად შეხვდნენ საარჩევნო კამპანიის პერიოდში, აშკარად დიდი წვლილი შეაქვს არა მარტო პოტენციური სახიფათო კონფრონტაციის თავიდან აცილებაში, არამედ დემოკრატიული პროცესის საზოგადოებრივ მხარდაჭერაში.”

**თანამეგობრობის სამდივნო თავის თანამეგობრობის კარგ საარჩევნო პრაქტიკაში ახსენებს (პარაგრაფი 29):**

„წერილობითი „ქცევის კოდექსი“ შემუშავება პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან ერთად, რომელსაც ყველა პოლიტიკური პარტია, მათი კანდიდატები და აგენტები, ასევე ყველა დამოუკიდებელი კანდიდატი და მათი აგენტები აწერენ ხელს და ფორმალურად იღებენ ვალდებულებას დაემორჩილონ მის პირობებს. ... ასეთი „კოდექსით“ აღჭურვილი საარჩევნო ორგანო შეიძლება უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდეს, რათა თავისი მორალური და კანონიერი უფლებამოსილება იმ პარტიებზე განავრცოს, რომლებიც შესაძლოა ამ კოდექსის დადგენილებებს არღვევენ. „კოდექსი“ ასევე ღირებული მექანიზმია პოლიტიკური ტოლერანტობის საჭარო ატმოსფეროს შესაქმნელად.”

პარტიების მიერ ქცევის კოდექსის ნებაყოფლობითი დაცვის სასარგებლოდ სხვა არგუმენტებიც არსებობს. მაგალითად:

- (ა) უფრო დიდია ალბათობა, რომ პარტიები იგრძნობენ ვალდებულებას, თუ მას ნებაყოფლობით აიღებენ და ამდენად, ასევე დიდია ალბათობა, რომ ამ ვალდებულებებს შეასრულებენ. ეს ყველა არჩევნებს ეხება, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი პერიოდის არჩევნებში, როდესაც მოქალაქეებს პირველად ეძლევათ ხმის მიცემის შესაძლებლობა და შეიძლება ეჭვი შეიტანონ აქამდე არსებული დომინანტური რეჟიმის ავტორიტეტში, მის მიერ შემოღებულ კანონებსა და მისი ორგანოების მიერ გამოცემულ დირექტივებში.
- (ბ) თუ ქცევის კოდექსი ძალაში არ შედის კანონიერი მეთოდებით, ის შეიძლება ეფექტური იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პარტიები კეთილსინდისიერად იქცევიან, რისი ალბათობაც უფრო დიდია, თუ პარტიებმა ნებაყოფლობით აიღეს ვალდებულება, რომ ქცევის კოდექსის შესაბამისად იმოქმედებენ.
- (გ) ნებაყოფლობითი კოდექსის შემთხვევაში პარტიებს შეუძლიათ საკუთარი თავი და ერთმანეთი დაავალდებულონ, შეასრულონ ან არ შეასრულონ ვალდებულებები; წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიშვებოდა კონფლიქტი საერთაშორისო ან კონსტიტუციურ ვალდებულებებთან, როგორცაა მაგალითად, სიტყვის ან გაერთიანების თავისუფლება.
- (დ) კონსულტაციებში მონაწილეობით, ნებაყოფლობითი კოდექსის შემუშავებითა და გამოყენებით პოლიტიკურ პარტიებს დადებითი წვლილი შეაქვთ საარჩევნო კამპანიის სტილსა და კულტურაში.

## ქვეყნის კოდექსის შეთანხმება

ნებაყოფლობითი კოდექსის შემთხვევაში პარტიები კოდექსის ტექსტზე უნდა შეთანხმდნენ. არის გარკვეული საკითხები, რომლებიც აუცილებლად უნდა განიხილონ შეთანხმების პროცესში:

### 1. ვის ეხება ქვეყნის კოდექსი?

ქვეყნის კოდექსმა ღიად უნდა დაავალდებულოს სულ მცირე:

- (ა) პარტიები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ შეთანხმების პროცესში; და
- (ბ) პარტიების ლიდერები, ოფიციალური პირები, კანდიდატები და წევრები თითოეული პარტიის კონტროლის მეშვეობით.

გონივრულობის ფარგლებში, ადგილობრივი გარემოებების შესაბამისად, პარტიამ:

- (ა) უნდა განახორციელოს თავისი მხარდამჭერების ქმედებების კონტროლი; და
- (ბ) პასუხისმგებელი უნდა იყოს მისი მხარდამჭერების მიერ კოდექსის დარღვევის შემთხვევაში.

თუ ნებაყოფლობითი ქვეყნის კოდექსი საბოლოოდ კანონში ჩაიდება, კანონი ან საზოგადო საკანონმდებლო ჩარჩო განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა დაემორჩილოს კოდექსს.

### 2. რა პერიოდის განმავლობაში მოქმედებს კოდექსი?

პერიოდის ხანგრძლივობა კონკრეტულ შემთხვევასა თუ კონტექსტზე იქნება დამოკიდებული: გარკვეულ გარემოებებში, ის იქნება კანონში ასახული საარჩევნო პერიოდი; სხვა შემთხვევაში, თავად კოდექსმა შეიძლება განსაზღვროს თავისი მოქმედების ხანგრძლივობა.

კოდექსი ყოველთვის იმოქმედებს საარჩევნო კამპანიის დაწყებიდან სერტიფიკაციამდე და შედეგების გამოცხადებამდე.

ამას გარდა, კოდექსი ნებისმიერ პერიოდს უნდა შეეხოს, რომლის განმავლობაშიც კოდექსის დარღვევას შესაძლოა ჰქონდეს განსაკუთრებით დრამატული ეფექტი საარჩევნო პროცესის სამართლიანობაზე.

ტიპურ კოდექსში ბევრი დადგენილება, მაგალითად, ისეთები, რომლებიც ადამიანის ზოგად და პოლიტიკურ უფლებებს ასახავენ და იცავენ, მთელი დროის განმავლობაში იმოქმედებს.

### 3. რა სანქციები ამოქმედდება კოდექსის დარღვევის შემთხვევაში?

ყველაზე მთავარი სანქცია, რაც თითქმის ყველა შემთხვევას შეეხება, არის საჯარო გაცხადება, რომ პარტიამ კოდექსი ვერ შეასრულა, ან იმ პიროვნებებმა ვერ დაიცვეს კოდექსი, რომლის ქცევაზეც თავად პარტიას გააჩნია გარკვეული პასუხისმგებლობა. სანქციის ტიპი შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა ქვეყნისთვის.

თუ კოდექსი კანონშია ჩადებული, სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სასჯელი შეიძლება ამოქმედდეს. ასევე შესაძლებელია სხვა სპეციფიკური საარჩევნო სასჯელის ამოქმედება, როგორცაა კანდიდატების ან პარტიების დისკვალიფიკაცია.

რა სამართლებრივი თუ სხვა სახის სანქციაც არ უნდა იყოს დადგენილი, პარტიასა და მის წევრებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ნათლად გაიაზრონ თავიანთი ვალდებულებები. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ როგორც ვალდებულებები, ასევე სანქციები მონოდედებული უნდა იყოს ნათლად გამოხატული კანონიერი ფორმით.

### 4. ქვეყნის კოდექსის საარჩევნო კანონთან მიმართება

საარჩევნო კანონმდებლობა ადგენს საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული საჩივრებისა და დავების განხილვისას გამოსაყენებელ პროცედურებსა და მექანიზმებს. აღნიშნული დებულებები განსხვავებული იქნება თითოეული ქვეყნისთვის, როგორც დეტალებით, ასევე შინაარსის თვალსაზრისით და შესაძლოა ქვეყნის კოდექსის გატარებაზეც გავლენა მოახდინოს. მაგალითად, ქვეყნის საარჩევნო კანონმა ქვეყნის კოდექსის დარღვევის ან დარღვევის საფუძველზე წამოჭრილ სადაო საკითხის ფაქტთან დაკავშირებით შეიძლება დააწესოს სასამართლო გამოძიება ან სხვა მექანიზმი, როგორცაა შუამდგომლობა.

### 5. ქვეყნის კოდექსის ადამიანთა უფლებების კოდექსთან ურთიერთმიმართება

ტიპობრივად, კოდექსმა საზოგადოდ მისაღები დებულებები უნდა მოიცავს, რომლებშიც ადამიანის ძირითადი და პოლიტიკური უფლებები შედის. თუმცა, ზოგიერთი უფრო ღირებული დებულება შეიძლება იყოს:

- (ა) ისინი, რომლებიც პარტიებისგან მოითხოვენ საკუთარი უფლებებს გამოყენების თავის შეზღუდვას; და
- (ბ) პროცედურები, რომლებიც უნდა ამოქმედდეს, როდესაც სხვადასხვა პარტიების უფლებები პოტენციურად ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

საკუთარი თავის შეზღუდვის სასურველი ფორმები და კოფლიქტური უფლებების მოგვარების პროცედურები ისეთი ფაქტორებით განისაზღვრება, როგორცაა:

- (ა) ქვეყნის პოლიტიკური ტრადიციები და კულტურა;
- (ბ) საფრთხე, რომელიც შეიძლება არსებობდეს საარჩევნო პროცესის მიმართ; და
- (გ) გაბატონებული ინსტიტუციური ჩარჩო.

წარსულში თითოეული ქვეყნის სპეციფიკური გარემოებების მნიშვნელობა სხვადასხვაგვარად იყო ასახული ეროვნულ კოდექსებში. IDEA International-ს ამ კოდექსების ფართო კოლექცია აქვს და მოლაპარაკებაში ჩართულ პირებს მათი გამოყენება შეუძლიათ ახალი კოდექსის შედგენის დროს იდეების შემუშავებისას.

## 6. ქვეყნის კოდექსის განხორციელება

იმისთვის, რომ კოდექსი გამოსადეგი იყოს, პარტიები მას უნდა ემორჩილებოდნენ და აღიქვამდნენ არა როგორც უბრალოდ მექანიკური წესების ერთიანობას, არამედ როგორც პრინციპების ერთობლიობას, რომელსაც პატივი უნდა სცენ როგორც შინაარსს, ასევე თავად დოკუმენტს. არც ერთ კოდექსს არ შეუძლია გაითვალისწინოს და წარმოადგინოს შესაფერისი პასუხი ყველა სიტუაციაზე, რომელიც შეიძლება არჩევნების მსვლელობისას განვითარდეს. ყველა შემთვევაში, კოდექსის იმპლემენტაცია საღი აზრითა და კეთილსინდისიერებით უნდა მოხდეს.

პარტიებმა, რომლებიც ქვეყნის კოდექსის თაობაზე მოლაპარაკებას გამართავენ, უნდა აიღონ ვალდებულება, რომ:

- (ა) კოდექსის მიღების შემდეგ რეგულარულად შეხვდებიან, რათა საარჩევნო კამპანიის პერიოდში კოდექსზე დაკვირვების შედეგები განიხილონ. ასეთი სახის შეხვედრებში მონაწილეობის ვალდებულება შეიძლება თავად კოდექსშივე განისაზღვროს.
- (ბ) შეხვდებიან საარჩევნო კამპანიაში და მის ადრეულ ეტაპებზე კოდექსის განხილვის მიზნით. ეს შეხვედრები შეიძლება ტოლერანტული საარჩევნო კამპანიისაკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყოს.

## ქვეყნის კოდექსი<sup>11</sup>

დემოკრატიული არჩევნების კამპანიის განმავლობაში საზოგადოდ მიღებული ძირითადი რეკომენდაციები არსებობს, რომლებიც პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გაითვალისწინონ.

### 1. კოდექსის გამოყენება

ამ კოდექსში, სიტყვა „პარტიის“ მოიცავს :

- (ა) ნებისმიერი ერთეულს, რომელიც ემხრობა ქვეყნის ამ კოდექსს – პოლიტიკური პარტიები, დამოუკიდებელი კანდიდატები, პარტიათა ალიანსები ან კოალიციები, პოლიტიკური მოძრაობები (არ არის იგივე რაც პოლიტიკური პარტია); და
- (ბ) ნებისმიერი ერთეულის ლიდერს, ოფიციალური პირს, კანდიდატს, წევრს, წარმომადგენელს, რომელიც ქვეყნის კოდექსს ემხრობა.

### 2. კოდექსის პრინციპები

(1) დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნებით არჩეული მთავრობის ლეგიტიმურობა შემდეგ პრინციპებს ეფუძნება:

- (ა) ყველა პოლიტიკური პარტიისა და კანდიდატის პოლიტიკისა და მახასიათებლების გაცნობის მიზნით გამართული საარჩევნო კამპანიების მეშვეობით ინფორმირებულობა ამომრჩევლებს საშუალებას აძლევს გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი; და

<sup>11</sup> საავტორო უფლება ეკუთვნის დემოკრატიისა და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტს (International IDEA).



- (ბ) ამომრჩევლებს საშუალება აქვთ თავისუფლად მიიღონ მონაწილეობა კენჭისყრის პროცესში, ყოველგვარი ჩარევის, შიშის, გაუმართლებელი ზეგავლენისა თუ მოქრთამის გარეშე.
- (2) ყველა პარტია, რომელიც საარჩევნო კამპანიის ამ კოდექსს აღიარებს, იღებენ ვალდებულებას დაიცვან ეს პრინციპები ნებაყოფლობით და კეთილსინდისიერად, ასევე დაემორჩილოს ამ კოდექსს ისე, რომ :
  - (ა) ეს პრინციპები დაცულია;
  - (ბ) არჩევნები აღიარებულია, როგორც ამომრჩეველთა ნამდვილი თავისუფალი არჩევანის გამოხატულება; და
  - (გ) ამ არჩევანის შედეგს ყველა პატივს სცემს.
- (3) ნებისმიერ სიტუაციაში, რომელიც დაკავშირებულია საარჩევნო პროცესთან, პარტიამ ქვემოთ მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად უნდა იმოქმედოს.

### 3. კოდექსის დაცვა

- (1) პარტია, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:
  - (ა) ამ კოდექსს ემორჩილება;
  - (ბ) გადამწყვეტ ზომებს მიიღებს, რათა ლიდერების, ოფიციალური პირების, კანდიდატებისა და წევრების მიერ კანონის დარღვევა აღკვეთოს;
  - (გ) ყველა გონივრულ ზომას მიიღებს, რათა ხელი შეუშალოს მათი მხარდამჭერების ქმედებას, რომელიც, თუ განხორციელდება პარტიის ხელმძღვანელობის, კანდიდატის ან წევრის მიერ, კოდექსის დარღვევა იქნება; და
  - (დ) ბოროტად არ გამოიყენოს კოდექსის დარღვევის შესახებ საჩივრის აღძვრის უფლება და ყალბი, არასერიოზული და გამაღიზიანებელი საჩივრები არ აღძრას.
- (2) პარტიის ლიდერმა, რომელმაც ეს კოდექსი აღიარა, უნდა გასცეს დირექტივები პარტიის ხელმძღვანელობის, კანდიდატების, წევრებისა და მხარდამჭერების მიმართ და თითოეულ მათგანს უნდა მოსთხოვოს:
  - (ა) დაიცვას კოდექსი; და
  - (ბ) ყველა საჭირო ღონისძიება განახორციელოს, რათა კოდექსის დაცვა უზრუნველყოს.

### 4. კანონთან შესაბამისობა

პარტია, რომელმაც ეს კოდექსი აღიარა, არსებული საარჩევნო კანონები, წესები და დადგენილებები უნდა გაითვალისწინოს.

### 5. საარჩევნო კამპანიის მართვა

- (1) პარტიამ, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:
  - (ა) პატივი უნდა სცეს ყველა სხვა პარტიის საარჩევნო კამპანიის წარმართვის უფლებასა და თავისუფლებას, ასევე თავიანთი პოლიტიკური იდეების და პრინციპების ყოველგვარი შიშის გავრცელების მიმართ;
  - (ბ) თავისი ქცევით უნდა გამოხატოს პატივისცემა სხვა პარტიების უფლებების მიმართ, ასევე პატივი სცეს ამომრჩეველთა და საზოგადოების სხვა წევრთა უფლებებს;
  - (გ) პატივი უნდა სცეს პრესის თავისუფლებას;
  - (დ) გამოიყენოს თავისი ოფისები, რათა უზრუნველყოს, რომ ყველა პარტიას გააჩნდეს გონივრული თავისუფლება ყველა პოტენციურ ამომრჩეველთან ურთიერთობისთვის;
  - (ე) უნდა უზრუნველყოს, რომ პოტენციურ ამომრჩევლებს, რომელთაც სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ შესაბამის პოლიტიკურ საქმიანობაში, მათ სურვილის განხორციელების თავისუფლება ჰქონდეთ.
- (2) პარტიამ, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:
  - (ა) არ უნდა გააღიზიანოს ან ხელი შეუშალოს ჟურნალისტებს, რომლებიც ჩართულნი არიან თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში; არ უნდა ჩაშალოს, აღკვეთოს ან დაშალოს სხვა ნებისმიერი პარტიის საარჩევნო კამპანიის მცდელობა;
  - (ბ) ხელი არ უნდა შეუშალოს სხვა პარტიებისა და კანდიდატების განცხადებებისა და საინფორმაციო ფურცლების გავრცელების, პოსტერების გავრცელების პროცესს;
  - (გ) არ უნდა დააზიანოს ან გაანადგუროს სხვა პარტიებისა და კანდიდატების პოსტერები;
  - (დ) ხელი არ უნდა შეუშალოს სხვა ნებისმიერ პარტიას გამართოს შეკრებები, შეხვედრები, მსვლელობა ან დემონსტრაცია;

- (ე) არ უნდა შეეცადოს ხელი შეუშალოს ნებისმიერ პიროვნებას დაესწროს სხვა პოლიტიკური პარტიის პოლიტიკურ შეკრებას; ან
- (ვ) არ უნდა დართოს ნება თავის მხარდამჭერებს განახორციელოს რაიმე სახის ქმედება, რაც აკრძალულია ამ განყოფილებაში.

## 6. არჩევნების პროცესი

(1) პარტიამ, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:

- ა) უნდა ითანამშრომლოს საარჩევნო ხელმძღვანელობასთან, რათა უზრუნველყოს:
  - მშვიდობიანი და წესრიგის შესაბამისად მიმდინარე კენჭისყრა, და
  - ამომრჩეველთა სრული თავისუფლება, რათა მათ ადასრულონ ხმის მიცემის უფლება ყოველგვარი დაპირისპირებისა და გაღიზიანების გარეშე;
- ბ) უნდა უზრუნველყოს საარჩევნო ხელმძღვანელობის უსაფრთხოება და უშიშროება კენჭისყრამდე, კენჭისყრის პროცესში და კენჭისყრის შემდეგ;
- გ) პატივი უნდა სცეს და ითანამშრომლოს არჩევნების ოფიციალურ ან აკრედიტებულ დამკვირვებელთან; და
- დ) ხელი უნდა შეუწყოს და დაიცვას კენჭისყრის ფარულობა.

(2) პარტია, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:

- ა) არ უნდა შეეცადოს ხმების მოპოვებას საარჩევნო უბნებში ძალდატანების მეშვეობით ან რაიმე უკანონო ქმედებებით საარჩევნო უბნებში;
- ბ) უსაფუძვლოდ ან არაკეთილსინდისიერად არ უნდა შეიჭრას საარჩევნო ხელმძღვანელობის მოვალეობებში, ხელი შეუშალოს კენჭისყრის ან ხმების დათვლის პროცესს; ან
- გ) მოტყუებით არ უნდა უმტკიცოს ამომრჩევლებს, რომ მათი ხმა ფარული არ იქნება.

## 7. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების შედეგების აღიარება

პარტიამ, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:

- (ა) უნდა მიიღოს კანონიერად აღიარებული არჩევნების შედეგები;
- (ბ) ნებისმიერი სახის საჩივრით უნდა მიმართოს შესაბამის სააგენტოს, რომელსაც შეუძლია საკითხის გადაწყვეტა; და
- (გ) უნდა მიიღოს და დაემორჩილოს დავების მოგვარების სააგენტოს მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას.

## 8. ენა

(1) პარტიამ, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:

- (ა) უნდა მოახდინოს თავისი საარჩევნო კამპანიის ორგანიზება და განხორციელება იმგვარად, რომ წვლილი შეიტანოს კეთილმოსურნე და მშვიდობიანი ატმოსფეროს შექმნაში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც საარჩევნო კამპანია, კენჭისყრის პროცესი, ხმის დათვლის პროცესი და არჩევნების შემდგომი პერიოდი მიმდინარეობს; და
- (ბ) უნდა იმოქმედოს თავისი სტატუსის შესაბამისად პასუხისმგებლობის გრძნობითა და ღირსებით.

(2) პოლიტიკურ შეკრებებზე გამომსვლელებმა თავი უნდა აარიდონ ისეთი ენის გამოყენებას, რომელიც:

- (ა) არის შეურაცხმყოფელი, ან ცილისმწამებლური; ან
- (ბ) მიმართავს დაშინებას ან წარმოშობს ძალმომრეობას ნებისმიერი სხვა პირის ან ადამიანთა ჯგუფის მიმართ.

(3) პარტიამ, რომელმაც ეს კოდექსი აღიარა, არ უნდა გამოსცეს, ოფიციალურად თუ ანონიმურად, პამფლეტები, საინფორმაციო ფურცლები ან პოსტერები, რომელიც ისეთ ენას ან მასალას შეიცავს, რაც დაშინებას მიმართავს და ძალმომრეობას იწვევს.

## 9. სიმბოლოები

პარტიამ, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:

- (ა) არ უნდა მოახდინოს სხვა პარტიების სიმბოლოების იმიტაცია;
- (ბ) მოიპაროს, დააზიანოს ან გაანადგუროს მეორე პარტიის პოლიტიკური და საკამპანიო მასალები;
- (გ) არ უნდა მისცეს უფლება თავის მხარდამჭერებს ამ ნაწილში მოცემული აკრძალვების განხორციელების უფლება.

## 10. დაშინება და ძალმომრეობა

- (1) პარტია, რომელმაც ეს კოდექსი აღიარა, გამოთქვამს თანხმობას, რომ ნებისმიერი ფორმის დაშინება მიუღებელია და :
  - (ა) უნდა გამოსცეს დირექტივები, რომლებშიც ნათლად უკრძალავს თავის ხელმძღვანელობას, კანდიდატებს, წევრებს და მხარდამჭერებს დააშინოს ნებისმიერი პირი ნებისმიერ დროს;
  - (ბ) უნდა განახორციელოს თავისი ხელმძღვანელობის, კანდიდატების, წევრების ან მხარდამჭერების მიერ განხორციელებული ძალმომრეობის ან ძალმომრეობით დაშინების, ვანდალიზმის ნებისმიერი აქტის ან ჩადენილი საზოგადოებრივი არეულობის საწინააღმდეგო კამპანია; და
  - (გ) პატივი უნდა სცეს სხვა პიროვნებებსა და პარტიებს და მათ ქონებას.
- (2) იმ პარტიის ლიდერმა, რომელმაც ეს კოდექსი აღიარა, ინსტრუქციები უნდა მისცეს თავისი პარტიის ხელმძღვანელობას, კანდიდატებს, წევრებსა და მხარდამჭერებს, რომ არანაირი სახის იარაღი, ნებისმიერი ტრადიციული იარაღის ჩათვლით, არ უნდა მოიტანონ პოლიტიკურ შეკრებებზე, შეხვედრებზე, მსვლელობის ან დემონსტრაციის დროს.
- (3) პარტიამ, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:
  - (ა) არ უნდა ჩაერთოს ან გასცეს ნებართვა ჩაერთონ ნებისმიერი სახის ძალმომრეობის აქტში პარტიის ძალისა დემონსტრირებისა და უპირატესობის დასამტკიცებლად;
  - (ბ) არ უნდა მიაყენოს ზიანი რომელიმე საჯარო ან კერძო საკუთრებას; ან
  - (გ) არ უნდა მისცეს ნება თავის მხარდამჭერებს განახორციელონ ამ ნაწილით აკრძალული რაიმე ქმედება.

## 11. თანამდებობის ბოროტად გამოყენება

- (1) პარტიამ, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:
  - (ა) არ უნდა გამოიყენოს ბოროტად თანამდებობრივი ძალაუფლება, პრივილეგიები ან გავლენა პოლიტიკური მიზნებისთვის ჭილდოს შეთავაზების გზით, სასჯელით დაშინებით, ან სხვა რაიმე საშუალებით; ან
  - (ბ) არ უნდა გამოიყენოს ოფიციალური სახელმწიფო, საოლქო, მინიციპალური ან სხვა საჯარო რესურსები საარჩევნო კამპანიის მიზნით.
- (2) ამ ნაწილში მოცემული „ძალის, პრივილეგიების ან გავლენის პოზიცია“ მოიცავს მშობლების, პატრიარქალური, სამთავრობო, პოლიციის, სამხედრო ან ტრადიციული ძალაუფლების პოზიციას.

## 12. კორუფციული პრაქტიკა

პარტიამ, რომელმაც აღიარა ეს კოდექსი:

- (ა) არ უნდა გამოიწვიოს იძულება ან ფულადი ან სხვა სახის სტიმულით პიროვნებების იძულება-ნახალისება ხმა მისცენ რომელიმე კონკრეტული პარტიის ან კანდიდატის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, ან უარი ათქმევინოს კენჭისყრის პროცესში მონაწილეობის მიღებისგან;
- (ბ) არ უნდა აიძულოს ან შესთავაზოს რაიმე სახის ფულადი ან სხვა სახის წამახალისებელი ფაქტორები, რათა ზეგავლენა მოახდინოს პიროვნების არჩევანზე წამოაყენოს თუ არა არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა, ან მოხსნას თუ არა თავისი კანდიდატურა; ან
- (გ) არ შეეცდება მიიღოს ოფიციალური და სამოქალაქო მოსამსახურეების დახმარება ან მხარდაჭერა კანდიდატის ასარჩევად ან რომელიმე კანდიდატის არჩევის დასაბრკოლებლად.

## 13. უწყვეტი კომუნიკაცია

- (1) პარტიამ, რომელმაც ეს კოდექსი აღიარა, ყველა ძალისხმევა უნდა იხმაროს, რათა პქონდეს უწყვეტი კომუნიკაცია სხვა პარტიებთან, რომლებიც ასევე ამ კოდექსის ფარგლებში მოქმედებენ.
- (2) უნდა შეიქმნას კომიტეტი, რომელიც სადისკუსიო ფორუმის სახით იფუნქციონირებს იმ საერთო საკითხების განსახილველად, რაც საარჩევნო კამპანიის პროცესში წამოიჭრება. აღნიშნული კომიტეტი იმ პარტიების მიერ უნდა დაარსდეს, რომლებიც ამ კოდექსს აღიარებენ. კომიტეტი შედგება:
  - (ა) პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისგან,
  - (ბ) მოწინააღმდეგე კანდიდატების წარმომადგენლებისგან, და
  - (გ) საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან.



## ქვეყნის კოდექსის პრაქტიკული მახასიათებლები

### პოლიტიკური პარტიების ქვეყნის კოდექსი – კამბოჯა

1. ყველა ადამიანი, პოლიტიკური პარტია თუ მათი ლიდერები, წევრები და მხარდამჭერები, ყველა წინასწარ თუ ოფიციალურად რეგისტრირებული პარტია თუ მათი ლიდერები, წევრები, მხარდამჭერები და კანდიდატები უნდა იცავდნენ ამ ქვეყნის კოდექსს.
2. ყველა პოლიტიკურ პარტიას აქვს და შეუძლია გამოიყენოს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ფუნდამენტალური უფლება, მათ შორის კამპანიის წარმართვის თავისუფლების უფლება.
3. ყველა პოლიტიკურ პარტია ვალდებულია პატივი სცეს სხვა პარტიების უფლებას გამართოს საარჩევნო კამპანია და საკუთარი პოლიტიკური იდეები და პრინციპები გაავრცელოს შიშის გარეშე.
4. ყველა პოლიტიკური პარტია, ოფიციალურად თუ წინასწარ რეგისტრირებული, მათი ლიდერები, წევრები, მხარდამჭერები და კანდიდატები ვალდებული არიან დაემორჩილონ შემდეგ წესებს:
  - (1) ნებისმიერი სახის დაშინება უნდა იქნას აკრძალული და წინასწარ თუ ოფიციალურად რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიათა სახელმძღვანელოები, ინსტრუქციები თუ ბრძანებები ამ აკრძალვას აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს.
  - (2) აკრძალულია ნებისმიერი სახის იარაღის, ან იარაღის სახით გამოყენებადი ნივთის ფლობა ნებისმიერი პოლიტიკური თავყრილობის, შეხვედრის, მსვლელობისა თუ დემონსტრაციის დროს. პარტიებთან სახელმძღვანელოები, ინსტრუქციები და ბრძანებები ამ აკრძალვას აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს.
  - (3) პარტიები და კანდიდატები ვალდებული არიან აცნობონ UNTAC ადგილობრივ ოფისს ნებისმიერი დაგეგმილი საჯარო მიტინგისა თუ პოლიტიკური შეხვედრის შესახებ და კეთილსინდისიერად უნდა მიიღონ ყველა ზომა, რათა თავიდან იქნას აცილებული ძალისმიერი დაპირისპირება ან კონფლიქტი მხარდაჭერებს შორის. ამგვარი აქციები უნდა შეესაბამებოდეს ყველა დირექტივას, ინსტრუქციასა თუ ბრძანებას, რომელიც UNTAC –ის მიერაა გამოცემული ამგვარი მიტინგების შესახებ.
  - (4) ყველა პარტიამ თავიდან უნდა აიცილოს სხვა მიტინგის, შეხვედრის, მსვლელობისა თუ დემონსტრაციის დროსა და ადგილის დამთხვევა სხვა პარტიებთან, რის თაობაზეც აუცილებელია UNTAC –თან ასევე პარტიებთან თანამშრომლობა.
  - (5) ყველა პარტია, მათი წევრები და მხარდამჭერები თავს უნდა იკავებდნენ სხვა პარტიების მიტინგების, მსვლელობებისა და დემონსტრაციების ხელის შეშლისგან.
  - (6) პარტიებმა და კანდიდატებმა ნებისმიერ დროს თავიდან უნდა აიცილონ სიტყვებში, გადაცემებში, პამფლეტებში, ჟურნალებში, პრესასთან განაცხადებებში, პოსტერებში, პარტიის პლატფორმებში, კამპანიის სარეკლამო ინფორმაციაში გამაღიზიანებელი ენის ან ისეთი ენის გამოყენება, რომელიც აშინებს ან რაიმე სახის ძალადობას იწვევს სხვების მიმართ.
  - (7) ყველა პოლიტიკურმა პარტიამ თავი უნდა შეიკავოს მოსახლეობის სხვა პარტიების მიტინგებზე, მსვლელობებზე თუ შეხვედრებზე დასწრების ხელშეშლისგან.
5. ყველა პარტიამ თავი უნდა შეიკავოს სხვა პარტიის სიმბოლოების პლაგიატისგან და არ უნდა მოიპაროს, გაანადგუროს ან დააზიანოს პოლიტიკური კამპანიების მასალები ან პოსტერები, ან UNTAC–ის საარჩევნო ინფორმაციის შემცველი მასალები.
6. ყველა პოლიტიკური პარტია და განსაკუთრებით კი მათი ლიდერები უნდა უზრუნველყოფდნენ სხვა პარტიათა ხელმისაწვდომობას ყველა პოტენციურ ამომრჩეველთან საჯარო თუ კერძო საკუთრების ფარგლებში, ბანაკებსა თუ მიმღებ ცენტრებში, ან ნებისმიერ ადგილას. პარტიები უნდა დარწმუნდნენ, რომ პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის მსურველ ამომრჩეველს ამისი სურვილი გააჩნია.
7. ყველა პარტიას ევალება მის მხარდაჭერებსა თუ ამომრჩეველს მუდმივად შეახსენოს, რომ ხმის მიცემა ფარული იქნება და არავის ეცოდინება, თუ ვის მისცა ხმა კონკრეტულმა პირმა.

8. ყველა პარტიას ვეალება ეფექტური კომუნიკაციის ჩამოყალიბება ერთმანეთთან ცენტრალურ, პროვინციისა თუ რაიონის დონეზე და უნდა დანიშნოს საკონტაქტო პირი, რომელიც ამ მიზნით ყოველთვის ხელმისაწვდომი იქნება. იგი მოავგარებს ისეთ პრობლემებს, როგორცაა ამომრჩეველთა რეგისტრაციის, კამპანიისა თუ ხმის მიცემის დროს წარმოშობილი პრობლემები.
9. დაშინების ან სხვა არაკანონიერი ქმედების შესახებ სხვა საჩივრები ყველა პარტიამ დაუყოვნებლივ UNTAC–ს უნდა წარუდგინოს.
10. პარტიებმა ბოროტად არ უნდა გამოიყენონ გასაჩივრების უფლება და არ უნდა გააკეთონ არასწორი და დაუფიქრებელი საჩივრები.
11. ყველა პარტიამ უნდა გამოსცეს ინსტრუქციები და ბრძანებები საკუთარი წევრებისა და მხარდამჭერებისთვის დამოუწოდოს მათ საარჩევნო კანონის, ამკოდექსის, UNTAC ოფიციალური პირების მიერ გამოცემული ინსტრუქციებისა და განსაკუთრებული წარმომადგენლის მიერ გამოცემული ყველა ბრძანებისა და ინსტრუქციების დასაცავად. პარტიებმა უნდა გადადგან ყველა აუცილებელი ნაბიჯი, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობასა და ამ კოდექსთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.

## მაკედონიის პოლიტიკური პარტიების ქსევის კოდექსი<sup>12</sup>

### პრეამბულა

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები დემოკრატიის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამგვარი არჩევნების აუცილებელი ელემენტია კამპანიის თავისუფლება. თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს თავისი შეხედულება შიშის გარეშე გამოხატოს. თუმცა, კამპანიის თავისუფლება ასევე ნიშნავს, რომ ყველა სხვა ადამიანს იგივე თავისუფლება უნდა ჰქონდეს.

ჩვენ, მაკედონიის პოლიტიკურმა პარტიებმა, წინამდებარე ქცევის კოდექსი შევათანხმეთ მომავალი არჩევნებისთვის. კოდექსი რომელიმე არსებული წესის ჩანაცვლებას არ ახდენს. ის დახმარებას გვიწევს, რომ ფოკუსირება მოვახდინოთ წარსულში მომხდარ პრობლემებზე. გვჭერა, რომ ის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გამართვაში დაგვეხმარება.

ჩვენ ერთხმად ვიღებთ ვალდებულებას და ვპირდებით ერთმანეთს და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, რომ დავიცავთ და აქტიურად დავუჭერთ მხარს წინამდებარე ქცევის კოდექსს.

ჩვენი პარტიები უპირველეს ვალდებულებას იღებენ იმისთვის, რომ კოდექსი სრულად იქნას დაცული.

### კანონის უზენაესობა

1. პარტიები, კანდიდატები და წევრები მაკედონიის რესპუბლიკაში არსებულ, არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა კანონს, წესს და რეგულაციას დაემორჩილებიან და კანონის უზენაესობას მხარს დაუჭერენ. კანონის უზენაესობა დიდად ეფუძნება სასამართლოს და მთლიანად სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას და პროფესიონალიზმს. ჩვენ მათაც სრულებით დავუჭერთ მხარს.
2. ყველა პარტია, კანდიდატი და წევრი თანაბარია კანონის წინაშე.
  - არტიებს, კანდიდატებს და წევრებს საჯარო თანხების ან რესურსების (მაგ. ოფისები, მანქანები და სხვ.) გამოყენება არ შეუძლიათ პარტიული არჩევნების მიზნებისთვის. არც არჩევნებში მონაწილე რომელიმე კანდიდატმა არ შეიძლება, რომ რაიმე კონკრეტული განვითარების პროექტი წამოიწიოს საარჩევნო კამპანიის დროს. თუმცა, ოფიციალურ თანამდებობაზე მომუშავე პირებმა ასევე თავიანთი საჯარო ვალდებულებები უნდა შეასრულონ, ვიდრე აღნიშნული თანამდებობიდან არ წავლენ.
  - მოსალოდნელია, რომ საჯარო თანხებით დაფინანსებული სამუშაოებზე სადგურები ნაბიჯებს გადადგამენ პოლიტიკური პარტიებისთვის სამართლიანი და თანაბარი წვდომის გარანტირებისთვის, ამას გარდა, გაშუქების დროს უზრუნველყოფენ სიზუსტეს და მიუკერძოებლობას და პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს სარედაქციო კომენტარებში.

ამის მსგავსად, პარტიები თანხმობას აცხადებენ, რომ მათთვის შესაძლებელი ყველა ნაბიჯი გადადგან სიზუსტის, მიუკერძოებლობის და ბალანსის უზრუნველსაყოფად კერძო მფლობელობაში არსებული მედიის მხრიდან.

- პარტიები, კანდიდატები და წევრები სრულად ითანამშრომლებენ და ყველანაირ მხარდაჭერას გაუწევენ „სახელმწიფო საარჩევნო კომისიას“ და მის დაქვემდებარებაში მყოფ ორგანოებს. მოსალოდნელია, რომ კომისია და მისი ორგანოები სრული მიუკერძოებლობის და გამჭვირვალობის საფუძველზე იმოქმედებენ.

12 საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი, [http://www.accessdemocracy.org/library/2031\\_mk\\_CoC\\_071006.pdf](http://www.accessdemocracy.org/library/2031_mk_CoC_071006.pdf)

- მოსალოდნელია, რომ პოლიცია და პროკურატურის უწყებები განსაკუთრებული ყურადღებით ეცდებიან უზრუნველყონ, რომ მათი წევრები პროფესიონალურად იქცევიან და კანონს ზედმიწევნით იცავენ.

### საარჩევნო ქცევა

- პარტიები, კანდიდატები და წევრები იძლევიან დაპირებას, რომ მხარს დაუჭერენ თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს და დემოკრატიული შემწყნარებლობის კლიმატს. ისინი ვალდებულია იღებენ, რომ:
  - კოდექსი მაქსიმალურად საჯარო გახადონ;
  - მხარი დაუჭირონ ამომრჩევლის საინფორმაციო კამპანიებს;
  - დაგმონ ძალადობა და დაშინება;
  - ხაზი გაუსვან, რომ კენჭისყრა ფარულია;
  - მითითება მისცენ თავიანთ კანდიდატებს და წევრებს კოდექსის, ასევე კოდექსიდან გამომდინარე მათი პასუხისმგებლობის შესახებ, შესაბამისი სამართლებრივი დებულებებით.
- პარტიები, კანდიდატები და წევრები საჯაროდ და უწყვეტლივ დაგმობენ ძალადობის ან დაშინების ნებისმიერ შემთხვევას, ნებისმიერი მხრიდან; ისინი ასევე დაგმობენ ისეთი ენის ან ქმედების გამოყენებას, რომელმაც შეიძლება ძალადობა წააქეზოს ან ხალხი დააშინოს. საყოველთაო საარჩევნო პრაქტიკის შესაბამისად, საჯარო მიტინგებზე, დემონსტრაციებზე ან კამპანიის სხვა ღონისძიებებზე არავითარი იარაღის ტარება და არც გამოჩენა არ შეიძლება.
- პარტიები, კანდიდატები და წევრები ყველანაირი შესაძლო ნაბიჯს გადადგამენ, არჩევნების გაყალბების ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად წინასაარჩევნო პერიოდში, კენჭისყრის დღეს და არჩევნების შემდეგ.
- არც ერთ პარტიას, კანდიდატს ან წევრს არ შეუძლია რაიმე გასამრჯელო ან რამე წამახალისებელი შესთავაზოს რაიმე სახის საარჩევნო კეთილგანწყობის სანაცვლოდ.
- პარტიები, კანდიდატები და წევრები არ გამოაქვეყნებენ და არც ცილისმწამებლურ ან წამყვებლურ ბრალდებებს არ გააკეთებენ რომელიმე პარტიის, კანდიდატის ან პირის მიმართ.
- პარტიები, კანდიდატები და წევრები არ ჩამოხსნიან, არ წაშლიან ან არ გადააკრავენ სხვა პარტიების ან კანდიდატების პოსტერებს ან სხვა საკამპანიო მასალებს. ისინი არც მათი სიმბოლოების, ფერების ან აკრონიმების პლაგიატიზმს არ მოახდენენ და არც გრაფიკის არ გამოიყენებენ.
- პარტიები, კანდიდატები და წევრები, თავისი კანდიდატების და წევრების მეშვეობით, არაფერს არ გააკეთებენ იმისთვის, რომ რომელიმე პარტიის დემოკრატიული უფლება დაარღვიონ, როგორცაა ხელმისაწვდომობა ყველა ამომრჩეველზე, ამომრჩეველთა ინფორმირება, თანხების მოზიდვა, წევრობის მიზნით კარდაკარ აგიტაცია (canvass membership), ასევე საკითხების სხვაგვარად განმარტება და მხარდაჭერის მოძიება.
- პარტიებს ევალებათ, რომ:
  - არჩევნების განმავლობაში მოქალაქეების სრულ ჩართულობას ხელი შეუწყონ, ქალების და სხვა უმცირესობის ჯგუფების ჩათვლით.
  - მოქალაქეების თავისუფალი ხელმისაწვდომობა უზრუნველყონ კამპანიის ფარგლებში გამართულ ყველა ღონისძიებაზე, ქალების და სხვა უმცირესობის ჯგუფების ჩათვლით.
  - ზოგადად, არ აიძულონ მოქალაქეები, რომ მხარი დაუჭირონ კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას ან კანდიდატს, ასევე ჩაერთონ, ან არ ჩაერთონ რაიმე პოლიტიკურ საქმიანობაში, თუ ეს მათ თავისუფალ არჩევანს არ შეესაბამება.
  - მხარი დაუჭირონ საყოველთაო ცნებას: ერთი-ადამიანი-ერთი-ხმა და ხელი შეუშალონ წარმომადგენლის მიერ ხმის მიცემას.
- პარტიებს შეუძლიათ გადანყვიტონ შეხვედრების გამართვა, „ქცევის კოდექსის“ განხორციელების განსახილველად, ნებისმიერ დროს, ცენტრალურ ან მუნიციპალურ დონეზე. შესაძლებელია კამპანიასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განხილვა. არჩევნების კეთილსინდისიერად გამართვით დაინტერესებული სამოქალაქო ორგანიზაციები, როგორცაა „მოქალაქეთა გაერთიანება“ MOST, შეიძლება აღნიშნულ შეხვედრებს დაესწროს და მონიტორინგი უზრუნველყოს.
- პარტიების კამპანიის დანახარჯები არსებული სამართლებრივი დებულებების შესაბამისად გამოქვეყნდება.
- პარტიები, კანდიდატები და წევრები არჩევნების საბოლოო შედეგს მიიღებენ, რომელიც კანონიერად იქნება გაცხადებული და დამოწმებული სახელმწიფო საარჩევნო კომისიის მიერ.



### განმარტებები

წინამდებარე კოდექსის მიზნებისთვის:

- „პარტია“ ნიშნავს ლიბერიის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (NEC) სათანადოდ დარეგისტრირებულ ორგანიზაციას, კონსტიტუციის 78-ე მუხლის შესაბამისად.
- „პარტიები“ ნიშნავს ორ ან მეტ ზემოხსენებულ ორგანიზაციას.
- „კანდიდატი“ ნიშნავს ფიზიკურ პირს, რომელიც თანამდებობაზე კენჭს იყრის 2005 წლის არჩევნების განმავლობაში.
- „ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი“, შემდგომში „ცესკო“ (NEC) ნიშნავს ლიბერიის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.
- „პარტიათაშორისი საკონსულტაციო კომიტეტი“, შემდგომში „IPCC“ ნიშნავს იმ ორგანოს, რომელიც 2005 წლის 25 თებერვალს ჩამოყალიბდა ხელმოწერ პოლიტიკურ პარტიებსა და ცესკოს შორის.
- „კოდექსი“ ან „წინამდებარე კოდექსი“ ნიშნავს ლიბერიის პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსს, 2005.
- „კონსტიტუცია“ ნიშნავს ლიბერიის რესპუბლიკის კონსტიტუციას, რომელიც 1986 წელს მიიღეს.
- „საჯარო რესურსები“ ნიშნავს ყველა ქონებას, რომელიც მინდობით იმართება ლიბერიის მოქალაქეებისთვის კოლექტიური სარგებლობის მიზნით, რაშიც შედის ლიბერიის მთავრობის ქონება, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული კორპორაციები და ყველა სხვა რესურსები, რომლებიც კერძო მფლობელობაში არ არის, თუმცა, მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება.

### პრეამბულა

განვითარებადი დემოკრატიის საფუძვლები მართლმსაჯულებაში, ქვეყნის შიგნით მშვიდობასა და ხალხის კეთილდღეობაში, სტაბილურობასა და კანონის უზენაესობაში უნდა ვეძებოთ, რაშიც ასევე შედის ყველა დაინტერესებული მხარის მიერ საარჩევნო კანონების და რეგულაციების დაცვა დისკრეციის გარეშე. ერთნაირად მნიშვნელოვანია პოლიტიკურ შესაძლებლობებზე თანაბარი წვდომა ყველა პოლიტიკური პარტიისთვის, რასაც ხელს უწყობს გათანაბრებული სათამაშო მოედანი თავისუფალი, სამართლიანი და დამაჯერებელი არჩევნების მხარდაჭერისა და კენჭისყრით მიღებული, ოფიციალურად დამტკიცებული შედეგების მიღებისთვის.

ვადიარებთ რა, რომ ჩართულობა, შემწყნარებლობა, გამჭვირვალობა და პლურალიზმი საჭიროა ეფექტური დემოკრატიისთვის; ასევე, არსებობს რა მზაობა სამოქმედო დემოკრატიის ამოცანების რეალიზებისა და დემოკრატიული მთავრობის კონსოლიდირებისთვის ჩვენს სამშობლოში, ჩვენ, ლიბერიის პოლიტიკური პარტიები, ინდივიდუალურად, კოლექტიურად და ნებაყოფლობით ვიღებთ წინამდებარე „ქცევის კოდექსს“, რათა ჩვენი საქმიანობები ვმართოთ და ჭეშმარიტი დემოკრატიის დამყარება გავაძლიეროთ ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ ასევე ვპირდებით ერთმანეთს და ლიბერიელ ხალხს, რომ წინამდებარე კოდექსის სახელმძღვანელო მითითებებს და პრინციპებს მხარს დაუჭერთ და დავაკმაყოფილებთ. ჩვენ ვაცნობიერებთ ცესკოს უფლებამოსილებას თავისი კონსტიტუციური და კანონით გათვალისწინებული ძალაუფლებების აღსრულებისთვის და ვალდებულებას ვიღებთ, რომ კომისიის მანდატს ხელს შევუწყობთ.

### ნებაყოფლობით მიღებული ქცევის კოდექსის ისტორიული მნიშვნელობა პოლიტიკური პარტიებისთვის

რამდენადაც „წინამდებარე კოდექსის“ მიღებამდე პოლიტიკური პარტიებისთვის არანაირი ქცევის კოდექსი არ ყოფილა მიღებული, პოლიტიკური პარტიების და მათი მხარდამჭერებისთვის მისაღები ქცევის და მინიმალური სტანდარტების დადგენის და გაცნობიერების მიზნით, პოლიტიკური ძალადობის, დაშინებისა და მანიპულირებისგან დასაცავად.

ვაფასებთ რა 2003 წლის 18 აგვისტოს მიღებული „საერთო სამშვიდობო შეთანხმების“ სავალდებულო ხასიათს, ასევე ქვეყანაში საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლობას და დახმარებას, ლიბერიის პოლიტიკური პარტიები თავიანთი სურვილით იღებენ ვალდებულებას წინამდებარე კოდექსის მიმართ, რომ ლიბერიელებს თავიანთი კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა შეუქმნან საჯარო თანამდებობის პირების დემოკრატიულად არჩევის მიზნით.

ყველა პარტია გარკვევით აცხადებს თანხმობას, რომ სრულად მიიღონ და გაითვალისწინონ წინამდებარე კოდექსი და ამ გზით ვალდებულება აიღონ, რომ წვლილი შეიტანონ თავისუფალ, სამართლიან, გამჭვირვალე და დამაჯერებელ არჩევნებში.

მხარეები წინამდებარე კოდექსის საფუძველზე ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას, რომ აღნიშნული კოდექსის მოთხოვნების დაკმაყოფილებისას დისკრეციულად არ იმოქმედებენ.

### **დემოკრატიული შესაბამისობა**

დემოკრატია სამართლებრივ კონტექსტში არსებობს და მის საფუძველს სამართლიანობა, კანონის უზენაესობა, განსხვავებული შეხედულების გამოხატვის თავისუფლება და შესაძლებლობებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა წარმოადგენს, იმ კონსტიტუციური დებულებების დაცვით, სადაც მოქალაქის უფლებები და ვალდებულებებია გათვალისწინებული.

- ☑ დემოკრატია ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემას, სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებების დაცვას, განსხვავებული შეხედულებებისადმი შემწყნარებლობას, პოლიტიკურ პროცესში ქალთა სრულ და აქტიურ მონაწილეობას, ასევე საზოგადოების სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური სეგმენტების ჩართულობას ამკვიდრებს;
- ☑ დემოკრატია მთავრობის ლეგიტიმაციას საარჩევნო პროცესის მეშვეობით ახდენს ოფიციალური პირების შესარჩევად. არჩევნები კი რეგულარული ინტერვალით იმართება ხოლმე და მასზე აქცენტირება კეთდება იმ ამომრჩეველთა ინფორმირებული არჩევანით, ვისაც თავისი ხმის მიცემა თავისუფლად შეუძლია, რაიმე სახის ჩარევის, შიშის, დაშინების ან მოსყიდვის გარეშე;

ზემოხსენებული იდეალების გაცნობიერების და მხარდაჭერის გზით, ლიბერიის პოლიტიკური პარტიები თავიანთი სურვილით იძლევიან დაპირებას, რომ წინამდებარე ქცევის კოდექსს და მასში გაცხადებულ პრინციპებს დაიცავენ.

### **ლიბერიის პოლიტიკური პარტიების რეზოლუცია პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის ფორმულირების შემდეგ (2005)**

ჩვენ, ლიბერიის პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა:

- გადავწყვიტეთ დავეთანხმოთ და დავიცვათ ლიბერიის 1986 წლის კონსტიტუცია და მისი დემოკრატიული იდეალები;
- ავიღეთ ვალდებულება, რომ მხარი დავუჭიროთ მშვიდობიანი და სტაბილური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პირობების განვითარებას ლიბერიაში;
- მოწოდებულნი ვართ გარდავქმნათ ჩვენი ქვეყანა ამჟამინდელი გაუარესებული მდგომარეობიდან ახალი შთაგონებით რეგიონის ამ ნაწილში და მთლიანად კონტინენტზე;
- ერთობლივად ავიღეთ ვალდებულება პასუხისმგებლობით განმსჭვალული მრავალპარტიული დემოკრატიის ზრდისა და განვითარების, ასევე პოლიტიკური ძალაუფლებების დეცენტრალიზაციის მიმართ ქვეყანაში, ავტორიტარული პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრის ნაცვლად, რომელმაც ზოგადად განაპირობა სახელმწიფო სისტემის და მმართველობის ფუნქციის მოშლა;
- გადავწყვიტეთ ავაშენოთ მდგრადი დემოკრატიული თვითმმართველობა ლიბერიელი ხალხის ამჟამინდელი და მომავალი თაობებისთვის;
- გადავწყვიტეთ მხარი დავუჭიროთ წინამდებარე კოდექსს, რომელიც პოლიტიკური პარტიების ქცევას აწესრიგებს და შევინარჩუნოთ პარტიებისთვის დადგენილი დასაშვები ქცევის ნორმები არჩევნების განმავლობაში და მათ შემდეგ;
- შევთანხმდით, რომ წინამდებარე კოდექსის ფორმულირებით პარტნიორობის ახალი ერა იწყება ლიბერიის პოლიტიკურ პარტიებსა და ლიბერიის მოქალაქეებს შორის, ლიბერიაში დემოკრატიის მხარდაჭერისა და გაღრმავებისთვის;
- ჩვენ მთელი რიგისაკონსულტაციოსესიები გავმართეთ 2005 წლის თებერვალში, წინამდებარე საინაუგურაციო „პოლიტიკური პარტიების ქცევის კოდექსის“ ფორმულირებისთვის 2005 წელს, ცესკოს, პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო პროცესში წარმოდგენილი სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური მხარდაჭერით და მონაწილეობით;
- ვალდებულება ავიღეთ, რომ წინამდებარე კოდექსს გავავრცელებთ ჩვენი შესაბამისი პარტიის წევრებს და მხარდამჭერებს შორის ჩვენს საარჩევნო ოლქებში;

გადავწყვიტეთ, რომ შესაბამისი პოლიტიკური პარტიები და კანდიდატები შემდეგ პირობების შესაბამისად იმოქმედებენ:

1. პოლიტიკური პარტიების ქცევასთან დაკავშირებული ყველა არსებული კანონის დაცვა მომავალი არჩევნების პერიოდში, განსაკუთრებით კი საარჩევნო გაიდლაინების იმ დებულებების მიხედვით მოქმედება, რომლებიც ცესკოს მიერ არის დადგენილი, 2004 წლის 23 დეკემბერს ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებული „საარჩევნო რეფორმის კანონის“ უფლებამოსილების მეშვეობით.
2. პოლიტიკურ პარტიებს ევრძალებათ სხვა პოლიტიკური პარტიების მიერ ორგანიზებული მიტინგების, დემონსტრაციების და სხვა ღონისძიებების დაბრკოლება, ხელის შეშლა და დაშლა, ან მსგავსი რამის გამოწვევა; მათ ასევე არ უნდა შეწყვიტონ ან ხელი შეუშალონ მოხსენებით გამოსვლას და სარეკლამო ფურცლების, ლიფლეტების გავრცელებას და პოსტერების გაკვრას სხვა პარტიების მიერ.
3. პოლიტიკურმა პარტიებმა არ უნდა გააფუჭონ, მოხსნან, წაშალონ ან რაიმე სხვა გზით მოახდინონ ზემოქმედება სხვა პოლიტიკური პარტიების ატრიბუტიკაზე, ლოგოებზე, სიმბოლოებზე, სარეკლამო ფურცლებსა და მასალებზე.
4. პოლიტიკურმა პარტიებმა არ უნდა ატარონ ან/და გამოაჩინონ საიერიშო ან სხვა იარაღი პოლიტიკურ და მსგავს ღონისძიებებზე. მათ სამართალდამცავ უწყებებსა და ხელისუფლებებთან თანამშრომლობა უნდა გააღრმავონ, განსაკუთრებით კი არალეგალური იარაღის ამოღების მიზნით.
5. პოლიტიკურმა პარტიებმა ზედმეტი ზეგავლენა არ უნდა გამოიყენონ, არც დამატებითი სამართლებრივი ზომები არ უნდა მიიღონ ნებისმიერი იმ პირის გასათავისუფლებლად, რომელიც საიერიშო ან სხვა იარაღების ტარებისთვის დააპატიმრეს საარჩევნო პერიოდში.
6. პოლიტიკურმა პარტიებმა არ უნდა მიიღონ, სამუშაოდ აიყვანონ ან სხვაგან ამუშაონ რომელიმე პირ(ები) ძალადობის, დაშინების ან შევიწროების მიზნით.
7. პოლიტიკურმა პარტიებმა კეთილსინდისიერად უნდა მოახდინონ თავიანთი კამპანიის კოორდინაცია იმგვარად, რომ ორმა პოლიტიკურმა პარტიამ საჯარო შეხვედრები ან მიტინგები ერთსა და იმავე ადგილას ან/და ტერიტორიაზე არ გამართონ იმავე დღეს, თუ ამგვარი მიტინგები და დემონსტრაციები, სავარაუდოდ, იმდენად ახლოს შეიძლება იყოს ერთმანეთთან, რომ კონფლიქტის ალბათობა გაჩნდეს.
8. სადაც კი რომელიმე ზემოხსენებული ღონისძიებისთვის დაგეგმილი თარიღი, ადგილი ან დრო ერთმანეთს ემთხვევა, შესაბამისი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა, ადგილობრივ მთავრობასთან თანამშრომლობით, შეხვედრა უნდა გამართონ კეთილი განზრახვით, რათა ამგვარი საკითხები ძალადობის გარეშე გადაჭრან.
9. პოლიტიკურმა პარტიებმა არ უნდა გამოიყენონ საჯარო რესურსები პარტიის რაიმე ღონისძიებისთვის და არ უნდა დაუშვან, რომ თავისმა რომელიმე დაფინანსებულმა კანდიდატმა, რომელსაც საჯარო თანამდებობა უჭირავს, საჯარო თანამდებობა გამოიყენოს პოლიტიკური საარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის.
10. პოლიტიკურმა პარტიებმა თავი უნდა აარიდონ ყველა ღონისძიებას, რომელიც საარჩევნო დანაშაულს შეადგენს, როგორც ეს ლიბერიის კანონითაა განსაზღვრული.
11. პოლიტიკურმა პარტიებმა არჩევნებთან დაკავშირებული საქმიანობები უნდა შეაჩერონ და არ გამართონ საჯარო მიტინგები ან დემონსტრაციები საარჩევნო უბნებში კენჭისყრის დღეს, ან კენჭისყრამდე წინა 24 საათის განმავლობაში.
12. პოლიტიკურმა პარტიებმა არ უნდა გამოიყენონ შეურაცხმყოფელი, უპატივცემულო ან წამქეზებლური ენა ან მოწოდება; კონკრეტულად კი, ყველა პოლიტიკურმა პარტიამ თავი უნდა აარიდოს წაქეზებას სქესის, ეთნიკური წარმოშობის, რელიგიის, რწმენის, სექტის ან სხვა კრიტერიუმის საფუძველზე.
13. პოლიტიკური პარტიების მხრიდან დაუშვებელია სხვა პოლიტიკური პარტიების პლატფორმების, სიმბოლოების, სლოგანების და ატრიბუტიკის პლაგიატიზმი.
14. პოლიტიკურმა პარტიებმა ხელი არ უნდა შეუშალონ ჟურნალისტებს, ასევე არ უნდა შეავიწროვონ და დააშინონ ისინი. ამის მსგავსად, პარტიებმა არ უნდა შეავიწროვონ, შეურაცხყონ ან დაემუქრონ საარჩევნო ოფიციალურ პირებს და მუშაკებს იმ ქმედებებისა და გადანყვეტილებებისთვის, რომელთა მიღებაც მათი სამსახურებრივი ვალდებულებების შესაბამისად მოხდა.



15. პოლიტიკურმა პარტიებმა პატივი უნდა სცენ სხვა პარტიების უფლებებს და თავისუფლებას, რომ კამპანია გამართონ და თავიანთი პოლიტიკური იდეალები და პრინციპები გაავრცელონ შიშის, დაშინების და შევიწროების გარეშე.
16. ეკლესიების, მეჩეთების, ტაძრების ან ღვთისმსახურების სხვა ადგილების გამოყენება, ასევე ტრადიციული და კულტურული პრაქტიკების განხორციელება სხვა პირებს პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობის და გამოხატვის უფლებას არ უნდა უზღუდავდეს;
17. პოლიტიკურმა პარტიებმა და კანდიდატებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი აგენტები და ოფიციალური პირები საკმარისად გადამზადებულნი არიან ამომრჩეველთა რეგისტრაციისთვის, კენჭისყრის დღისა და არჩევნებთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებებისთვის.
18. პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა აღიარონ და გააცნობიერონ აკრედიტებული დამკვირვებლების და მონიტორების უფლებები საარჩევნო უბნებზე, არჩევნების მიმდინარეობაზე დაკვირვების მიზნით.
19. პოლიტიკური პარტიები იღებენ ვალდებულებას, რომ ცესკოსთან ერთად იმუშაონ ისეთი ატმოსფეროს შესაქმნელად, რომელიც თავისუფალი და სამართლიანი კენჭისყრის შესაძლებლობას შექმნის, შესაბამისად, უარს ამბობენ იძულებაზე, მუქარებზე, შიშზე, დაშინებასა და გადაფასებებზე.
20. პოლიტიკურმა პარტიებმა თავიდან უნდა აიცილონ შედეგების და ხმების თაღლითურად მიღებაზე საარჩევნო უბნებში შეჭრის და იძულებითი დაკავების გზით, საარჩევნო ყუთების მანიპულირებით ან მოსყიდვით, დოკუმენტების გაყალბებით ან სხვა რაიმე უკანონო საშუალებებით.
21. პოლიტიკური პარტიები ვალდებულებას იღებენ, რომ მითითებები მისცენ თავიანთ მხარდამჭერებს, წარმომადგენლებს და აგენტებს, რომ საარჩევნო უბნებზე ყოფნისას და თავიანთი ვალდებულებების შესრულებისას შესაბამისი საარჩევნო კანონების და რეგულაციების მიხედვით იმოქმედონ. ისინი ასევე იღებენ ვალდებულებას, რომ საარჩევნო უბანზე მომუშავე პირებთან ითანამშრომლონ არჩევნების ეფექტიანად, გამჭვირვალედ და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით.

### **პარტიები ვალდებულებას იღებენ, რომ ოფიციალურად დამტკიცებული შედეგები აღიარონ**

პოლიტიკური პარტიები ვალდებულებას იღებენ, რომ მშვიდობიანად გადაჭრან ყველა საჩივარი ლიბერიაში არსებული კანონების შესაბამისად და არჩევნების ოფიციალურად დამტკიცებული შედეგები აღიარონ.

### **ძალაში შესვლა**

1. წინამდებარე კოდექსის რომელიმე დებულების დარღვევისას, პოლიტიკური პარტია, რომლის მიმართაც დარღვევა მოხდა, უპირველეს ყოვლისა, დარღვევის შესახებ აცნობებს დამრღვევ პოლიტიკურ პარტიას და შემდეგ კი დავის მშვიდობიანად მოგვარებას ეცდება.
2. როცა წინამდებარე კოდექსის დებულების დარღვევით გამოწვეული დავის მშვიდობიანად მოგვარება ვერ ხერხდება, შეიძლება ამის შესახებ აცნობონ IPჩჩ-ს, რომელიც შესაბამისი პოლიტიკური პარტიებისთვის სამართლიან და დაჩქარებულ განხილვას უზრუნველყოფს, საყვედურის ფორმით, რისი რეკომენდაცა შეიძლება ცესკოსთვის შემდგომი განხილვის მიზნით. განმეორებითი დარღვევის შემთხვევები შესაბამის უწყებებს ეცნობა, რომელშიც შედის უზენაესი სასამართლო, მაგრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება.
3. გემოხსენებული საშუალებები არ უნდა ახდენდეს ზეგავლენას დაზარალებულების უფლებებზე, რომ სხვა სამართლებრივი ქმედება განახორციელონ.

### **განხორციელება**

თითოეულმა პოლიტიკურმა პარტიამ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი წევრები და მხარდამჭერები სრულად გაეცნობიან და დაიცავენ წინამდებარე კოდექსს. ამას გარდა, პოლიტიკურ პარტიებს აღებული აქვთ ვალდებულება, რომ წინამდებარე კოდექსი საერთო საზოგადოებისთვის საჭარო გახადონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალების გამოყენებით.

## ინდოეთის ქვეყნის კოდექსის მოდელი<sup>13</sup>

ქვემოთ მოცემულია ქვეყნის კოდექსის მოდელის ტექსტი, როგორც სახელმძღვანელო პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტების კანდიდატებისთვის:

### I. ზოგადი ქცევა

- (1) არც ერთი პარტია ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი არ უნდა იყოს დაკავებული ისეთ საქმიანობით, რომელსაც შეუძლია არსებული განსხვავებები დაამძიმოს ან საზოგადოებრივი სიძულვილი წარმოშვას, ან სიტუაცია დაძაბოს განსხვავებულ კასტებსა და საზოგადოებებს, რელიგიურ ან ენობრივი ჯგუფებს შორის.
- (2) სხვა პოლიტიკური პარტიების კრიტიკა უნდა შემოიფარგლოს მათი პოლიტიკითა და პროგრამით, წარსულის ჩანაწერებით და მუშაობით. პარტიებმა და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებმა თავი უნდა შეიკავონ პირადი ცხოვრების ასპექტების განხილვისგან, რომლებიც არ არის დაკავშირებული სხვა პარტიების ლიდერებისა და წევრების საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან. თავიდან უნდა აიცილონ სხვა პოლიტიკური პარტიების ან მათზე მომუშავე პირების კრიტიკა, რომელიც მცდარ ან დამახინჯებულ მოსაზრებებს ეფუძნება.
- (3) ხმების მიღების მიზნით არ უნდა გაკეთდეს კონკრეტული კასტის ან საზოგადოებისადმი მიმართვა. მეჩეთები, ეკლესიები, ტაძრები არ უნდა იქნეს გამოყენებული როგორც საარჩევნო პროპაგანდის ფორუმი.
- (4) ყველა პარტიამ და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებმა ზედმინვნით უნდა აიცილონ თავიდან ყველა ის აქტივობა რომელიც „კორუმპირებული სახის“ არის და დარღვევად ითვლება საარჩევნო კანონის მიერ, როგორც არის ამომრჩევლების მოსყიდვა, ამომრჩევლების დაშინება, ამომრჩევლების პერსონაცია, აგიტაცია საარჩევნო უბანთან 100 მეტრის ფარგლებში, საჯარო მიტინგის ჩატარება 48 საათის განმავლობაში ხმის მიცემის დასრულებამდე და ტრანსპორტირება და ამომრჩევლების გადაყვანა საარჩევნო უბნიდან უბანზე.
- (5) პატივი უნდა სცეთ ყველა ფიზიკური პირის მშვიდობიანი და წყნარი ცხოვრების უფლებას, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მათი პოლიტიკური შეხედულებები და საქმიანობა უკმაყოფილებას იწვევდეს პოლიტიკურ პარტიაში ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატში. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ფიზიკური პირის საცხოვრებელი სახლის წინ დემონსტრაციისა და პიკეტირების ორგანიზება, მათი შეხედულებების ან საქმიანობის გამო.
- (6) არც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატმა არ უნდა დაუშვას დროშების, ბანერების, საინფორმაციო პლაკატების, სლოგანების და სხვ. განსათავსებლად ფიზიკური პირის მიწის, შენობის, კედლის და ა. შ. გამოყენება, მათი თანხმობის გარეშე.
- (7) პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ მათი მხარდამჭერები არ უქმნიან წინააღმდეგობას ან არ შლიან სხვა პარტიების მიერ ორგანიზებულ მიტინგებს და მსვლელობებს. ერთ პოლიტიკურ პარტიაზე მომუშავეებმა ან მხარდამჭერებმა არ უნდა შექმნან წინააღმდეგობა სხვა პარტიის მიერ ორგანიზებული საჯარო შეხვედრის დროს, გეპირი ან წერილობითი შეკითხვების დასმის ან საკუთარი პარტიის ბროშურების გავრცელების სახით. ერთი პარტიის მიერ მსვლელობები არ უნდა გაიმართოს იმ ადგილებში, სადაც სხვა პარტიების მიტინგები იმართება. ერთი პარტიის პლაკატები რა უნდა იქნეს ჩამოხსნილი სხვა პარტიებზე მომუშავე პირების მიერ.

### II. მიტინგები

- (1) პარტიებმა ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებმა ადგილობრივი სამართალდამცავი უწყებები უნდა გააფრთხილონ ღონისძიების და მისი გამართვის დროის შესახებ, რათა პოლიციამ აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზება და ტრანსპორტის კონტროლი შეძლოს, ასევე მშვიდობა და წესრიგი უზრუნველყოს.
- (2) პარტია ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი წინასწარ უნდა დარწმუნდეს, არის თუ არა რაიმე შემზღვევადი და ამკრძალავი ორდერები, მიტინგისთვის შეთავაზებულ ადგილთან დაკავშირებით. თუ მსგავსი ორდერები არსებობს, მათ მკაცრად უნდა დაიცვან ისინი. თუ მსგავს ორდერში რაიმე გამოწვევის დაშვება საჭიროა, ასეთი რამ დროულად უნდა იქნეს გამოყენებული და მოპოვებული.
- (3) თუ ნებართვა ან ლიცენზია არის ასაღები მიღებული მიტინგზე ხმის გამაძლიერებლის ან სხვა რაიმე აღჭურვილობის გამოყენებაზე, პარტიამ ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატმა წინასწარ უნდა მიმართოს უწყებას და ნებართვა ან ლიცენზია მოიპოვოს.

13 ინდოეთის საარჩევნო კომისია, [www.eci.gov.in/Model\\_Code\\_Conduct.pdf](http://www.eci.gov.in/Model_Code_Conduct.pdf)

- (4) მიტინგის ორგანიზატორებმა ყოველთვის უნდა მიმართონ მორიგე პოლიციას იმ პირებთან ურთიერთობის მოსაგვარებლად, რომლების მიტინგის გამართვას ხელს უშლიან, ან მის ჩაშლას ცდილობენ. თავად ორგანიზატორებმა არ უნდა მიიღონ ხოლმე ზომები ასეთი პირების მიმართ.

### III. მსვლელობები

- (1) პარტიამ ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატმა, რომელიც მსვლელობას აწყობს, წინასწარ უნდა შეარჩიოს მსვლელობის დაწყების დრო და ადგილი, მარშრუტი, ადგილი და დრო, თუ სად და როდის დასრულდება მსვლელობა. პროგრამიდან გადახვევა არ უნდა მოხდეს.
- (2) ორგანიზატორებმა წინასწარ უნდა გააცნონ პროგრამა ადგილობრივ სამართალდამცავ უწყებას, რათა მათ სათანადო მომზადების საშუალება მისცენ.
- (3) ორგანიზატორებმა უნდა გაარკვიონ, არის თუ არა რაიმე სახის მოქმედი შეზღუდვა იმ ტერიტორიაზე, სადაც მსვლელობა ჩაივლის და დაიცვან შეზღუდვები, თუ არ არიან გათავისუფლებული შესაბამისი უწყების მიერ. ნებისმიერი სატრანსპორტო შეზღუდვა ასევე ზედმინვნით უნდა იქნეს დაცული.
- (4) ორგანიზატორებმა წინასწარ უნდა მიიღონ ზომები მსვლელობის მონაწილისთვის, ისე რომ მათ არ შეუქმნან წინააღმდეგობა, ან ტრანსპორტის მოძრაობა არ ჩაკეტონ. თუ მსვლელობა ხანგრძლივია, მისი ორგანიზება უნდა მოხდეს შესაბამისი სიგრძის სეგმენტებში, მოსახერხებელ ინტერვალებში, განსაკუთრებით ისეთ ადგილებზე, სადაც მსვლელობას გზების გადაკვეთების გავლა მოუწევს; ტრანსპორტს ეტაპობრივი გავლის საშუალება, ძლიერი საცობის წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით.
- (5) მსვლელობა უნდა დარეგულირდეს და გზის მარჯვენა მხარეს უნდა შენარჩუნდეს; რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, მკაცრად უნდა შესრულდეს მორიგე პოლიციელის მიერ მითითებული მიმართულება და რჩევები.
- (6) თუ ორმა ან მეტმა პოლიტიკურმა პარტიამ, ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატმა მსვლელობის ერთი და იმავე მარშრუტით ან ნაწილობრივ იმავე დროს ჩატარება განიზრახა, ორგანიზატორებმა წინასწარ უნდა დაამყარონ კარგი კონტაქტი და უსაფრთხოების ზომების შესახებ შეთანხმდნენ, რომ მსვლელობა ერთმანეთს არ შეეჯახოს, ან ტრანსპორტს დაბრკოლება არ შეუქმნას. ადგილობრივი პოლიციის დახმარება უზრუნველყოფილი იქნება. ამ მიზნით პარტიები პირველივე შესაძლებლობისთანავე უნდა დაუკავშირდნენ პოლიციას.
- (7) პოლიტიკურმა პარტიებმა, ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებმა მაქსიმალურად უნდა აკონტროლონ პირები / გადაადგილების საშუალება, ვის ხელშიც იქნება ნივთები, რომელთა არამიზნობრივი გამოყენებაც შეუძლია არასასურველ პირებს, განსაკუთრებით კი მღელვარების მომენტებში.
- (8) პოლიტიკური პარტიების ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატების მიერ სხვა პოლიტიკური პარტიების, ან მათი ლიდერების განმასახიერებელი ფიგურების ტარება, მათი საჭაროდ დაწვა და დემონსტრაციების ამგვარი ფორმები არ დაიშვება.

### IV. კენჭისყრის დღე

პოლიტიკურმა პარტიებმა ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებმა უნდა:

- (1) ითანამშრომლონ საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, მშვიდობიანი და თანმიმდევრული არჩევნებისთვის და ამომრჩეველთა სრული თავისუფლების უზრუნველსაყოფად ისე, რომ გაღიზიანების და ხელის შეშლის სუბიექტები არ გახდნენ;
- (2) უზრუნველყავით უფლებამოსილი თანამშრომლები შესაბამისი პირადობის დამადასტურებელი, ან საიდენტიფიკაციო ბარათებით;
- (3) შეთანხმდით, რომ მათ მიერ ამომრჩევლებისთვის მიწოდებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს თეთრ ფურცელზე და არ უნდა შეიცავდეს არანაირ სიმბოლოებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის ან პარტიის სახელს;
- (4) კენჭისყრის დღეს და ასევე 24 საათით ადრე, თავი შეიკავეთ ალკოჰოლური სასმელებით გამასპინძლებისგან ან მოწოდებისგან.
- (5) არ დაუშვათ, რომ ზედმეტი ხალხი შეგროვდეს პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატების მიერ ორგანიზებულ ბანაკებთან, კენჭისყრის კაბინების ახლოს, რათა თავიდან აიცილოთ დაპირისპირება და დაძაბულობა პარტიებზე მომუშავე პირებსა და პარტიის ან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატების მხარდამჭერებს შორის;



- (6) უზრუნველყავით, რომ საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის ბანაკები სადა იყოს. მათზე არ უნდა იყოს გაკრული არანაირი პლაკატები, დროშები, სიმბოლოები ან ნებისმიერ სხვა პროპაგანდისტული მასალა. ბანაკში არ უნდა მოხდეს საკვების შეტანა და ხალხმრავლობის დაშვება; და
- (7) ითანამშრომლეთ ორგანოებთან, როცა ისინი შეზღუდვებს დაანესებენ ტრანსპორტის გადაადგილებაზე კენჭისყრის დღეს და მიიღეთ ნებართვა, რომელიც გაკრული იქნება სატრანსპორტო საშუალებებზე.

## V. საარჩევნო კაბინა

საარჩევნო კაბინაში არავინ არ უნდა შევიდეს, ამომრჩევლის და საარჩევნო კომისიის მიერ გაცემული ნებართვის მქონე პირის გარდა.

## VI. დამკვირვებლები

დამკვირვებლებს საარჩევნო კომისია ნიშნავს. იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს ან მათ აგენტებს არჩევნების გამართვასთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული საჩივარი ან პრობლემა გაუჩნდებათ, მათ ეს დამკვირვებელს უნდა აცნობონ.

## VII. სახელისუფლებო პარტია

სახელისუფლებო პარტიამ, ცენტრში, ან შესაბამის სახელმწიფოში თუ სახელმწიფოებში, უნდა უზრუნველყოს, რომ საჩივრისთვის არანაირი მიზეზი არ არსებობდეს, რომ მან ისარგებლა საკუთარი თანამდებობით საარჩევნო კამპანიისთვის და კერძოდ:

- (1) (ა) მინისტრებმა არ უნდა დაუკავშირონ ოფიციალური ვიზიტები წინასაარჩევნო კამპანიას და ასევე არ უნდა გამოიყენონ ოფიციალური სატრანსპორტო საშუალებები და პერსონალი წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისთვის;
- (ბ) სახელმწიფო ტრანსპორტი, მათ შორის, თვითმფრინავები, სატრანსპორტო საშუალებები, მანქანა-დანადგარები და პერსონალი არ უნდა იქნას გამოყენებული სახელისუფლებო პარტიის ინტერესებისთვის;
- (2) საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, როგორცაა მოედნები და ა. შ., არჩევნების გასამართავად, ასევე საჰაერო ტრანსპორტისთვის ასაფრენი მოედნების გამოყენება, არჩევნებთან დაკავშირებით, მონოპოლიზებული არ უნდა იქნას. სხვა პარტიებს და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს უნდა შეეძლოთ მსგავსი ადგილების და ალტერნატივების გამოყენება იმავე მიზნებით და პირობებით, როგორც მათ მმართველი პარტია იყენებს;
- (3) დასასვენებელი სახლები, ბუნგალოები ან სხვა სახელმწიფოებრივი სახლები არ უნდა იყოს მონოპოლიზებული მმართველი პარტიის ან მისი საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატების მიერ, დასაშვებია უნდა იყოს მსგავსი ობიექტების სხვა პარტიის და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მიერ გამოყენება სამართლიანად, მაგრამ არც ერთმა პარტიამ და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატმა არ უნდა გამოიყენოს ის (მათ შორის მათთან არსებული ნაგებობები) როგორც კამპანიის ოფისი ან ნებისმიერი საჯარო მიტინგის გამართვის ადგილი, საარჩევნო პროპაგანდის მიზნით;
- (4) რეკლამის განთავსების საკითხი საჯარო ხაზინის ხარჯზე გახეთქი და სხვა მედიაში, ოფიციალური მასობრივი მედიასაშუალებების ბოროტად გამოყენება წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური ინფორმაციის მიკერძოებულად გაშუქების მიზნით და მმართველი პარტიის მიღწევების საჯაროობა, შემდგომი პერსპექტივების მიზნით, თავიდან უნდა იქნეს აცილებული.
- (5) მინისტრებმა და სხვა ორგანოებმა არ უნდა გასცენ სანქცია გრანტების/ანგარიშსწორებების განხორციელებაზე საჯარო ფონდებიდან კომისიის მიერ არჩევნების დღის გამოცხადების მომენტიდან; და
- (6) კომისიის მიერ არჩევნების გამოცხადების მომენტიდან მინისტრებმა და სხვა უწყებებმა არ უნდა:
  - (ა) გამოაცხადონ ნებისმიერი სახის ფინანსური გრანტები დაპირების სახითაც კი; ან
  - (ბ) (გარდა საჯარო მოხელეებისა) ჩაუყარონ საფუძველი ა. შ. რაიმე სახის პროექტებს ან სქემებს; ან
  - (გ) გააკეთონ არანაირი დაპირება გზების მშენებლობის თაობაზე, სასმელი წყლის უზრუნველყოფაზე, ა. შ.; ან
  - (დ) მოახდინონ სპეციალური დანიშვნები მთავრობის საჯარო ვალდებულებებში ა. შ. რაც გავლენას მოახდენს ამომრჩევლებზე მმართველი პარტიის სასარგებლოდ.

ცენტრალური ან სახელმწიფო მთავრობის მინისტრები არ უნდა შევიდნენ არც ერთ საარჩევნო უბანში ან ხმების დასათვლელ ადგილებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი ამ ადგილებში შევლენ როგორც კანდიდატები, ამომრჩევლები, ან უფლებამოსილი აგენტები.

## წინასაარჩევნო კამპანიის/აგიტაციის წარმოება და შეზღუდვები

**წინასაარჩევნო კამპანია** კანონმდებლობით დადგენილ დროის შუალედში განხორციელებული კოორდინირებული, მიზანმიმართული საჯარო ღონისძიებების სისტემაა, რომლის მიზანია კანდიდატის მხარდამჭერთა მობილიზება და არჩევნებში მისი გამარჯვების უზრუნველყოფა.

წინასაარჩევნო კამპანია იწყება არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე. სწორედ ამ დროიდან პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებსა და საარჩევნო სუბიექტებს აქვთ უფლება, არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით, ჩაატარონ სხვადასხვა ღონისძიებები. საქართველოს კანონმდებლობით, წინასაარჩევნო აგიტაციის განვების და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა:

- ✗ საარჩევნო კომისიის წევრისა;
- ✗ მოსამართლისა;
- ✗ საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, პროკურატურის, დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საჯარო მოხელეებისა;
- ✗ გენერალური აუდიტორისა;
- ✗ საქართველოს სახალხო დამცველისა;
- ✗ უცხო ქვეყნის მოქალაქისა და ორგანიზაციისა;
- ✗ საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციებისა;
- ✗ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრებისა;
- ✗ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებისა – სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს (ეს შეზღუდვა არ ვრცელდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ პოლიტიკური თანამდებობის პირებზე<sup>14</sup>).

აკრძალულია საარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარება შემდეგი დაწესებულებების შენობებში:

- ⊖ სასამართლოები;
- ⊖ სამხედრო ნაწილები;
- ⊖ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები.

**წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების ფორმები.** წინასაარჩევნო კამპანია შეიძლება განხორციელდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით, მასობრივი ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები, შეკრებები და მანიფესტაციები), ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის გამოცემითა და გავრცელებით, ხმის გამაძლიერებელ საშუალებათა გამოყენებით ან სხვა ფორმით.

**ბეჭდვითი სააგიტაციო მასალა.** არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე პოლიტიკურ პარტიას/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს/საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, დაამზადოს წინასაარჩევნო მონოდებები, განცხადებები, ფოტომასალები და სხვა. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ კრძალავს ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის გავრცელებისათვის ხელის შეშლას და მათ ჩამორთმევას, აგრეთვე სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილ სხვა საშუალებათა ჩამორთმევას ან წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისათვის ხელის შეშლას.

ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის ეგზემპლარები, სააგიტაციო მასალის გამოშვების თარიღიდან არაუგვიანეს მე-5 დღისა უნდა წარედგინოს იმ საარჩევნო კომისიას, რომელშიც საარჩევნო სუბიექტმა გაიარა საარჩევნო რეგისტრაცია. ბეჭდვით სააგიტაციო მასალაზე აღნიშნული უნდა იყოს:

- ☑ დამამზადებელი და დამკვეთი ორგანიზაციების სახელწოდებები, მისამართები;
- ☑ ინფორმაცია მასალის ტირაჟის, რიგითი ნომრის და გამოშვების თარიღის შესახებ.

<sup>14</sup> პოლიტიკური თანამდებობის პირი – საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრები და მათი მოადგილეები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი, სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი

სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში. ამასთანავე, აკრძალულია სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრა:

- ✚ საკულტო ნაგებობებზე;
- ✚ კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე;
- ✚ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების,
- ✚ პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში;
- ✚ საგზაო ნიშნებზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი აკრძალვების გათვალისწინებით განსაზღვრონ იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია. მათ ასევე ევალებათ, განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად. სტენდი იმ ზომის უნდა იყოს, რომ სააგიტაციო მასალის გამოფენისას ყველა საარჩევნო სუბიექტი თანაბარი პირობებით იყოს უზრუნველყოფილი.

სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა გამოაქვეყნონ არჩევნების დანიშნვიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

დაუშვებელია და საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით ისჯება საარჩევნო პლაკატების ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ისინი აკრძალულ ადგილებში არ არის გაკრული. საარჩევნო სუბიექტები ვალდებული არიან, არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყონ სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დაეკისრებათ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

**კრებები, შეხვედრები ამომრჩევლებთან.** წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ პოლიტიკურ პარტიებს/საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში, უზრუნველყონ ამ ღონისძიებათა უსაფრთხოება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებიდან 5 დღის ვადაში შეადგინონ იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია), და გადასცენ იგი საოლქო საარჩევნო კომისიას.

საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხა გაასაჯაროოს მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში, უზრუნველყოს ამ შენობა-ნაგებობების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა პოლიტიკური პარტიისა და საარჩევნო სუბიექტისათვის და მათთან შეთანხმებით შეადგინოს საარჩევნო ღონისძიებათა გამართვის განრიგი (თუ ღონისძიებები ერთმანეთს დაემთხვა და საარჩევნო სუბიექტები ვერ შეთანხმდნენ, ღონისძიებათა თანამიმდევრობა წილისყრით განისაზღვრება). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხა უნდა გამოქვეყნდეს აგრეთვე ცესკოს ვებგვერდზე. საოლქო საარჩევნო კომისიამ შენობა-ნაგებობის გამოყენების მოთხოვნის თაობაზე საარჩევნო სუბიექტის შესაბამის მიმართვას წერილობით, დასაბუთებულად უნდა უპასუხოს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა. ამ ვადაში პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება მიმართვაზე თანხმობად.

**საარჩევნო პროგრამა.** პოლიტიკური პარტიას, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატისა და მათ მხარდამჭერებს უფლება აქვთ, გამოვიდნენ მომავალი საქმიანობის პროგრამით. საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს:

- ✘ ომისა და ძალადობის პროპაგანდას;
- ✘ არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან დამხობისკენ მოწოდებას;
- ✘ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას.



**ამომრჩევლის მოსყიდვა.** არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე საარჩევნო სუბიექტებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს და მათ წარმომადგენლებს ეკრძალებათ პირადად ან ვინმეს მეშვეობით:

- ⊗ საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (მიუხედავად მათი ღირებულებისა);
- ⊗ საქართველოს მოქალაქეებისათვის შეღავათიან ფასად საქონლის მიყიდვა;
- ⊗ საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასოდ ნებისმიერი საქონლის (გარდა საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა) მიწოდება ან გავრცელება;
- ⊗ საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით (მიუხედავად მათი ღირებულებისა).

არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ეკრძალებათ პირადი ფულადი სახსრებით ან/და საარჩევნო სუბიექტის სახსრებით ისეთი სამუშაოს შესრულება ან მომსახურების განწევა (გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მოპოვებული სამუშაოს შესრულებისა ან მომსახურების განწევისა), რომელიც განეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას.

საარჩევნო სუბიექტს, რომელიც უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის ან მის სასარგებლოდ მოქმედი ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის მეშვეობით ეწეოდა ზემოთ აღნიშნულ აკრძალულ საქმიანობას, ასეთი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებით უუქმდება რეგისტრაცია.

**ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება**

ადმინისტრაციული რესურსის და მისი საარჩევნო მიზნით გამოყენების ზუსტი და საყოველთაოდ მიღებული დეფინიცია არც ქართულ და არც საერთაშორისო კანონმდებლობაში არ არსებობს, თუმცა შესაძლებელია მივიჩნიოთ, რომ ადმინისტრაციულ რესურსი არის ქონება ან სხვა სახის რესურსი, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესასრულებლად. ამ საკითხს არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი ეხება და ცდილობს მასთან დაკავშირებით გარკვეული სახის ერთგვაროვანი მიდგომა ჩამოაყალიბოს. ამ დოკუმენტებისა და მეცნიერთა მოსაზრებების ანალიზზე დაყრდნობით შესაძლოა ჩამოვაყალიბოთ ადმინისტრაციული რესურსების შემდეგი სახეები:

ადმინისტრაციული რესურსის ტიპი	არსი
სამართლებრივი (საკანონმდებლო და მარეგულირებელი) რესურსები	საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების რომელიმე პარტიის ან კანდიდატის საარჩევნო ინტერესების სასარგებლოდ/საინააღმდეგოდ გამოყენება. მაგალითად, კანონის მიღება, რომელიც უპირატეს მდგომარეობაში აყენებს რომელიმე პარტიას.
ინსტიტუციური რესურსები	წინასაარჩევნო ღონისძიებების ორგანიზება-ჩატარებისთვის სახელისუფლებო სტრუქტურების საოფისე ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, შენობა-ნაგებობების, დაქვემდებარებული საჯარო მოხელეების და სახელმწიფოს თანხებით დაფინანსებული სხვა მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოყენება.
ფინანსური რესურსები	ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო რესურსების მიმართვა მმართველი პარტიის ან კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეწყობისთვის. მასში მოიაზრება ასევე მედიარესურსები - სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტებიდან დაფინანსებული მედია საშუალებების მიერ მმართველი პარტიის ან მისი კანდიდატის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება.
აღსრულებითი რესურსები (ძალისმიერი)	პოლიტიკური ოპონენტების, მათი მხარდამჭერებისა და ამომრჩევლების წინააღმდეგ სახელმწიფოს აღსრულებითი, მათ შორის ძალადობრივი, მექანიზმების შერჩევითად გამოყენება. მაგალითად, პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დაკავება, დაშინება, ცემა, მუქარა, სამსახურიდან გათავისუფლება და სხვა სახის ზეწოლა.

პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის თანაბარი პირობების უზრუნველყოფა, ასევე სახელმწიფოსა და პარტიებს შორის ზღვრის არსებობის აუცილებლობა ხაზგასმულია არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში, რომლებიც საქართველოსთვისაც სავალდებულო ძალას ატარებს. მათ შორისაა ადამიანის უფლებათა შესახებ აქტები (ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია 1950წ; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ 1966წ. და სხვა). ასევე, ამ სფეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქტი - ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტი (1990):

- ▣ აუცილებელია სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიას შორის მკაფიო გამიჯვნა, პარტია არ უნდა იყოს აღრეული სახელმწიფოსთან (მუხლი 5.4);
- ▣ სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს ინდივიდის ან ჯგუფის უფლებას სრული თავისუფლებით დააფუძნოს პოლიტიკური პარტია ან სხვა პოლიტიკური ორგანიზაცია და უზრუნველყოს ასეთი პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები აუცილებელი სამართლებრივი გარანტიებით, რათა მიეცეთ მათ შესაძლებლობა კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს თანასწორობის საფუძველზე, როგორც კანონის ძალით და ასევე ხელისუფლების მხრიდან (მუხლი 7.6);
- ▣ სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს პოლიტიკურად და სამართლებრივად პოლიტიკური კამპანიის თავისუფალ და სამართლიან გარემოში წარმართვა, რომელშიც არც ადმინისტრაციული ქმედება, ძალადობა ან დაშინება არ უშლის ხელს არც პარტიებს და კანდიდატებს თავისუფლად წარმოაჩინონ თავიანთი შეხედულებები და კვალიფიკაცია, არც ამომრჩეველს – შეიტყონ და განიხილონ [პარტიების და კანდიდატების შეხედულებები და კვალიფიკაცია] ან მისცენ ხმა სასჯელის შიშისგან თავისუფლად (მუხლი 7.7);
- ▣ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ არანაირი სამართლებრივი ან ადმინისტრაციული დაბრკოლება არ შეიქმნას მედიის შეუზღუდავ არადისკრიმინაციულ ხელმისაწვდომობაში ნებისმიერი პარტიის და ინდივიდისათვის, ვისაც აქვს სურვილი მონაწილეობა მიიღოს საარჩევნო პროცესში (მუხლი 7.8).

### ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა

წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერ პირს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან სანინალმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში შემდეგი სახის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება:

- ☞ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აგრეთვე იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, დაკავებული შენობების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ სხვა პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს, საარჩევნო სუბიექტებს არა აქვთ იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა; (საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი);

**კომენტარი/განმარტება** - შენობების ერთი პოლიტიკურ პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის ან საარჩევნო სუბიექტის მიზნებისთვის გამოყენების შემთხვევაში, თუ იგივე სახის შესაძლებლობა სხვა პოლიტიკურ პარტიას, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს ან საარჩევნო სუბიექტს არ მიეცა, ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპის დარღვევად იმ თანამდებობის პირის მიერ, ვინც უმოქმედობით ან დაუსაბუთებელი უარით არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას.

ამ ნორმაში მოცემულ – საარჩევნო სუბიექტის შესაბამის მიმართვას, როგორც წესი, დასაბუთებული წერილობითი პასუხი უნდა გაეცეს მიმართვიდან არაუმეტეს 24 საათისა, რა დროშიც პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება მიმართვაზე უარის თქმად. აღნიშნული წესიდან გამონაკლისი დაიშვება ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში.

ამასთან, აღნიშნული ნორმა მოიცავს: იმ პირების სარგებლობაში არსებული სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შენობა-ნაგებობებს, რომლებიც მათ გადაცემული აქვთ ხელშეკრულების საფუძველზე გარკვეული ფუნქციის შესასრულებლად.

- ☞ სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), განკუთვნილი

საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება (საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი);

**კომენტარი/განმარტება** - სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომელთა დაფინანსება ხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება იკრძალება (გარდა პოლიტიკური პარტიებისა). ამ მუხლის მიზნებისათვის ორგანიზაციებად, რომელთა დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განიხილებიან სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები.

☞ სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება (საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი);

#### **ყურადღება!**

შეზღუდვა არ ვრცელდება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ მათი სამსახურეობრივი ავტომანქანების გამოყენებაზე, რომელთა დაცვას კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური. საქართველოს კანონის “სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ” მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირებს საარჩევნო კოდექსის მიზნებისათვის წარმოადგენენ: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე; საქართველოს პრემიერ-მინისტრი; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა ორგანოების ხელმძღვანელები.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პერსონალური დაცვა შეიძლება დაენიშნოს ან მოეხსნას: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს; საქართველოს პარლამენტის წევრს; საქართველოს მთავრობის წევრს; საქართველოს სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელს; საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების მაღალი რანგის თანამდებობის პირს სამსახურეობრივი უფლებამოსილების პერიოდში.

აღნიშნული მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას **2000 ლარის** ოდენობით და რომლის შესახებაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს ცესკოს თავმჯდომარე, აგრეთვე შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (საარჩევნო კოდექსის 88-ე მუხლი, 93-ე მუხლის პირველი პუნქტი).

#### **საბიუჯეტო თანხების გამოყენების აკრძალვა**

⊖ არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არიყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროექტები/პროგრამები ფინანსდება არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე შესაბამისი ბიუჯეტის სათანადო პროგრამული კოდით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ან/და ამ ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრებით, აგრეთვე დონორების მიერ გამოყოფილი სახსრებით. (საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტი);

⊖ არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით, აკრძალულია სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობის ზრდა, გარდა იმ გასაცემლებისა, რომელთა ოდენობის ზრდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე, აგრეთვე ისეთი სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ან/და შეღავათების დაწესება, რომლებიც არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე გათვალისწინებული არ იყო საქართველოს კანონმდებლობით. (საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

#### **ყურადღება!**

აღნიშნული წესების დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება.

**შენიშვნა:** აღნიშნული აკრძალვები არ ვრცელდება სტიქიური უბედურების ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსებაზე. (საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტი).



**წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში აკრძალულია** საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით ისეთი სააგიტაციო მასალის, ვიდეო-ან აუდიო მასალის დამზადება, ვებგვერდის ან მისი ნაწილის შექმნა, რომელშიც/რომელზედაც ასახულია ესა თუ ის საარჩევნო სუბიექტი/პოლიტიკური პარტია ან მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი ან/და რომელიც შეიცავს ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის/პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერ/საწინააღმდეგო ინფორმაციას.

იმავე პერიოდში აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით დამზადებულ სოციალურ რეკლამაში საარჩევნო სუბიექტის/პოლიტიკური პარტიის ან მისი რიგითი ნომრის გამოყენება.

აღნიშნული მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას **2000 ლარის** ოდენობით და რომლის შესახებაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს ცესკოს თავმჯდომარე, აგრეთვე შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (საარჩევნო კოდექსის 88-ე მუხლი, 93-ე მუხლის პირველი პუნქტი).

### **ყურადღება!**

აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე/პრეზენტაციაზე ორგანიზატორის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის განწევა.

### **თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა**

წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის ან საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში თავისი თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება.

თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებაში იგულისხმება:

- ☞ სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას (საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი);

**კომენტარი/განმარტება** – წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე პარტიის (საარჩევნო ბლოკის) ან კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში უშუალოდ სამსახურებრივად დაქვემდებარებული პირების და ასევე სხვაგვარად დამოკიდებული პირების ჩაბმა, მათ შორის, სამსახურებრივად დაქვემდებარებულ პირებთან შეხვედრის დროს თანამდებობის პირის მიერ პოლიტიკურ პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის ან საარჩევნო სუბიექტის წარდგენა, ან რომელიმე კანდიდატის მხარდასაჭერი, ან მისი საწინააღმდეგო განცხადების გაკეთება.

ამ მუხლის მიზნებისათვის ტერმინი „სხვაგვარად დამოკიდებული პირები“ აღიქმება როგორც პირები, რომლებიც საქმიანობიდან გამომდინარე მატერიალურად ან რაიმე სხვა ფორმით დამოკიდებულნი არიან აღნიშნული თანამდებობის პირებზე.

- ☞ სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინებების დროს ხელმოწერების შეგროვება და წინასაარჩევნო აგიტაციის განწევა (საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი);

**კომენტარი/განმარტება** – წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში უკავია თანამდებობა, ეკრძალება ხელმოწერების შეგროვება და აგიტაციის განწევა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინების დროს.

- ☞ წინასაარჩევნო აგიტაციის განწევას სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას.

**კომენტარი/განმარტება** – სამსახურებრივი ფუნქციების შესრულების დროდ ჩაითვლება საჯარო მოხელის მხრიდან უშუალოდ სამსახურებრივი ფუნქციების შესრულება, მათ შორის ანაზღაურებადი დრო.

ამ ნორმის მიზნებისათვის სამუშაო საათებში არ ჩაითვლება შესვენებისთვის განკუთვნილი დრო. აღნიშნული მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას **2000 ლარის** ოდენობით და რომლის შესახებაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენს ცესკოს თავმჯდომარე, აგრეთვე შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (საარჩევნო კოდექსის 88-ე მუხლი, 93-ე მუხლის პირველი პუნქტი).

### **ყურადღება!**

შეზღუდვა არ მოქმედებს პოლიტიკური თანამდებობის პირებზე აგრეთვე იმ შემთხვევაზე, როცა ხდება ტელერადიო მაუწყებლობის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის გამოყენება.

საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის ვადის გასვლიდან კენჭისყრის დღის დამთავრებამდე აკრძალულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, პოლიციისა და პროკურატურის ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება, გარდა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან/და მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებისა.

### **უნყებათაშორისი კომისია**

საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციის და დარღვევებზე რეაგირების მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან იქმნება უნყებათაშორისი კომისია.

უნყებათაშორისი კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, ხოლო უნყებათაშორისი კომისიის საქმიანობის წესი – კომისიის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. უნყებათაშორისი კომისიის საქმიანობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტები<sup>15</sup>, აგრეთვე პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც უნყებათაშორის კომისიას მიაწვდიან ინფორმაციას საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად და კომისიის დებულების მიზნიდან გამომდინარე, კომისია:

- ⇒ უზრუნველყოფს უნყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაციას და ხელს უწყობს დიალოგს მთავრობასა და არჩევნებში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის. ამ მიზნით, კომისია თანამშრომლობს კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებთან, აგრეთვე, საარჩევნო პროცესში ჩართულ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან/საარჩევნო ბლოკებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დამკვირვებლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან;
- ⇒ უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესში ჩართული სუბიექტებისგან საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ მიღებული ინფორმაციის, ასევე, მედიით გავრცელებული ცნობების გადამოწმებას;
- ⇒ განიხილავს საკითხებს, რომლებიც უკავშირდება საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებთან მიმართებით მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, აგრეთვე, იმ დარღვევების შესახებ ინფორმაციას, რომელთაც კომისიას აწვდიან პოლიტიკური გაერთიანებები (საარჩევნო სუბიექტები) ან დამკვირვებელი ორგანიზაციები.
- ⇒ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით, კომისია შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს საჯარო მოსამსახურეების, ადმინისტრაციული ორგანოების, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ.

უნყებათაშორისი კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 2 კვირაში ერთხელ, ხოლო საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ არანაკლებ 3 კვირაში ერთხელ. კომისია უფლებამოსილია, თუ კომისიის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში

<sup>15</sup> პარტია, რომელიც დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში მონაწილეობდა არჩევნებში, თუ მან ან შესაბამისმა საარჩევნო ბლოკმა ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საერთო არჩევნებში მიიღო არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 3% ან 3%-ზე მეტი (ხმათა ეს რაოდენობა გამოიანგარიშება მთელ ქვეყანაში პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიღებული ხმების მიხედვით).

გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. კომისიის საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, კომისიის სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისიის თავმჯდომარის გადამწყვეტილებით, კომისიის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნენ სხვა პირებიც.

კომისია თანამშრომლობს კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებთან, აგრეთვე, სხვა პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების წარმომადგენლებთან. აღნიშნული პირები სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობენ და კომისიას მიაწვდიან ინფორმაციას საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ.

კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) უზრუნველყოფს სხდომის ოქმის გადაგზავნას კომისიის წევრებისა და კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირებისათვის.

## **წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფა**

დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაა, რაც გულისხმობს ხალხის მიერ საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვას. აღნიშნული კი შესაბამისი კომუნიკაციის საშუალებებით ხორციელდება. თანამედროვე ეპოქაში კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებულ საშუალებას მედია წარმოადგენს, საარჩევნო პერიოდში მისი როლი განსაკუთრებით იზრდება. ამ პერიოდის განმავლობაში მოსახლეობა ეცნობა ინფორმაციას საარჩევნო პროცესის შესახებ, მათ შორის, საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო პროგრამებს, რომელიც მას მედიის საშუალებით მიეწოდება.

მედია საარჩევნო პროცესში საზოგადოებას არჩევნების შესახებ ობიექტურ ინფორმაციას აწვდის, რითაც ის ხელს უწყობს ამომრჩევლის ინფორმირებულობის გაზრდას და ამომრჩევლის მიერ გააზრებული პოლიტიკური არჩევანის გაკეთებას.

მედიის როლი საარჩევნო პროცესში დეტალურად არის განხილული საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, ასე მაგალითად: კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლებამოსილებით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის მხოლოდ ის საშუალებები სარგებლობენ, რომელთაც გავლილი აქვთ აკრედიტაცია შესაბამის საარჩევნო კომისიაში. აღნიშნული დათქმა წარმოადგენს დემოკრატიული კანონმდებლობის ერთ-ერთ არსებით შემადგენელ ელემენტს, ვინაიდან მედია კენჭისყრის მომენტში გვევლინება არა მხოლოდ როგორც ინფორმაციის გამავრცელებელი, არამედ, ამავდროულად როგორც დამკვირვებელი. ნებისმიერი დარღვევის არსებობის შემთხვევაში მედიის წარმომადგენლებს უფლება აქვთ გაასაჯაროონ და მიაწოდონ ინფორმაცია მოსახლეობას.

აღნიშნული საპასუხისმგებლო საქმიანობის ეფექტიანი განხორციელებისთვის მედია უნდა ხელმძღვანელობდეს მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრებული და საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული შემდეგი პრინციპებით<sup>16</sup>:

- ☒ **კანონის პატივისცემის დემონსტრირება** დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა;
- ☒ **პროფესიონალიზმი** – საქმიანობა განხორციელოს საყოველთაოდ აღიარებული პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, ყველა ლეგიტიმური ინტერესის გათვალისწინებით;
- ☒ **მიუკერძოებლობა** – თავი შეიკავოს მოსაზრებათა ცალმხრივი ინტერპრეტაციისა და ფაქტების დამახინჯებისაგან;
- ☒ **„ამომრჩევლის სამსახურში“** – ხელი შეუწყოს ამომრჩევლისთვის ობიექტური და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას;
- ☒ **სამართლიანი მოპყრობა** – დაიცვას სამართლიანობა და ყველას პატივისცემით მოეპყროს; არჩევნების პერიოდში რომელიმე პარტიისთვის საეთერო დროის გამოყოფისას არ დაუშვას დისკრიმინაცია.

**პოლიტიკური რეკლამა.** ისევე, როგორც უცხო ქვეყნებში, საქართველოშიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები სარეკლამო რგოლების განთავსებით ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებაზე. პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა კი საარჩევნო სუბიექტს ხელს უწყობს ამომრჩევლის აზრის ფორმირებაში.

პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა არის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გასული ისეთი შინაარსის რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს საარჩევნო სუბიექტის არჩევისთვის ხელის

<sup>16</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“; საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“; „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“; Guidelines on Media analysis during election observation missions. OSCE/ODIHR and the Venice Commission. Adopted by the Council for Democratic Elections (Venice, 2009).



შენყობას ან ხელის შეშლას, რომელშიც ნაჩვენებია საარჩევნო სუბიექტი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, ან მოწოდებას სარეფერენდუმოდ თუ საპლემბისციტოდ გამოტანილი საკითხის გადაწყვეტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

## **სამაუწყებლო და ბეჭდვითი მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების ზოგადი რეგულაციები**

**ბეჭდვითი მედია.** ბეჭდვითი მედიის მიერ არჩევნების გაშუქებასთან დაკავშირებული წესები მოცემულია საქართველოს ორგანულ კანონში "საქართველოს საარჩევნო კოდექსი", რომლის თანახმად:

1. არჩევნების გამოცხადებიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე გაზეთმა, რომელიც ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის გაზეთის ფართობის გამოყოფის შემთხვევაში იმავე გაზეთში ყოველკვირეულად უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია:
  - ⇒ რომელი რიცხვიდან, რა პერიოდულობით და რა დრომდე გამოყოფილი გაზეთის ფართობი;
  - ⇒ გაზეთის 1 ნომერში გამოყოფილი ფართობის სიდიდე;
  - ⇒ უფასო ფართობის გამოყოფის შემთხვევაში – მთლიანად გამოყოფილი ფართობის უფასო ნაწილის სიდიდე;
  - ⇒ ფართობის ტარიფი;
  - ⇒ განეული მომსახურება.
2. არცერთ საარჩევნო სუბიექტს გაზეთის 1 ნომერში ან 1 კვირის განმავლობაში არ უნდა დაეთმოს გამოყოფილი ფართობის ერთ მესამედზე მეტი. ფართობის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთნაირი უნდა იყოს. თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტმა არ გამოიყენა თავისი წილი გაზეთის ფართობი, გაზეთს უფლება აქვს, ეს ფართობი თანაბრად გადაუნაწილოს დანარჩენ საარჩევნო სუბიექტებს.
3. სააგიტაციო წერილისა და პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებისას წერილის სათაურამდე და რეკლამის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“.

**გაზეთს, რომელიც არ ფინანსდება ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან,** უფლება აქვს, წინასაარჩევნო რეკლამა ნებისმიერი პირობით გამოუყოს ნებისმიერ საარჩევნო სუბიექტს.

**სამაუწყებლო მედია.** საქართველოს ორგანულ კანონი "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" გაცილებით ფართო რეგულაციებს აწესებს სამაუწყებლო მედიის მიმართ. აღნიშნულის თანახმად:

1. ტელე და რადიოკომპანიებმა (სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელებმა, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიამ და რადიომ) კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღიდან კენჭისყრის დღემდე წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის საეთერო დროის გამოყოფის შემთხვევაში საჭაროდ უნდა გამოაცხადონ და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ყოველკვირეულად უნდა გადასცენ ინფორმაცია:
  - ⇒ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო;
  - ⇒ 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და გრაფიკი;
  - ⇒ საეთერო დროის ტარიფი;
  - ⇒ განეული მომსახურება.
2. ტელე ან რადიოკომპანიის მიერ 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ უნდა აღემატებოდეს მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 % და არცერთ საარჩევნო სუბიექტს არ უნდა დაეთმოს ამ დროის ერთ მესამედზე მეტი. ფასიანი დროის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის (როგორც კვალიფიციური, ისე არაკვალიფიციური სუბიექტებისათვის) ერთნაირი უნდა იყოს. თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტმა არ გამოიყენა თავისი წილი საეთერო დრო, ტელე ან რადიოკომპანიას უფლება აქვს, ეს დრო თანაბრად გადაუნაწილოს დანარჩენ საარჩევნო სუბიექტებს.

3. აკრძალულია:

- ⊗ კენჭისყრის დღეს წინასაარჩევნო ფასიანი ან/და უფასო რეკლამის განთავსება ტელევიზიისა და რადიოს ეთერში;
- ⊗ ტელე და რადიოკომპანიების მიერ **პოლიტიკური რეკლამის განთავსება სხვა დროს**, გარდა ამ მიზნით გამოყოფილი დროის შუალედისა;
- ⊗ ფასიანი და უფასო პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის გამოქვეყნება შესაბამისი მითითების გარეშე (კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „**ფასიანი პოლიტიკური რეკლამა**“ ან „**უფასო პოლიტიკური რეკლამა**“, ასეთ რეკლამას უნდა ჰქონდეს სურდოთარგმანი, რომლის უზრუნველყოფაც რეკლამის წერმდგენი საარჩევნო სუბიექტის ვალდებულებაა).

4. **წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფა, ფასიანი და უფასო სარეკლამო დრო.** წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების წესების ამოქმედება (საერთო დროის თანაბრად განაწილება, დებატებში მონაწილეობისას ერთნაირი პირობების შექმნა და საარჩევნო რეკლამისათვის თანაბარი პირობების დადგენა და ა.შ.) სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, იმაზე, თუ რომელ მაუწყებელთან გვაქვს საქმე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების, გადაცემებისა და არჩევნების გაშუქების დროს ყველა მაუწყებელმა<sup>17</sup> უნდა დაიცვას მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპი „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის, მაუწყებელთა ქცევის კოდექსისა და საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, ამასთან საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია საარჩევნო კამპანიის პერიოდში, ეთერში გაშვებულ არჩევნებთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდო-თარგმანიც“.

საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებისას საერთო დროის თანაბრად განაწილების, დებატებში მონაწილეობისას ერთნაირი პირობების შექმნისა და საარჩევნო რეკლამისათვის თანაბარი პირობების დადგენის ვალდებულება ეხება მხოლოდ ისეთ მაუწყებლებს როგორცაა: საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე მაუწყებელი, საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე ეროვნულ მაუწყებელი. ასეთი ვალდებულებები მათ წარმოემობათ მხოლოდ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებთან მიმართებაში.

საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, აგრეთვე სათემო მაუწყებელი ვალდებული არიან, მათი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს **არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 50-ე დღიდან** თავიანთ ეთერში ყოველ საათში **5 წუთი** გამოყონ წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განსათავსებლად და ყოველ **3 საათში** თანაბრად და არადისკრიმინაციულად განათავსონ თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ მათთვის წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა, იმ პირობით, რომ ამ პერიოდში ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის გამოყოფილი სარეკლამო დრო **90 წამს** არ აღემატებოდეს (საარჩევნო სუბიექტს შეუძლია ეს დრო რამდენიმე ნაწილად დაყოს).

საარჩევნო კამპანიის დროს, საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე ეროვნული მაუწყებელი ვალდებულია, თავის ეთერში ყოველ **3 საათში** გამოყოს **არანაკლებ 7,5 წუთისა** წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განსათავსებლად და თანაბრად და არადისკრიმინაციულად განათავსოს თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა, იმ პირობით, რომ ამ პერიოდში ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის გამოყოფილი სარეკლამო დრო **90 წამს** არ აღემატებოდეს (საარჩევნო სუბიექტს შეუძლია ეს დრო რამდენიმე ნაწილად დაყოს).

არ შეიძლება საარჩევნო სუბიექტის მიერ გამოუყენებელი დროის შემდგომ დამატება მისი კუთვნილო სხვა დროისათვის.

საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ვალდებულია, კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების გარდა, ყველა სხვა პარტიისა და საარჩევნო ბლოკის წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების მიზნით გამოყოს დრო, რომელიც თანაბრად განაწილდება ამ საარჩევნო სუბიექტებს შორის.

17 მაუწყებელი - საქართველოს კანონმდებლობა ერთმანეთისგან განასხვავებს: საერთო (ეროვნული) მაუწყებელი; საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო; სათემო მაუწყებელი; ადგილობრივ მაუწყებელი და სხვა მაუწყებელი (კერძო ტელეკომპანიები, სატელეკომუნიკაციო მაუწყებლობები და ა.შ.), რომელიც ფლობს შესაბამის ლიცენზიას.

**რაც შეეხება სხვა დანარჩენ მაუწყებლებს**, მათ საეთერო დროის თანაბრად განაწილების, საარჩევნო რეკლამისათვის თანაბარი პირობების დადგენის შესახებ ვალდებულება წარმოემოხა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მათი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს განათავსებენ იმ საარჩევნო სუბიექტების ფასიან წინასაარჩევნო რეკლამას, რომლებსაც საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საერთო არჩევნების წელს საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოეყოფათ დაფინანსება სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად. ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია გამოეყოფოს დრო წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განსათავსებლად (თუ ფასიანი რეკლამა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საუკეთესო დროის შუალედში განთავსდა, უფასო სარეკლამო დროც ქვემოთ დადგენილი პროპორციით იმავე შუალედში, იმავე დღეს ან დამკვეთთან შეთანხმებით – სხვა დღეს უნდა გამოეყოფოს. ყველა სხვა შემთხვევაში უფასო სარეკლამო დრო უნდა გამოეყოფოს სამაუწყებლო ბადეში ფასიანი რეკლამის განთავსების დროიდან სამსაათიან შუალედში, იმავე დღეს ან დამკვეთთან შეთანხმებით – სხვა დღეს. არ შეიძლება სუბიექტის მიერ გამოუყენებელი უფასო სარეკლამო დროის შემდგომ დამატება მისი კუთვნილი სხვა სარეკლამო დროისათვის).

ამ შემთხვევაში მაუწყებელი ვალდებულია უსასყიდლოდ განათავსოს წინასაარჩევნო რეკლამა **არჩევნების დღემდე ბოლო 30 დღის განმავლობაში** შემდეგი წესების დაცვით:

☒ სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით დაფინანსების მქონე საარჩევნო სუბიექტებისთვის მაუწყებელმა უნდა გამოეყოფოს საარჩევნო სუბიექტის მიერ შეძენილი ფასიანი სარეკლამო დროის ტოლი დრო, რომელიც ისე უნდა განაწილდეს, რომ **3 საათში 90 წამზე** მეტი არ დაიკავოს;

☒ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის (საარჩევნო სუბიექტი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის ” საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 51-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს), გარდა სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით დაფინანსების მქონე საარჩევნო სუბიექტებისა, მაუწყებელმა უნდა გამოეყოფოს ზემოთ აღნიშნულ საარჩევნო სუბიექტთა მიერ შეძენილი ჯამური სარეკლამო დროის ტოლი დრო, რომელიც თანაბრად და არადისკრიმინაციულად უნდა განაწილდეს აღნიშნულ საარჩევნო სუბიექტებს შორის, იმ პირობით, რომ ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის გამოეყოფილი დრო **3 საათში 90 წამს** არ აღემატებოდეს (საარჩევნო სუბიექტს შეუძლია ეს დრო რამდენიმე ნაწილად დაეყოფოს);

**უფასო სარეკლამო დროის** მიღების უფლების მქონე სუბიექტმა შესაბამის მაუწყებელს რეკლამის განთავსების დღემდე სულ ცოტა 2 დღით ადრე უნდა აცნობოს თავისი კუთვნილი სარეკლამო დროის გამოყენების სურვილის შესახებ და მასთან შეთანხმებულ დროს გადასცეს სარეკლამო რგოლი.

მაუწყებელი, რომელსაც სურს განათავსოს იმ საარჩევნო სუბიექტების ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამა, რომლებსაც საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერისათვის დამატებით გამოეყოფათ დაფინანსება სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად, ვალდებულია არჩევნების დანიშვნის დღიდან 15 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 55-ე დღისა, ცესკოს და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას გადასცეს ინფორმაცია ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების შეთავაზებული გრაფიკისა და სარეკლამო დროის ფასის შესახებ.

საარჩევნო სუბიექტის მიერ სარეკლამო დროის შეძენის შემთხვევაში მაუწყებელი ვალდებულია არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 38-ე დღისა ცესკოს და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას გადასცეს ინფორმაცია რეკლამის უსასყიდლოდ განსათავსებლად გამოეყოფილი დროის შესახებ (თარიღები, დღის განმავლობაში განსათავსებელი რეკლამის განთავსების დროის შუალედები და სარეკლამო დროის ხანგრძლივობა), აგრეთვე თითო კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისთვის გამოეყოფილ სარეკლამო დროში რეკლამის განთავსების გრაფიკის თაობაზე.

სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მქონე საარჩევნო სუბიექტმა არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-40 დღისა



ცესკოსა და შესაბამის მაუწყებელს უნდა გადასცეს ინფორმაცია ყოველ კონკრეტულ მაუწყებელში, სარეკლამო დროის შეძენის შესახებ (ამ ინფორმაციაში მითითებული უნდა იყოს თარიღები, დღის განმავლობაში განსათავსებელი რეკლამის განთავსების დროის შუალედები და შესაძენი სარეკლამო დროის ხანგრძლივობა).

ზემოთ აღნიშნული ყველა მონაცემები 1 დღის ვადაში უნდა განთავსდეს ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

**კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი.** წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფის მიზნებისთვის, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს წარმოადგენს საარჩევნო სუბიექტი (პარტია ან საარჩევნო ბლოკი, რომელში გაერთიანებული პარტიაც აკმაყოფილებს ქვემოთ მითითებულ მოთხოვნებს) რომელიც:

- (▶) დამოუკიდებლად მონაწილეობდა ბოლო საპარლამენტო არჩევნებში და მიიღო ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 4 %;
- (▶) დამოუკიდებლად მონაწილეობდა ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებში და მიიღო ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 3 % ქვეყნის მასშტაბით;
- (▶) გაერთიანებული იყო საარჩევნო ბლოკში, რომელმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მიიღო ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 4 % და იყო ამ ბლოკის პირველი ნომერი;
- (▶) გაერთიანებული იყო საარჩევნო ბლოკში, რომელმაც ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებში მიიღო ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 3 % ქვეყნის მასშტაბით, და იყო ამ ბლოკის პირველი ნომერი.

საპრეზიდენტო არჩევნებზე კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად მიიჩნევა ასევე, იმ პოლიტიკური გაერთიანების მიერ წარდგენილი კანდიდატი, რომელიც, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად, დაფინანსებას იღებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე.

მაუწყებელი უფლებამოსილია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია, რომელიც, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ 5 გამოკითხვის ან არჩევნებამდე 1 თვის განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 4 % მხარდაჭერით.

ადგილობრივი მაუწყებელი ვალდებულია, ზემოთ აღნიშნული სუბიექტების გარდა, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს ასევე პოლიტიკური პარტია/ბლოკი:

- ⇒ რომლის კანდიდატმა (კანდიდატებმა) მისი მომსახურების ზონაში შემავალ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებულ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა (გაიმარჯვეს), არჩევნების მეორე ტურში გავიდა (გავიდნენ) ან მიიღო (მიიღეს) ხმების არანაკლებ 25 %.
- ⇒ რომელმაც ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მიიღო ხმების არანაკლებ 25 %.

ადგილობრივი მაუწყებელი უფლებამოსილია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს:

- ⇒ პოლიტიკური პარტია, რომელმაც შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებულ ბოლო საპარლამენტო ან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მიიღო ხმების არანაკლებ 10 %.
- ⇒ პოლიტიკური პარტია, რომელიც, შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ ზედიზედ 2 კვლევის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 25 % მხარდაჭერით;

- ⇒ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარობის კანდიდატი, რომელიც, შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ ზედიზედ 2 კვლევის შედეგების შესაბამისად სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 25 % მხარდაჭერით.

**საზოგადოების ინფორმირება.** საზოგადოების ინფორმირების მიზნით, არჩევნების დანიშნვიდან არჩევნების დღემდე პერიოდში (ასევე, არჩევნების მეორე ტურის დანიშვნისას – კენჭისყრის დღემდე, ხოლო შუალედური არჩევნების დროს – შესაბამისი ვადით) მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირი ვალდებულია მომხმარებლისათვის შეთავაზებულ პაკეტში განათავსოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, აგრეთვე საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი, რომელიც მაუწყებლობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან/და რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 20 პროცენტისათვის. აღნიშნული პირი ვალდებულია მაუწყებლების არხები თანაბარი და არადისკრიმინაციული ფინანსური პირობებით მიაწოდოს მომხმარებელს. ამასთანავე, მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირს შეუძლია უფასოდ, შესაბამისი მაუწყებლის ნებართვის გარეშე განახორციელოს ზემოაღნიშნული მაუწყებლობის ტრანზიტი.

საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი ვალდებულება მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულმა პირმა უნდა შეასრულოს არჩევნების თარიღის დანიშვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის მომენტიდან 3 დღის ვადაში. ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებულ პირს დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა.

**არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა.** არჩევნების დანიშვნის დღიდან ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე და ამ დღიდან 1 თვის განმავლობაში არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებისას უნდა მიეთითოს:

- ✎ გამოკითხვის დამკვეთი (სახელწოდება საჯარო ან საარჩევნო რეგისტრაციის მიხედვით და იურიდიული მისამართი, თუ დამკვეთი იურიდიული პირი ან სახელმწიფო ორგანოა; გვარი, სახელი და მისამართი მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით, თუ დამკვეთი ფიზიკური პირია);
- ✎ გამოკითხვა ფასიანია თუ უფასო;
- ✎ ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა გამოკითხვა (სახელწოდება საჯარო ან საარჩევნო რეგისტრაციის მიხედვით და იურიდიული მისამართი);
- ✎ გამოკითხვის თარიღი;
- ✎ გამოკითხვის მეთოდი;
- ✎ გამოკითხვაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება;
- ✎ შესაძლო ცდომილების ფარგლები.

**აკრძალულია კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე** არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება, გარდა არჩევნების შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა.



**მედია მონიტორინგი.** საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და სამაუწყებლო დროის სწორად გამოყენების მიზნით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია უზრუნველყოფს მაუწყებლის მიერ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილ ნორმათა დაცვის მონიტორინგს და ახდენს შესაბამის რეაგირებას სამართალდარღვევის ფაქტებზე.

# საარჩევნო დავები, სტანდარტები და კონფლიქტების მართვა

## საარჩევნო დავები და მისი გადაჭრის მექანიზმები

საარჩევნო დავა არის არჩევნებში ჩართული მხარის მიერ უფლების მოპოვების ან დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით ინიცირებული საჩივარი. იდეალური იქნებოდა, საარჩევნო დავა არ ყოფილიყო, მაგრამ, უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად, დავა შეიძლება მაინც წარმოიშვას, რამდენადაც იგი საარჩევნო პროცესის ბუნებრივი ნაწილია.

საარჩევნო დავების თავიდან ასაცილებლად და გადასაჭრელად არსებობს რამდენიმე ეფექტიანი მექანიზმი:

- ▶) დავების პრევენცია;
- ▶) დავების გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმი;
- ▶) დავების გადაჭრის ფორმალური მექანიზმი.

**დავების პრევენცია**<sup>18</sup>. პრევენცია ნიშნავს წინასწარი ზომების მიღებას რაიმე არასასურველი მოვლენის თავიდან ასაცილებლად. საარჩევნო დავის წარმოშობის რისკის შესამცირებლად მნიშვნელოვანია, წინასწარ განისაზღვროს:

- ↳ მისი წარმოშობის შესაძლო მიზეზები (დავა შეიძლება წარმოიშვას ხარვეზის მქონე საარჩევნო კანონმდებლობის, ადამიანური შეცდომის ან საარჩევნო პროცედურის განზრახ დარღვევის გამო);
- ↳ მისი წარმოშობის შესაძლო პერიოდი (დავა შესაძლებელია წარმოიშვას წინასწარჩევნო პერიოდში, არჩევნების პერიოდში ან არჩევნების შემდგომ პერიოდში),
- ↳ დავაში ჩართული შესაძლო მხარეები (დავაში ჩართულ მხარეებად ძირითადად პოლიტიკური პარტიები, კანდიდატები და დამკვირვებელი ორგანიზაციები გვევლინებიან)<sup>19</sup>.

**დავების გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმი**. საარჩევნო დავის გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმი გულისხმობს დავის სასამართლოს გარეშე, არაფორმალური, არაიურიდიული მეთოდების გამოყენებით მოგვარებას. მაგალითად, დავა მოგვარებულად მიიჩნევა, თუ მოდავე მხარე შეწყვეტს დავას ან გაიზიარებს სადავო სიტუაციას (დავის მოგვარებისთვის საკმარისია მოდავე მხარის მიერ გამოხატული ცალმხრივი ნება). დავა მოგვარებულად მიიჩნევა ასევე იმ შემთხვევაში, თუ მხარეები კომპრომისს მიაღწევენ ან მშვიდობიანად დათანხმდებიან სადავო სიტუაციაზე (დავის მოგვარებისთვის აუცილებელია მოდავე მხარეების მიერ გამოხატული ორმხრივი ნება). დავის გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმის საუკეთესო მაგალითია მოდავე მხარეების მიერ საკითხის გადასაწყვეტად პროცესში მესამე მხარის ჩართვა. ესაა შემთხვევა, როდესაც მხარეები არბიტრს ან მედიატორს მიმართავენ (შუამდგომლობა (მედიაცია) მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს მოდავე მხარეებს საკითხის ისეთ გადაწყვეტაში, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღები იქნება).

დავების გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმის არსებობის მიზანი არ არის მათი გადაჭრის ფორმალური მექანიზმების ჩანაცვლება. დავის გადაჭრის ალტერნატიულ მექანიზმს მოდავე მხარეები მაშინ მიმართავენ, როდესაც სანდოობის დეფიციტია ან სადავო სიტუაცია დროულ რეაგირებას საჭიროებს.

მოდავე მხარეებს დავების გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების შემთხვევაშიც კი აქვთ საშუალება, საჭიროებიდან გამომდინარე, მათი გადაჭრის ფორმალური მექანიზმები გამოიყენონ.

**დავების გადაჭრის ფორმალური მექანიზმი**. საარჩევნო დავის გადაჭრის ფორმალური მექანიზმი გულისხმობს დავის საარჩევნო ადმინისტრაციის, სასამართლო ორგანოების და საერთაშორისო ორგანოების მეშვეობით გადაჭრას.

საარჩევნო დავების გადასაჭრელად მთავრობები სხვადასხვა საკანონმდებლო და პოლიტიკური ტრადიციებით გაჭერებულ მრავალფეროვან მიდგომებსა და მექანიზმებს მიმართავენ. არსებობს საარჩევნო დავების მოგვარების რამდენიმე ყველაზე გავრცელებული მოდელი.

ეს მოდელებია:

- ⊕ საარჩევნო ადმინისტრაცია;
- ⊕ საარჩევნო დავების განმხილველი კომისია;
- ⊕ საარჩევნო ადმინისტრაცია სასამართლოს უფლებამოსილებით – საარჩევნო ტრიბუნალი.

18 Copyright BRIDGE Project 2007 და Electoral Dispute Resolution

19 საარჩევნო დავებში ჩართული მხარეების მიერ განზრახ გამონწველი საარჩევნო დარღვევების პრევენციის ერთ ერთი მექანიზმია ქვეყნის კოდექსის შემოღება.



საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ თანახმად, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საარჩევნო კომისიაში. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში ან რაიონულ/საქალაქო სასამართლოში. სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, თუ მოსარჩელეს არ აქვს გამოყენებული საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში ერთჯერადად ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა (ანუ მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციაში ერთჯერადი გასაჩივრების შემდეგ არის შესაძლებელი, რომ პირმა სასამართლოს მიმართოს). ამასთანავე, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განსაზღვრავს იმ გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება პირდაპირ რაიონულ/საქალაქო სასამართლოში საჩივრდება (მაგალითად, ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმა, დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციაზე უარის თქმა, კენჭისყრის დღის განცხადებებთან/საჩივრებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები და ა. შ.).

საარჩევნო დავების მოგვარების ასეთ, ორსაფეხურიან მექანიზმს თავისი დადებითი მხარე აქვს – ის, ერთი მხრივ, ხელს უწყობს სასამართლოების განტვირთვას, მეორე მხრივ კი, საარჩევნო ადმინისტრაციას აძლევს შესაძლებლობას, გადახედოს საკითხს და, საჭიროების შემთხვევაში, ხარვეზები სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშეც გამოასწოროს.

### **საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებათა გასაჩივრების წესი და ვადები.**

საუბნო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებები მათი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელიც საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს 1 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებები მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში. ცესკოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლო საჩივარს განიხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შეტანიდან 1 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებები გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. თბილისის საქალაქო სასამართლო საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში საჩივრის განხილვის წესი და პირობები.** საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივარი შეტანილად ითვლება შესაბამის საარჩევნო კომისიაში მისი რეგისტრაციის მომენტიდან. საარჩევნო კომისიაში განცხადების/საჩივრის შეტანა არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

საარჩევნო კომისია ვალდებულია მხარეს საქმის განხილვის დრო და ადგილი შეატყობინოს საქმის განხილვის დაწყებამდე არაუგვიანეს 3 საათისა. თუ საჩივრის ავტორია:

- ☑ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაცია ან მისი წარმომადგენელი, საჩივრის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ ეცნობება ამ ორგანიზაციის საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ შესაბამის დამკვირვებელს ან ამ ორგანიზაციას;
- ☑ საარჩევნო სუბიექტი ან მისი დანიშნული წარმომადგენელი, საჩივრის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ ეცნობება ამ სუბიექტის დანიშნულ წარმომადგენელს;
- ☑ საარჩევნო კომისიის წევრი, საჩივრის განხილვის შესახებ პირადად მას უნდა ეცნობოს.

საჩივრის განხილვისთვის მხარეები შეიძლება დაბარებულ იქნენ როგორც წერილობით, ისე ტელეფონით (მათ შორის, მობილური ტელეფონით; მოკლე ტექსტური შეტყობინებით), ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებებით.

ტექნიკური საშუალებებით მხარის დაბარებისას დგება აქტი, რომელიც უნდა დაერთოს საარჩევნო კომისიის სხდომაზე წარმოდგენილ საჩივარს. კომისია გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე. მხარეს უფლება აქვს, საარჩევნო კომისიის რეგლამენტით დადგენილი წესით მიიღოს მონაწილეობა საჩივრის განხილვაში. მხარეს, რომელიც ესწრება კომისიის სხდომას, სხდომის დაწყების წინ უნდა გადაეცეს მისი საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული, კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტების პროექტები და ასლები. მხარის გამოუცხადებლობა არ ქმნის საჩივრის განხილვის გადადების საფუძველს.

მხარეს, რომელიც მონაწილეობს საჩივრის განხილვაში, მისი მოთხოვნის შემთხვევაში საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილება (გარდა კომისიის სხდომის ოქმისა) უნდა ჩაჰბარდეს ამ გადაწყვეტილების მიღების მომდევნო დღის 12 საათამდე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენის ვადების გათვალისწინებით.

საჩივრის განხილვის დროს მხარის საარჩევნო კომისიის სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი დოკუმენტის მისთვის ჩაბარების თარიღი არ არის ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის ვადის ათვლის საფუძველი.

საარჩევნო კომისია ვალდებულია მიღებულ გადაწყვეტილებაში მხარეს მიუთითოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და ადგილი (დანესებულების დასახელება და მისამართი), სადაც შეიძლება მისი გასაჩივრება.

**სასამართლოში სარჩელის განხილვის წესი და პირობები.** სასამართლოში სარჩელი/საჩივარი შეტანილად ითვლება სასამართლოში მისი რეგისტრაციის მომენტიდან. სასამართლოში სარჩელის/საჩივრის შეტანა არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას. სასამართლოში სარჩელის/საჩივრის შეტანის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას/ცესკოს სარჩელის/საჩივრის მიღების შესახებ.

სასამართლო დავას განიხილავს მხარეთა დასწრებით. მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების გამოკვლევის საფუძველზე და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4, მე-17 და მე-19 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით<sup>20</sup>. გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას/ცესკოს გადაწყვეტილების შესახებ. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეებს მომდევნო დღის 12 საათამდე უნდა გადაეცეთ.

## კონფლიქტები საარჩევნო პროცესში და მისი მართვა

არჩევნების შეფასებისა და შედეგების მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცებისათვის, მნიშვნელოვანია საარჩევნო პროცესების სამართლიან და მშვიდ ვითარებაში წარმართვა, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც საარჩევნო პროცესში ჩართულ ყველა მხარეს, აგრეთვე თვითონ საზოგადოებას და ცალკეულ ამომრჩევლებს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ საარჩევნო პროცესში მონაწილე მხარეებმა კარგად გააცნობიერონ მათი წილი პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონის აღსრულებასთან დაკავშირებით და იმოქმედონ შესაბამისად.

მსოფლიოში არსებული საარჩევნო პრაქტიკის გათვალისწინებით, საარჩევნო პროცესების დადგენილი წესით ჩატარებისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ პროცესების მონაწილეთა შორის ეფექტური კომუნიკაცია, კონფლიქტების თავიდან აცილებისა და მათი ეფექტურად მოგვარების უნარი. მხარეებს შორის ელემენტარული უთანხმოება შესაძლოა გახდეს საარჩევნო პროცედურების მნიშვნელოვანი დარღვევის წინაპირობა და დიდი ალბათობაა ამან ხელი შეუშალოს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენას.

კონფლიქტის წარმოშობის წინაპირობა შესაძლებელია გახდეს როგორც საარჩევნო პროცედურების არცოდნა, ასევე არჩევნებში მონაწილე მხარეების მიერ გამოხატული ზედმეტი აგრესია და ურთიერთშორის ცუდი დამოკიდებულება, რომელიც ძირითადად არაერთგვაროვანი პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარეობს. საუბნო საარჩევნო კომისიებში ასევე ხშირია შიდა დაპირისპირებები და უთანხმოება, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება კომისიის გამართულ მუშაობაზე. თუმცა ასევე აღსანიშნავია, რომ კონფლიქტის ძირითად მხარეებად გვევლინებიან ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის დამკვირვებლები და პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები.

<sup>20</sup> მუხლი 4. შეჭიბვითობა და საქმის გარემოებების გამოკვლევა სასამართლოს მიერ; მუხლი 17. მტკიცების ტვირთი; მუხლი 19. მტკიცებულების შეგროვება სასამართლოს მიერ.



პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი ძირითად შემთხვევაში იცავს პარტიულ ინტერესს და მისი მთავარი მიზანია საარჩევნო სუბიექტის გამარჯვება. აღნიშნული მიზნის მიღწევა რიგ შემთხვევებში შესაძლოა გადაიზარდოს აგრესიაში, რომელსაც უარყოფით გავლენას ახდენს საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობაზე და საპასუხო რეაქციის სახით იწვევს უკუ აგრესიას. ამ ვითარებაში რათქმაუნდა შესაძლოა რეალური საფრთხე დაემუქროს ამომრჩევლის თავისუფალი ნების დაფიქსირებას. ამ ვითარებაში საარჩევნო ადმინისტრაცია კარგად უნდა ერკვეოდეს საარჩევნო პროცედურებსა და საკუთარ უფლებებში ვინაიდან სწორად განსაზღვროს, თუ სად გადის ზღვარი საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის უფლებებსა და ადმინისტრაციის მუშაობაში ჩარევას შორის, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია, რომ წარმომადგენელს მიეცეს სრული თავისუფლება რათა განახორციელოს თავისი უფლებები და ადმინისტრაციისგან მიიღოს მაქსიმალური მხარდაჭერა.

საარჩევნო პრაქტიკიდან გამომდინარე, კონფლიქტი ხშირად წარმოიშობა მაშინ, როდესაც დამკვირვებელი ითხოვს კანონით მინიჭებული უფლების განხორციელებას, იგი არ ამტკიცებს თავის უფლებამოსილებას, თუმცა საარჩევნო ადმინისტრაცია აღნიშნულს არასწორად იგებს და არაადეკვატურად პასუხობს თუნდაც ელემენტარულ მოთხოვნაზე.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საკმაოდ სერიოზული უსიამოვნება და ხანდახან კენჭისყრის შეჩერებაც მოყოლია კანონიერ მოთხოვნას – კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის ჩვენების თაობაზე. საარჩევნო ადმინისტრაციამ ნაცვლად იმისა, რომ უპრობლემოდ ეჩვენებინა აღნიშნული წიგნი, დაიწყო გამოკითხვა, თუ რისთვის სჭირდება დამკვირვებელს წიგნის ნახვა, ხშირად ეს მოთხოვნა ინტრიგნობადაც წოდებულა და ამგვარი ურთიერთობა ხდება უთანხმოებისა და დაძაბულობის საფუძველი. ნებისმიერი მსგავსი ფაქტი უარყოფითად აისახება კომისიის მობილიზებულ მუშაობაზე, ვინაიდან პრაქტიკულად 24 საათიან რეჟიმში უწევთ მათ მუშაობა, ხოლო ამგვარი დაძაბულობა იწვევს ზედმეტად გადაღლასა და ხარვეზებს ისეთ მნიშვნელოვან და სკურპულოზურ პროცედურაში როგორცაა ხმების დათვლა და შემაჯამებელი ოქმის შედგენა.

მსგავსი ტიპის პრობლემების მოგვარებაში არსებითი როლი ენიჭება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პროფესიონალიზმს, მის კანონიერ ქმედებას და ურთიერთობის მშვიდობიანად დარეგულირების ტექნიკას. მნიშვნელოვანია თავმჯდომარე კარგად ერკვეოდეს როგორც დამკვირვებლის, ასევე საკუთარი უფლებებში, ის რომ თავმჯდომარე ვალდებულია გააფრთხილოს დამკვირვებელი, თუ იგი ერევა კომისიის მუშაობაში, ხოლო დაუმორჩილებლობის შემთხვევაში თავმჯდომარეს უფლება აქვს კენჭისყრის შენობიდან გააძევოს იგი.

საარჩევნო ადმინისტრაციას, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელსა და დამკვირვებელთან აქტიური ურთიერთობა ძირითადად უწევს კენჭისყრის დღეს, ხოლო კენჭისყრის დღემდე იგი ამომრჩევლებს ემსახურება. ამომრჩევლისა და საარჩევნო ადმინისტრაციის ურთიერთობა უმეტესწილად შემოიფარგლება საარჩევნო სიების დაზუსტებით, კერძოდ გამოტოვებული ამომრჩევლის შეყვანა საარჩევნო სიაში, ამომრჩევლის არასწორი მონაცემების შესწორება და გარდაცვლილ ამომრჩეველთა ამოღება საარჩევნო სიებიდან. უთანხმოების ხშირი საფუძველია ასევე ამომრჩევლის არაკანონიერი მოთხოვნა მისი მეზობლებისა და ნაცნობების სიიდან ამოღების თაობაზე, ვინაიდან ისინი დიდი ხანია იმყოფებიან საზღვარგარეთ, ან არიან გარდაცვლილნი. პრაქტიკაში ყოფილა ხშირი შემთხვევები, როდესაც საარჩევნო ადმინისტრაცია ვერ უმარტავს და უსაბუთებს ამომრჩეველს, თუ რატომ არ შეუძლია მას მოითხოვოს გარდაცვლილი მეზობლის სიიდან ამოღება, ადმინისტრაცია ვერ უსაბუთებს, რომ ამომრჩეველს უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ მისი, ან მისი ოჯახის წევრის თაობაზე არსებული ინფორმაციის შესწორება. ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია ამომრჩეველთა რეგისტრაცია, კერძოდ ამომრჩეველი საკუთარ მისამართზე ნახულობს ისეთ ადამიანს, რომელიც აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობს, თუმცა კი მან არ იცის, რომ ამ ადამიანის რეგისტრაციიდან მოხსნა ბინის მესაკუთრის პრეროგატივაა. ანუ მესაკუთრის მიერ ასეთი პირების რეგისტრაციის მოხსნის გარეშე საარჩევნო ადმინისტრაცია არ არის უფლებამოსილი საარჩევნო სიისგან ამოიღოს ამ კატეგორიის ამომრჩეველი.

ყველაზე მნიშვნელოვან როლს საარჩევნო ადმინისტრაციის გამართულ მუშაობაში თამაშობს საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა შორის ურთიერთობა. შიდა დაპირისპირება ძირითადად პარტიულ კუთვნილებას უკავშირდება და მნიშვნელოვნად ამცირებს კომისიის მუშაობის ხარისხს. ვინაიდან კომისია არის კოლექტიური ორგანო, კოლექტიურად იღებს გადაწყვეტილებას და უშუალო შეხებაშია ამომრჩეველთან, მნიშვნელოვანია, რომ კომისიამ უზრუნველყოს ობიექტური და მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღება. შიდა დაპირისპირება და კონფლიქტები ადმინისტრაციის წევრთა შორის კი პირდაპირპროპორციულად უშლის ხელს ერთსულოვნებას და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნულ საკითხში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული კომისიის ნეიტრალური წევრების ქმედება, ვინაიდან ამ წევრებს არანაირი პარტიული ინტერესი არ გააჩნიათ და მათ მიერ მხარდაჭერილი გადაწყვეტილება ხშირ შემთხვევაში მიუკერძოებელია.



## ქცევითი სტრატეგიები კონფლიქტში, შემუშავებული კ.ტომასის მიერ (1977)

1. **განრიდება.** ამ სტრატეგიას ასევე ეწოდება პრობლემის გაქცევის სტრატეგია. ამ შემთხვევაში ერთ-ერთი მხარე არც კოოპერაციაზეა ორიენტირებული და არც მიზანზე. მოქმედებას წარმართავენ იქითკენ, რომ კონფლიქტს გაექცნენ, გამოვიდნენ კონფლიქტური სიტუაციიდან.
2. **კონკურენცია.** ამ სტრატეგიას ასევე უწოდებენ დომინირებულს, რომელშიც შედის შეჭიბრი, ბრძოლა, თამაში და სხვ. სტრატეგია გულისხმობს ერთი მხარის დომინირებას და უმეტეს შემთხვევაში მეორე მხარის განადგურებას.
3. **თანამშრომლობა.** ამ სტრატეგიას ასევე ინტეგრირებულს უწოდებენ, სადაც მიზნებზე და კოოპერაციაზე ორიენტაცია მაღალი ერთეულებით ხასიათდება. ამ სტრატეგიით მხარეები მოლაპარაკების საფუძველზე თანხმდებიან გადანყვებილებზე, რომელიც ორივე მხარის ინტერესებს დააკმაყოფილებს.
4. **შეგუება.** ამ სტრატეგიას ასევე უწოდებენ დათმობას. ამ შემთხვევაში მიზანზე ორიენტაცია ნაკლებია, ხოლო ურთიერთობაზე ორიენტაცია მაქსიმუმს აღწევს. კოოპერირების შესანარჩუნებლად ერთი მხარე თმობს თავის ინტერესებს, რათა მეორე მხარის კეთილგანწყობა შეინარჩუნოს.
5. **კომპრომისი.** ეს სტრატეგია გულისხმობს რესურსების 50/50 განაწილებას, სადაც მიზანზე და კოოპერაციაზე ორიენტაცია საშუალო დონით ვლინდება. აქ ურთიერთ დათმობა ხორციელდება გარკვეული ხარისხით, ანუ დავის მიზეზი იყოფა ორივე მხარეზე ერთნაირი დოზით. ორივე მხარე ირჩევს საშუალო პოზიციას, სადაც შეთანხმება უშუალო მოლაპარაკებით მიიღწევა. ამ სტრატეგიის ძირითადი ფორმულაა `რამე, რომ მივიღოთ, ყოველმა ჩვენგანმა რაღაც უნდა წააგოს.

## კონფლიქტური სიტუაციების მართვა

როგორც აღვნიშნეთ საარჩევნო პერიოდში ხშირია კონფლიქტური სიტუაციები კანდიდატებს, პარტიებს, დამკვირვებლებს, მოქალაქეებს, მედიასა და საარჩევნო ადმინისტრაციას შორის.

ძირითადად უთანხმოება ხდება კენჭისყრის დღეს. მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილდეს ისეთ საკითხებზე, რომელმაც შესაძლოა წარმოქმნას უთანხმოება, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა პირებმა მკაცრად უნდა აკონტროლონ კენჭისყრის პროცესი, ვინაიდან რიგ შემთხვევებში რთულია დაკვირვების პროცესისა და პროცესში მონაწილეების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. დროულად უნდა იქნეს აღკვეთილი ნებისმიერი ინციდენტი საარჩევნო უბანზე, რადგანაც არ მოხდეს მისი კონფლიქტში გადაზრდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია რამოდენიმე რჩევის გათვალისწინება:

კენჭისყრის დღეს კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნისას აუცილებლად გამოიყენეთ კომპრომისის სტრატეგია. რომლის დროსაც, რომელიღაც მხარე რაღაცას თმობს და ორივე მხარე თანხმდება დროებით გადანყვებილებზე.

- ☞ შეეცადეთ, რომ ოპონენტის ქცევამ არ განსაზღვროს თქვენი ქცევა (არ მოექცეთ ზეგავლენის ქვეშ);
- ☞ მაქსიმალურად გაითვალისწინეთ მოდავე მხარის ინტერესები;
- ☞ გამოხატეთ თქვენი გრძნობები საყვედურების გარეშე;
- ☞ ნუ განავრცობთ საკამათო საკითხს, ისაუბრეთ კონკრეტულ პრობლემებზე;
- ☞ ნუ ჩაუდგებით მონინაალმდეგეს ჭიბრში;
- ☞ შეინარჩუნეთ რაციონალურობა და სიმშვიდე ნებისმიერი კონფლიქტის დროს;
- ☞ ნუ მიიღებთ გადანყვებილებს გაუაზრებლად.

## კონფლიქტის მოგვარების პრაქტიკული უნარები:

- ⊕ კარგი კომუნიკაციის უნარი—აქტიური მოსმენის უნარი და კითხვების სწორად დასმის უნარი.
- ⊕ დიპლომატიური უნარი—ტაქტი საუბრისას, ნდობა, სიმნიფე გადანყვებილების მიღების დროს, ნაჩქარევი დასკვნებისგან თავის შეკავება.
- ⊕ მოლაპარაკების უნარი—საერთო ენის გამონახვა, ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინება, სიტუაციის პრობლემისგან განყენებულად განხილვა.

## კონფლიქტის მოგვარების რვა ნაბიჯი<sup>21</sup>

**ნაბიჯი 1.** განსაზღვრეთ კონფლიქტში ჩართული ადამიანების, თითოეული მხარის პოზიციები (“რას ამბობენ ისინი”).

**ნაბიჯი 2.** გაიგეთ უფრო მეტი თითოეული მხარის უკან მდგომი ნამდვილი მოთხოვნებისა და სურვილების შესახებ.

**ნაბიჯი 3.** დასვით დამაზუსტებელი კითხვები უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად.

**ნაბიჯი 4.** კოლექტიურად განიხილეთ კონფლიქტის მოგვარების შესაძლო ვარიანტები.

**ნაბიჯი 5.** განიხილეთ, თუ როგორ ზეგავლენას მოახდენს კონფლიქტის მოგვარების თითოეული მეთოდი თითოეულ მხარეზე და გამოთვალეთ შესაძლო კომპრომისები.

**ნაბიჯი 6.** შეთანხმდით გამოსავალზე.

**ნაბიჯი 7.** განახორციელეთ შეთანხმებული გამოსავლის გეგმა.

**ნაბიჯი 8.** თუ საჭიროა, გადააფასეთ გამოსავლის ვარიანტები.

## კონფლიქტის გადაწყვეტის ერთობლივი მოდელი<sup>22</sup>

### ნაბიჯი 1: წარდგენა

- ✎ ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც გაამარტივებს პრობლემის გადაწყვეტას
- ✎ პრობლემის არსის განსაზღვრა
- ✎ კონფლიქტის არსებული სიმპტომების დადგენა (შესაძლო დავა ან ინციდენტი)

### ნაბიჯი 2: დიაგნოსტიკა

- ✎ კონფლიქტის მიზეზების დადგენა
- ✎ თითოეული პრობლემის მხარეთა პოზიციების განსაზღვრა
- ✎ მხარეთა ინტერესებისა და საჭიროებების დადგენა თითოეულ საკითხთან დაკავშირებით

### ნაბიჯი 3: გადაწყვეტა

- ✎ ყველა შესაძლო გადაწყვეტილების ჩამოწერა
- ✎ თქვენი იდეების გაზიარება ჯგუფისათვის
- ✎ ჯგუფის თითოეული წევრის მიერ საკუთარი მოსაზრების გამოთქმა პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით
- ✎ გამოთქმული გადაწყვეტილებების ჩამოწერა
- ✎ მსჯელობა თითოეული პრობლემის შესაძლო გადაწყვეტილებაზე, შეფასების გარეშე
- ✎ თითოეული შესაძლო გადაწყვეტილების შესაფასებლად ობიექტური კრიტერიუმის მომზადება, მაგ: პრაქტიკულობა, რამდენად აკმაყოფილებს საჭიროებებს, მიზნებთან კავშირი, მანიფესტაციებთან კავშირი
- ✎ კრიტერიუმის შეთანხმება პრობლემის შესაძლო გადაწყვეტილების შესაფასებლად
- ✎ თითოეული გადაწყვეტილების შეფასება, მათი ერთობლივი შეფასება

### ნაბიჯი 4: შეთანხმება

- ✎ მისაღები სამოქმედო ფაზების განსაზღვრა გადაწყვეტილების შესასრულებლად
- ✎ მისაღები პასუხისმგებლობებისა და ვადების დადგენა
- ✎ მისაღები მონიტორინგისა და უკუკავშირის ფაზების განსაზღვრა

## გამოუვალი სიტუაციის მოგვარება<sup>23</sup>

ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი გამოცდილი მეთოდი, რომლებსაც შეუძლიათ დაგეხმარონ გამოუვალი სიტუაციის მოგვარებაში:

1. **კოალიციის შექმნა** – შექმენით ვალდებულებებზე დაფუძნებული ძლიერი კოალიცია იმათ შორის, ვისაც მოლაპარაკებების შეფასება შეუძლია.
2. **არაოფიციალური არხები** – არაოფიციალურ არხებს, როგორც იყო კემპ დეივიდის “ტყეში გასეირნება”, შეუძლიათ უფრო ოფიციალური არხების შევსება და ყოველთვის შეუძლიათ

21 ბონერის სასწავლო კურსი: კონფლიქტის მოგვარება

22 ამონარიდი “საარჩევნო კონფლიქტების მართვიდან”, მომზადებულია სამხრეთ აფრიკის საარჩევნო ინსტიტუტის მიერ დამოუკიდებელი საარჩევნო კომიტეტისათვის, 1999 წელი .

23 წყარო: ჰარისი, პ. და რაილი, B (ედს.) დემოკრატია და ღრმა ფესვების მქონე კონფლიქტი – ვარიანტები მოლაპარაკების მონაწილეებისთვის საერთაშორისო IDEA (დემოკრატიის და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტი), სტოკჰოლმი, 1998 წ.

მათი შემოვლა. რაც უფრო მეტად გრძელდება მათი არსებობა, მით უფრო ადვილია ისეთი პრობლემის განხილვის გაგრძელება, რომელზეც ოფიციალურად ღიად მოალაპარაკება არ შეიძლება.

3. **ქვეჯგუფები**—როდესაც კონკრეტული დაბრკოლება ქმნის გამოუვალ სიტუაციას დღის წესრიგის რომელიმე პუნქტთან დაკავშირებით, ქვეჯგუფებს ან ქვეკომიტეტებს შეუძლიათ პრობლემის უფრო სწორხაზოვანი (ღია) ტერმინებით განხილვა, ფორმალური მაგიდის ფარგლებს გარეთ.
4. **მედიაცია “მოძრაობაში”** – ერთდროული საუბრები თავმჯდომარეს ან შუამავალს და ერთ მხარეს შორის, რომლებიც ხელს უწყობენ თემასთან დაკავშირებით მოცემული მხარის პოზიციის გარკვევის პროცესს, და ამავე დროს ზუსტად გადმოსცემს სხვა მხარეების პოზიციებს და განმარტავს თითოეული მხარის მოთხოვნილებებს, იმედებს და შესაძლებლობებს გამოუვალ სიტუაციის საკითხის გარშემო.
5. **არაპირდაპირი მოლაპარაკებები**—მხარეების დელეგაციები ერთმანეთთან ახლოს ცხოვრობენ, შესაძლოა, ერთი და იმავე შენობის სხვადასხვა ოთახებში, მაგრამ უკავშირდებიან ერთმანეთს მხოლოდ თავმჯდომარესთან ორმხრივი მოლაპარაკებების მეშვეობით.
6. **რეფერენდუმები, კონსულტაციები და მანდატები**—მხარეები შეიძლება შეეცადონ, რომ შემოთავაზებული სვლის უფრო ფართო მხარდაჭერა მიიღონ, მაგალითად, რეფერენდუმების საშუალებით, სანამ ძალიან შორს წავიდოდნენ საკუთარი ელექტორატის მკაფიო მხარდაჭერის გარეშე.
7. **მოლაპარაკების არაოფიციალური დამატებები** – ქვეყნის უფრო ფართო სამოქალაქო საზოგადოებას, რელიგიური ორგანიზაციების და ლიდერების, საქმიანი წრეების, სასწავლო დაწესებულებების, მშრომელთა წრეების, სამშვიდობო ჯგუფების, საზოგადოებათშორისი კოოპერატიული სანარმოების, და ა. შ. ჩათვლით, შეუძლია თავად მოლაპარაკების პროცესის მხარდაჭერების, ან ალტერნატივის ფუნქცია შეასრულოს.

სასარგებლო იქნებოდა სასწავლო დაწესებულების მომსახურების გამოყენება, მაგალითად, განსახილველი საკითხის გარშემო პრობლემის გადაჭრის შესახებ სემინარის მოსაწყობად, სადაც წარმომადგენელთა მცირე ჯგუფს შეუძლია შეიკრიბოს თემის ნეიტრალურ გარემოში განსახილველად და ეცადოს, რომ გამოიყენოს ერთობლივი ანალიზი გამოუვალ სიტუაციის ახალი ალტერნატივების შესაქმნელად. ამგვარი არაოფიციალური სუბიექტების გამოყენების შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა არის ხელმისაწვდომი მოცემულ სიტუაციაში. მაგრამ მხარეებმა უნდა იცოდნენ ამ პერსპექტივების შესახებ, მზად იყვნენ მათი გამოყენების შესაძლებლობებისთვის და, საერთოდ, დააკვირდნენ ნებისმიერ დამატებით ხელმისაწვდომ საშუალებებს, რომლებიც შეავსებს უფრო მეტ ოფიციალურ პროცესს მოლაპარაკებების ადგილზე.

## **საარჩევნო დავების საერთაშორისო სტანდარტები**

საარჩევნო დავების გადაწყვეტა მოიცავს საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც მოძიებულ უნდა იქნეს საარჩევნო უფლებებისა და წესების, კანონის სათანადო აღსრულებასთან და სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული უფლებების უფრო ფართო სპექტრში.

ხმის მიცემასთან დაკავშირებული უფლებების აღიარება, მოითხოვს იურიდიული ან ადმინისტრაციული რეაგირების ზომების არსებობას, ამ უფლებების პოტენციური დარღვევის შემთხვევებისათვის. ამდენად არჩევნებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების, მოქმედებებისა თუ უმოქმედობის გასაჩივრების უფლება, შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ამ უფლებების ნაწილი.

თუმცა, შესაბამისი რეაგირების მოთხოვნის უფლებას ნაკლები ფასეულობა გააჩნია, სხვა ფაქტორებთან ერთად, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის გარეშე, რომელსაც შეუძლია კანონის სამართლიანად და ეფექტურად აღსრულება. აღნიშნული ასევე ნიშნავს იმას, რომ კანონის სათანადოდ აღსრულებისათვის უნდა გამოიყენებოდეს შესაბამისი სამართლიანი პროცედურები, მათ შორის, მოპასუხისათვის შეტყობინების გაგზავნა, ღია სასამართლო განხილვა კომპეტენტური სასამართლოს მიერ და დამცველის მომსახურებით სარგებლობის უფლება.

საარჩევნო დავების საერთაშორისო სტანდარტები ეყრდნობა, უპირველეს ყოვლისა, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ვალდებულებებს და, ზოგადად მიღებულ საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც შემუშავებულია საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებზე დაყრდნობით, როგორცაა, მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (1966) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებლებათა დაცვის ევროპული კონვენცია (1950) და მისი შესაბამისი ოქმები და სხვა.



# ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

## ზოგადი ინფორმაცია

თვითმმართველი ერთეული არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს კანონით დადგენილი უფლებამოსილებანი, საკუთარი ქონება და ბიუჯეტი. თვითმმართველი ერთეული, ანუ მუნიციპალიტეტი შეიძლება იყოს დასახლება (თვითმმართველი ქალაქი) ან დასახლებათა ერთობლიობა (თვითმმართველი თემი).

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელწოდებით ფუნქციონირებენ: ასამბლეა (იაპონია, პორტუგალია), საკრებულო (ბულგარეთი, გერმანია, ესტონეთი), საგრაფოს საბჭო (აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ლუქსემბურგი), თემის და საქალაქო საბჭო (ავსტრია, ავსტრალია, ბელგია, ირანი), მუნიციპალური საბჭო (დანია, მექსიკა, პოლანდია). მათ ქვეყნების დიდ ნაწილში შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობა პირდაპირი და საყოველთაო არჩევნების საფუძველზე ირჩევა.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების უფლებამოსილების ვადა ძირითადად 2-დან 4 წლამდე მერყეობს (ბრაზილია, ბულგარეთი, დანია, ნორვეგია, შვეიცარია). ზოგიერთ შემთხვევაში მათი უფლებამოსილების ვადა 5 ან სულაც 6 წელია. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების წევრთა რაოდენობა დადგენილია ეროვნული კანონმდებლობით, რომელიც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიის ფართობისა და მოსახლეობის რაოდენობის პროპორციის გათვალისწინებით მის მაქსიმალურ და მინიმალურ ფარგლებს განსაზღვრავს. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, როგორც წესი, ერთპალატიანია. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით წარმომადგენლობითი წევრობა საზოგადოებრივ საწყისებზე ხორციელდება, ზოგან კი ანაზღაურებად საქმიანობად არის მიჩნეული და სხავ საქმიანობის შეთავსება აკრძალულია.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს დამხმარე სტრუქტურებია მუდმივი ან დროებითი კომისიები (კომიტეტები), რომლებიც ამ ორგანოს კომპეტენციის ფარგლებში, დარგობრივი პრინციპით იქმნება. ამასთანავე, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის კონტროლის მიზნით ცალკეულ ქვეყნებში (ესტონეთი, ლატვია) საკრებულოებთან იქმნება სარევიზიო თუ აუდიტორული კომისიები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტი საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასა და თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ერთ-ერთი წამყვანი ინსტიტუტია. მისი მეშვეობით მოქალაქეებს აქვთ უფლება და შესაძლებლობა, საკუთარი პასუხისმგებლობით, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. ამ ინსტიტუტისადმი საზოგადოების ნდობა უფრო და უფრო ძლიერდება.

## ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს არჩევნები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნები ტარდება 4 წელიწადში ერთხელ<sup>24</sup>. არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 60 დღისა<sup>25</sup>.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების დანიშვნის შესახებ ცნობა ქვეყნდება ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე და პრესითა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, არჩევნების დანიშნიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა.

**აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება.** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი (ასაკობრივი ცენზი) და საქართველოში მუდმივად უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში, მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წელს მაინც (ბინადრობის ცენზი).

<sup>24</sup> საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნები არ ტარდება.

<sup>25</sup> მორიგი არჩევნები ჩატარდება შესაბამისი ბოლო არჩევნებიდან სრული 3 წლის გასვლის შემდეგ, მე-4 წლის ოქტომბერში.

საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება იმავდროულად იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი ან თვითმმართველი ქალაქის/თემის მერი/გამგებელი (შეუთავსებლობის ცენზი). კანდიდატზე ასევე ვრცელდება კანდიდატის სტატუსთან შეუთავსებლობის ცენზი.

აქტიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი და რომლის რეგისტრაციის ადგილი მიეკუთვნება შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ საზღვრებს, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციით ან/და მის შესაბამისად საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შეზღუდული აქვთ აქტიური საარჩევნო უფლება. ამასთანავე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში არ მონაწილეობენ არჩევნების დანიშვნის დღისთვის საქართველოს საზღვრების გარეთ მუდმივად მცხოვრები ამომრჩევლები, აგრეთვე არჩევნების დღეს საქართველოს საზღვრების გარეთ დროებით მყოფი ამომრჩევლები (რაც გულისხმობს იმას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნება არ იქმნება), ხოლო საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამხედრო (გასამხედროებული) ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობენ სამხედრო ნაწილის განლაგების ადგილის მიხედვით.

**საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები.** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის ყოველი დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეული წარმოადგენს ერთ საარჩევნო ოლქს, რაც შეეხება ქალაქ თბილისს, თბილისის საკრებულოს პროპორციული წესით ჩასატარებელი არჩევნებისათვის, აქ იქმნება 10 საარჩევნო ოლქი (მთაწმინდის, ვაკის, საბურთალოს, კრწანისის, ისნის, სამგორის, ჩუღურეთის, დიდუბის, ნაძალადევის, გლდანის).

ცესკო არჩევნების დანიშვნის დღიდან 2 დღის ვადაში თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ცნობას საარჩევნო ოლქების შესახებ, მათი საზღვრების მითითებით. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებს ქმნიან და მათ საზღვრებს აზუსტებენ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიები არჩევნების დანიშვნის დღიდან 2 დღის ვადაში, შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული და ადმინისტრაციული თავისებურებების გათვალისწინებით.

საოლქო საარჩევნო კომისიები ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების შესახებ ცნობას, მათი საზღვრების მითითებით, ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებენ არჩევნების დანიშვნის დღიდან 3 დღის ვადაში.

**საარჩევნო სისტემა.** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნები ტარდება შერეული საარჩევნო სისტემით (პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემების საფუძველზე).




**თვითმმართველი თემის საკრებულო** შედგება პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისა და შესაბამის ტერიტორიაზე არსებული ყველა თემიდან და ქალაქიდან მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული თითო წევრისაგან.

**თვითმმართველი ქალაქის (გარდა თბილისისა) საკრებულო** შედგება:

- ▣ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისა და პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისაგან, თუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 75 000-ს აღემატება;
- ▣ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 5 წევრისა და პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისაგან, თუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 75 000-ს არ აღემატება.

**თბილისის საკრებულო** შედგება 50 წევრისაგან, რომელთაგან 25 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო 25 წევრი – პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს:

-  საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას;
-  საარჩევნო ბლოკს;
-  პარტიის/საარჩევნო ბლოკის/ამომრჩეველთა 5-კაციანი საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატს, რომელიც რეგისტრირებულია შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში<sup>26</sup>.

ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ადგილობრივი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მხარდამჭერ ამომრჩეველთა 1 პროცენტის (არანაკლებ 50 ამომრჩევლის) ხელმოწერებით.

**პარტიების/საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია.** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ:

- ⇒ რომელიც რეგისტრირებული იყო ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას, ან რომელსაც არჩევნების დანიშნვის დღისთვის ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში (პარტიის წარმომადგენლად მიიჩნევა პარლამენტის წევრი, რომელიც არჩეულია შესაბამისი პარტიის ან საარჩევნო ბლოკის (რომელშიც ეს პარტია იყო გაერთიანებული) წარდგენით) თავისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს არჩევნების დანიშნვის შემდეგ, მაგრამ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა;
- ⇒ რომელიც რეგისტრირებული არ იყო ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას, ან, რომელსაც არჩევნების დანიშნვის დღისთვის არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, თავისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს არჩევნების წლის 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე. ამ შემთხვევაში ცესკოს სათანადო სამსახური განცხადების მიღებისთანავე პარტიის წარმომადგენელს გადასცემს მხარდამჭერთა სიის ნიმუშებს.

პარტია ვალდებულია მხარდამჭერთა სიის ნიმუშის მიღებიდან 60 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 15 აგვისტოსი, ცესკოს წარუდგინოს საკრებულოს არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერი სულ ცოტა 1 000 ამომრჩევლის სია, თუ იგი კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტია (იღებს დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან), ხოლო თუ იგი არ არის კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი – სულ ცოტა 25000 (ეს რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 1%-ს) ამომრჩევლის სია.

მხარდამჭერთა სიას ცესკოს სათანადო სამსახური ამოწმებს 10 დღის ვადაში, ხოლო საარჩევნო პერიოდში - წარდგენიდან 2 დღის ვადაში და დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს.

ცესკოს თავმჯდომარე დასკვნის წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს, თუ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, ან წერილობით აცნობებს პარტიის წარმომადგენელს დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პარტიას მიეცემა 2 დღე განცხადებისა და საბუთების სრულყოფისთვის. შესწორებული განცხადება და საბუთები უნდა შემოწმდეს და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი უნდა გადაწყდეს მათი წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა.

თუ შესწორებული განცხადება და საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა.

პარტიის/პარტიების რეგისტრაციის პროცედურა მთავრდება არჩევნების დღემდე 37-ე დღეს.

<sup>26</sup> ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის და მის მიერ წარდგენილი კანდიდატის რეგისტრაცია, მისთვის რიგითი ნომრის მინიჭება რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის დადგენილი ნორმების შესაბამისად.



ცესკოს თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებულ პარტიებს უფლება აქვთ, შექმნან საარჩევნო ბლოკი და გავიდნენ ბლოკიდან. საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთვის არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 43-ე დღისა ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარედგინოს ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირების მიერ ხელმოწერილი განცხადება და საარჩევნო ბლოკის წესდება. საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციის პროცედურა მთავრდება არჩევნების დღემდე 37-ე დღეს.

პარტიას, რომელმაც გაიარა საარჩევნო რეგისტრაცია, უფლება აქვს, საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე გაერთიანდეს რეგისტრირებულ საარჩევნო ბლოკში, რისთვისაც ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარუდგინოს სათანადო განცხადება და საარჩევნო ბლოკის თანხმობა.

საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთანავე ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით უფლებამოსილება უწყდებათ ბლოკში გაერთიანებული პარტიების წარმომადგენლებს ყველა საარჩევნო კომისიაში, ხოლო საარჩევნო ბლოკს შეუძლია დანიშნოს 2 წარმომადგენელი თითოეულ საარჩევნო კომისიაში.

პარტიული სიების/კანდიდატების წარდგენის **ვადის ამოწურვამდე** საარჩევნო ბლოკიდან პარტიის/პარტიების გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში თითოეულ მათგანს უფლება აქვს, გააგრძელოს არჩევნებში მონაწილეობა. თუ ამის გამო ბლოკში მხოლოდ ერთი პარტია დარჩა, ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით უქმდება საარჩევნო ბლოკის რეგისტრაცია და მასში ადრე შემავალ პარტიებს უფლება ექნებათ, გააგრძელონ არჩევნებში მონაწილეობა.

პარტიული სიების/კანდიდატების წარდგენის **ვადის ამოწურვის შემდეგ** საარჩევნო ბლოკიდან პარტიის გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით უქმდება ამ პარტიის საარჩევნო რეგისტრაცია. თუ ამის გამო ბლოკში მხოლოდ ერთი პარტია დარჩა, ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით უქმდება საარჩევნო ბლოკის რეგისტრაცია და დარჩენილი პარტია ხდება ბლოკის უფლებამონაცვლე.

არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა ცესკო თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს რეგისტრირებული პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სიას განცხადებების წარდგენის რიგის მიხედვით, აგრეთვე იმ პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე ან რომელთა რეგისტრაციაც გაუქმდა.

**პარტიული სიების წარდგენა.** პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიები და საარჩევნო ბლოკები რეგისტრაციის შემდეგ, კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 30 დღისა, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენენ პარტიულ სიებს, ხოლო პროპორციული წესით თბილისის საკრებულოს წევრთა მანდატების მისაღებად პარტიულ სიებს პარტია, საარჩევნო ბლოკი წარუდგენს ცესკოს.




არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს, წარადგინოს თითო პარტიული სია. პარტიული სია დამოწმებული უნდა იყოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის ხელმძღვანელის, ხოლო საარჩევნო ბლოკის შემთხვევაში – ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის ხელმძღვანელთა ხელმოწერებით.

პარტიულ სიას უნდა ერთოდეს ყოველი კანდიდატის ორი ფოტოსურათი და მის მიერ ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი (ორ ცალად) შევსების თარიღის მითითებით. სააღრიცხვო ბარათში კანდიდატის საანკეტო მონაცემებთან (სახელი, გვარი, საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით), დაბადების თარიღი) ერთად მითითებული უნდა იყოს საქართველოში 5 წლის, მათ შორის, ბოლო 2 წლის, განმავლობაში მისი მუდმივად ცხოვრების ფაქტი და თანხმობა ამ პარტიული სიით კენჭისყრაზე.

წარდგენილ პარტიულ სიაში საკრებულოს წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს ამ რაოდენობის სამმაგ ოდენობას, ხოლო თბილისის საკრებულოში პროპორციული წესით ასარჩევი კანდიდატების პარტიული სია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 50 და არა უმეტეს 100 კანდიდატისაგან.

პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავენ პარტიები და საარჩევნო ბლოკები. პარტიული სიის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ არჩევნების შედეგების მიხედვით პარტიის, საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატები ნაწილდება თანამიმდევრობით, სიის დასაწყისიდან რიგის მიხედვით, და გენდერული ბალანსის დაცვა უკავშირდება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დამატებით დაფინანსებას.

საკრებულოს წევრობის კანდიდატთა წარდგენა მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრის არჩევნებში შესაბამის საარჩევნო ოლქში კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ:

-  არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას;
-  საარჩევნო ბლოკს;
-  ამომრჩეველთა 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს.

საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენის მიზნით არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიამ/საარჩევნო ბლოკმა სანადო განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა<sup>27</sup>.



ხოლო, საკრებულოს წევრობის კანდიდატის წარდგენის მიზნით ამომრჩეველთა 5 კაციანმა საინიციატივო ჯგუფმა კენჭისყრამდე არა უგვიანეს 57-ე დღისა განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას, რის შემდეგაც უფლება აქვს, შეაგროვოს მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერები. განცხადების წარდგენისთანავე საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს გადაეცემა კანდიდატის მხარდამჭერთა სიის ბლანკები (ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ადგილობრივი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მხარდამჭერ ამომრჩეველთა 1 პროცენტის (არანაკლებ 50 ამომრჩევლის) ხელმოწერით).

განცხადებას, რომელსაც ხელს აწერს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრი, უნდა ერთოდეს საკრებულოს წევრობის კანდიდატად წარდგენილი პირის წერილობითი თანხმობა არჩევნებში მონაწილეობაზე, მისი პირადობის მოწმობის ფოტოასლი, ორი ფოტოსურათი და მის მიერ ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი (ორ ცალად).

საკრებულოს წევრობის კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა კენჭისყრამდე არაუგვიანეს 50-ე დღისა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს ცესკოს განკარგულებით დადგენილი კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიის არანაკლებ მინიმალური ოდენობისა. წარდგენილი მხარდამჭერთა სიის შემოწმება ხდება საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით 3 დღის ვადაში.

**პარტიული სიების, ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი საკრებულოს წევრობის კანდიდატების რეგისტრაცია.** საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ საკრებულოს წევრობის კანდიდატს განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა.

პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი პარტიული სიის, საკრებულოს წევრობის კანდიდატის რეგისტრაციისათვის წარდგენილ განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტებს, საბუთების წარდგენიდან 2 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 28-ე დღისა, ამოწმებს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რომელიც:

-  საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიულ სიას, საკრებულოს წევრობის კანდიდატს, თუ წარდგენილი საბუთები აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს;
-  წერილობით აცნობებს საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებასა და თანდართულ საბუთებში არსებული მონაცემების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით).

შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, განცხადებასა და თანდართულ საბუთებში არსებული მონაცემების შეუსაბამობის შემთხვევაში, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს დოკუმენტაციის სრულყოფისთვის განუსაზღვრავს 2 დღეს.

<sup>27</sup> განცხადება დამოწმებული უნდა იყოს პარტიის ან საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული ყველა პარტიის უფლებამოსილი პირების ხელმოწერებით.

შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, შესწორებული მონაცემების წარდგენის შემთხვევაში, საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი უნდა გადაწყვიტოს დოკუმენტაციის წარდგენიდან 3 დღის ვადაში.

თუ შესწორებული მონაცემები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, საარჩევნო რეგისტრაციაში უნდა გაატაროს საკრებულოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატი, პარტიულ სია ან მისი ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს (თუ სიის ამ ნაწილში კანდიდატთა რაოდენობა დადგენილ მინიმუმზე ნაკლები არ არის).

თუ შესწორებული მონაცემები არ შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ იმავე ვადაში უნდა გამოსცემს განკარგულება საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განკარგულება და მოთხოვნისთანავე უნდა გადაეცეს).

საკრებულოს წევრობის კანდიდატის/კანდიდატების რეგისტრაციის შემდეგ, შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ 3 დღის ვადაში უნდა გასცეს კანდიდატის მოწმობები.

საბუთების წარდგენისთვის კანონით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში პარტიული სიის/ მაჟორიტარი კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი არ განიხილება. ამასთან კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, ხოლო რეგისტრირებული კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით თუ საარჩევნო კომისიისთვის წარდგენილი განცხადებები და საბუთები არ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ ყველა მოთხოვნას ან დარღვეულია კანონით დადგენილი სხვა პირობები.

**საკრებულოს წევრობის კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება.** პარტიას/ საარჩევნო ბლოკს/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს, რეგისტრაციის შემდეგ, კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 10 დღისა გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება კანდიდატის წარდგენის შესახებ. კანდიდატს შეუძლია კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 10 დღისა მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას (აღნიშნული წესები არ ვრცელდება არჩევნების მეორე ტურზე).

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას/საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს, არჩეული საკრებულოს წევრების უფლებამოსილების ცნობის შემდეგ გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება პარტიულ სიაში დარჩენილი საკრებულოს წევრობის კანდიდატის წარდგენის შესახებ. პარტიას/ საარჩევნო ბლოკს უფლება არა აქვს პარტიულ სიაში დარჩენილი საკრებულოს წევრობის კანდიდატის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილება გააუქმოს ამ სიით არჩეული საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისას მისი ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობამდე.

საკრებულოს წევრობის კანდიდატს შეუძლია არჩეული საკრებულოს წევრების უფლებამოსილების ცნობის შემდეგ მოხსნას თავისი კანდიდატურა პარტიული სიიდან, რისთვისაც სათანადო განცხადება უნდა წარუდგინოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

საკრებულოს წევრობის კანდიდატი პარტიული სიიდან მოიხსნება შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით, განცხადების წარდგენიდან 3 დღის ვადაში. თუ განცხადება ამ ვადაში არ დაკმაყოფილდა, საკრებულოს წევრობის კანდიდატი პარტიული სიიდან მოხსნილად ჩაითვლება აღნიშნული ვადის ამოწურვის მომდევნო დღიდან. კანდიდატის რეგისტრაციის, კანდიდატის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე შესაბამისი საარჩევნო კომისია დაუყოვნებლივ აქვეყნებს ცნობას ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

**ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება**

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის რეგისტრირებული ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით:

- ⇒ საკუთარი განცხადების საფუძველზე;
- ⇒ თუ რეგისტრაციაში არ გატარდა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი საკრებულოს წევრობის კანდიდატი, ან თუ გაუქმდა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი საკრებულოს წევრობის კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაცია;
- ⇒ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფიდან ყველა წევრის გასვლის შემთხვევაში.



**საარჩევნო ბიულეტენი.** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის მზადდება ორი სხვადასხვა სახის საარჩევნო ბიულეტენი. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოს არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში შეიტანება პარტიების/საარჩევნო ბლოკების სახელწოდებები (ბლოკის სახელწოდების შემდეგ მითითებული უნდა იყოს მასში გაერთიანებულ პარტიათა სახელწოდებები) დადგენილი რიგითობის შესაბამისად. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოს არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში შეიტანება შესაბამის ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში ასარჩევად წარდგენილი ყველა კანდიდატის რიგითი ნომერი, სახელი და გვარი პარტიის ან საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი კანდიდატის გვართან მიეთითება შესაბამისი პარტიის ან საარჩევნო ბლოკის სახელწოდება, ხოლო ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატის გვარის გასწვრივ მიეთითება „დამოუკიდებელი“.

## **ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოთა არჩევნების შედეგების შეჯამება**

საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ საჩივრების განხილვის შედეგების გათვალისწინებით ადგენს და აჯამებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემებით ჩატარებული არჩევნების შედეგებს.

თბილისის საკრებულოს პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შემაჯამებელი საარჩევნო კომისიის ფუნქციებს ახორციელებს ცესკო, ხოლო თბილისის საკრებულოს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგებს აჯამებს და ადგენს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

**მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ჩატარებული არჩევნების შედეგების დადგენა.** მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც შესაბამის ადგილობრივ მაჟორიტარულ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში სხვებზე მეტ ხმას მიიღებს.

თუ არჩევნებში მონაწილე ორმა კანდიდატმა მიიღო ხმათა თანაბარი რაოდენობა, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში უფრო ადრე წარადგინა განცხადება რეგისტრაციის შესახებ.

**პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ჩატარებული არჩევნების შედეგების დადგენა.** პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გამრავლდეს საარჩევნო ოლქში პროპორციული წესით გასანაწილებელი მანდატების რაოდენობაზე და უნდა გაიყოს იმ პარტიების/საარჩევნო ბლოკების მიერ მიღებული ხმების რაოდენობათა ჯამზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 4 პროცენტისა. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

თუ საარჩევნო ოლქში პარტიული სიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი მანდატების საერთო რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი, პირველ რიგში, თანამიმდევრობით მიეკუთვნება უკეთესი შედეგის მქონე იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც ვერ მოიპოვეს მანდატი, მაგრამ მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 4%-ისა. თუ ამის შემდეგ კიდევ დარჩება გაუნაწილებელი მანდატი (მანდატები), თითო მანდატი თანამიმდევრობით მიეკუთვნება იმ პარტიულ სიებს, რომლებსაც ერთი მანდატი მაინც ჰქონდათ მოპოვებული და სხვებზე დიდი ნაშთი აქვთ.

არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

თუ მანდატების განაწილების პირველივე ეტაპზე ვერცერთმა პარტიულმა სიამ ვერ მოიპოვა მანდატი, თითო მანდატი მიეკუთვნება პროპორციული წესით გასანაწილებელი მანდატების რაოდენობის შესაბამის იმ სუბიექტებს, რომლებმაც სხვებზე მეტი ხმა მიიღეს.

თუ იმ 2 ან 2-ზე მეტი პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობები, რომელთაც უნდა გადაეცეთ ერთი მანდატი თანაბარი აღმოჩნდება, მანდატი იმ პარტიულ სიას მიეკუთვნება, რომელმაც საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია.

პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოში არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომელთა რიგითი ნომრებიც პარტიულ სიაში ნაკლებია ან ტოლია ამ პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობისა.

თუ საკრებულოს წევრობის კანდიდატი არჩეულია როგორც ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან, ისე პარტიული სიით, მაშინ იგი ითვლება ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეულად, ამოიღება პარტიული სიიდან და სიაში კანდიდატის წანაცვლება განხორციელდება ამ კანონით დადგენილი წესით. არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 10 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისია ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ცნობას შესაბამის საარჩევნო ოლქში გამართული არჩევნების შედეგების შესახებ.

**განმეორებითი და ხელახალი კენჭისყრები.** თუ საარჩევნო უბანში ბათილად იქნა ცნობილი კენჭისყრა, ცესკო ნიშნავს განმეორებით კენჭისყრას, რომელიც უნდა გაიმართოს კენჭისყრის დღიდან 2 კვირის ვადაში. განმეორებითი კენჭისყრა მხოლოდ იმ შემთხვევაში იმართება, თუ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში – საკრებულოში ასარჩევ შესაბამისი რაოდენობის კანდიდატთაგან ბოლო საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატისა და მომდევნო შედეგის მქონე კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა შორის სხვაობა ამ საარჩევნო უბნის ან გაბათილებული საარჩევნო უბნების ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე ნაკლებია.

განმეორებითი კენჭისყრისას საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების გაბათილების შემთხვევაში შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო ოლქში ჩატარებული არჩევნების შედეგებს აჯამებს ამ უბნის გაუთვალისწინებლად. თუ საარჩევნო ოლქში ბათილად იქნა ცნობილი არჩევნები, 2 კვირის ვადაში იმართება ხელახალი კენჭისყრა.

**ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად არჩეულთა რეგისტრაცია.** არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რეგისტრაციაში ატარებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად არჩეულ პირებს და გადასცემს მათ შესაბამის მოწმობებს.

**ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს პირველი სხდომის მოწვევა.** საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს პირველ სხდომას ინვესტ ცესკო არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 30 დღის ვადაში.

**საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესი.** თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, შესაბამის საკრებულოში მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს მისი ადგილმონაცვლე, იმავე პარტიულ სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი, თუ მან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის შეტყობინებიდან 10 დღეში თანხმობა განაცხადა საკრებულოს წევრობაზე. თუ წარდგენილ პარტიულ სიაში კანდიდატი აღარ არის, მანდატი უქმდება.

თუ საკრებულოს გამოკლებული წევრი არჩეული იყო საარჩევნო ბლოკის პარტიული სიით და პარტიულ სიაში აღნიშნული იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკის სუბიექტი ერთ-ერთი პარტიის წევრია, მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს პარტიულ სიაში იმავე პარტიის რიგით მომდევნო საკრებულოს წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 10 დღეში თანხმობა განაცხადა საკრებულოს წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს პარტიულ სიაში იმავე პარტიის რიგით მომდევნო კანდიდატი და ა. შ. თუ პარტიულ სიაში აღნიშნული არ იყო, რომ საკრებულოს გამოკლებული წევრი საარჩევნო ბლოკის სუბიექტი ერთ-ერთი პარტიის წევრია, მის ადგილს იკავებს სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი.

**შუალედური არჩევნები.** თუ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით ტარდება შუალედური არჩევნები.

შუალედური არჩევნები ტარდება უახლოეს მაისში ან ოქტომბერში, იმ პირობით, რომ შესაბამისი თვის ბოლომდე 60 დღე მაინც არის დარჩენილი. შუალედური არჩევნები არ ტარდება, თუ საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 1 წელზე ნაკლებია დარჩენილი. არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 50-ე დღისა ცესკო განკარგულებით ნიშნავს შუალედური არჩევნების თარიღს და განკარგულებითვე ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა ვადებს.

შუალედურ არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატი იკავებს შესაბამისი საკრებულოს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული გამოკლებული წევრის ადგილს საკრებულოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით. თუ საკრებულოს გამოკლებული წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის პარტიული სიით, შუალედური არჩევნები არ გაიმართება და შესაბამის საკრებულოში მის ადგილს 2 კვირის ვადაში დაიკავებს მისი ადგილმონაცვლე, იმავე პარტიულ სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი, თუ მან ცესკოს შეტყობინებიდან 10 დღეში თანხმობა განაცხადა საკრებულოს წევრობაზე. თუ წარდგენილ პარტიულ სიაში კანდიდატი აღარ არის, მანდატი უქმდება.

თუ საკრებულოს გამოკლებული წევრი არჩეული იყო საარჩევნო ბლოკის პარტიული სიით და პარტიულ სიაში აღნიშნული იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკის სუბიექტი ერთ-ერთი პარტიის წევრია, მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს პარტიულ სიაში იმავე პარტიის რიგით მომდევნო საკრებულოს წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 10 დღეში თანხმობა განაცხადა საკრებულოს წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს პარტიულ სიაში იმავე პარტიის რიგით მომდევნო კანდიდატი და ა.შ. თუ პარტიულ სიაში აღნიშნული არ იყო, რომ საკრებულოს გამოკლებული წევრი საარჩევნო ბლოკის სუბიექტი ერთ-ერთი პარტიის წევრია, მის ადგილს იკავებს სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი.

**რიგგარეშე არჩევნები.** საკრებულოს ვადამდე დათხოვნის/უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ტარდება შესაბამისი საკრებულოს რიგგარეშე არჩევნები. რიგგარეშე არჩევნები არ ტარდება, თუ საკრებულოს ვადამდე დათხოვნის/უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მომენტში შესაბამისი საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 1 წელზე ნაკლებია დარჩენილი.

საკრებულოს რიგგარეშე არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერმინისტრის კონტრასიგნაციით, საკრებულოს ვადამდე დათხოვნის/უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის ამოქმედებიდან არაუადრეს მე-8 და არაუგვიანეს მე-10 დღისა. არჩევნები ტარდება არჩევნების დანიშნიდან არაუგვიანეს 50-ე დღისა, არჩევნების ჩატარების ვადებს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 49-ე დღისა განკარგულებით ადგენს ცესკო.

რიგგარეშე არჩევნებში საკრებულო აირჩევა შესაბამისი საკრებულოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

## **თვითმმართველი ქალაქის მერის (თვითმმართველი თემის გამგებლის) არჩევნები**

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის/გამგებლის მორიგი არჩევნების დანიშვნა. თვითმმართველი ქალაქის მერი, თვითმმართველი თემის გამგებელია ირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით 4 წელიწადში ერთხელ.

მორიგი არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 60 დღისა.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა არჩევნების დანიშვნის შესახებ ცნობა ქვეყნდება ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე და პრესითა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, არჩევნების დანიშნიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა.

**აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება.** ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს – თვითმმართველი ქალაქის მერად, თვითმმართველი თემის გამგებლად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 25 წელი (ასაკობრივი ცენზი) და საქართველოში მუდმივად უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში, მათ



შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წელს მაინც (ბინადრობის ცენზი). საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება იმავდროულად იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი ან თვითმმართველი ქალაქის/თემის მერი/გამგებელი (შეუთავსებლობის ცენზი). კანდიდატზე ასევე ვრცელდება კანდიდატის სტატუსთან შეუთავსებლობის ცენზი.

აქტიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი და რომლის რეგისტრაციის ადგილი მიეკუთვნება შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ საზღვრებს, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციით ან/და მის შესაბამისად საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შებღვადული აქვთ აქტიური საარჩევნო უფლება. ამასთანავე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში არ მონაწილეობენ არჩევნების დანიშვნის დღისთვის საქართველოს საზღვრების გარეთ მუდმივად მცხოვრები ამომრჩევლები, აგრეთვე არჩევნების დღეს საქართველოს საზღვრების გარეთ დროებით მყოფი ამომრჩევლები (რაც გულისხმობს იმას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნება არ იქმნება), ხოლო საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამხედრო (გასამხედროებული) ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობენ სამხედრო ნაწილის განლაგების ადგილის მიხედვით.

**საარჩევნო ოლქები.** ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს – თვითმმართველი ქალაქის მერის, თვითმმართველი თემის გამგებლის არჩევნებისთვის ყოველი დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეული წარმოადგენს ერთ საარჩევნო ოლქს (თბილისის მერის არჩევნებისათვის თბილისი არის ერთი საარჩევნო ოლქი, რომლის საზღვრები ემთხვევა თბილისის თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ საზღვრებს და ამ საზღვრებში შექმნილი საარჩევნო ოლქების (მთაწმინდის, ვაკის, საბურთალოს, კრწანისის, ისნის, სამგორის, ჩუღურეთის, დიდუბის, ნაძალადევის, გლდანის) საზღვრებს.

**არჩევნებში მონაწილეობის უფლება.** მერობის/გამგებლობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას/საარჩევნო ბლოკს<sup>28</sup>.

**მერობის/გამგებლობის კანდიდატთა წარდგენა.** მერის/გამგებლის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიამ/საარჩევნო ბლოკმა<sup>33</sup> კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 30 დღისა მერობის/გამგებლობის კანდიდატი უნდა წარუდგინოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას, გამონაკლისია ქალაქ თბილისის მერობის კანდიდატი, რომლის საბუთებიც ცესკოს წარედგინება.

მერობის/გამგებლობის კანდიდატის რეგისტრაციისათვის წარდგენილ განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტებს, საბუთების წარდგენიდან 2 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 28-ე დღისა, ამოწმებს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რომელიც:

- ✎ საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს მერობის/გამგებლობის კანდიდატს, თუ წარდგენილი საბუთები აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს;
- ✎ წერილობით აცნობებს საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებასა და თანდართულ საბუთებში არსებული მონაცემების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით).

შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, განცხადებასა და თანდართულ საბუთებში არსებული მონაცემების შეუსაბამობის შემთხვევაში, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს დოკუმენტაციის სრულყოფისთვის განუსაზღვრავს 2 დღეს.

შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, შესწორებული მონაცემების წარდგენის შემთხვევაში, საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი უნდა გადაწყვიტოს დოკუმენტაციის წარდგენიდან 2 დღის ვადაში.

თუ შესწორებული მონაცემები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, საარჩევნო რეგისტრაციაში უნდა გაატაროს მერობის/გამგებლობის კანდიდატი.

28 „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 167-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული აღნიშნული ნორმა არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის №3/2/588 გადაწყვეტილებით..

თუ შესწორებული მონაცემები არ შესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ იმავე ვადაში უნდა გამოსცემს განკარგულება საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განკარგულება და მოთხოვნისთანავე უნდა გადაეცეს).

მერობის/გამგებლობის კანდიდატის (კანდიდატების) რეგისტრაციის შემდეგ, შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, 3 დღის ვადაში უნდა გასცეს კანდიდატის მონმობები. მერობის/გამგებლობის კანდიდატს მიეკუთვნება მისი წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი.

**მერობის/გამგებლობის კანდიდატად წარდგენის შესახებ გადამწყვეტილების გაუქმება.** პარტიას/საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს, რეგისტრაციის შემდეგ, კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 10 დღისა, გააუქმოს თავისი გადამწყვეტილება კანდიდატის წარდგენის შესახებ. კანდიდატს შეუძლია კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 10 დღისა მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც სათანადო განცხადებით მიმართავს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას (არ ვრცელდება არჩევნების მეორე ტურზე).

შესაბამისი საარჩევნო კომისია ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე დაუყოვნებლივ აქვეყნებს ცნობას კანდიდატის რეგისტრაციის, აგრეთვე კანდიდატის წარდგენის შესახებ გადამწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

**მერის/გამგებლის არჩევნების შედეგების შეჯამება.** მერის/გამგებლის არჩევნების შედეგებს ადგენს და აჯამებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია, ხოლო ქალაქ თბილისის მერის არჩევნების შედეგებს აჯამებენ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიები და ადგენს ცესკო.

მერის/გამგებლის არჩევნებში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მონაწილეთა ხმების 50%-ზე მეტი მიიღო. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენები.

**არჩევნების მეორე ტური.** თუ მერის/გამგებლის არჩევნებში კანდიდატმა ვერ მიიღო საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული ხმათა საჭირო რაოდენობა, ინიშნება არჩევნების მეორე ტური.

მეორე ტურში მონაწილეობს 2 კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. თუ ორზე მეტ კანდიდატს ერთნაირი საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა, ან ერთი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მომდევნო რამდენიმე კანდიდატმა თანაბარი რაოდენობის ხმები მიიღო, მეორე ტურში ყველა ეს კანდიდატი მონაწილეობს.

მერის/გამგებლის არჩევნების მეორე ტურს ნიშნავს ცესკო შესაბამისი არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გასაჩივრების ვადის ამოწურვიდან 3 დღის ვადაში, თუ ოქმი არ გასაჩივრდა, ხოლო ოქმის გასაჩივრების შემთხვევაში – სასამართლოს საბოლოო გადამწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 დღის ვადაში, სასამართლოს გადამწყვეტილების გათვალისწინებით.

არჩევნების მეორე ტური ტარდება ცესკოს მიერ მისი დანიშვნის შესახებ განკარგულების მიღებიდან არაუგვიანეს მე-14 დღისა. არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მეტი ხმა მიიღო. თუ კანდიდატებმა თანაბარი რაოდენობის ხმები მიიღეს, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მეტი ხმა მიიღო. თუ ხმათა ეს რაოდენობებიც ტოლი აღმოჩნდა, გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია.

თუ არჩევნების მეორე ტურში გასულ ერთ-ერთ ან ორივე კანდიდატს გაუუქმდა რეგისტრაცია, ან კანდიდატი გარდაიცვალა, 2 თვის თავზე ტარდება **ხელახალი არჩევნები**. არჩევნების თარიღს ნიშნავს ცესკო ზემოაღნიშნული ფაქტის დადგომიდან 3 დღის ვადაში.

**რიგგარეშე არჩევნები.** მერის/გამგებლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით, მერის/გამგებლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან არაუადრეს მე-8 და არაუგვიანეს მე-10 დღისა.

არჩევნები ტარდება არჩევნების დანიშნიდან არაუგვიანეს 50-ე დღისა. არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 49-ე დღისა ცესკო განკარგულებით ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა ვადებს.

თუ მერის/გამგებლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საერთო არჩევნებამდე 1 წელზე ნაკლებია დარჩენილი, მერის/გამგებლის რიგგარეშე არჩევნები არ ტარდება. რიგგარეშე არჩევნებში მერი/გამგებელი აირჩევა შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

## ინკლუზიური არჩევნები და მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობა

საერთაშორისო დოკუმენტების მიხედვით ყოველ ადამიანს აქვს ხმის მიცემის უფლება და შესაძლებლობა. დემოკრატიულ სახელმწიფოში ფიზიკური ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის, ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური კუთვნილების, ასაკისა და ტერიტორიული ადგილმდებარეობის მიუხედავად, ყველასთვის უნდა იყოს შექმნილი თანაბარი პირობები და დაცული მათი უფლებები. საარჩევნო უფლება, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური უფლება, განსაკუთრებულ როლს თამაშობს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე ფასდება საარჩევნო გარემოს **ინკლუზიურობა**, რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს შექმნას გულისხმობს.

**საარჩევნო პროცესის ხელმისაწვდომობა** საშუალებას აძლევს ამომრჩევლებსა და კანდიდატებს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს მიიღონ სხვადასხვა სახის დახმარება და მხარდაჭერა, რომელიც მათთვის ხელმისაწვდომს გახდის საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპს.

როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ისე საერთაშორისო პაქტი და “საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” განსაზღვრავს თითოეული ადამიანის ხმისთვის თანაბარი მნიშვნელობის მინიჭების ვალდებულებას, ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში. თანაბარი მონაწილეობის უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ხმის მიცემის უფლების მაქსიმალური ინკლუზიურობის უზრუნველყოფა, ხმის მიცემის უფლების განმსაზღვრელი შესაბამისი კრიტერიუმების კუთხით. სწორედ საყოველთაო საარჩევნო უფლებას ეხმიანება მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ და კენტი იყარონ ისეთ არჩევნებში, რომელიც ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოხატვას უზრუნველყოფს. თითოეულ სახელმწიფოს უფლება აქვს, თავად დაადგინოს საარჩევნო უფლების განმსაზღვრელი კრიტერიუმები, მაგრამ, ამავდროულად, ეს კრიტერიუმები უნდა იყოს მაქსიმალურად არადისკრიმინაციული და ინკლუზიური, რასაც საარჩევნო უფლების საყოველთაოობა მოითხოვს. აღნიშნულს აგრეთვე ადასტურებს “საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.”

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლით დაცულია აქტიური საარჩევნო ხმის უფლება, რაც გულისხმობს საქართველოს მოქალაქეებისთვის მინიჭებულ შესაძლებლობას, არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა ნების თავისუფალი გამოვლინების საფუძველზე და ხმა მისცენ მათთვის სასურველ კანდიდატს. ასევე, საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით დაცულია პასიური საარჩევნო ხმის უფლება, რომლის საფუძველზეც მოქალაქეებს შეუძლიათ არჩევნებში ჩართული იყვნენ როგორც საარჩევნო სუბიექტები კანდიდატები და თავად იყვნენ არჩეული. ასევე, კონსტიტუციაში გამოხატულია არჩევნების თანასწორობის, საყოველთაოობის და პირდაპირობის პრინციპები.






აღნიშნული მუხლები ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფისთვის და დემოკრატიული საზოგადოების არსებობისთვის.

### ბანსაკუთრებული საჭიროების მქონე ამომრჩეველთა ჯგუფები










**მოწყვლადი ჯგუფები** ნიშნავს ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც მოკლებულნი არიან გარკვეულ პრივილეგიებს ან ხელი არ მიუწვდებათ ისეთ საზოგადოებრივ ასპექტებზე, რაც სხვებისთვის ადვილად ხელმისაწვდომია. ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა სოციალური მოვლენების, საზოგადოებრივი შეკრებების, სოციალური კლუბების, მხარდამჭერი ჯგუფების და კულტურული ღონისძიებები.

**მარგინალურ ჯგუფებში** ყოფნა ნიშნავს იყო კულტურული თავისებურებების ზღვარზე, მაგრამ გქონდეს პოტენციალი, რომ გახდეს მისი წევრი. მოწყვლადი არის უფრო ძლიერი ცნება და აღნიშნავს, რომ პიროვნება ან მათი ჯგუფი მთლიანად გარიყულია საზოგადოებიდან.

ყოველ არჩევნებზე, ისევე როგორც ამომრჩეველთა ყოველ შესაძლო საგანმანათლებლო პროგრამაში, ჩვენ ვხვდებით მოქალაქეთა ჯგუფებს, რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას. ზოგიერთი ჯგუფები ჩნდებიან გარკვეული პერიოდულობით. ესენია:

-  საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლები;
-  საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლები;
-  დაუსწრებლად ხმის მიცემი ამომრჩევლები;
-  ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები;
-  მომთაბარეები და მიგრანტები;



-  ამომრჩევლები შორეული რეგიონებიდან;
-  უმცირესობები;
-  შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;
-  ბინაზე ხმის მიმცემი ამომრჩევლები, ასევე საავადმყოფოში ხმის მიმცემი ამომრჩევლები;
-  პატიმრები;
-  პოლიტპატიმრები;
-  ძალოვანი სტრუქტურისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები;
-  ქალები;
-  ახალგაზრდა ამომრჩევლები და პირველად ხმის მიმცემი ამომრჩევლები.

ეს სია სრულებით არ არის ამომწურავი და საჭიროა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ შესაძლოა არსებობდეს განსაკუთრებულად საყურადღებო სხვა ჯგუფებიც. ეს ჯგუფები ყველა ქვეყანაში იქნება განსხვავებული. იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოება პროგრესის გამო სულ უფრო გაფანტული ხდება და ასევე სულ უფრო მეტად იზიარებს სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლების საჭიროებებსა და უფლებებს, განსხვავებით ფიზიკური პირებისაგან, სავსებით მოსალოდნელია ახალი ჯგუფების იდენტიფიცირება, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ.

გარდამავალ პერიოდში ზოგიერთი ჯგუფის ინტერესები უფრო დეტალურად იქნება განსაზღვრული და ეს ჯგუფები განსაკუთრებულ ყურადღებას მიიპყრობენ არჩევნების პერიოდში. მაგალითად, კამბოჯაში წითელი ქიმურების მართველობამ წარმოშვა დიდი რაოდენობით კამბოჯელი „ემიგრანტები“, რომელთა ინტერესები გასათვალისწინებელი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობის ქვეშ ჩატარებული არჩევნების დროს. ბოსნიაში დეიტონის შეთანხმება მოითხოვს, რომ ლტოლვილებმა და იძულებით გადაადგილებულმა პირებმა მიიღონ მონაწილეობა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) მიერ ორგანიზებულ არჩევნებში. საფუძვლიანი დემოკრატიული არჩევნები სამხრეთ აფრიკაში აღიარებული იქნა სრულიად არადისკრიმინაციულად, ამასთან იყო განსაზღვრული სპეციალური მექანიზმები სამხრეთ აფრიკული დიასპორისათვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით. დამკვიდრებულ დემოკრატიაში ამომრჩეველთა აქტივობის შემცირება ახალგაზრდებში საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო და სამოტივაციო პროგრამების გატარებას, რომელიც მიმართული იქნება არსებული ვითარების შეცვლისკენ.

საგანმანათლებლო დაწესებულებამ/პერსონალმა არ უნდა მიიღოს დებულებად ტრადიციები, რომლებსაც ეფუძვნება ესა თუ ის საზოგადოება, თუკი მას ნამდვილად სურს გაათავოთვოს დემოკრატიული უფლებები ყველამოქალაქისთვის. ჰეგემონიების გარდა, რომლებსაც მოქალაქეთა ცალკეული ჯგუფები ახორციელებენ ენის, კულტურის და ძალაუფლებით მანიპულირების გზით, ადეკვატური განათლება, როგორც წესი, მოითხოვს ნიუანსების გათვალისწინებას და დახვეწილ მიდგომას ფიზიკური პირების მიმართ. რაც მეტი ნიუანსი იქნება აღმოჩენილი და წარმოდგენილი, მით უკეთესი.

**საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლები**

ამომრჩეველთა სწავლების ნებისმიერი პროგრამისათვის საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლები და საარჩევნო კომისიების პერსონალი ღირებულ აქტივს წარმოადგენენ. მოქალაქეთა ამ ჯგუფს გააჩნია ის უპირატესობა, რომ მისი წევრები მკაფიოდ იდენტიფიცირებულნი არიან. ისინი მზად არიან დაესწრონ სასწავლო ღონისძიებებს. ხელმისაწვდომნი არიან არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგაც (თუ ჩანაწერები შენახულია), გააჩნიათ მოტივაცია თუნდაც ზოგიერთ შემთხვევაში ეს მოტივაცია იყოს ფულადი. თუ საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლისთვის და საარჩევნო კომისიის თანამდებობის პირისთვის განკუთვნილი სასწავლო კურსი შეიცავს ამომრჩევლის განათლებისთვის მიმართულ ელემენტებს, შეიძლება მივალნიოთ იმას, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლები და საარჩევნო კომისიის წევრები იქცნენ პოტენციურ არაფორმალურ რეზერვად საგანმანათლებლო პროგრამების ჩატარებისთვის. ამავედროულად, მრავალ განვითარებად და გარდამავალ საზოგადოებებში საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლები და საარჩევნო კომისიების თანამდებობის პირები შესაძლოა გადატვირთულნი იყვნენ და არასათანადოდ დაფასებული. ამდენად, სასწავლო პერსონალს ასეთ შემთხვევაში ჭობს არ ჰქონდეს გადაჭარბებულად ოპტიმისტური მოლოდინები.

იმის გამო, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლები და საარჩევნო კომისიის თანამდებობის პირები არჩევნების დროს გარკვეულ ფუნქციებს ასრულებენ, გარკვეული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, თუ როდის და როგორ შეძლებენ ისინი თავად ხმის მიცემას. სასწავლო პერსონალის მათთან მუშაობა შეიძლება განსხვავდებოდეს დანარჩენ ელექტორატთან განხორციელებული სწავლებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ამოცანა არც თუ ისე მნიშვნელოვნად ჩანს, არ ღირს მისი უგულებელყოფა. ამ ამოცანის წარმატებულად გადაწყვეტა დამოკიდებულია საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლების და თანამდებობის პირების თვითდაჭერებულებაზე, რომლითაც ისინი საუბრობენ არჩევნების შესახებ. ეს მათ განსაკუთრებით დაეხმარებათ იმ პერიოდში როცა გაიზრდება მათი დატვირთვა.

### **საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლები**

არჩევნების დღეს, საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების რიცხვი იქნება განსხვავებული კონკრეტული ქვეყნისა და კონკრეტული არჩევნების მიხედვით. გარდა ამისა, სავარაუდოდ ქვეყანაში არსებობს კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ თუ ვის აქვს საზღვარგარეთ ხმის მიცემის უფლება, რა გარემოებებში და ასევე სად და როგორ შეუძლიათ მათ საკუთარი ნების გამოხატვა. მოქალაქეთა ამ ჯგუფს შეიძლება ეკუთვნოდნენ ის პირები, ვინც იმყოფებიან ქვეყნის ფარგლებს გარეთ დიპლომატიური საქმიანობით, დასასვენებლად ან მივლინებით. ასევე ის პირები, ვინც დროებით ცხოვრობს საზღვარგარეთ, მაგრამ ინარჩუნებენ საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობას და მუდმივი ბინადრობის სტატუსს. ამ ჯგუფში შეიძლება შედიოდნენ ის პირებიც, ვისაც არასოდეს უცხოვრია თავის სამშობლოში, მაგრამ სარგებლობს მოქალაქეობით ისტორიული უფლების გამო. ჩამოთვლილთაგან, უმეტეს შემთხვევაში მათ, ვისაც სურს ხმის მიცემა, უნდა აცნობონ საკუთარი განზრახვის შესახებ ეროვნულ საარჩევნო ადმინისტრაციას ან სხვა ოფიციალურ ორგანოს. შესაძლებელია გეგმის შემუშავება ასეთ ამომრჩევლებში ინფორმაციისა და შემეცნებითი მასალების გავრცელების მიზნით. ეს ინფორმაცია უდავოდ უნდა განსხვავდებოდეს იმისგან, რომელიც მიწოდდება რეზიდენტ ამომრჩევლებს, რადგანაც საჭიროა მოქალაქეების ინფორმირება საარჩევნო უბნების ადგილმდებარეობის შესახებ, კენჭისყრის საათებისა და პროცედურების შესახებ. ადრეული (ვადამდელი) ხმის მიცემა ან ფოსტის მეშვეობით ხმის მიცემა ასევე შეიძლება იქცეს ამ ამოცანის შესაძლო გადაწყვეტად.

### **დაუსწრებლად ხმის მიცემა და ვადამდელი ხმის მიცემა**

მათთვის, ვინც ქვეყანაში იქნება უშუალოდ არჩევნების წინა პერიოდში, მაგრამ არა არჩევნების დღეს, შესაძლებელია განისაზღვროს ნების გამოხატვის სხვა მექანიზმები. უმეტესად აქ საუბარია მათზე, ვინც იქნება გზაში ან საზღვარგარეთ მივლინების ან შვებულების გამო. ზოგიერთ არჩევნებზე - მაგალითად საპრეზიდენტო - ამ კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნონ მოქალაქეები, რომლებიც არჩევნების დღეს არ იქნებიან იმ რეგიონში, რომელშიც რეგისტრირებულნი არიან ამომრჩეველთა სიებში.

ორი ყველაზე გავრცელებული ვარიანტი ამ შემთხვევაში არის დაუსწრებლად ხმის მიცემა და ვადამდელი ხმის მიცემა. დაუსწრებლად ხმის მიცემა ხდება მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც წარედგინება საარჩევნო ადმინისტრაციის შესაბამის ორგანოს. ბიულეტენები ეგზავნება ამომრჩეველს ფოსტით, ამომრჩეველი აკეთებს მათში აღნიშვნებს, შემდეგ ბიულეტენები იგზავნება უკან ფოსტით. ვადამდელი ხმის მიცემის შემთხვევაში ამომრჩევლები უნდა მივიდნენ საკუთარ საარჩევნო უბანზე ან ზემდგომ საარჩევნო ორგანოში ხმის მისაცემად. ზოგიერთ ქვეყანაში ასევე დასაშვებია ამომრჩევლებს, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნების დროს არ იქნებიან საკუთარ რეგიონში, გადაეცეთ სერტიფიკატები, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ ხმა მისცენ სხვა რეგიონში. რა თქმა უნდა, ყველა ეს განსაკუთრებული მოქმედება, რომელიც მოქალაქეთა ამ ჯგუფს ნების გამოხატვის საშუალებას აძლევს, ხორციელდება საკუთარი უნიკალური პროცედურით და იმ მოთხოვნების თანახმად, რომლებიც უნდა მიტანილი იქნას ამომრჩეველამდე.

### **ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები**

აქამდე ყველაზე მრავალრიცხოვან და რთულ ამომრჩეველთა ჯგუფს, რომლებიც იმყოფებიან ქვეყნის ან საკუთარი საარჩევნო ოლქის გარეთ, წარმოადგენდნენ ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები. ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები ხშირად მიგრირებენ ომების, სამოქალაქო არეულობების ან სტიქიური უბედურებების გამო. მათი გადაადგილება დაკავშირებულია უამრავ ისეთ თანამდევ პრობლემასთან, როგორიც არის: პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტების დაკარგვა, ასევე ამომრჩევლის რეგისტრაციის

დამადასტურებელი დოკუმენტების და ჩანაწერების დაკარგვა, ამომრჩეველთა სიაში რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ხმის მიცემის შეუძლებლობა, ალტერნატიულ საარჩევნო უბნებზე წვდომის სირთულე. საკანონმდებლო არჩევნებზე და ასევე ადგილობრივ არჩევნებზე საერთო და არა საყოველთაო საარჩევნო უფლების გამოყენება ასევე შეიძლება ქმნიდეს წარმომადგენლობის პრობლემას. შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი ყოფილი იუგოსლავიის და კავკასიის ქვეყნებიდან, როდესაც საჭირო იყო სპეციალური პროცედურების გამოყენება ხმის მიცემის უზრუნველსაყოფად და დადგა ამომრჩეველთა მიზნობრივი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროება მეზობელი ქვეყნებიდან ლტოლვილებისათვის და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის.

იქ, სადაც გადასახლება იწვევს ქვეყნის საზღვრების გადაკვეთას, სირთულეები მატულობს გეომეტრიული პროგრესიით. იქ, სადაც არჩევნები წარმოადგენს პოლიტიკური დარეგულირების პროცესის შედეგს, შესაძლებელია ლტოლვილთა რეპატრიაციის პროგრამის განხორციელება ჯერ კიდევ არჩევნებამდე, როგორც ეს მოხდა მოზამბიკში. თუ შეიძლება რეპატრიაციის წინასწარ განხორციელება, არჩევნების დაწყებამდე, სავარაუდოდ, შესაძლებელი იქნება ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ქვეყნის შიგნით. მაგრამ, მათ, ვინც გარკვეული პერიოდის განმავლობაში არიან ლტოლვილები ან იძულებით გადაადგილებულები ომის ან დიდი რყევების გამო, კვლავ შეუძლიათ მოითხოვონ განსაკუთრებული ყურადღება.

### **მომთაბარეები და მიგრანტები**

ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, როგორც წესი, გულისხმობს მოსახლეობიდან წარმომადგენლების შერჩევას ყოველი კონკრეტული გეოგრაფიული არეალისთვის. თუმცა, არსებობენ ადამიანები, რომლებიც მოგზაურობენ და შესაბამისად მათი ინტერესები უკავშირდება ერთზე მეტ რეგიონს, ანუ არ შეიძლება მათი მიკუთვნება გარკვეული ოლქის ან რაიონისთვის, სადაც გაიმართება კენჭისყრა. ეს მომთაბარე მოქალაქეები ან მიგრანტები - იმის მიუხედავად თუ რამ განაპირობა მათი ცხოვრების ასეთი წესის არჩევა - ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა თუ კლიმატურმა პირობებმა ან უბრალოდ პირადმა პრეფერენციებმა - წარმოადგენენ სერიოზულ გამოწვევას (თუმცა არა საფრთხეს) დემოკრატიული წესრიგისათვის.

მათი არსებობის ფაქტი ასევე სერიოზული გამოწვევაა სასწავლო დაწესებულებებისა თუ პერსონალისთვის. უმეტესწილად, საზოგადოებები, რომლებსაც ისინი ქმნიან და რომლის ფარგლებშიც აყალიბებენ ლიდერობის საკუთარ მოდელებს, შედარებით დახურულია გარეშე პირთათვის. გარდა ამისა, მათი ინტერესები შეიძლება იყოს იმგვარი, რომ ისინი გარიცხულნი იყვნენ საერთო პოლიტიკური დისკურსიდან ან თავად გაეთიშნენ მას.

### **ამომრჩევლები შორეული რეგიონებიდან**

ზოგიერთ ქვეყნებში სრულიად შესაძლებელია არსებობდნენ შორეულ, რთულად მისადგომ რაიონებსა თუ ადგილებში მცხოვრები ამომრჩევლები. ეს ადგილები შესაძლოა ისე შორს იყოს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყოს იქ მიღწევა ძირითადი სატრანსპორტო საშუალებებით. შესაძლოა მათ ძალიან შეზღუდული ჰქონდეთ წვდომა მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან და პრაქტიკულად არ ურთიერთობდნენ სხვა რეგიონებთან. ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთი რაიონები თავმოყრილია ალიასკაზე, ხოლო საქართველოში შორეული თემები მდებარეობენ კავკასიონის ქედის გასწვრივ. მიუხედავად მათი სიმორისა, არსებობს მათთან კონტაქტის დამყარების საშუალებები, თუმცა ძალიან შეზღუდული. ყოველივე ეს საჭიროებს წინასწარ დაგეგმვას და კოორდინაციას. საარჩევნო მასალები განსაზღვრულ დროს უნდა იქნას მიწოდებული ამ თემებისთვის. სავარაუდოდ, ორგანიზებული იქნება ხელისუფლების მიერ დაფინანსებული რეისები რთულად მისადგომ რეგიონებში და უკან, სურსათის და სხვა პროდუქტის მისაწოდებლად და ასევე ხალხის გადასაცემად. მაგალითად, თუ იგეგმება, ვერტმფრენების გამოყენება, შეიძლება იყოს მიღებული სპეციალური ზომები საგანმანათლებლო მასალების გარანტირებული მიწოდებისათვის.

### **უმცირესობები**

საზოგადოება, როგორც წესი, არაერთგვაროვანია. უმეტეს ქვეყნებში არსებობს თვითგამორკვეული ეთნიკური, ენობრივი ან კულტურული უმცირესობები. ვინაიდან ეს ჯგუფები წარმოადგენენ უმცირესობებს, სავარაუდოდ წარსულში არსებობდა კულტურული მოდელები და პრაქტიკული მოქმედებები, მიმართული მათი მარგინალიზაციისაკენ, რაც ხშირად იწვევდა ჯგუფების იზოლაციას და სასტიკ მოპყრობას მათ მიმართ. უფლებების შელახვასთან ერთად ჩნდება რეფლექსია და აშკარა აპათია. იზოლაციასთან ერთად დომინანტური კულტურიდან მომდინარეობს მრავალი



კულტურული და ენობრივი მოდუსი, რომლებიც ართულებენ საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებას, თუ რა თქმა უნდა არ გამოიყენება განსაკუთრებული მიდგომა, ასევე ხელისუფლებასთან დამოკიდებულება, რომელიც იკვეთება მათ ურთიერთობაში უმრავლესობასთან.

ასევე, შეიძლება ადგილი ჰქონდეს წინააღმდეგობას საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ, რომლებიც შესაძლოა მოგეჩვენოთ, რომ თითქოსდა ისეა შემუშავებული, რომ მოხდეს უმცირესობების ასიმილირება ან შეირყეს ამ ჯგუფების ერთობა. ზოგიერთმა უმცირესობებმა შეიძლება კიდევ აღიქვან დემოკრატია საფრთხედ. დემოკრატიისაგან განრიდების ამ პროცესების მართვა არ არის მხოლოდ სასწავლო დანესებულებების ამოცანა. ეს ხშირად ყველაზე სეროზული გამოწვევაა მათთვის, ვინც მონაწილეობს სამოქალაქო განათლებაში, და ასევე მათთვის, ვინც ჩართულია დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ინსტიტუტის განვითარებაში.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების, რომლებიც სრულყოფილად არ ფლობენ სახელმწიფო ენას, ცნობიერების ამაღლების, თანასწორი საარჩევნო უფლებების უზრუნველყოფისა და გადამწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა. მათ შორის:

- ☞ ინფორმაციის და მნიშვნელოვანი საარჩევნო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა მათთვის გასაგებ ენაზე;
- ☞ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები კონკრეტულად სომეხი და აზერბაიჯანელი ამომრჩევლებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფებს საქართველოში, საარჩევნო სიის მონაცემები და საარჩევნო ბიულეტენები უნდა დაიბეჭდოს მათთვის გასაგებ ენებზე.

### **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები**

სულ უფრო მზარდია იმ ქვეყნების რიცხვი, სადაც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (შშმპ) ერთიანდებიან ჯგუფებში. ეს განსაკუთრებით ეხება დემოკრატიულ საზოგადოებებს, სადაც შესაძლებელია მობილიზება საჯარო და კერძო რესურსებზე წვდომის მიღების მიზნით. ვინაიდან დგას უპირობო საჭიროება ყველა მოქალაქეს მიეცეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, საარჩევნო კომისიების თანამდებობის პირებმა და აკადემიურმა პერსონალმა უნდა გამოიჩინოს ძალისხმევა იმისათვის, რომ შშმ პირებს არც თავისუფალი არჩევანის უფლება წაერთვათ და არც ინფორმაცია მოაკლდეთ. სავსებით შესაძლებელია უშუალოდ შშმ პირების განათლებაზე ორიენტირებული ზომები არ იყოს ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მიმართულებით. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია სტრუქტურული და ინფრასტრუქტურული კეთილმოწყობა, კენჭისყრის პროცედურების შემუშავება და საარჩევნო უბნებთან მისვლის გამარტივება, ასევე ოფიციალური პირების და შრომისუნარიანი მოქალაქეების მომზადება და განათლება.

მაგრამ, თუ არსებობს შრომისუნარიანი ამომრჩეველთა საგანმანათლებლო პროგრამები, იგი უნდა მიენოღებოდეს შშმ პირებსაც. არსებობს მთელი რიგი სპეციალური მეთოდები და მიდგომები, რომლებიც განკუთვნილია შშმ პირების მონაწილეობაზე. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს დემოგრაფიული ინფორმაცია და შშმ პირებთან მომუშავე ორგანიზაციებთან და ასოციაციებთან თანამშრომლობა.

### **ბინაზე ხმის მიმცემი ამომრჩევლები და შშმ პირები**

გარდაუვალია ისეთი ამომრჩევლების არსებობა, რომლებიც ავად არიან ან ძალიან სუსტები არიან იმისათვის, რათა გამოცხადდნენ საარჩევნო უბნებზე არჩევნების დღეს. საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად და პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, არსებობს სპეციალური პროცედურები, რომლებიც აძლევს ხმის მიცემის საშუალებას მათ, ვინც ვერ გადის სახლიდან, ასევე საავადმყოფოების, მოხუცთა თავშესაფრების და სარეაბილიტაციო ცენტრების პაციენტებს. შეიძლება შეიქმნას სპეცუბნები, ან ასეთი კატეგორიის მოქალაქეებს მიეცეთ უფლება ხმა მისცენ დაუსწრებლად ან ისარგებლონ ბიულეტენების გადასატანი ყუთით. მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, სავარაუდოდ, საჭირო იქნება ზოგიერთი ცვლილების შეტანა კენჭისყრის პროცესში, ასევე კონკრეტული პროცედურების გამოყენება სპეციალური მომსახურების მოთხოვნის მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნას ხმის მიცემის უფლება.

## პატიმრები

პატიმრებს თავისუფლება ეზღუდებათ მაშინვე, როგორც კი სასამართლო მათ დამნაშავედ სცნობს და მიესჯებათ თავისუფლების აღკვეთა. თუმცა, ამ დროს ისინი ყოველთვის არ კარგავენ მოქალაქეობას. ზოგიერთ ქვეყანაში პატიმრობა შეიძლება ოფიციალურად მოიცავდეს ან არ მოიცავდეს პატიმრობის პერიოდში ხმის მიცემის უფლების აღკვეთას. სხვა ქვეყნებში პატიმრობა გულისხმობს იმის დაკარგვას, რაც საჭიროებს გადაადგილების თავისუფლებას და მათ რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს ხმის მიცემის უფლებაც.

სულ უფრო ხშირია აღკვეთი ღონისძიებების გამოყენება იმ პირთა მიმართ, რომლებიც ელოდებიან განაჩენს, მაგრამ ჯერ არ არიან მსჯავრდებულები. ფართოდ გამოიყენება ალტერნატიული სასჯელი, რომელიც ადგენს, რომ ზოგ მსჯავრდებულს შეუძლია შეინარჩუნოს ხმის მიცემის უფლება, ზოგს კი, იგივე დანაშაულისთვის მსჯავრდებულს, ხმის მიცემა ეკრძალებათ. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობის ამ ჯგუფს ესაჭიროება მეტი ყურადღების მიქცევა.

ეს განსაკუთრებით ეხება იმ საზოგადოებებს, ვისაც სჯერა, რომ ციხე განკუთვნილია როგორც სასჯელისთვის, ასევე დამნაშავეს გამოსწორებისთვის. პატიმრები ტოვებენ ციხეს და უბრუნდებიან ნორმალურ საზოგადოებას. იმის მიუხედავად მოკლე ვადიანი პატიმრობიდან ბრუნდებიან თუ ხანგრძლივიდან, მათ სჭირდებათ ინფორმაცია და ვითარებაში გარკვევა, რაც საშუალებას მისცემს მათ უფრო კონსტრუქციული მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს ინფორმაცია მოიცავს არჩევნებში მონაწილეობას. შესაბამისად, აუცილებელია ყურადღება მიექცეს იმას, რომ განხილული იქნას მსჯავრდებულთათვის განკუთვნილი სამოქალაქო განათლების და ამომრჩეველთა განათლების პროგრამები, იმის მიუხედავად მიღებულია თუ არა მოცემულ მომენტში გადაწყვეტილება მათთვის ხმის მიცემის უფლების მინიჭების თაობაზე.

## პოლიტპატიმრები

ზოგიერთ განვითარებად ქვეყნებში და გარდამავალ საზოგადოებებში ციხეები შესაძლოა გამოყენებულ იქნას სხვა მიზნებისთვისაც, კერძოდ, პოლიტიკური ოპონენტების და დისიდენტების პატიმრობისთვის. მიუხედავად იმისა, ისევ ციხეში იმყოფებიან ეს პირები თუ გათავისუფლდნენ გამართული მოლაპარაკებების, ამნისტიის, შეწყალების ან ვითარების დარეგულირებისთვის დაკისრებული პროცესის შედეგად, ამ ჯგუფს ექნება განსაკუთრებული საჭიროებები. ის აწყდება გარკვეულ პრობლემებს საზოგადოებაში და პოლიტიკურ ცხოვრებაში რეინტეგრაციის გზაზე, ხმის მიცემის შედეგად ან სხვა გზით პოლიტიკურ პროცესში კონსტრუქციული მონაწილეობის ჩათვლით. თუ პოლიტპატიმრები არ მონაწილეობენ პროცესში, არჩევნების და მის შედეგად ჩამოყალიბებული მთავრობის ლეგიტიმურობა შეიძლება შერყეული იქნას. ეს საკითხები უნდა გადაიჭრას განსაკუთრებული სიფრთხილით და დელიკატურობით ამომრჩეველთა საგანმანათლებლო და სამოქალაქო განათლების პროგრამების რეალიზების გზით.

## ძალღონი სტრუქტურის და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები

იმ საზოგადოებებში, რომლებიც ჩაბმული იყვნენ სამოქალაქო ომებში ან გამოიარეს შიდა რეპრესიები, შეიარაღებული ძალების და/ან პოლიციის თანამშრომლები, ხშირად რისკის ქვეშ ხვდებიან და შესაძლოა იზოლირებულნი იქნენ. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული ძალისხმევის გამოყენებაა საჭირო მათი რეაბილიტაციისათვის. ისევ და ისევ საგანმანათლებლო პროგრამები მიმართული უნდა იყოს როგორც უშუალოდ უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისკენ, ასევე სხვებისკენაც.

მაგრამ არის სხვა მოთხოვნებიც, რომლებიც გასათვალისწინებელია თვით კონსოლიდირებულ დემოკრატიებშიც. მაგალითად, როდესაც საუბარია უცხოურ ან იზოლირებულ ბაზებზე განთავსებულ ჯარისკაცებზე. უსაფრთხოების დაცვის და კონტროლის განხორციელების მიზნით ეს ბაზები დახურულია სამოქალაქო გავლენებისთვის და შესაძლოა ჯარისკაცები იქ დაშინებას განიცდიდნენ. ზოგიერთ საზოგადოებაში მსგავსი პრობლემები ასევე ეხება გასამხედროებულ პოლიციურ ძალებს.

გარდა ამისა, სამხედროები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია ძალის გამოყენებასთან, იქნება ეს აჯანყების ან წინააღმდეგობის ჩახშობა, თუ ხელისუფლების კანონიერად თუ უკანონოდ დამკვიდრება, სწრაფად შეიმუშავენ საკუთარ ენას, ცხოვრების რიტმს და კულტურას. ეს ასპექტები გასათვალისწინებელია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისას. ასეთი

საგანმანათლებლო პროგრამები მნიშვნელოვანია, რადგან შეიარაღებული ძალები შეიძლება იყოს როგორც არჩევნების უსაფრთხოების და ხელისუფლების წარმატებული შეცვლის გარანტი, ასევე სერიოზული დაბრკოლება ამ გზაზე.

## **ქალები**

ამჟამად, ნებისმიერი ქვეყნისთვის სრულიად მიუღებელია ისეთი დემოკრატიული ინსტიტუტების და საარჩევნო სისტემის დამკვიდრება, რომლის მიხედვითაც ქალებს შეეზღუდებათ ხმის მიცემის უფლება. თუმცა მათთვის ხმის მიცემის უფლების მინიჭება მოხერხდა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ხმის მიცემის უფლების მინიჭება „დე იურე“ - ერთია, ხოლო საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობა და არჩევნებზე ხმის მიცემა - არის სრულიად სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანაში ქალები შეადგენენ უმრავლესობას, ხშირად ისინი არასაკმარისად არიან წარმოდგენილნი პოლიტიკურ ცხოვრებაში.

განათლება თავის თავად ვერ შეცვლის ამ ფაქტს. მაგრამ სრულიად შესაძლებელია და ხშირად აუცილებელიც შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კულტურულ და ეკონომიკურ ბარიერებს პოლიტიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის გზაზე. არსებობს მასალები, რომლებიც სპეციალურად არის შემუშავებული მთელს მსოფლიოში ქალთა განათლებისა და ინფორმაციის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

იქ, სადაც ჩამოთვლილ ბარიერებს ემატება სხვა ნეგატიური ფაქტორები, როგორცაა, მაგალითად: თუ ამ ჯგუფის წევრები მიეკუთვნებიან უმცირესობებს, თუ არსებობს სიღარიბე და გეოგრაფიული დისპერსია, ავტომატურად იქმნება მაღალი კედელი, რომელიც ან უნდა დაიძლიოს, ან უნდა დაინგრეს.

## **ახალგაზრდა ამომრჩევლები და პირველად ხმის მიმცემი ამომრჩევლები**

ყოველ არჩევნებზე ჩნდებიან ახალი ამომრჩევლები - ისინი, ვინც ეხლახანს მიაღწიეს საარჩევნო ასაკს. სასკოლო პროგრამებს, რომლებიც ახალისებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას და მიმართულია კომპეტენტური ამომრჩევლის ჩამოყალიბებისკენ, საბოლოო ჯამში, თავისი წვლილი შეაქვს ახალგაზრდების მოტივირებაში და უბიძგებს კენჭისყრაში მონაწილეობისკენ. თუმცა, საჭიროა ამომრჩევლთა დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, რომელიც გაითვალისწინებს ახალგაზრდული კულტურის თავისებურებებს. ეს განსაკუთრებით მართებულია განვითარებადი ქვეყნებისთვის და გარდამავალი საზოგადოებებისთვის, სადაც მრავალრიცხოვანი ახალგაზრდობაა და ხშირად ხდება მათი მობილიზება ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერად, რომელიც თავის მხრივ სრულიად არ იღწვის მათი ინტერესების დასაცავად.

მიუხედავად იმისა, რომ იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებმაც მიაღწიეს კანონით დადგენილ საარჩევნო ასაკს, შეიძლება შეადგენდეს იმ ამომრჩევლთა მნიშვნელოვან პროცენტს, რომლებიც პირველად აძლევენ ხმას, არსებობს სხვა ჯგუფებიც, რომლებიც უნდა იქნას მიღებული მხედველობაში. ისინი შეიძლება მოიცავდნენ ამომრჩევლებს ახლად მინიჭებული ხმის უფლებით (რომლებიც შესაძლოა შედგებოდეს ისეთი ჯგუფების წევრებისგან, როგორიც არის უმცირესობები ან ქალები), ახალ მოქალაქეებს, ან მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, რომელიც ტრადიციულად იყო აპათიური, მაგრამ მობილიზებული გახდა და გააქტიურდა საზოგადოებრივი პრობლემის გადასაჭრელად რეგისტრაციის გარკვეული პროექტის რეალიზაციის შედეგად, ან კანდიდატის მხარდასაჭერად, ან გარკვეული პოლიტიკური პარტიის კამპანიის ჩატარების შედეგად.

ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც პირველად აძლევს ხმას არჩევნებზე, სავარაუდოდ, ნაკლებ ინფორმაციას ფლობს საკუთარი უფლებების შესახებ და თავად არჩევნების პროცესზე. პირველად ხმის მიმცემ ამომრჩევლებს შესაძლოა ეგონოთ, რომ რეგისტრაციისა და კენჭისყრის პროცესის ზოგიერთი ასპექტი საკმაოდ ბიუროკრატიულია და საშიშიც კი. იმისათვის, რომ ამ ჯგუფმა უარი არ თქვას პროცესში მონაწილეობის მიღებაზე, აკადემიურმა პერსონალმა უნდა განსაზღვროს ამ ჯგუფისათვის ინფორმაციის საჭიროება და ასევე უნდა ესმოდეს მისი შემფოთებები, რათა დაეხმაროს მათ დაძლევაში.



## არჩევნებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობა



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

(შშმპ) მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 15%-ს შეადგენენ, ისინი წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე დიდ ჯგუფს მსოფლიოში იმ უმცირესობათა შორის, რომელიც ყურადღების მიღმა რჩება და ხშირად საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციას განიცდის. სერვისები და რეაბილიტაცია განვითარებად ქვეყნებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხოლოდ 2% არის ხელმისაწვდომი.

შშმ პირთა უფლება იცხოვრონ დამოუკიდებლად და სრულყოფილად, აქტიურად იყვნენ ჩართულნი საქმიანობის ყველა სფეროში, მათ შორის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, წარმოადგენს გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კონვენციის დაცვის საგანს. მათ უნდა ჰქონდეთ ისეთივე საშუალება და ბერკეტები ცხოვრების დონის ამალღებისთვის, რაც ყველა სხვა მოქალაქეს გააჩნია. უნდა მოხდეს მათი საფუძვლიანი მოთხოვნების დაცვა პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ სექტორებში.

“შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ” გაეროს კონვენცია (UN CRPD) – 2006 წლის 13 დეკემბერს მიიღეს. მას ამჟამად 160 წევრი სახელმწიფო ჰყავს. კონვენცია წარმოადგენს უნივერსალური კონსენსუსის შედეგს, რომელიც ავსებს ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ სხვა საერთაშორისო შეთანხმებებს და ამკვიდრებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებულ მიდგომას.

### შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (CRPD)

#### მუხლი 5. თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ყოველი პიროვნება თანასწორია კანონის წინაშე და კანონის ძალით; ყველას ერთნაირად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვს უფლება იყოს დაცული და ისარგებლოს კანონით.
2. მონაწილე სახელმწიფოები კრძალავენ შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებულ დისკრიმინაციას და უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარ და ეფექტურ იურიდიულ დაცვას ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან.
3. თანასწორუფლებიანობის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას გონივრული მისადაგების უზრუნველყოფისათვის.
4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფაქტობრივი თანასწორუფლებიანობის მიღწევისა და დაჩქარებისათვის მიღებული კონკრეტული ზომები, წინამდებარე კონვენციით არ განიხილება როგორც დისკრიმინაცია.

#### მუხლი 9. ხელმისაწვდომობა

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობისათვის, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, მათ შორის ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, ასევე სხვა, საზოგადოებისათვის ღია ობიექტებისა და მომსახურების თანაბარი მისაწვდომობა როგორც ქალაქის, ასევე სოფლის პირობებში. აღნიშნული ზომები, რომელიც მოიცავს არსებული წინააღმდეგობებისა და ბარიერების გამოვლენა – აღმოფხვრას, შეეხება:
  - (ა) შენობა-ნაგებობებს, გზებს, ტრანსპორტს, შიდა და გარე ობიექტებს, სკოლებს, საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებსა და სამუშაო ადგილებს;
  - (ბ) ინფორმაციას, კომუნიკაციასა და სხვა სამსახურებს, ელექტრონულ და სასწრაფო-საავარიო სამსახურებს;
2. მონაწილე სახელმწიფოები ასევე იღებენ ზომებს, რათა:
  - (ა) შეიმუშაონ, დანერგონ და მონიტორინგი გაუწიონ მოსახლეობისათვის ღია ობიექტებსა და სამსახურებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომობის მინიმალური სტანდარტებისა და სახელმძღვანელო ორიენტირების რეალიზებას;
  - (ბ) უზრუნველყონ მოსახლეობისათვის ღია ობიექტებისა და მომსახურების ყველა კერძო საწარმოს მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომობის ყველა ასპექტის გათვალისწინება;
  - (გ) უზრუნველყონ ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილე ყველა პირისათვის ტრენინგების ჩატარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომობის საკითხებზე;

- (დ) უზრუნველყონ მოსახლეობისათვის ღია ყველა შენობასა და სხვა ობიექტებში, აბრების ბრაილის ნიშნებით, მარტივად წასაკითხი და გასაგები სახით გამოსახვა;
- (ე) მოსახლეობისათვის ღია ობიექტებისა და სამსახურების მისაწვდომობისათვის, უზრუნველყონ ისეთი დამხმარე პერსონალის ან ცხოველების, ასევე მედიატორთა დახმარება, როგორცაა თანხლები პირი, წამკითხველი, პროფესიონალი სურდო-თარჯიმანი;
- (ვ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად განავითარონ დახმარების სხვა შესაბამისი ფორმები;
- (გ) ხელი შეწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ახალი ინფორმაციის, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების, მათ შორის ინტერნეტის მისაწვდომობას;
- (თ) საწყის ეტაპზე უზრუნველყონ მისაწვდომი ინფორმაციის, საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების დაგეგმვა, განვითარება, წარმოება და გავრცელება, ამ ტექნოლოგიებითა და სისტემებით მინიმალური დანახარჯებით სარგებლობა.

**მუხლი 29. პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა**

მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ უფლებებს, ამ უფლებებით სარგებლობის თანაბარ შესაძლებლობებს და ვალდებულებას იღებენ:

- (ა) უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარი, ეფექტური და სრულყოფილი მონაწილეობა, უშუალოდ ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების საშუალებით, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას ხმა მისცენ და კენჭი იყარონ (არჩეული იქნან). ამისათვის სხვა ზომებთან ერთად:
  - (I) უზრუნველყოფენ საარჩევნო პროცედურების, საშუალებებისა და მასალების მისაწვდომ, მარტივად გასაგებ და გამოსაყენებელ ფორმატს;
  - (II) იცავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ არჩევნებისა და სახალხო რეფერენდუმების ფარულ კენჭისყრაში დაფარული, დაშინებისაგან თავისუფალი გზით მონაწილეობის, ასევე არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის დაყენების, სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე თანამდებობის დაკავებისა და საჯარო ფუნქციების შესრულების უფლებას, საჭიროების შემთხვევაში დამხმარე და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობით;
  - (III) უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, როგორც ამომრჩეველთა თავისუფალი ნების გამოხატვას და ამასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში მათი თხოვნის საფუძველზე, მათ მიერ არჩეული პირის დახმარებას კენჭისყრის პროცედურაში..
- (ბ) აქტიურად უჭერენ მხარს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც უზრუნველყოფილი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელმწიფო საქმეთა მართვაში სრული, ეფექტური, თაბანარი და ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან თავისუფალი მონაწილეობა; ხელს უწყობენ მათ სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობას, მათ შორის:
  - (I) მონაწილეობას ქვეყნის სახელმწიფო და პოლიტიკურ ცხოვრებასთან დაკავშირებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების საქმიანობაში, პოლიტიკური პარტიების საქმიანობასა და ხელმძღვანელობაში.
  - (II) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და მათში განევრიანებას, რათა წარმოადგინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საერთაშორისო, ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე.

საქართველომ ზემოაღნიშნულ საერთაშორისო ხელშეკრულებას ხელი ჯერ კიდევ 2009 წელს მოაწერა, თუმცა დოკუმენტი ვალდებულო ძალის მქონე 2014 წლის აპრილიდან არის (მას შემდეგ, რაც 2013 წლის 26 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა მისი რატიფიცირება). სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს კონვენციაში მოცემული სტანდარტების ჰარმონიზაცია, იმპლემენტაცია და დაცვა.

სახელმწიფო შუამ პირებზე ზრუნვის მხრივ ბოლო წლებში აქტიურ ნაბიჯებს დგამს. 2014 წლის დასაწყისში მთავრობამ, შუამ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლის სამთავრობო სამოქმედო გეგმა დაამტკიცა. გეგმის მიზანი აღნიშნულ პირთა სხვადასხვა მიმართულებით საზოგადოებაში სრული ინტეგრაციისთვის საჭირო პირობების მაქსიმალურად შექმნაა. სამთავრობო გეგმა ითვალისწინებს: დისკრიმინაციის აღმოფრხვას, გადანყვეტილებების მიღების პროცესში შუამ პირთა ჩართულობას, სამართლებრივი ბაზის შესაბამისობაში მოყვანას საერთაშორისო სტანდარტებთან, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას, სსსმ პირთა უწყვეტი და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას ყველა

საფეხურზე, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, შშმ პირთა დასაქმების თანაბარი უფლების უზრუნველყოფას და დასაქმება – თვითდასაქმების ხელშეწყობას, შშმ პირების ინდივიდუალურ მონაცემთა ბაზის შექმნას, განვითარებასა და სრულყოფას. ამ ყველაფრის განხორციელებისთვის კი 2016 წლის ჩათვლით სხვადასხვა ღონისძიების გატარდა.

არჩევნების დემოკრატიულობის ხარისხის შეფასებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შშმ პირებისთვის არჩევნების ხელმისაწვდომობის საკითხს. სახელმწიფო ორგანიზაციების (ისეთების, როგორცაა საკანონმდებლო ორგანოები და საარჩევნო ადმინისტრაცია), მხრიდან განხორციელებული მხარდაჭერი ღონისძიებები, ქმნიან შშმ პირების პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო აქტიური ჩართულობის საშუალებას .

შშმ პირების არჩევნების ყოველ ეტაპზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს. მნიშვნელოვან ადგილს იკავებს არჩევნების მარეგულირებელი ორგანოების (საარჩევნო ადმინისტრაციის) მხარდაჭერა, რომელიც მრავალ ქვეყანაში სხვადასხვა დონეზეა ჩართული ამ პროცესებში. საერთაშორისო გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ხელმისაწვდომობის გეგმების შემუშავება არჩევნების მარეგულირებელი ორგანოების უშუალო ფუნქციებში უნდა შედიოდეს, თუმცა რიგ ქვეყნებში არჩევნების მარეგულირებელი ორგანო არ იღებს თავის თავზე ამ ფუნქციას.

**როგორ უზრუნველვყოფთ შშმ პირების მონაწილეობა საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესებში**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არ უნდა წარმოადგენდნენ „ქველმოქმედების ობიექტებს“, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ თანამედროვე მიღწევების, არსებული ტექნოლოგიებისა და ყველა შესაძლებლობის გამოყენებით შშმპ თავისუფლების კოეფიციენტი საზოგადოების დანარჩენი წევრებისას გაუთანაბრდეს. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ და საარჩევნო ადმინისტრაციამ თავის მხრივ უზრუნველყოს საარჩევნო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, როგორცაა ბრაილის შრიფტი, სურდო თარგმანი, ხოლო ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისათვის საარჩევნო უბნებზე განათავსოს ხმის მიცემის შესაბამისი კაბინები და ხელი შეუწყოს იმ შენობების ადაპტირების პროცესს, სადაც განთავსებულია საარჩევნო უბნები.

ქვემოთ განხილულია ცალკეული სიძნელებები, რომლებსაც შშმ პირები აწყდებიან სხვადასხვა ეტაპებზე და წარმოდგენილია რეკომენდაციები პროცესის მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და მათი პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის სტიმულირებისთვის.

**ხელმისაწვდომობის ბარიერები**

ბარიერის ტიპები	მაგალითები
<b>შეფასებითი ბარიერები</b> - ბარიერები რომელიც მოიცავს შშმ პირთა მიმართ დისკრიმინაციას	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოსაზრება, რომ შშმ პირები საზოგადოების არასრულფასოვანი წევრები არიან;</li> <li>• ვარაუდი, რომ მეტყველების დარღვევების მქონე ადამიანებს თქვენი არ ესმით.</li> </ul>
<b>ინფორმაციული ან კომუნიკაციური ბარიერები</b> წარმოიქმნება მაშინ როდესაც ადამიანებს რთულად ესმით /გებულობენ ინფორმაციას	<ul style="list-style-type: none"> <li>• ძალიან პატარა შრიფტი;</li> <li>• ვებ-გვერდები არ არის ხელმისაწვდომი იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ვერ იყენებენ კომპიუტერის მაუსს</li> <li>• მანიშნებლები არ შეიცავენ მკაფიო ინფორმაციას ან ძნელად გასაგებია.</li> </ul>
<b>ტექნოლოგიური ბარიერები</b> წარმოიქმნება, როდესაც ტექნოლოგიები არ არიან აღჭურვილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის საჭირო სხვადასხვა საშუალებებით.	<ul style="list-style-type: none"> <li>• ვებ-გვერდს არ გააჩნია ისეთ პროგრამული მხარდაჭერა, რომელიც ახმოვანებს ეკრანზე არსებულ ინფორმაციას</li> </ul>
<b>არქიტექტურული და ფიზიკური ბარიერები</b> ეს არის შენობების ან ფართების ტექნიკური მახასიათებლები, რომლებიც ქმნიან სირთულეებს შშმ პირთათვის	
<b>ინსტიტუციური ბარიერები</b> - ეს არის ორგანიზაციული წესები, დებულებები და პროცედურები, რომლებიც შეიცავს შშმ პირთა მიმართ დისკრიმინაციის ნიშნებს.	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამუშაოზე აყვანის პროცესი, რომელიც არ არის სრულფასოვანი და თავსებადი შშმ პირთა მიმართ</li> </ul>



უმეტეს შემთხვევებში, შშმ პირთა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის სტიმულირებისთვის გამოიყენება **ოთხი ურთიერთშემავსებელი სტრატეგია**:

### **1. შშმ პირთა შესაძლებლობების გაფართოება.**

შშმ პირები და მათი ორგანიზაციები, პოლიტიკური და საარჩევნო პროცესებისადმი მიძღვნილი პროგრამების ჩარჩოებში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან. შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები უზრუნველყოფენ შშმ პირების მობილიზაციისა და მათი ინტერესების დაცვის უკვე არსებულ პლატფორმას. საჭიროა მათი ჩართვა პროგრამების განხორციელების მთელი ციკლის განმავლობაში, მათ შორის პროგრამების შემუშავების, დანერგვის, დაკვირვების და შეფასების ეტაპებზე. ასეთი თანამშრომლობის ეფექტურობისთვის, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს მსგავსი ტიპის ორგანიზაციების პრაქტიკული მომზადება, რომელიც დაკავშირებული იქნება საარჩევნო სისტემის სხვადასხვა ასპექტებთან და სამთავრობო სტრუქტურებთან. სასარგებლო იქნება ძირითადი ორგანიზაციული უნარჩვევების განვითარების გაფართოება, ისეთების, როგორცაა ხელმძღვანელობა და საზოგადოებასთან ურთიერთობა, ასევე სამართლებრივი უნარჩვევების განვითარება, რომლებიც ხელს შეუწყობს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს სახელმწიფო თანამდებობის პირებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ჯგუფებთან ურთიერთ თანამშრომლობას. ასეთი მომზადების პირობებში, შესაძლოა მოხდეს ასოციაციების ფორმირებისა და ფინანსური მხარდაჭერის მოპოვების დემონსტრირება. ასეთი სახის დახმარებამ შესაძლოა მიგვიყვანოს შშმ პირთა ორგანიზაციების პოლიტიკური გეგავლენის ზრდასთან და მათთან დაკავშირებული მგრძობიარე საკითხების პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგში ჩართვასთან. გარდა ამისა საარჩევნო და ზოგადად პოლიტიკური პროცესების ეფექტურობა გაიზრდება, თუ პროგრამების განმახორციელებელი საერთაშორისო პარტნიორები და დონორები სამუშაოდ აიყვანენ შშმ პირებს (განსაკუთრებით ხელმძღვანელ თანამდებობებზე).

### **2. სახელმწიფო ორგანოების მხარდაჭერა.**

სახელმწიფო ორგანოების, მაგ. საკანონმდებლო ორგანოებისა და საარჩევნო კომისიების მხარდაჭერის პროგრამები ახდენენ შშმ პირების პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო აქტიური მონაწილეობის პირობების უზრუნველყოფას. დემოკრატიის განვითარების პროგრამების ფარგლებში, სამართლებრივი სტრუქტურების ფორმირებისა და ტექნიკური მხარდაჭერის განვითარების პირობებში, მეტი შესაძლებლობაა ამ სტრუქტურების თანამშრომლებისთვის შშმ პირების უფლებების შეფასებისა და დაცვის პოლიტიკის შემდგომი განვითარებისთვის. გარდა ამისა, ასეთი პროგრამები, შესაძლოა, სახელმწიფო ორგანოებსა და შშმ პირთა ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის სტიმული გახდეს, რაც ხელს შეუწყობს შშმ პირებზე, როგორც საზოგადოების სრულფასოვან და სრულუფლებიან წევრებზე წარმოდგენის შექმნას. შშმ პირებთან აუცილებელია კონსულტაციები იმ საკითხებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ ცხოვრებაზე. შშმ პირთა ორგანიზაციების მხარდაჭერა უნდა განხორციელდეს უშუალოდ მთავრობაში დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთქმედებით. გადანყვეტილების მიმღები პირების ცნობიერებაში შშმ პირების მიმართ შეგნებული დამოკიდებულების ჩამოყალიბება - შშმ პირების პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულფასოვანი ჩართულობისკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია, დამაბრკოლებელი კანონმდებლობისა და სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილების გზით.

### **3. შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო ორგანიზაციების გაერთიანებების პარტნიორებად ჩართვა.**

დემოკრატიული საარჩევნო პროცესების განმტკიცების პროგრამები, ხშირად, ისეთი გაერთიანებების და კოალიციებისთვის, რომლებიც სადამკვირვებლო და სამოქალაქო განათლებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებენ, ითვალისწინებენ ტექნიკურ და ფინანსურ მხარდაჭერას. ასეთ საქმიანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საარჩევნო პროცესების სანდოობის და ამომრჩეველთა მიერ ინფორმირებული გადამწყვეტილების მიღების დროს. შშმ პირთა ორგანიზაციების ჩართულობას ასეთ გაერთიანებებსა და კოალიციებში რამოდენიმე მიზანი აქვს. ასეთი ჩართულობა შშმ პირთა ორგანიზაციებს გამოცდილების დაგროვებისა და პარტნიორებისგან საუკეთესო მეთოდების გადმოღების საშუალებას აძლევს. შშმ პირთა ორგანიზაციების თანამშრომლები იძენენ პრობლემების იდენტიფიცირების და კამპანიების წარმოების უნარ-ჩვევებს. ასევე პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით საკუთარი ძალების რწმენას იძენენ. ასეთ მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს შშმ პირთა ორგანიზაციების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობისა და წამყვან პოზიციებზე გადასვლის

სტიმულაციისთვის. ასეთი თანამშრომლობა ხელს უწყობს კოალიციის დანარჩენ პარტნიორების მიერ შშმ პირების უფრო აქტიური ჩართულობის აუცილებლობის გააზრებას და მათი მუშაობის მიუკერძოებელ შეფასებას. მაგალითად: ახალგაზრდების ინტერესების დამცველმა ორგანიზაციამ შესაძლოა დაასკვნას, რომ მის წევრებს არასაკმარისად აქვთ გათავისებული შშმ ახალგაზრდების საჭიროებები, ან შესაძლოა შშმ პირების ორგანიზაციებმა დაინახონ, რომ საჭიროა ხელმძღვანელ თანამდებობებზე უფრო მეტი ქალის დანიშვნა და ბოლოს, შშმ პირთა ორგანიზაციების ჩართულობა ასეთ კოალიციებში ხელს უწყობს ამ ორგანიზაციებისგან რეკომენდაციების მიღების მეთოდების დანერგვას და შშმ პირებზე, როგორც საზოგადოების ნიჭიერ, სრულუფლებიან და სრულფასოვან წევრებზე წარმოდგენის ჩამოყალიბებას.

#### **4. პოლიტიკური პარტიების მიერ შშმ პირებს შორის პროპაგანდისტული კამპანიების წარმოების ხელშეწყობა.**

პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობაზე ორიენტირებული განვითარების ხელშეწყობა შშმ პირების შემდგომი ჩართულობის შესაძლებლობებს იძლევა. პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერის პროგრამების განხორციელებისას, რომლებიც ითვალისწინებენ პოლიტიკური პლატფორმების ფორმულირებას, პარტიების წევრებისა და არჩევითი თანამდებობებისთვის კანდიდატების მომზადებას, წინასაარჩევნო კამპანიების სტრატეგიების შემუშავებას, დემოკრატიული პროცესების განმავითარებელ ორგანიზაციებს შეუძლიათ თავიანთი პარტიები დაუკავშირონ შშმ პირთა ორგანიზაციებს იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ ასეთ პირთა შორის ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომელიც გააუმჯობესებს შშმ პირთა საცხოვრებელ პირობებს. ასეთი პროპაგანდისტული კომპანიების მსვლელობისას პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერა ინვესს არა მარტო შშმ პირთა უფლებების დაცვისკენ ყურადღების მიპყრობას, არამედ ხელს უწყობს ამ პარტიების მიერ მოსახლეობის უფრო ფართო ფენების ინტერესების გათვალისწინებას წინასაარჩევნო კამპანიის დროს. ამით პოლიტიკურ ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო ფენების ჩართულობა იზრდება. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური პარტიების მიერ შშმ პირთა კანდიდატებად წარდგენისა და ხელმძღვანელ პარტიულ თანამდებობებზე დანიშვნის სტიმულირებას.

#### **სიტყვები, გამოსახულებები და კომუნიკაცია**

სიტყვებსა და გამოსახულებებს ხალხის აზრების არა მხოლოდ გამოხატვა, არამედ მათზე გავლენის მოხდენაც შეუძლიათ. უარყოფითი სტერეოტიპები ხელს გვიშლის, ჩავწვდეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეალობას. ბოლო წლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა მოითხოვეს ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებები და შეეცადნენ თავიანთი ცხოვრების გარემოებების შეცვლას, ნაწილობრივ იმის შეცვლით, თუ როგორ აღიწერებიან ისინი.

ყველა ტერმინის შესახებ ყველა ვერ შეთანხმდება, მაგრამ არ სეზობს კონსენსუსი გარკვეულ ზოგად პრინციპებზე.

#### **ზოგადი ენობრივი პრინციპები**

1. ცნება „უნარშეზღუდული“ არის აღწერილობა და არა ხალხთა ჯგუფი. კრებით ტერმინად გამოიყენეთ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები“ და არა „უნარშეზღუდულები“;
2. მოერიდეთ სამედიცინო იარლიყებს, რომლებიც თითქმის არა ფერს ამბობენ ადამიანებზე, როგორც ინდივიდებზე, და ამავე დროულად, როგორც წესი, აძლიერებენ სტერეოტიპებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ, მაგალითად, მათ „პაციენტებად“ ან ავადმყოფებად აღქმას;
3. მოერიდეთ ისეთ ფრაზებს, როგორიცაა „მას სჭირს/ანუხებს...“, რაც აღძრავს უხერხულობას ან სიბრალულს და გულისხმობს მუდმივ ტკივილს ან უიმედობას;
4. მოერიდეთ შშმ პირების ისეთ გამოსახულებებს, რომლებიც გადმოცემენ ტანჯვას, საფრთხეს, იზოლირებას ან შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ პასიურობას;
5. ეტლის მომხმარებლები შესაძლოა არ აღიქვამდნენ საკუთარ თავს ეტლს „მიჭაჭვულებად“. შეეცადეთ, ეტლი გადაადგილებაში დამხმარე საშუალებად მიიჩნიოთ;
6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უმრავლესობა კომფორტულად იყენებს ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ სიტყვებს. ეტლის მომხმარებლებიც „მიდიან გასავლელად“. მხედველობის დარღვევის მქონე პირებსაც შესაძლოა ძალიან გაუხარდეთ ან არ გაუხარდეთ, „თქვენი ნახვა“. შეზღუდული შესაძლებლობა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ზოგი რამ უბრალოდ განსხვავებული გზით კეთდება;

7. მოერიდეთ ისეთი გავრცელებული ფრაზების გამოყენებას, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის ქონას უარყოფით კონოტაციებთან აკავშირებს, მაგალითად „გიჟვით დარბის“, „ბრმა კი არ ვარ“ და ასე შემდეგ;
8. მოერიდეთ პასიურ, მსხვერპლის პოზიციიდან ნათქვამ სიტყვებსა და გამოსახულებებს. გამოიყენეთ ისეთი ტერმინოლოგია, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს წარმოაჩენს აქტიურ ინდივიდებად, რომლებიც აკონტროლებენ თავიანთ ცხოვრებას.

**სიტყვები, რომლებსაც უნდა ვერიდოთ**

არამართებული ტერმინები	მართებული ტერმინები
უნარშეზღუდული, შეფერხებული, ინვალიდი, ხეიბარი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი
მას სჭირს, იგი იტანჯება, მსხვერპლია... (ამა თუ იმ დარღვევის)	მას აქვს (დარღვევის დასახელება)
ეტლს მიჯაჭვული	ეტლის მომხმარებელი, ეტლით მოსარგებლე
გონებაშეზღუდული, გონებრივად ჩამორჩენილი, არანორმალური	დასწავლის შეზღუდვის მქონე პირი
სპაზმებიანი	ცერებრალური დამბლის მქონე ადამიანი
საგიჟეთის პაციენტი, გიჟი	მენტალური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანი
ყრუ-მუნჯი	ყრუ, ჟესტების ენის მომხმარებელი, სმენადაქვევითებული ადამიანი
ბრმა	მხედველობის დარღვევების მქონე პირი, უსინათლო, მცირემხედველი
ჭუჭა, ქონდრისკაცი	შეზღუდული ზრდის ან დაბალი ტანის ადამიანი

**გამოსახულებები**

აჩვენეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სხვადასხვა როლებში. შეძლებისდაგვარად, აჩვენეთ ისინი სხვა ხალხთან კომუნიკაციისას და არა მარტომყოფნი. აჩვენეთ, თუ როგორ შეაქვთ მათ წვლილი ამა თუ იმ საქმეში, იმის ჩვენების ნაცვლად, თუ როგორ უვლიან მათ.

**რამდენიმე რჩევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციასთან დაკავშირებით**

- გამოიყენეთ ხმის ჩვეულებრივი ტონი, არ ელაპარაკოთ საკუთარი უპირატესობის ხაზგასმით, ან არ აგრძნობინოთ, რომ ზემოდან უყურებთ;
- არ წარადგინოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი მისი დარღვევის დასახელებით. სამედიცინო იარაღის მინებება შესაძლოა შეურაცხყოფად იქნეს მიჩნეული;
- ნუ იქნებით ზედმეტად მანერული ან პოლიტიკურად კორექტული – ჭარბი სენსიტიურობა სწორი და არასწორი ტერმინების და სურათხატების მიმართ ხელს შევიშლით რამის კეთებაში. ყური დაუგდეთ, შეზღუდული შესაძლებლობის პირი როგორ მოიხსენიებს საკუთარ დარღვევას – თუკი აკეთებს ამას;
- ყურადღება მიაქციეთ, რომ თქვენ მიერ გამოყენებულმა ტერმინოლოგიამ არ გააძლიეროს უარყოფითი სტერეოტიპები;
- მოერიდეთ ისეთ იარაღებს, რომლებიც ადამიანის შესახებ არაფერს ამბობენ და უბრალოდ აძლიერებენ იმ შთაბეჭდილებას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის ავად და დამოკიდებულია სხვებზე;
- ყოველდღიური ტერმინოლოგიის გამოყენება მისაღებია, მაგალითად, „ნახვამდის“.
- არასდროს სცადოთ, თქვენი თანამოსაუბრის მაგივრად ილაპარაკოთ ან დაამთავროთ მათი დაწყებული წინადადება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიმართეთ ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანს;
- მიმართეთ პირდაპირ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, მაშინაც კი, თუ მათ თარჯიმანი ან პარტნიორი ახლავთ;
- უზრუნველყავით, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს საუბარში დანარჩენის თანასწორი როლი ჰქონდეს;
- დაეხმარეთ, მაგრამ არასდროს გამოხატოთ სინანული.



## არჩევნების ინკლუზიურობის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოში

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მოიცავს რეგულაციას იმაზე, თუ რა საშუალებები უნდა იქნას გამოყენებული ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად და როგორ უნდა იმოქმედონ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა არჩევნების დღეს.

ამასთან ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს, რაც გულისხმობს არჩევნებში მონაწილე ყველა მხარისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებისათვის ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს შექმნას.

### გადასატანი საარჩევნო ყუთი

საარჩევნო კოდექსის 33-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს იმას, თუ ვინ შეიძლება მისცეს ხმა გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით. საარჩევნო კოდექსის 66-ე მუხლის თანახმად, იმ ამომრჩევლებს, რომელთაც ჯანმრთელობის ან ფიზიკური მდგომარეობის გამო (მათ შორის შშმ ამომრჩევლებს) არ შეუძლიათ საარჩევნო უბანზე მისვლა, უფლება აქვთ ხმა მისცენ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით.

შესაძლებელია შშმ ამომრჩევლებმა არ გამოიყენონ გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის უფლება (არ მოითხოვონ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანა) და მოისურვონ უბანზე მისვლა და არჩევანის ისეთივე გარემოებებში დაფიქსირება, როგორც ამას სხვა ამომრჩევლები აკეთებენ. აუცილებელია, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებმა კომპეტენციის ფარგლებში შშმ ამომრჩევლებს მაქსიმალური დახმარება გაუწიონ არჩევნების დღეს.

ამასთან საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს სხვა პირი, გარდა: საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა.

### კენჭისყრის შენობის მოწყობა

ამომრჩეველთათვის ხმის მიცემის დროს დამოუკიდებლობისა და ფარულობის პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულია ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა ითვალისწინებდეს საუბნო საარჩევნო კომისია. ამასთან, საარჩევნო კოდექსის 58-ე მუხლი განსაზღვრავს კენჭისყრისთვის ისეთი შენობის შერჩევას, რომლის ადაპტირებაც შესაძლებელია ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, იქნება ეს პანდუსი თუ სხვა.

#### მუხლი 58, პუნქტი 1<sup>ა</sup>

სათანადო შენობა-ნაგებობის არსებობის შემთხვევაში საარჩევნო უბნისთვის ისეთი შენობა-ნაგებობა უნდა გამოიყოს, რომელიც ყველა ამომრჩევლისათვის იქნება ხელმისაწვდომი, ხოლო ასეთი შენობა-ნაგებობის არარსებობის შემთხვევაში საარჩევნო უბნისთვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობა, სადაც ეს შესაძლებელია, მისი გადამცემი ორგანოს მიერ კენჭისყრის დღისთვის ადაპტირებული უნდა იქნეს ყველა ამომრჩევლისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

### რეკომენდაციები საარჩევნო უბნის მოსაწყობად



საარჩევნო უბანში უნდა იყოს საკმარისი განათება იმისათვის, რომ ამომრჩეველმა დაინახოს კომისიის წევრის სახე მასთან საუბრისას და ასევე, შეძლოს ბიულეტენის წაკითხვა დაბრკოლების გარეშე.



უბნის შესასვლელი კარი უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას და იყოს იმგვარად გახსნილი, რომ ეტლით, ყავარჯნით ან ჯოხით მოსარგებლე ამომრჩეველმა მარტივად შეძლოს შესვლა.



კედელზე ან ჭერზე არ უნდა იყოს მიმაგრებული/ჩამოკიდებული ისეთი საგნები, რომლებსაც შესაძლოა შემთხვევით შეეჭახოს სუსტი მხედველობის მქონე ამომრჩეველი.



ადვილად უნდა იყოს ხელმისაწვდომი ფურცელი ან კალამი იმ შემთხვევისათვის, თუ საჭირო გახდა შშმ ამომრჩევლისათვის ინსტრუქციების დაწერა ან დახატვა.



ამომრჩეველს მარტივად უნდა შეეძლოს სარეგისტრაციო მაგიდიდან კენჭისყრის კაბინაში, შემდეგ კი საარჩევნო ყუთთან გადაადგილება.



შენობაში უნდა იყოს საკმარისი სივრცე ეტლით გადაადგილებისათვის, ან გვერდიგვერდ მოსიარულე 2 ადამიანის მოძრაობისათვის.



საარჩევნო ყუთი განთავსებული უნდა იყოს ისე, რომ შშმ ამომრჩევლებმა მარტივად შეძლონ მისი გამოიყენება.

კენჭისყრის შენობის ხელმისაწვდომობა არის მეტად მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანია სკამების, ან სხვა საგნების იმგვარად გადაადგილება, რომ შშმ ამომრჩეველს გაუმარტივდეს ხმის მიცემის პროცესის წარმართვა.


### **არჩევნებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მექანიზმები და საშუალებები**

ცესკოს უზრუნველყოფს ისეთი ტექნოლოგიების გამოყენებას, რომელიც მხედველობის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსების საშუალებას მისცემს, როგორც ეს საარჩევნო კოდექსის 63-ე მუხლშია განწესებული.

#### **მუხლი 63, პუნქტი 2**

საარჩევნო უბნებზე ცესკო უზრუნველყოფს ისეთი ტექნოლოგიის გამოყენებას, რომელიც მხედველობის გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებს საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსების საშუალებას მისცემს.

**საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო** დამზადებულია მუყაოს ქალაქისგან სიგრძეზე ორად არის დაკეცილი ისე, რომ ნაკეცი მოთავსებული იქნება ფორმის თავში, ხოლო ჩარჩოში ჩადებული ბიულეტენი ზედა ნიბოთი ებჯინება ფორმის ნაკეცს. უსინათლო ამომრჩევლისთვის საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩოს მარტივად გამოყენების მიზნით ყოველი ჭრილის გასწვრივ რელიეფურად დასმულია წერტილები. ფორმაში არსებული ყოველი წრიული ჭრილი ემთხვევა ბიულეტენში არსებული პარტიის ან/და კანდიდატის რიგით ნომერს. უსინათლო ამომრჩეველი ჭრილში კალმის შემოტარებით მონიშნავს მისთვის სასურველი პარტიის ან/და კანდიდატის რიგით ნომერს.



#### **გამადიდებელი ლინზა**

მცირე მხედველობის მქონე პირებისთვის, უბანზე არსებობს გამადიდებელი ლინზა. ეს ხელსაწყო უნდა განთავსდეს ბიულეტენის ზემოთ. იგი საშუალებას მისცემს ამომრჩეველს გაადიდოს ტექსტი და გამოსახულება.

### **ადაპტირებული საარჩევნო უბანი**

ცესკოს მიერ განსაზღვრულია საარჩევნო უბნის მდგომარეობის 2 სტატუსი – მარტივი ადაპტაცია ან პანდუსი.

ფიზიკური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისთვის - ადაპტირებული საარჩევნო უბნებზე განთავსებულია სპეციალური ხმის მიცემის კაბინები.

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 73 საარჩევნო ოლქში შემავალი 3 634 საარჩევნო უბნიდან, ფიზიკური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისთვის ხელმისაწვდომი იყო 1 115 (30.68%) საარჩევნო უბანი, მათ შორის ქალაქ თბილისში ხელმისაწვდომი იყო 271 საარჩევნო უბანი, ხოლო რეგიონებში 844 უბანი. ადაპტირებული უბნების რაოდენობა 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 26%-ით.



### **ხმის მიცემის პროცედურა**

ცესკოს 2012 წლის 21 ივნისის №20/2012 დადგენილებით დარეგულირებული აქვს იმ კატეგორიის საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა მიერ ხმის მიცემის პროცედურა, რომლებიც ზედა კიდურების არქონის გამო ვერ ახერხებენ ხმის მიცემის პროცედურების დამოუკიდებლად შესრულებას. მიღებული დადგენილების შესაბამისად, საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქე, რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები:

- ⇒ არ გადის მარკირების შემოწმებისა და მარკირების პროცედურას;
- ⇒ საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) გაცემისას ამომრჩეველთა რეგისტრატორი, ამომრჩეველთა ერთიანი სიის გრაფაში „ამომრჩევლის ხელმოწერა“, აკეთებს ჩანაწერს „ფიზიკური მდგომარეობა“ და აღნიშნულს ადასტურებს პირადი ხელმოწერით;
- ⇒ ამომრჩევლის თანდასწრებით, ბიულეტენს (ბიულეტენებს) სპეციალურ კონვერტში ათავსებს და შემდეგ საარჩევნო ყუთში აგდებს მის მიერ არჩეული პირი (გარდა: საარჩევნო კომისიის

წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, დამკვირვებლისა და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა), რომელიც დაეხმარება მას კენჭისყრის კაბინაში საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) შევსებაში.

**ყრუ ამომრჩევლებისთვის** – ცესკო უზრუნველყოფს ხმის მიცემის პროცედურების ამსახველი პოსტერის მომზადებას და უბნებზე განთავსებას, ხოლო იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც განთავსდება პორტატული კომპიუტერები ხელმისაწვდომია აგრეთვე კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ ვიდეორგოლი სურდოთარგმანის (ჟესტური ენა) თანხლებით.

**მხარდამჭერი პირების მონაწილეობის საკითხი.** 2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება პირველად მიიღეს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებმა. ამის წინაპირობა საკონსტიტუციო სასამართლოს ახლად დადგენილი სტანდარტები და ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმა გახდა.


დღევანდელი მოცემულობით, აქტიური საარჩევნო ხმის უფლება შეზღუდული აქვთ მოქალაქეებს, რომლებიც 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ იყვნენ მიჩნეულნი და არჩევნების დღისთვის არ აქვთ მხარდაჭერის მიმღები პირის სტატუსი. ასევე, აქტიური საარჩევნო ხმის უფლება შეზღუდული აქვთ პირებს, რომლებიც სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იმყოფებიან.

მნიშვნელოვანია, რომ მხარდაჭერის ინსტიტუტი არ გულისხმობს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის მაგივრად გადაწყვეტილების მიღებას; მის მაგივრად რაიმე ტიპის არჩევანის გაკეთებას, მათ შორის, საარჩევნო საკითხებზე.

მხარდაჭერის მიმღების ნების შემთხვევაში, მხარდამჭერს შეუძლია დახმარება გაუწიოს მას მათ შორის, აქტიური საარჩევნო უფლების რეალიზებისთვის. მაგალითად, დაეხმაროს საარჩევნო უბანზე გამოცხადებაში, საარჩევნო პროცედურების გავლაში, უშუალოდ ხმის მიცემის დროს და ა.შ.

### **საინფორმაციო კამპანია**

საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტებს გააჩნიათ ვალდებულება, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა ყველა მაუწყებლის ეთერში განათავსონ სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა). ასევე, 51-ე მუხლის 63 პუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია საარჩევნო კამპანიის პერიოდში ეთერში გაშვებულ არჩევნებთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი.



ამასთან არჩევნების პერიოდში ცესკო, ყრუ ამომრჩევლებისათვის, უზრუნველყოფს ყველა საიმიჯო/საინფორმაციო ვიდეო რგოლის სურდოთარგმანის (ჟესტური ენა) თანხლებით დამზადებას.

### **შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფი**

ცესკოში შექმნილია შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფი, რომლის შემადგენლობა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი, განისაზღვრება სამუშაო ჯგუფის დებულებით. სამუშაო ჯგუფი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მოთხოვნების შესაბამისად.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო უწყებების, საარჩევნო ადმინისტრაციის, მედიის, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი აღნიშნული სამუშაო ჯგუფის წევრია და აქტიურად იღებს მის მუშაობაში მონაწილეობას.

სამუშაო ჯგუფის ძირითადი ამოცანაა: თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის რეკომენდაციების წარდგენა.

ამასთან, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფი უზრუნველყოფს გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესრულებას.

შშმ ამომრჩევლებს ცესკოს ოფიციალური ვებ-გვერდის ([www.cesko.ge](http://www.cesko.ge)) საშუალებით შეუძლიათ მიიღონ მნიშვნელოვანი ინფორმაციები მათ შორის: საარჩევნო ოლქებში არსებული ადაპტირებული საარჩევნო უბნების შესახებ, საკანონმდებლო რეგულაციებისა და შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ.



## ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“;
3. საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“;
4. „არჩევნების ისტორია“ (2009 წ.) – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;
5. „კონსტიტუციონალიზმი“ (2008 წ.) – ოთარ მელქაძე;
6. „საქართველო. 2006 წლის ადგილობრივი არჩევნები. დაგროვილი გამოცდილება“ (2008წ. (<http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/archives/downloads/Books/Local%20Elections%202006%20%20Lessons%20learned%20Geo.pdf>);
7. „არჩევნები და საზოგადოება“ (2003 წ.) – მალხაზ მაცაბერიძე;
8. საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი—ალვარო პინტო სქოლტბახი და გია ნოდია (2006)
9. „საარჩევნო სისტემები“ – საქართველოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტი, კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების კვლევითი მასალები (<http://parliament.ge/ge/saparlameto-saqmianoba/aparati-9/struqtura/60>)
10. BRIDGE-ის (დემოკრატიის, მმართველობისა და არჩევნების სფეროში რესურსების განვითარება) პროგრამის მასალები - BRIDGE Project 2007 AEC IDEA IFES UNEAD UNDP v2; BRIDGE 2008 AEC IDEA IFES UNEAD UNDP v2APR12
11. Electoral System Design: The New International IDEA Handbook. 2005 – International Institute for Democracy and Electoral Assistance;
12. „დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულების სტუდენტებისათვის“. 2014-2016 საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი;
13. არჩევნებზე შშმ პირთა ჩართულობის პრაქტიკული სახელმძღვანელო - საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი (IFES) 2016;
14. Equal Access: How to Include Persons with Disabilities in Elections and Political Processes - 2014 IFES;
15. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საარჩევნო ნორმათა კოდექსი - 2002 No. 9624 CDL-AD(2002)023rev.
16. IDEA-ს საერთაშორისო სახელმძღვანელო საარჩევნო სისტემის დიზაინის შესახებ” (1997) ა. რეინოლდსი და ბ. რეილი;
17. საარჩევნო სისტემის დიზაინი, IDEA-ს ახალი საერთაშორისო სახელმძღვანელო, 2005 წ.



